



აკაკი ბელიაშვილი – ცნობილი ქართველი მწერალი, ავტორი ისტორიულ და თანამედროვე საქართველოს თემებზე დაწერილი რომანებისა, მათ შორის სათავგადასავლო ჟანრისაც. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არაერთი მოთხრობა, ნოველა და კინოსცენარია, ასევე ლიტერატურულ-კრიტიკული თუ პუბლიცისტური წერილი.

„ამერიკაში პარიზზე გავლით“ დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებია. მოგონებების ფურცლებიდან მკითხველი არაერთ ქალაქს მოივლის აკაკი ბელიაშვილთან ერთად, ჰოლივუდის მსახიობებსაც გაიცნობს და დისნეილენდსაც ბავშვური ალტაცებით დაათვალიერებს, ემიგრანტ თანამემამულეებსაც შეხვდება და მათ ისტორიებსაც მოისმენს. საბჭოთა პერიოდში ტექსტი დაიბეჭდა მნიშვნელოვანი შემცირებით და ცენზორის უხეში ჩარევით. ამჯერად ის პირველად ქვეყნდება ისე, როგორც დაინერა.

წიგნში გამოქვეყნებული არაერთი ფოტო უნიკალურია და ისინიც იბეჭდება პირველად. ეს ფოტოები დაცულია: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის აკაკი ბელიაშვილის არქივში; ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიაში, ლიჰაის უნივერსიტეტის არქივში, ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილების სპეციალურ კოლექციაში.

Akaki Beliasvili is a famous Georgian writer, an author of historical and contemporary novels about Georgia. His literary heritage includes numerous short stories, novels and screenplays, also critical essays and articles.

„To America via Paris“ is a documentary novel. Akaki Beliasvili takes readers with him to travel to different cities, to meet with Hollywood stars and visit Disneyland with a childish admiration. Readers meet Georgian emigrant and learn about their stories.

The novel was first published in Soviet times, and was heavily and brutally censored. Current edition is published as the original manuscript of the novel.

Many photos presented in the book are also unique and published for the first time.

They are the property of the institutions listed below:

G.Leonidze State Museum of Georgian Literature

George Papashvily, Helen Waite Papashvily special collection, Lehigh University, Pennsylvania

# ამერიკაში პარიზზე გავლით

ამერიკაში პარიზზე გავლით

აკაკი ბელიაშვილი



ISBN 978-99940-3777-7



9 789994 037777



**ლიტერატურის**  
Literature Museum  **მუზეუმი**

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი  
თბილისი, 2015

© ფოტოები: ლიტერატურის მუზეუმი და პაპაშვილების სპეციალური კოლექცია

Akaki Beliashvili, *To America via Paris*  
Literature Museum, Tbilisi, 2015

www.literaturemuseum.ge  
ტელ.: +995 32 2 93-20-45  
info@literaturemuseum.ge

გამომცემელი	<b>ლაშა ბაქრაძე</b>
რედაქტორი	<b>რუსუდან ნიშნიანიძე</b>
კორექტორი	<b>მარინა ხუბულური</b>
ამკრეფი	<b>ლიანა ქიტიაშვილი</b>
დამკაბადონებელი	<b>ირინე ამირიძე</b>
ფოტოდამუშავება	<b>დიტო შალუტაშვილი</b>
ყდის დიზაინი	<b>ფატი გაგულია</b>

დაიბეჭდა სტამბაში ფავორიტი სტილი

ISBN 978-99940-28-43-6

აკაკი ბელიაშვილი

**ამერიკაში  
პარიზზე გავლით**

ლიტერატურის  მუზეუმი  
Literature Museum

თბილისი  
2015





საბჭოთა კავშირი

## წინათქმა

აკაკი ბელიაშვილი – ცნობილი ქართველი მწერალი. ახლა უკვე ლიტერატურის ისტორიის კუთვნილება გახდა მისი იმხანად პოპულარული პროზაული ტექსტები; ჟანრობრივი თუ თემატიკის თვალთახედვით განსხვავებული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა: ნოველები, მოთხრობები, ისტორიულ და თანამედროვე საქართველოს თემებზე დაწერილი რომანები, მათ შორის სათავგადასავლო ჟანრისაც; დოკუმენტური პროზის ნიმუშები, კინოსცენარები, არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული თუ პუბლიცისტური წერილი... გამოდიოდა პროზაიკოსის ცალკეული კრებულები, ტომეულები („თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“, „ოქროს ჩარდახი“, „უღელტეხილი“, „ვეფხია ხალიბაური“, „შვიდკაცა“) და მრავალი სხვა... თავადაც აქტიურად ჩართული მწერალთა კავშირის საქმიანობაში, იყო არაერთი რესპუბლიკური თუ საკავშირო ყრილობის, პლენუმის თუ დისკუსიის გამორჩეული მონაწილე. როგორც ამა თუ იმ დელეგაციის წევრს მოგზაურობაც ხშირად უხდებოდა.

ნიჭიერი და საინტერესო მწერლის ბევრ ტექსტს უხეშად შეხებია „საბჭოთა ცენზორის“ კალამი იმ შემთხვევაშიც, როცა ისტორიულ ფაქტებს არაერთი გამოწინაგონით თავადვე ცვლიდა და მაშინაც, როცა საკუთარი თვალთ ნანახს აღწერდა. რასაკვირველია, არც უამისობაა, არცთუ იშვიათად ეპოქასაც თავის „ხარკს“ უხდიდა. თუმცა მაინც იქმნებოდა მაღალმხატვრული ნაწარმოებები. ზოგი იბეჭდებოდა, ზოგიერთიც მხოლოდ აკაკი ბელიაშვილის არქივს შემორჩა. ამჯერად მხოლოდ ერთ მათგანზე ვისაუბროთ.

60-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ტენდენციები შეიცვალა. შესაძლებელი ხდებოდა უცხოეთთან გარკვეული კავშირების დამყარება, აღდგენაც. ეს ძირეულად განსხვავდებოდა 30-40-იანი წლების სახელმწიფო იდეოლოგიური სტრატეგიისაგან. დრომ, ახალმა ვითარებამ სხვა შესაძლებლობები მოიტანა. ოფიციალური დელეგაციების გაგზავნა, საოჯახო კავშირების აღდგენა, საზღვარგარეთ მყოფი ნათესავების მოძებნა თანდათან დაშვებული ხდებოდა...

სწორედ 60-იან წლებში მოგზაურობის თაობაზე განსხვავებული მოგონებები არსებობს: სხვადასხვა შთაბეჭდილებით, ინტერესებით, შეხვედრებით და „გაბედულებით“ სავსე, ლიმილითაც. იმ დროს, თანაც „პირველი საბჭოთა დელეგაციის“ პირობებში ეს საკმაოდ რთული იქნებოდა, თამამიც... აქვე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: არა მარტო მხატვრული ტექსტების შემთხვევაში, არამედ დოკუმენტური პროზის – მოგონებების, ჩანაწერების, შთაბეჭდილებების გაანალიზებისას **ძალიან ანგარიშგასაწევი ფაქტორია, თუ რა წერია ხელნაწერებში და შემდგომ რა გამოქვეყნდა.** პარტიული ცენზორისათვის რამდენად დასაშვები იქნებოდა სხვა, თანაც „კაპიტალისტური“ ქვეყნით აღტაცება, ამის გაზიარება მსმენელისთვის; და თან ისე წერა, რომ ავტორი მართალი დარჩენილიყო საკუთარ თავთან, მკითხველთანაც... რთულია! საბჭოთა სივრცეშია რთული...

როგორც ვთქვი, დოკუმენტურ პროზას არაერთი საყურადღებო ტექსტი შეემატა.

შეერთებული შტატებიდან საქართველოში დაბრუნებული თავის მოგონებებში შეეცადა, დიალოგები ზუსტად აღედგინა; ეს არა მხოლოდ სიზუსტისთვის სჭირდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ ქართველი მკითხველისათვის თავს გადახდენილი დეტალურად მოეთხრო. უსათუოდ ისიც უნდა ითქვას, რომ **ამ მოგონებების სრული ვერსია მხოლოდ ხელნაწერის სახით დევს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, აკაკი ბელიაშვილის არქივში (სლმ №28889-55), სათაურით: „ამერიკაში პარიზზე გავლით“.** დაბეჭდვით – 1964 წელს დაიბეჭდა მისი თხზულებების II ტომში, ძალიან შემოკლებული და თან სათაურით: „მოგზაურობა ამერიკაში“. პარიზი მთლიანად გამოტოვებულია, თხრობა პირდაპირ გადადის ამერიკაზე. როგორც ჩანს, გამოცემისას „გავლა“ აღარ „მოხერხდა“.

ქართული ინტელექტუალური ემიგრაციის შემოკლებული ისტორიები... იმ ადამიანების თავგადასავალთა ხსენება, დასავინწყებლად რომ ვერ გაუმეტებია; არც შეიძლებოდა. საფრანგეთმა უამრავი ქართველი მიიღო: პოლიტიკოსები, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლები, ჩვეულებრივი მოქალაქეები... მათი თუნდაც „ხსენება“ აქ დარჩენილ რამდენ ადამიანს გაუჩენდა იმედს, რომ მათი ახლობლები ცოცხლები არიან. იმათ ამბავს ხომ ვილაც უყვება; უამბობს ერთი შეხედვით, გარკვეულ კონტექსტშიც კი, მაგრამ გვარ-სახელით, კონკრეტულად მოიხსენიებს: მიხეილ ჩუბინიძე, ვანო მშვენიერაძე, გოგი ნოზაძე, ნასყიდაშვილი... ზოგადადაც, ჭიათურლები...

ერთ პიროვნებასთან დაკავშირებით მაინც გამორჩეული დამოკიდებულება გააჩნია. არცაა გასაკვირი. ის ხომ მისი ღვიძლი ძმაა, აგერ ამდენი წელია თვალით რომ არ უნახავს. რასაკვირველია, უნდა ნახოს, აქ, პარიზში უნდა მოძებნოს, თანაც უეჭველად მალულად. საბჭოთა დელეგაციის ჯგუფის წევრებმა არ უნდა გაიგონ, რომ ქართველ საბჭოთა მწერალს – აკაკი ბელიაშვილს ძმა ემიგრაციაში ჰყავს, თანაც 20-იან წლებში გამოქცეული... მაგრამ ახლა თავის საწერ მაგიდასთან თავდახრილი მის სახეს რომ აღიდგენს და იმ უჩვეულო შეხვედრასაც აღწერს, მანამდე იმ „გაპარვასაც“ და ჯგუფთან ჩამოცილებასაც რომ არ დამალავს, ძნელი სათქმელია, რომ დაბეჭდვაზე ფიქრობდეს. არაა ასეთი გულუბრყვილო კაცი. აკაკი ბელიაშვილი მწერალია და „არ დანერა“, იმ დღეების ემოციის ქალღმერთის ფურცლებზე არგადმოტანა შეუძლებელია! გამორიცხულია შიშის, ორჭოფობის, ან ხელისუფლებისადმი რიდის გამო ყოყმანი დაიწყოს... დაგეგმილი დღის განრიგის მიხედვით, ჯგუფმა გემით მდინარე სენაზე უნდა იმოგზაუროს, და რასაკვირველია, ყველა აღტაცებით ხვდება ამ წინადადებას, მაგრამ „მარტო მე უნდა ავცდე საერთო ქარავანს. პარიზში ცხოვრობს ჩემი ერთადერთი ღვიძლი ძმა, რომელიც ოცდაათოთხმეტი წელიწადია არ მინახავს“. ლადო ცხრამეტი წლისაც არ იყო, სახლიდან რომ წავიდა. მშენებლობაზე მუშაობდა, ოჯახსაც მეტ-ნაკლებად ეხმარებოდა კიდევ... ენატრებოდა... წლებმა მაინც თავისი გაიტანეს, როდესაც ძმები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, მკითხველიც ისეთივე სუნთქვაშეკრული აღმოჩნდება ნაწერთან, როგორც იმ წუთს აკაკი ბელიაშვილი:

„კარი გაიღო და ვხედავ, ჩვენს წინ დგას ვილაც უცნობი მოხუცი კაცი, ტანზე ზოლიანი ხავერდის საშინაო ბლუზა და შარვალი აცვია. გვიცქერის, გვიცქერის და ბოლოს, ქართულად გვეკითხება:

- თქვენ, ბატონებო, მგონი, საქართველოდან უნდა იყოთ.
- დიახ, საქართველოდან, - უპასუხებს ჩემი თანამგზავრი, რადგან ხედავს, რომ მე ადგილიდან არ ვიძვრი და ძმას გაცემული შევცქერი. მე მას ველარა ვცნობ.
- თქვენ ლადო ბელიაშვილი ბრძანდებით?
- დიახ, მე გახლავართ.
- ამ კაცს ვერ იცნობთ? - ეკითხება პიპინაშვილი და ჩემზე უთითებს. ლადო მიცქერის, მაკვირდება და თავს უარის ნიშნად იქნევს.
- ვერა, ვერ ვიცანი.
- აბა, ერთი კარგად დააკვირდით, იქნება, იცნობთ, - არ ეშვება ნიკოლოზი. ძმა კვლავ მაკვირდება, მაკვირდება, თითქო რაღაც მოაგონდა, მაგრამ ისევ უარის ნიშნად იქნევს თავს და გადაჭრით ამბობს:
- ვერა, ვერა ვცნობ!
- თქვენ ძმას ვერა სცნობთ?
- ჩემს ძმას? - გაცემით აღმოხდა მას და ახლა გაოგნებულმა შემავლო თვალი.
- შენ, შენ აკაკი ხარ? გადამეხვია“.

დანარჩენს მკითხველი წაიკითხავს... ამასთან, აკაკი ბელიაშვილი საჭიროდ ჩათვლის, ის სახლიც აღწეროს, სადაც ახლა მისი უმცროსი ძმა ცხოვრობს; შენობა, რომელიც თავის დროზე ალექსანდრე დიუმას თავისი შვილისათვის აუშენებია. მართალია, მას ახლა სრულიად სხვა მეპატრონე ჰყავს, მაგრამ ამისადა მიუხედავად, „აქ მუზეუმივითაა დაცული ყველაფერი“. სხვა ოთახებიდან მწერალი მაინც იმ „უბრწყინვალეს ბიბლიოთეკას“ გამოჰყოფს, რომელიც ერთ განსაკუთრებულ დარბაზშია განთავსებული.

არქივში უამრავი ფოტოა: ოჯახში შემონახული (ახლა უკვე ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში დაცული), სწორედაც რომ უჩვეულო ფოტოები. რამდენიმე მათგანს გამოვარჩევ:

1. ლადო პარიზში ლამის „ჩასვლისთანავე“ 1922 წლის 20 სექტემბერს დედას და ძმას რომ გამოუგზავნის.

2. ფოტო მინანერი: „ეტლში“ გაბმული ლადო ასეირნებს უცნობ მამაკაცს“. ლადო ბელიაშვილი პირში პაპიროსითაა, ფეხზე ჩექმები აცვია, ორივე ხელი დაკავებული აქვს და სამუშაო ფორმაში გამონყობილი თითქოს ეტლს მიაბრუნინებს. ის უცნობი ჰალსტუხიანი, ევროპულ კოსტუმში გამონყობილი მამაკაცი ჯოხით ხელშია. იმ დღეს სახალისოდ გადაღებული ფოტო, ზოგადად, ეგებ სიმბოლურია?

აქვე აღვნიშნავდი, რომ ლადო ბელიაშვილი მშენებლობაზე მოულოდნელად, ტრაგიკულად გარდაიცვალა. პარიზში გამომავალი ჟურნალი „ჩვენი დროა“, №36 (X.1961) მკითხველებს აცნობებდა: „უცაბედი შემთხვევის გამო, პარიზში 1 აპრილს ტრალიკულად გარდაიცვალა ჩვენი პარტიის წევრი ლადო ბელიაშვილი“. და იქვე: „ლადო ბეჯითად დაენაფა სწავლა-განათლებას, მაგრამ ხელისუფლებამ აკრძალა მისთვის სახსარის გადმოგზავნა, ლადო იძულებული გახდა მძიმე შრომისთვის ხელი მოეკიდა. ისწავლა მღებრობა და მით ირჩენდა თავს“.

ბუნებრივია, ფიქრობდა ოჯახზე, სამშობლოზე, ახლობლებზე, საკუთარი სააზროვნო არეალიც გააჩნდა. ისევ იმ განცხადებიდან: „განსაკუთრებული შრომის-მოყვარე, დინჯი, წყნარი და სამეგობრო, ლადომ ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. თავისუფალ დროს ანდომებდა ლიტერატურულ მუშაობას და შესძლო კიდევ საკუთარი საშვალებით გამოეცა შრომა „ვეფხისტყაოსანზე“.

ლადო ბელიაშვილს ერთი სიუჟეტიანი ლექსი აქვს სათაურით: „მერცხლის სიკვდილი“. ეს თეთრი ლექსია; ვერ ვიტყვით, რომ საუკეთესო ნიმუში, მაგრამ თავისთავად საინტერესო, როგორც ფაქტი. მერცხალთა გუნდი ჩვეულებისამებრ ცხელი ქვეყნებისკენ გაეშურა. „ქარავანს“ ერთი მათგანი ჩამორჩა, რომელიც დაუბრუნდა ძველ საბუდარს და იქ გამოიზამთრა. ტყე ფოთლებისგან გაიძარცვა, ცივი ქარი ზუზუნებდა და თოვლს აქეთ-იქით ჰფანტავდა... დღეები უსაშველოდ გაგრძელდა, მაგრამ აი, გაზაფხულდა. მერცხლები დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს, მაგრამ აქ დარჩენილისთვის მოფრენილთაგან ყველა უცხო გამოდგა. მეორე გუნდთან ერთად დაბრუნებულებს შორის გამოეყო ერთი მათგანი და ახლა სხვენზე შემომსხდრები დიდხანს ჭიკჭიკებდნენ. „ვინ იცის რა სთქვა,/რა უამბო ახალ-მოსულმა?“ დასვამს კითხვას ლექსის პერსონაჟი.

ახლად-მოსული კვლავ გაფრინდა თავისი გზისკენ,  
ბუმბლ-აბურძენული დარჩა მარტო ჩვენი მერცხალი.  
შავათ მიუჩანს ბრწყინვალე მზე ცის დასავალზე,  
არც გაზაფხულის არ ახარებს ცის სილაჟვარდე,  
არც მწვანე მთები, მწვანე ველი და მერცხალთა გუნდი.  
კვლავ მარტო დარჩა, საცოდავი ჩიტი ეული  
და დიდხანს იჯდა შავ ფიქრებში გარინდებული...

მოულოდნელი სიუჟეტი და უჩვეულო დასასრული: კატა, რომელიც ჩიტის მდგომარეობით ისარგებლებს და ჭანგით ყელს გამოლადრავს. ლექსის პერსონაჟი ვეღარ მიუსწრებს ცოცხალს, მართალია, სხეული ჯერ კიდევ თბილი აქვს, მაგრამ მკვდარია. პერსონაჟიც მიწას მიაბარებს მის სხეულს.

ლექსი 50-იან წლებში გამოქვეყნდა ნიუ-იორკში.

ძმასთან ერთად ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრაზე წასული როგორც ვთქვი, არაერთ ადამიანს მოიხსენიებს... და ისე გაიხსენებს, როგორც საჭიროდ ჩათვლის. ეგებ, აქაც და სხვაგანაც, პოლიტიკორექტული წინადადებებიც დაწეროს, მაგრამ ისინი მკითხველის შთაბეჭდილებებს ვერ გაანელებენ.

ამერიკიდან დაბრუნებული საბჭოთა დელეგაციის ჯგუფი ისევ იმ მარშრუტით უნდა დაბრუნდეს უკან – საფრანგეთში გამოიარონ. აკაკი ბელიაშვილი ისევ შეხვდება ძმას. შეხვდება ამჯერად უკანასკნელად, მაგრამ ეს არცერთმა არ იცის. აკაკი ამუნათებს მას, დაბრუნდეს სამშობლოში, როდემდე უნდა გაატაროს ცხოვრება უცხოეთში და თანაც მარტომ, შეეხუმრება კიდევ, იქ „დაგაცოლმვილებთო“ და ყველაზე მიმზიდველ წინადადებას ეტყვის: „ჩვენი სიცოცხლის ეს დარჩენილი წლები ერთად გავატაროთ. რას იტყვი“?



ძნელად მოისმენს ლადო თქმულს, და მასთან ერთად მკითხველიც. მალულად ცრემლსაც მოიწმენდს, მაგრამ არ გაამჟღავნებს. მერე, როცა უკვე თვითმფრინავისკენ მიმავალი აკაკი უკან მოიხედავს, დაინახავს, ლადო „ცოტა მოშორებით გასულა. დამინახა, ადგილი გადმოინაცვლა. ორთავენი ხელს ვუქნევთ ერთმანეთს. ვინ იცის, კიდევ ვნახავთ თუ არა ერთიმეორეს. აქედან ვერ ვხედავ, მაგრამ მგონია, რომ მას ახლა თავისუფლად ჩამოდის ცრემლები, მაგრამ არც კი ცდილობს, მოიწმინდოს“.

და კიდევ ერთი ფოტო; ეს ჯერ კიდევ 1957 წელს გადაღებული. აკაკი ბელიაშვილი თავის სამუშაო მაგიდასთან ზის; მოხერხებულად. ორივე ხელით ჩანახატებიანი (და ალბათ, წარწერებიანი) ფურცელი უკავია. მაგიდაზე მარცხენა მხარეს ტელეფონი დგას, წინ წიგნების თაროა; კედელზე სურათი ჰკიდია, მაგრამ ამ ფოტოზე არ „იკითხება“. თავად მწერალი სათვალევით დაკვირვებით ჩაჰყურებს ფურცელს და ახლა ძნელი გასარკვევია – რა აწერია სახეზე: დისტანცირება, ირონია თუ კიდევ ერთხელ ყურადღებით დახედვის სურვილი.

ამერიკაში...

და რაკილა აკაკი ბელიაშვილსა და მის არქივზე ვსაუბრობთ, ერთი პოეტის და მისი შემოქმედების არსენება შეუძლებელია. გიორგი გამყრელიძე ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი გახლდათ. მისი ლიტერატურული არეალი საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია: თარგმანები ამერიკული და ფრანგული პოეზიიდან, გერმანული მწერლობის ნიმუშები. უპირველესი მაინც საკუთარი, ორიგინალური ლექსების თხზვაა.

**1920 წელს საქართველოში** გამოიცა მისი ლექსების წიგნი **„შემოდგომის ჭიანჭურები“**, **1922 წელს – „დალურსმული ხელები“**; ამ წიგნს ყდაზე აწერია: „გრიგოლ ზოდელი“. ამ ფსევდონიმით იბეჭდებოდა ქართველ სიმბოლისტთა ჟურნალში „მეოცნებე ნიამორები“ და იმჟამად გამოცემული კრებულიც ფსევდონიმით გამოაქვეყნა

**1932 წელს პარიზში** ქართულ ენაზე გამოდის ასევე, პოეტური კრებული **„ლურჯი მონოკლი“**. **1960 წელს** უკვე არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოში, არამედ სხვა კონტინენტზე, **სანტიაგო დე ჩილეში „გვიანი რთველი“**, ხოლო **1963 წელს ვაშინგტონში** ქართულ ენაზე გამოიცა წიგნი, სათაურით: **„ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“**, სადაც ორიგინალურ ლექსებთან ერთად, არაერთი გამოჩენილი პოეტის (ედგარ ალან პო, ჯოსეფ კილმერი, ლუის უნტერმაიერი, რობერტ ფროსტი, კარლ სანდბერგი, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, შარლ ბოდლერი, ჰუგო ფონ შოფმანსტალი, რაინერ მარია რილკე, ჰაინრიხ ჰაინე, იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ფრიდრიხ შილერი...) ლექსების თარგმანი დაბეჭდა.

გიორგი გამყრელიძემ საქართველო მეოცე საუკუნის 20-იან წლებში დატოვა. ჯერ ცხოვრობდა ევროპაში, ხოლო 40-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე (1972) დაბრუნდა ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში. 1975 წელს გარდაიცვალა ქალაქ მიუნხენში.

**„ჩემი ბავშვობის მეგობარი და ამჟამად ჩემი ცოლის ძმა“**, – დააკონკრეტებს ამ მოგონებებში აკაკი ბელიაშვილი და მოსასმენად განაწყობს მკითხველს. ვაშინგტონ-

ში, სასტუმროში დაბრუნებულები, მაგიდას მისხდომოდნენ, როცა გიდმა მათ „ამერიქან ექსპრესის“ თანამშრომელი წარუდგინა, აღმოჩნდა, რომ ის რეჟისორ გიორგი ჯაბადარის ვაჟი იყო. ქართულმა წარმომავლობამ რასაკვირველია, საუბარი სხვა მიმართულებით გაშალა. ვაშინგტონში მცხოვრები ქართველების ჩამოთვლა-დასახელების დროს სხვებთან ერთად, მან პოეტი გიორგი გამყრელიძეც დაასახელა.

მოგვიანებით, ბელიაშვილი საუბარს დეტალურად აღიდგენს: როგორ აიღებს ტელეფონის ყურმილს და ღამის 10 საათზე დაურეკავს; დაურეკავს და ქართულად იკითხავს:

„– ალლო, გრიგოლი ხარ?

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – მესმის ქართულის გაგონებით გაოცებული ხმა გრიგოლისა.

– მე ვარ აკაკი ბელიაშვილი, შენი სიძე“.

გახარებულმა გიორგიმ სასწრაფოდ დაპატიჟა ჩამოსული, რომელმაც „რეალობაში დააბრუნა“ გაამერიკელებული მეგობარი და სიცილით უპასუხა:

„– მოდი, ისე მეუბნები, თითქო შენ ზოდში იყო და მე დარკვეთში. მე როგორ მოგაგნებ. შენ თვითონ მოდი, სასტუმროში ვარ“. მისამართს ეტყვის და ლოდინის დროს მასზე ფიქრით და მკითხველთან მის ოჯახზე საუბრით გაიყვანს.

„თითქო ზოდში იყო“, – ეს ბავშვობის აღდგენა... ყმანვილობის გახსენება. სოფელი ზოდი – გიორგი გამყრელიძის დაბადების ადგილი (1903); ადგილი, საიდანაც მისი პოეტური ფსევდონიმი იღებს სათავეს – „ზოდელი“. ადგილი, რომელიც მთელი დანარჩენი, გავლილი ცხოვრების განმავლობაში სანატრელი გაუხდება. ძლიერი ოჯახი: მამა – შავი ქვის მრეწველი, რომელსაც საკუთარი მალაროები ჰქონდა და შავი ქვის სარეცხი ქარხანა. ხელგაშლილი მასპინძლის ოჯახში ბევრს უყვარდა სტუმრობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. **არაერთი იმათთაგანის სწავლა დაუფინანსებია მიხეილ გამყრელიძეს...** ხმაურიან, ხალისიან დღეებს დასასრული თითქოს არ უჩანდა... ახლა, სანამ სასტუმროს ფოიეში ელოდება აკაკი ბელიაშვილი ცოლის ძმას, პარალელურად, იმ რეალურ ანწყოს იხსენებს, რომელიც საქართველოში დატოვა და დაწერს კიდეც:

„ამჟამად ოთხმოცდამეორე წელში გადამდგარი მოხუცი კვლავ ელოდება შვილის დაბრუნებას. იგი მარტოდმარტო ზის თავის ძველებურ მამაპაპისეულ სახლში სოფელ ზოდში, შეჰყურებს დროუამისაგან ჩამოქექილ კედლებს, მოღრეცილ კარ-ფანჯრებს და იგონებს იმ ბედნიერ დღეებს, როდესაც ამ სახლში სიცოცხლე სდულდა და გადმოდულდა, როდესაც ისმოდა მხიარული სიცილ-ტყრციალი მამათა და დედათა, ძმათა და დათა, შვილთა შვილიშვილთა.

წავიდენ წლები. წავიდ-წამოვიდნენ ყველანი. ზოგმა საუკუნოდ განუსვენა წიაღსა შინა, ზოგი ცოცხალია, მაგრამ განშორდა ამ სახლსა და ამ ოჯახს, ხოლო ერთადერთი ვაჟი კი გადაკარგულა შორს, სადღაც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით...

და ზის ახლა მოხუცი მიხაკო სოფელ ზოდში. ახლა იქდღეა, შუადღე, აქ კი შუალამე“.

ოცდათვრამეტი წლის წინანდელ ამბავს გაიხსენებს: ქალაქ თბილისში, ძნელადის ქუჩაზე (დააკონკრეტებს), ოპერის თეატრის უკან შეხვედრია თავის მეგობარს, რომელსაც უთქვამს:

„– მშვიდობით, აკაკი... ხვალ მივემგზავრები გერმანიაში“.

ცნობილია, გიორგი გამყრელიძე 1923 წელს სასწავლებლად წავიდა გერმანიაში. როგორც ვთქვი, ოჯახს ჰქონდა ამის შესაძლებლობა.

„მას შემდეგ იგი აღარ მინახავს“, – წლების შემდეგ, ახლა-ლა დააზუსტებს. დიდი დრო გასულა. მაშინ მხოლოდ ოცი წლის ყმაწვილები იყვნენ, „მეოცნებენი და პოეტურად უსაქმურნი“. წესიერი მწერალია აკაკი ბელიაშვილი, იცის, 60-იან წლებში ეგებ, აღარც ხსომებოდა მკითხველს 20-იან წლებში საქართველოში გამოცემული კრებულები, აღარც მისი ავტორი; არც ასე იოლი იქნებოდა ემიგრანტი პოეტის ხსენება და მისი გვარის სააზროვნო სივრცეში ისევ ჩართვა. ამიტომაც დაასახელა მის მიერ გამოცემული პოეტური კრებული, და ისიც თქვა, რომ „ამ პატარა წიგნაკმა მაშინდელი ლიტერატურული წრეების ყურადღებაც მიიპყრო“. მერე „წავიდა ეს ბიჭი უცხოეთში და ჩარჩა იქ. კარგა ხანს გერმანიაში ცხოვრობდა, შემდეგ პრალაში, პარიზში და ბოლოს, ამერიკაში ამოჰყო თავი“. როგორც ირკვევა, ხანდახან წერილების გაგზავნა და პასუხების მიღებაც ხერხდებოდა, რამდენადაც ამის შესაძლებლობას რეალობა იძლეოდა. ასე რომ, ერთმანეთის შესახებ არსებითი მანც იცოდნენ.

ამდენი ხნის უნახავებმა სასტუმროს ვესტიბულში იცნეს ერთმანეთი – უცნაურად კი იცნეს:

„გუმანით მივხვდი, შენ უნდა ყოფილიყავ“, – ეს გამყრელიძის ვარაუდია;

„ვუცქერი და ვხედავ, თითქო ჩემი სიდედრი გაცოცხლებულიყოს, ისე საოცრად ჰგავს სახით დედამისს“, – ეს აკაკი ბელიაშვილის.

გადაეხვივნენ, დასხდნენ. ოჯახის წევრებისა და ნაცნობების მოკითხვით გააგრძელეს... რას წარმოიდგენდნენ, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ვაშინგტონში რომ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. გიორგი ახალი ნაავადმყოფარი იყო, ურთულესი ოპერაცია ჰქონდა გადატანილი და ისე ველარ იყო – ვერც ჯანმრთელობით და ველარც მატერიალურად:

„ურთულესი ოპერაცია გამოიკეთეს და მთელი ჩემი ქონება, რაც კი გამაჩნდა: სახლი, კარი (დალასში ვცხოვრობდი, იქ საკუთარი პატარა სახლი მქონდა) ყველაფერი ექიმებმა შეინირეს“...

რასაკვირველია, სიტყვა პოეზიაზეც ჩამოვარდა. ბელიაშვილმა ბევრი რამ არ იცოდა, ვერც ეცოდინებოდა.

„– ლექსებს აღარ სწერ?“

აღმოჩნდა, რომ სანტიაგოში მცხოვრებ ვიკტორ ნოზაძეს დაუკითხავად გამოუცია მისი ლექსების კრებული. გიორგი რასაკვირველია, ნასიამოვნები იყო მომხდარი ფაქტით, მაგრამ შენიშვნაც ჰქონდა: „ბევრი სუსტი ლექსი შეუტანია“. ახლა გივი კობახიძის მეშვეობით აპირებდა ახალი წიგნის გამოცემას. იმ კრებულს „გვიანი რთველი“ ერქვა და გამოიცა 1960 წელს. ეს ახალი წიგნი სამი წლის შემდეგ დაბეჭდა (1963) ვაშინგტონში, სათაურით: „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“. ამ წიგნში ორიგინალურ, საკუთარ ლექსებთან ერთად შევიდა მისი ამერიკული, ფრანგული და გერმანული პოეზიის თარგმანებიც; მოთხრობების შემდეგ ასეთი

რუბრიკაა: „ნარკვევები ფრინველებზე“. აქ საინტერესო არა მხოლოდ ისაა, როგორ ახასიათებს ამ ფრთოსნებს ავტორი, არამედ ის შეფასებებიც, ამა თუ იმ ავტორის ტექსტში რამდენად გამართლებულია მათი დასახელება. აქ მხოლოდ ერთ ფრაგმენტს გამოვყოფ: აკაკი ბელიაშვილი უკვე გარდაცვლილია, ეს უკვე იცის მანაც, მაგრამ ამ კონტექსტში მისი ხსენება მაინც უნდა: „კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ან განსვენებულ აკაკი ბელიაშვილის ერთმა მოთხრობამ წიგნიდან „სიყვარულის ძალა“. გიორგი გამყრელიძე ხაზს უსვამს, თუ რა კარგად იცოდა ბელიაშვილმა ის, რაზედაც წერდა. ლაპარაკია არჩვის ნუკრზე და მის გამორჩეულ თვისებაზე;

„ცხოველების დიდი უმეტესობა მეტად უსუსური იბადებიან. ზოგიერთ მათგანს გაქცევა კი არა და ფეხზე დგომაც კი არ შეუძლიათ ან იბადებიან ბრმები და ასე შემდეგ... მაგრამ არჩვებსა და ანტილოპების ჯიშის ნუკრებს, მათი არსებობის პირველ წუთსავე ეს უნარიანობა შესწევთ. და სწორედ ეს მართლაც საოცარი მოვლენა, დამძაბავი სილამაზით დაგვიხატა მისმა ავტორმა“, – დაწერს გიორგი გამყრელიძე. ამ სიტყვებს სამწუხაროდ, მისი დის მეუღლე (სიძე) ველარ წაიკითხავს, მაგრამ წაიკითხავენ ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები...

შეხვედრისას კიდევ ორი შეკითხვა დაისვა, უცნაური; უცნაური შორიდან, თორემ იქ, ძალიან ბუნებრივ კონტექსტში გაჩენილი; ისეთი, ერთმანეთს რომ ავსებენ როგორც ტკივილით, ასევე, ღიმილითაც:

პირველი: „სამშობლო არ გენატრება?“

მეორე: „არ გენატრება ჩვენებური ციციქა?“

ორი ქართველი მეგობარი, თმაშევერცხილები... პასუხი თითქოს ერთ კითხვას – საქართველოში ჩამოსვლას გაეცემა, მაგრამ „მეორისთვისაც“ იგულისხმება: „ნულარ იტყვი“. თუმცა იქვე სამომავლო სურვილი და შიშაც გულწრფელად გამოჟღავნდება:

„თუ ოდნავ დავდექი ფეხზე, უნდა დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში. ხელცარიელს მიჭირს დაბრუნება. მეშინია, ვაითუ, ვერ შევეგუო ამ სიბერის დროს თქვენი ყოფაცხოვრების თავისებურებას და გამიჭირდეს“.

**და მაინც: „ნულარ იტყვი“. როგორ გავიგოთ – ნულარ გაიმეორებ, თუ სიტყვები არ გეყოფა იმის გამოსახატავად, როგორ?..** მართალია, ბევრად ადრე, კერძოდ, 1930 წელს დაინერა გიორგი გამყრელიძის ეს ლექსი („მოგ ზაურობა ბნელი ღამით“), მაგრამ ამ კონტექსტში მაინც მინდა გავიხსენო:

ღამეა ბნელი  
და ნორდოსტის მძაფრი სუსხია,  
ლეგა ღრუბლები  
ბნელი ფრთებით სადღაც მიდიან...  
ცას სამკაული  
მშვენიერი ჩამოუხსნია  
და ლეგენდარულ  
გველეშაპზე გაუყიდა.

ულში სივრცეა  
სარკოფაგის, სული სველია.  
ფიქრებს უცნაურს,  
უკან მისდევ, როგორც მარხილი.  
ჰო, რა სიჩუმე, სიმარტოვე,  
რა სიბნელეა!  
მე მივალ ჩუმად...  
მონყენილი... და თავდახრილი.

სარკოფაგის ბნელი სიჩუმე არაერთხელ ჩამომდგარა ქართველი ემიგრანტების სულში.

**აკაკი ბელიაშვილის მოგონებების ამ ფრაგმენტის კიდევ ერთი მთავარი პერსონაჟი;** მაგრამ მანამდე ერთი პოეტური ტექსტის თაობაზე. ახლა ძნელია თქმა, რამდენად იცოდა ეს რეალობა გიორგი გამყრელიძემ, როცა მწერლური გუმანით ეს მდგომარეობა საოცარი სიზუსტით დახატა. კრებულში „გვიანი რთველი“ (სანტი-აგო დე ჩილე, 1960) მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია დაბეჭდილი სათაურით „ძველი ბარათი ანუ დედის წერილი“.

ძვირფასო შვილო!  
ცხარე ცრემლი მინამავს სახეს  
ამ წერილს რომ გწერ,  
და დამწვარი ჩემი გულია,  
ჩემი სურვილი:  
შენ რომ ერთხელ კიდევ მენახე –  
გულის კუნჭულში  
სამუდამოდ შენახულია.

ყოველი დედა უმალ თვითონ აიღებს საკუთარ თავზე სიმძიმეს, ვიდრე შვილის მომავალს რაიმე უსიამოვნებისთვის სასწორზე შეაგდებს. დიდი მონატრება, მშობელს რომ გააჩნია, ითრგუნება უფრო დიდი შიშითა და სათხოვარით: „ჩემო ბიჭო, ნუ დაბრუნდები!“ რადგანაც მათკენ მიმავალი გზა ან უკვე ბოროტია და ავი. 70 წლის კაემნით გულგამოხრული მამა ყავარჯნით დადის; დადის კვნესითა და ოხვრით. ვენახს ეკალი მოსდებია, სამრეკლოს ყვავთა გუნდი დასჩხავის; დაბრუნებულს მეგობრები ვედარც მხიარული ნადიმით დახვდებიან, ვერც ქვევრებს მოხდიან და საღვთისმშობელოდ ვერც ბატკნებს შეწვავენ თონეში. აქ კი ძველი, მისეული, დატოვებული ნივთები უნებურად მის მაგივრობას გასწევენ.

ხშირად ამიშლის  
მოგონებებს ტკბილი სიამით  
შენი წინდები და  
მესტები სკივრში ნალაგი.



ნუ მოხვალ, შვილო!  
გითვლი დედა მე მარიამი;  
საქართველოში –  
აღარ არის ჩვენთვის ალაგი.

ამ უკანასკნელ სტრიქონთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარე – „საქართველოში აღარ არის ჩვენთვის ალაგი“, მინდა გავიხსენო და პარალელი გავავლო გაზეთში „საქართველო“ (16.VIII.1942 – 12.III.1945 ბერლინი) ლეგიონერ ამურის მიერ გამოქვეყნებული ლექსის – „მრავალჟამიერ“ სტრიქონებთან. აქაც ემოცია ისევე, როგორც ფსიქოლოგიაშია ასეთ სიტუაციაში მიჩნეული, „სუბიექტური მდგომარეობის განცდაა, რომელიც ამავე დროს ობიექტური ვითარების, როგორც თავისი მიზეზის ან საგნის განცდასაც გულისხმობს“ (დ. უზნაძე).

მე მესიზმრება ძმა და მოკეთე, –  
მიწა მზის ფერით განაფერია...  
ეს, მეგობარო, არაფერია  
ქართლის კარები რომ გამოკეტეს.

სამშობლო სხვა ნაპირთან დარჩა. კარიც მიიხურა! **ეს ისე თქვა: „არაფერია“.** არა, ჯერ რწმენა არ დაუკარგავს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. კონკრეტული ადამიანი კონკრეტულ დროში ცხოვრობს. იმ ანმყოში, რომელიც შინაგანად წარსულსაც მოიცავს და მომავალსაც გულისხმობს:

ვერ ნაშლის ციდან ღრუბლის ტბორები  
ამ ვარსკვლავების ციმციმს და რიალს.  
გავივლით ისევ ვინრო დარიალს  
და თბილისს ისევ ვეამბორებით.

მშობლიურ ფესვს ჩაჭიდებული ველარ გრძნობს, რომ „იმათ“ სივრცეშიც დასცილდა და გამეხებულს „მრავალჟამიერი“ მოსვენებას უკარგავს:

მამადავითზე ყანნებს ავიტანთ  
და წმინდანების სალოცავიდან  
ახალ სიმღერებს ვიტყვით ამიერ...  
და ცეცხლიანი ეს საუკუნე  
დადგება ჩვენთან, დაიგუგუნებს:  
„მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ“.

ისევ გიორგი გამყრელიძის „...დედის წერილს“ დავუბრუნდეთ. დედა ხომ ყოველთვის პოულობს გამოსავალს. დედისთვის შეუძლებელი არაფერია. სიზმარი – ის მონესრიგებული გარემოა, როცა დრო და სივრცე იკარგება, სინამდვილე შორსაა. გაჩერდა დრო და არ არსებობს მანძილი. **სიზმარში ყოველგვარი დაბრკოლება მოხსნილია და დედაც სიზმრებში ისრულებს სანადელს:**

ხშირად ვნახულობ  
ღამეებში სიზმარს საამოს:  
თითქოს დაბრუნდი,  
შემოაღე ჭიშკრის კარები,  
ჩამავალი მზე  
ტანზე იცვამს შვინდისფერ სამოსს  
და საჯვარედან  
კვლავ რეკავენ მწუხრის ზარები.  
მე ვეგებები  
მოკრძალებით ჩემ უცნობ შენ ცოლს  
და სიხარულით  
გადავკოცნე შვილიშვილები.  
ეზოში კრუხი,  
ვარიები და წინილები,  
მეწველი ძროხა  
ხბოს შეზმუის, ფერდელა, მუქი  
და ჩემ მკვდარ გულში  
კვლავ ინთება იმედის შუქი.

კადრებივით ენაცვლება წარმოდგენები და სურვილები ერთმანეთს. აღქმა საგანგებოდ შენელებულია. ეს ის სასურველი პერსპექტივაა, რომელსაც დედა (თუ ავტორი) თავის შვილს (თუ გმირს) უმზადებს: ანუ დაბრუნდება სამშობლოში, ახლა უკვე შექმნილ ოჯახთან ერთად, ჰყავს მემკვიდრეებიც; ის შთამომავლობა, რომელიც ჩვეულ გარემოში ბუნებრივ იერს ინარჩუნებს (ძროხა, წინილები...) თუმცა მუქი დეტალები ფარულად მაინც ამძიმებს სიზმარს; „ჩამავალი მზე“, „მწუხრის ზარები“, ანუ ფონი საკმაოდ მძიმეა, მაგრამ ის მაინც რეალური განწყობის ანარეკლია, რომელიც არც სიზმარში წაიშალა. პოეტი ხომ ცხადში წერს ამას.

დაფიქრებული აკაკი ბელიაშვილი მკითხველს გიორგის დედაზე უამბობს; ესეც იქ მოხდება, ამერიკაში, სასტუმროს ვესტიბულში, მათ შეხვედრამდე მოხდება. ამ ოჯახის წევრია თავადაც და ძალიან ბევრი რამ იცის:

„დიდხანს ელოდა დედამისი, მარიამი შვილის დაბრუნებას. არ ეღირსა მისი ნახვა. 1945 წლის თებერვალში გარდაიცვალა და ვაჟიშვილის ნაცვლად იგი ორმა სიძემ დაიტირა (მესამე სიძე ფრონტზე იყო). იტყოდა ხოლმე მოხუცი ქალი, მე ვატყობ, შვილის დაბრუნებას ველარ მოვესწრები, ხოლო როდესაც ჩემი სიკვდილის შემდეგ დაბრუნდეს, მოიყვანეთ ჩემს საფლავზე და უთხარით, ფეხით მაგრათ მოსრისოს მიწა, რომ ჩემმა ძვლებმა მაინც იგრძნონ შვილის დაბრუნებაო“.

კიდევ ერთი ლიტერატურული პარალელი: გიორგი გამყრელიძის ერთი ლექსი მის ორ კრებულში შევიდა; ოღონდ სხვადასხვა სათაურით. ადრინდელ კრებულში „ლურჯი მონოკლი“ (პარიზი, 1932) – „დედას“, ხოლო წიგნში „გვიანი რთველი“ (სანტიაგო დე ჩილე, 1960) დასათაურებულია: „როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები“.

როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები გაეკვრება მიწას და შებინდდება, სხვა მონატრება დაეუფლება სულს. ქვეყანაზე უკეთილშობილესი ქალის, რომელსაც ალბათ, ყველაზე მეტად უყვარხარ – დედის მოფერება და მის კალთაზე ძილი მოგინდება. პოეტი პერსონაჟისთვის იდილიურ სამყაროს ქმნის:

ის შენ გაიმბობს მშვენიერ ზღაპრებს,  
დაგაწყობს თმებზე ფიქალის ხელებს  
და შეგაყვარებს ნარსულს, წინაპრებს  
ამ მთებს, ამ ჭალებს, გარემოს, ველებს.

ამ ლექსმა გარკვეული შიდა ცვლილებები განიცადა: ვგულისხმობ ცალკეულ ფრაზებს, მხატვრულ ლექსიკონს... წიგნში „გვიანი რთველი“ უკეთესი ვარიანტია დაბეჭდილი. გარდა სათაურისა, სხვა უმნიშვნელო ცვლილებებიცაა, რომლებსაც მაინც აღვნიშნავ: „მოყვითლო ხელებს“ ნაცვლად წერია: „ფიქალის ხელებს“, რომელიც მხატვრულად უმჯობესია. ასევე, შეცვლილია საჩვენებელი მიმართულებაც: „ამ მთებს“, ადრინდელ ვერსიაშია: „იმ მთებს“. დედის გარეგნობის ასანერადაც ავტორს სხვადასხვა სიტყვა უძებნია:

სახე სპეტაკი, მზერა ნათელი.  
მუნჯი ლოდინი: სურვილით მთვრალი,  
ოთახში ჩუმად იწვის სანთელი,  
სთვლემავს ლოდინით დაღლილი ქალი.

**„დედას“**

იგივე სტროფი:

შუბლს ნაოჭები... მზერა ნათელი...  
გლოვა და სევდა დაგეცა ბედათ;  
ოთახში ჩუმად იწვის სანთელი;  
სთვლემავ, ლოდინით დაღლილო დედავ!

**„როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები“**

თვალშისაცემია არა მხოლოდ აღწერითი დეტალები, არამედ მიმართვის ფორმაც. ადრინდელ ვარიანტში – ზოგადია: „ის შენ გელის;“ ეს ფორმა ყველა ემიგრანტზე შეიძლება, გავრცელდეს:

და როცა ისმის ფეხის ხმა ნელი  
მგზავრის გვიანის სოფლის შარაში,  
ის იმზირება სველ ფანჯარაში  
და შენ ამაოდ, ამაოდ გელის.

**„დედას“**

იგივე სტროფი, რომელიც მოგვიანებით გამოცემულ წიგნში მექანიკურად არ განმეორებულა. ავტორმა მას გარკვეული, ვიტყვოდი, რედაქტირება გაუკეთა.

მეორე ტექსტში უფრო კონკრეტულია მოლოდინი: „შენ მე მელი;“ „მე“ – ძალიან პერსონალურია; ფანჯარასთან მდგარ დედას შეგვიანებული მგზავრის ფეხის ხმა აერევა. სავალალოა ეს შეცდომა. გამვლელი ის არაა, ვისაც ელოდა.

და თუ გაისმა ფეხის ხმა ნელი  
მგზავრის გვიანის სოფლის შარაში,  
შენ იმზირები სველ ფანჯარაში  
და მე ამაოდ, ამაოდ მელი.

### **„როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები“**

რითია ფანჯარა სველი – ცრემლით თუ წვიმით?! ეს მკითხველმა გადანწყვიტოს. რატომ დააკონკრეტა წლების შემდეგ? ეგებ, სწორედ წლების შემდეგ აღიარა რეალობა, ჩათვალა, ეს უფრო „მართალი სტრიქონები“ იქნებოდა. ეს რასაკვირველია, რიტორიკული კითხვებია.

ქართულ პოეზიაში დედის თემასთან დამოკიდებულება შთამბეჭდავია, ემიგრანტულ ლიტერატურაში კიდევ უფრო მრავალფეროვანი: დედასამშობლო, ადგილის დედა, მომლოდინე დედა (ზოგადი სახე) და მშობელი (კონკრეტული) დედა... განსხვავებული რაკურსით გააზრებული... ამჯერად, რაკილა სხვადასხვა პოეტურ კრებულზე და რეალურ მშობლებზე ვსაუბრობთ, მინდა მოვიტანო გიორგი წერეთლის სიტყვები, რომელიც მისი ლექსების კრებულს (გიორგი პერევისელი „სიყვარულის თაიგული“ პოეზია, პარიზი, 1983) უძღვის:

„ამ ერთი ციცქნა „სიყვარულის თაიგულს“ მონივნით ვუძღვნი დედაჩემის, ლუბა გიორგი აბაშიძის ასულის ნეტარ ხსოვნას, რომელმაც ორჯერ ნაღდად გამოსტაცა ჩემი თავი სიკვდილს; მე კი, ღრმად მოხუცებულს, უკანასკნელი ვედრება: – ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, რომ ჩემი ვაჟი არ მანახოო, – ვერ შევესრულე, და ამის მოგონებით ჩემი გული მუდამ მწარედ კვნესის“.

ემოციური მუხტი ხშირ შემთხვევაში იმდენად ერთნაირია და იდენტური, რომ ხანდახან შეიძლება, ერთი კაცის დაწერილიც გეგონოს. ყოველ მსგავს განცდაში ჭარბადაა მოლოდინი; მოლოდინი, რომელიც ვიდრე ცოცხალი ხარ იმედისა არ იყოს, არ კვდება. მით უფრო დედა-შვილური მოლოდინი ხომ დაუსრულებელის კატეგორიიდანაა. დედის ცრემლგამშრალ თვალს შვილის სიტყვაშეყინული ტკივილი ხვდება. ყველა ურთიერთობას შეიძლება დაეტყოს თქმული: „თვალი თვალს რომ მოსცილდება“... ოღონდ არა მშობლიურს, აქ, რასაკვირველია, ორივეს ვგულისხმობ: დედ-მამას.

აკაკი ბელიაშვილს გიორგისთან შეხვედრამდე აკი ჯერ დედამისი გაახსენდა, გამომშვიდობებისასაც მშობელმა უნდა დააკავშიროს; თვითონ ხომ დედასამშობლოში ბრუნდება. შეუძლებელია, მშვიდად წაიკითხო ის, რაც გიორგი გამყრელიძესთან დამშვიდობებისას მოხდება; ეს არაა პათეტიკა, ეს რეალობაა – მკაცრი და ტკივილიანი რეალობა. შეუძლებელია, ერთმნიშვნელოვნად მშვიდად წაიკითხო ის, რაც სასტუმროს წინ მოხდება. ეპიზოდი კი ასე დასრულდა: დელეგაციის წევრები ვაშინგტონიდან ლოს-ანჯელესში გასაფრენად ემზადებოდნენ. გასაცილებლად

გიორგი გამყრელიძე მეუღლესთან ერთად მივიდა, თან ახლდა ქართულ ემიგრაციაში ასევე, ძალიან ცნობილი პიროვნება გივი კობახიძე. ეს უკანასკნელი ვაშინგტონის ბიბლიოთეკაში მუშაობდა და ქართველ მწერალს ქართული წიგნების შესახებ სწორედ მან უამბო. ვესტიბულში ბარგი ჩამოიტანეს და ავტობუსიც ჩამოდგა. აკაკი ბელიაშვილი გამოეშვიდობება ცოლის ძმას და გივი კობახიძესაც;

„– მშვიდობით, ჩემო გიორგი და თქვენც პატივცემულო გივი, – ვუთხარი მე მათ. ვაშინგტონი არც ქუთაისია და არც ჭიათურა, რომ ხშირი ჩამოსვლა შემეძლოს და მეღირსება თუ არა კიდევ თქვენთან შეხვედრა, არ ვიცი, მაგრამ ახლა ჯერი თქვენზეა, თუ არ დაკარგავთ სამშობლოს“.

ცოტა გრძელი მონოლოგი კი გამოუვა იმით დასარწმუნებლად, როგორი აუცილებელია სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ამაზე მეტად კარგა ხნის უნახავი დის მეუღლისა და იმავდროულად, მისი მეგობრის – აკაკი ბელიაშვილის მიცემული სიტყვა, თუ შეპირება შეაცბუნებს მკითხველს:

„ჩემო გიორგი... აი, ახლა გიცქერი და ჩემს თვალწინ გაცოცხლდა და მიღიმის დედაშენი. მან შენს მოლოდინში დახუჭა თვალები. იგი ჩემი საკუთარი ხელით ჩავასვენე კუბოში, მის ნაცვლად მე მეღირსა შენი ნახვა და როდესაც დაგბრუნდები საქართველოში, ავალ მის საფლავზე და ჩავძახებ, აი, დედა, ვინახულე შენი შვილი, ასე რომ ნატრობდი მის დაბრუნებას და ვერ ეღირსე-მეთქი“...

არაერთი მოგონება შეიძლება წაიკითხო, რომელმაც დატოვოს სევდა, სიცარიელეც... მკითხველში განსხვავებული ემოცია გააჩინოს, არცთუ იშვიათად, ბანალური სენტიმენტალობის განცდაც, მაგრამ აკაკი ბელიაშვილის ტექსტი ერთ-ერთი გამონაკლისია, ისეთი შთამბეჭდავია და მძაფრი;

„გიორგის პატარა ბავშვივით აუტყდა ქვითინი და გარეთ გავარდა. მე გავეყვი და დამშვიდება დავუნყე. ის კი გულამომჯდარი ზღუქუნებდა და იმეორებდა:

– დედა... ჩემო დედა...“

სამოცი წლის, ხანშიშესული მამაკაცი მიყრდნობოდა ვაშინგტონის მთავარ ქუჩაზე ცაცხვს და მდულარე ცრემლებს აფრქვევდა“.

აკაკი ბელიაშვილის არქივში გიორგი გამყრელიძის ერთი ახალგაზრდობის-დროინდელი ფოტოა, რომელზეც წლების წინ, გამოგზავნამდე რალაც საბედისწეროდ წაუნერია: „ძვირფას დედიკოს თავისი დაკარგული შვილი გუგულისაგან“.  
(*გუგულის შინაურობაში ეძახდნენ*).

„უცნობი ფრაგმენტები“ – ასე დავიწყე; ესეც რეალობაა, უცნობია და არსად დაბეჭდილა, მაგრამ რეალობაა ისიც, რომ ეს ამბავი, აქამდე ვერ დაიბეჭდებოდა. ძნელი მისახვედრი არაა, რომ არაერთი მკითხველი ემოციურად ემიგრანტის მხარეზე აღმორჩნდებოდა; აი, სწორედ ამას არ დაუშვებდა ხელისუფლება. არც დაუშვა! ქართველი მწერლის ხელნაწერმა კი შემოინახა ამბავი. აკაკი ბელიაშვილის მოგონებები არაერთ უცნობ ბიოგრაფიულ ფაქტს აზუსტებს და საინტერესო შტრიხებით ავსებს დოკუმენტურ პროზაში დახატული არაერთი პერსონაჟის სახეს.

ამერიკაში მყოფი აკაკი ბელიაშვილი და მისი ახლობელი, ნიუ-იორკში სანახაობით დაღლილები, ქუჩაში ხეტიალზეც უარს იტყვიან და სასტუმროს ნომერში



დაბრუნდებიან. „ახლობელი“ – ცნობილი ქართველი რეჟისორი ნიკოლოზ პიპინაშვილია. სასტუმროში დაბრუნდნენ... ტელევიზორის წინ წამოწვენ და „ამერიკული ჭიდაობის“ ყურებას შეუდგნენ.

„– ვისაც ეს ჭიდაობა არ უნახავს, იმას ამერიკა არ უნახავს“, – გადაუნურავს წყალს აკაკი ბელიაშვილი რომელიმე ტურისტს და თავად შეეცდება მკითხველს თავისი ნაამბობით, ამერიკა „ანახოს“. მით უფრო, რომ დარწმუნებულია, „ამ ჭიდაობაშია მთელი სისავსით აღბეჭდილი ამერიკის წამდვილი სახე“.

– რას წარმოადგენს ეს ჭიდაობა? – დასვამს კითხვას და დეტალურ აღწერასაც შეუდგება. ემოცია სხვადასხვა მოგონებას ამოატივტივებს; არადა, მეხსიერება ბევრ ამბავს იტევს, ადამიანებსაც... **უცნაურია, მაგრამ იქ, ამერიკაში, სატელევიზიო გადაცემა ორივე ქართველს ერთსა და იმავე ადამიანს გაახსენებს. თითქმის მათსავე თანატოლს, ქუთაისელ მეზობელს, საქართველოში თავის დროზე სახელმძღვანელო და ამერიკაშიც საკმაოდ ცნობილ ფალავანს – ნიკოლოზ ქვარიანს.**

„– მოდი, დაფურეკოთ“, – მოცდა აღარ უნდა პიპინაშვილს და იდეაც გაუჩნდება: „დაფურეკოთ, გაეხარდება საქართველოდან ჩამოსული ადამიანის ნახვა. იგი ჩვენი მეზობელი იყო ქუთაისში და ჩვენს ოჯახში ხშირად ყოფილა“.

ნიუ-იორკის სატელეფონო წიგნში გვარ-სახელს მოძებნიან და...

„– ალლო, – მესმის ტელეფონში, თუმცა მილაკი პიპინაშვილს აქვს ყურზე.

– ქვარიანი ბრძანდებით? – ეკითხება აქედან.

და უცბათ ისმის რაღაც გაურკვეველი ქუხილი მილში. პიპინაშვილი ძლივს ასწრებს პასუხების გაცემას და ასე მგონია მიკროფონში რაღაც ატომური რეაქცია ხდება და სადაც არის აფეთქდებაო, ისეთი გრიალ-ჭახჭახი მოდის იქედან“.

ქვარიანს მეორე დღეს ესტუმრნენ.

გახარებული მასპინძელი მოსულებს სიხარულით შეხვდა და მეუღლე – სიდონია გააცნო. წარმოშობით გერმანელი ქალბატონი, რომელსაც ოცნებად გადაქცევია ქმრის სამშობლო – საქართველო ნახოს...

ოთახის კედლები მხატვართა ნამუშევრებით იყო დაფარული, ირგვლივ – კარადაში, თაროებზე, მაგიდაზეც კი უამრავი წიგნი ეწყო... მათ შორის ქართულიც. იგონებენ წარსულს – ასე ახლობელს და ასე შორეულს. ის დროით არ გამანძილებულა, მიწით დასცილდნენ... არადა, „მინა თავისას მოითხოვს. და რა მიწისგანაც ხარ ადამიანი შექმნილი – ის მიწა ბლავის შენს სხეულში, სადაც არ უნდა გადავარდე კაცი“ (ნიკოლოზ მინიშვილი). იხსენებენ მოწაფეობისდროინდელ ქუთაისს, რიონის საბანაოებს, ბალის კიდეს, გამყრელიძის ცირკს (თეთრი ხიდის გადაღმა), ალელიოვის საცეკვაო სკოლას, კინო „რადიუმს“, ბოსლევურ „პირაჟებს“, მწვანე ბაზარზე გამოტანილ „საშემოდგომო ცრემლიან ლეღებს და ატმებს“; ახლობლებსაც: ტერენტი პიპინაშვილს, სანდრო მხეიძეს, პოეტ კოლაუ ნადირაძეს, ლელიკო ხოტივარს და ნიკოლოზ სანიშვილს, მედელაურს, მაჩაბელს, ჟან დე კოლონს, კოსტა მაისურაძეს, სანდრო კანდელაკს... „კვლავ დაქროდა თავისი ოცნებით ქუთაისში ახალგაზრდა გოლიათი, ქუჩაში პატარა ბავშვები გუნდ-გუნდად რომ დასდევდნენ და თვალეში

შეციცინებდნენ“... ნიჭიერი მწერალია აკაკი ბელიაშვილი და კარგადაც ჰყვება. მერე ამერიკელ ქართველებსაც ახსენებენ: დავით და სერგო მდივნებს, მათ საყოველთაოდ, მაგრამ სხვადასხვა ვერსიით გავრცელებულ თავგადასავლებსაც; იცინებენ. „ორი საერთაშორისო ალფონსიო“, – კი იხალისებენ, მაგრამ მაინც ეტყობათ, მოსწონთ... საინტერესო ამბებსაც გააგებინებენ ერთმანეთს, მაგალითად, ამგვარს: „დავითის დაი რუსუდანი ცოლად ჰყავდა ისპანელ მხატვარს – სერტს; მეორე დაი, ნინო, ცოლი იყო ცნობილი ინგლისელი მწერლის კონან დოილის შვილისა“.

უკვე ამერიკაში ჩასული ქართველი მწერალი აკაკი ბელიაშვილი სასტუმრო „მოტლანდში“ მცხოვრებ მასპინძელს, ცნობილ ფალავანს – ნიკოლოზ ქვარიანს გიორგი პაპაშვილის შესახებ დაეკითხება; არც იმას დაუმაღავს, რომ მასზე **„საქართველოში ლეგენდები დადის“**... მწერალია თავადაც და რა გასაკვირია, ეს უფრო აინტერესებს. ლეგენდაა საბჭოეთში მცხოვრები ქართველი მწერლებისთვის აბა, რა, იმის გაგება, რომ შეერთებულ შტატებში მათი თანამემამულის წიგნი ბესტსელერად აღიარეს, მისი ავტორი ამერიკის „რჩეული ლიტერატურის ავტორთა“ შორის დასახელდა, ამასთან, უამრავი რეცენზია, ლიტერატურული წერილი და სტატია დაიბეჭდა.

ერთი ფრაგმენტი:

„– კოლია ჩემო, პაპაშვილის წიგნი ხომ არა გაქვს, მინდოდა მეშოვა. ამ მწერლის შესახებ საქართველოში მთელი ლეგენდები დადის...“

– პაპაშვილის? მოიცა – ტელეფონს ხელი დაავლო, ნომერი აკრიფა და ჩასძახა:

– ალლო, გიორგი, გამარჯობა შენი... ჰო, კოლია ვარ... როგორ ხარ, კაცო, სად დაიკარგე. აგერ ჩემთან საქართველოდან არიან ჩამოსული, მწერალია ბელიაშვილი და რეჟისორი პიპინაშვილი, მეკითხებიან, ერთი დაგვანახვეთ ეს პაპაშვილი... რაო, გეწვიოთ... არა, ესენი ვერ წამოვლიან, ხვალ დილით მიფრინავენ... მოდიხარ? ახლავე წამოხვალ“?

გიორგი პაპაშვილი ჩამოსულ სტუმრებს ტელეფონით მაინც დაელაპარაკა... კიდევ ერთხელ შეეპატიჟა, სხვაგვარად როგორ მიეწვია, ასე უთხრა:

„– ძალიან გთხოვთ, თქვენი ამხანაგებით მესტუმროთ, კოლიამა იცის, სადაც ვცხოვრობ. სამი საათი არც დაგჭირდებათ მანქანით.“

– არ შეგვიძლიან პატივცემულო გიორგი. ჩვენ ხვალ დილით მივფრინავთ. ძალიან მინდოდა თქვენი წიგნი მქონოდა, ჩვენში კიდევაც დაიბეჭდა თქვენი წიგნის თარგმანები ქართულად...

– ვიცი, ჟურნალი „დროშა“ მივიღე, ვნახე, იქ არის. ჩემ წიგნს მოგართმევთ. მაშ, მე წამოვალ თუ დამელოდებით, კოლიასთან მოვალ.

– გელოდებით. ნახვამდის.

მილი დავდე და ქვარიანს ვეკითხები:

– განა ის ნიუ-იორკში არ ცხოვრობს?

– არა, პენსილვანიაში ცხოვრობს. აქედან ასი მილია. მოვა, მალე მოვა, სულ ერთია, არსად გაგიშვებთ. მაგის წიგნი ძალიან პოპულარულია ამერიკაში. სურათიც დაიდგა მაგის მოთხრობის მიხედვით“.

ორი მწერალი, ორივე ქართველი; ერთი ქართულად წერს, მეორე – ინგლისურად, თანაც მუდმივი თანაავტორი ჰყავს. სხვადასხვა სახელმწიფოს წარმოდგენენ. პირველი „მოსალოდნელ“ ფათერაკს არ დაერიდება, მეორე – მანძილს და ერთმანეთს უეჭველად გაიცნობენ! **ეს შეხვედრა საკმაოდ ფრაგმენტულად დაიბეჭდა ზემოხსენებულ გამოცემაში. დასტურ, ერთიანი სურათის ხიბლი დაიკარგა და ეპიზოდურ არცთუ შთაბეჭქდავი გახდა. არადა, ცნობილი ქვშმარიტებაა, ნებისმიერ პროზაულ ტექსტში მნიშვნელოვანი მთლიანი კონტექსტია.**

საინტერესოა, მწერალი – აკაკი ბელიაშვილი როგორ გადმოგვცემს თავის პირველ შთაბეჭქდილებას:

„გიორგი პაპაშვილი საშუალო ტანის, ხმელი აგებულობის შავგვრემანი კაცია, ტიპიური მთიული. მისი მეუღლე ელენე კი მაღალი, თეთრად ჩასუქებული ამერიკელი ქალია, საოცრად ჭკვიანი თვალებით“.

დასხდნენ, საუბარი თავისთავად გაგრძელდა. სამშობლოდან ჩამოსული თანამოკალმის მოტანილი „ამბავი:“ „ჩვენში, საქართველოში იციანო თქვენი მწერლობის შესახებ“, პაპაშვილისთვის უცნობი არ აღმოჩნდა!

სამაგიეროდ, თანამემამულეებმა შეიტყვეს, გიორგი პაპაშვილი მოქანდაკე რომ იყო, გამოფენებსაც აწყობდა, მისი ბევრი ნამუშევარი იყიდებოდა კიდევ, ხოლო ზოგიერთი მათგანი მუზეუმებსაც ჰქონდათ შეძენილი...

აკაკი ბელიაშვილმა მოქანდაკის ნამუშევრების ფოტოსურათების ნახვის სურვილი გამოთქვა, მაგრამ კოლია ქვარიანთან ქართველების სანახავად ხელდახელ ნაჩქარევად წამოსულ გიორგი პაპაშვილს ეს არც უფიქრია და ამდენი აღარ გაუთვალისწინებია... როგორც კი გაარკვია, ჩემთან მოსვლას ვერ ახერხებენო, ჩაჯდა საკუთარ შევროლეს მარკის ლიმუზინში და პენსილვანიის შტატიდან თვითონვე გამოეშურა მეუღლესთან ერთად. ასი მილი გაიარა...

უჩვეულოა ეს ყოველივე და იმავდროულად, ძალიან საინტერესო: ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ცხოვრების გაგრძელებაც, პერსონალური გამოფენების გამართვა: ხან სახვითი ხელოვნების აკადემიაში, ხან კიდევ რომელიმე სახელმწიფო მუზეუმში, მაგრამ საუბარში მწერლობას მაინც გამორჩეული (*ვიტყოდი, საპატიო*) ადგილი უჭირავს. შეკითხვებიც გაგრძელდება:

„მე საინტერესებდა, – გაიხსენებს უკვე მოგვიანებით, აკაკი ბელიაშვილი, თუ როგორი პოპულარობით სარგებლობს სახელდობრ ის წიგნი, რომელშიაც მისი ბიოგრაფიაა მოთხრობილი. აღმოჩნდა, რომ იგი დაახლოებით ოცდათხუთმეტჯერ გამოუციათ ორი მილიონის საერთო ტირაჟით“.

როცა ამაზე თავად ავტორი უყვება დაინტერესებულ თანამემამულეს, იმავდროულად, თანამოკალმეს მნიშვნელოვანია და რასაკვირველია, სასიამოვნოც. ჩემი მხრივ იმასაც აღვნიშნავ, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ ბესტსელერის (*„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“*) ტირაჟზე; თორემ ამ პერიოდში გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილს არაერთი წიგნი უკვე გამოცემული ჰქონდა, რომლებიც წარმატებით იყიდებოდა და პოპულარობითაც სარგებლობდა მკითხველთა შორის. შეუძლებელია, არ გაგახაროს თანამემამულის წარმატებამ. საქართველოში თავადაც არაერთი პოპულა-

რული წიგნის ავტორი ამერიკული ჰონორარითაც დაინტერესდება. ისე, რატომაც უხერხული, გაინტერესებდეს, როგორ უხდინა მწერალს სხვა სახელმწიფოში. „საბჭოთა“ კია, მაგრამ თვითონაც ქართველია, ჭკვიანი და თავადაც მწერალი...

„აღმოჩნდა, რომ ავტორებს უხდინა წიგნის ღირებულების ათ პროცენტს, ისიც მისი რეალიზაციის შემდეგ. ასე რომ, გაიყიდა წიგნი, იარსებებ, არ გაიყიდა – შეიძლება სული ამოგხდეს თუ სხვა რამ საქმეს არ მოკიდე ხელი. უნიჭო მწერლობის თავიდან მოსაცილებლად ეს არც თუ ისე ცუდი საშუალებაა, მაგრამ ვთქვათ, გენიალური წიგნი დაინერა და არ გაიყიდა. მაშინ რალა ჰქნას ავტორმა?“

აკაკი ბელიაშვილი აქ „გენიალური პოეტის უოლტ უიტმანის“ პირველი წიგნის გამოცემისას მომხდარ შემთხვევასაც გაიხსენებს – გაუყიდავი რომ დარჩა. ჰელენ პაპაშვილმა დაუდასტურა ვარაუდი, როცა უთხრა:

„...ამერიკელ მწერალთა შორის დიდი დიდი ოცი პროცენტი ცხოვრობდეს ლიტერატურული ჰონორარით, დანარჩენები სხვა სახის საქმიანობას ეწევიან, ან მსახურობენ, ან ბიზნესმენობენ“.

თავის მხრივ ჰელენიც დაინტერესებულა:

„როგორ არის თქვენთან, რა წესები არსებობს მწერლისთვის ჰონორარის გადახდის? – მკითხა მან.

მე ავუხსენი, რომ ჩვენში მწერლის შემოსავალი სრულიად არ არის დამოკიდებული წიგნის გასაღების რაოდენობაზე. მას ეძლევა განსაზღვრული ჰონორარი სამი ათასი მანეთი საშუალოდ ერთ სასტამბო ფორმაში, ხოლო წიგნი შეიძლება საზარალო იყოს და ხანდახან მისი გამოცემა ასიათას მანეთზე მეტ დოტაციას საჭიროებდეს, მაგრამ სახელმწიფო ამ ზარალს ფარავს, წიგნი მაინც გამოდის და მწერალი დანესებულ ჰონორარს მაინც ღებულობს-მეთქი.

ჩემს ამ განმარტებებს გიორგი პაპაშვილი თარგმნიდა და მე ვხედავდი, როგორი სიამაყის გრძნობით იყო შეპყრობილი იგი, როდესაც ცოლს უხსნიდა საბჭოთა ქვეყანაში არსებულ ამ მართლა მათთვის დაუჯერებელ წესებს საგამომცემლო საქმეში“.

ბევრ თემას შეეხნენ: თხზულებათა სრული კრებულების გამოცემას, კონკრეტული ავტორების წიგნების დაბეჭდვის საქმეს, ვინ წყვეტს გამოცემის საკითხს, ისაუბრეს სარედაქციო საბჭოებზე, განმეორებით ტირაჟებზე, თუმცა არაფერი თქმულა იდეოლოგიურ ვალდებულებებზე, არც სახელმწიფო ცენზურაზე... სასიამოვნო თემებზეც ილაპარაკეს...

თუკი ღიმილიანი მოგონებების დროა, აქვე გავიხსენებდი ამერიკიდან დაბრუნებული აკაკი ბელიაშვილის დოკუმენტური პროზიდან კიდევ ერთ ფრაგმენტს:

*ქალაქი* – ნიუ-იორკი;

*მასპინძელი* – ნიკოლოზ ქვარიანი, მეუღლით;

*სტუმრები* – აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ პიპინაშვილი, ფელიქს ვისოცკი, გიორგი პაპაშვილი, მეუღლით;

*სუფრა* – ბერძნულ რესტორანში;

*პირველი სადღეგრძელო – სამშობლოს ეკუთვნის,*

*მეორე – დიასახლისებს და თამადის მიერ ამაყად თქმული:*

„– აი, ხომ ხედავთ, ჩვენი ცოლები გავაქართველეთ, – გვითხრა ქვარიანმა.

მაშინ პაპაშვილის მეუღლემ ღიმილით მოუჭრა:

– თქვენი გაამერიკელება შეუძლებელი აღმოჩნდა და ჩვენც მეტი რა დაგვრჩენოდა, რომ არ გავქართველებულიყავით“.

შეხვედრა გვიან ღამით დასრულდა.

„პაპაშვილი ჩაჯდა თავის შევროლეს მარკის ლიმუზინში და გაუდგა გზას პენსილვანიის შტატისაკენ“.

აკაკი ბელიაშვილი ახლა თავის მეგობრებთან ერთად კოლია ქვარიანსაც გამოემშვიდობა, რომელსაც სათქმელი კიდეც დარჩენოდა და აბარებდა უკვე ნასასვლელად გამზადებულებს:

„– მოკითხვა ჩემს ქუთაისს, ჩემს თბილისს, ჩემს მინა-წყალს... – გვეუბნებოდა იგი გამოთხოვების წინ და როდესაც გავხედე მიმავალს, ასე მომეჩვენა, თითქო მისი გოლიათური ზურგი დარდისაგან მოხრილიყო“.

მოგონებების ფურცლებიდან მკითხველი არაერთ ქალაქს მოივლის აკაკი ბელიაშვილთან ერთად, ჰოლივუდის მსახიობებსაც გაიცნობს და დისნეილენდსაც ბავშვური აღტაცებით დაათვალიერებს, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმსაც ეწვევა...

ახლა ძნელია იმის თქმა, წიგნად გამოცემისას თავად მწერალი თუ შეცვლიდა რაიმეს – რას დატოვებდა, ან კიდეც, რომელ ეპიზოდს გაიხსენებდა და დაამატებდა. ჩვენ ვბეჭდავთ ტექსტს ზუსტად იმ სახით, რომელიც ხელთ გვაქვს; არ ჩავვისწორებია არცერთი ფრაზა, საკუთარი სახელი თუ წინადადება. თვით გრამატიკული და მართლწერის ფორმებიც პირვანდელი სახით დავტოვეთ და ასე წარმოვადგინეთ. ამდენად, ამ გამოცემას ასეც შეგვიძლია დავარქვათ: უცნობი ხელნაწერიდან – გამოცემულ წიგნამდე, ან: მწერლის სამუშაო მაგიდიდან – მკითხველის მაგიდამდე.

„ამერიკაში პარიზზე გავლით“ – მკითხველი დოკუმენტური პროზის კითხვის პარალელურად ათვალიერებს უნიკალურ ფოტოებს; სწორედაც უნიკალურს, რადგანაც ისინი პირველად ქვეყნდება. *აქ ერთი შენიშვნა: ტექსტში ლადო ბელიაშვილი ჯერ კიდეც ცოცხალია, მაგრამ მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არქივში რამდენიმე ფოტო არსებობს; იმ დღეს გადაღებულიც და მოგვიანებითაც, ასეთი მინაწერით: „ლადოს დაკრძალვა „ლე ვილის“ სასაფლაოზე. მისმა ძმამ – აკაკიმ და რძალმა, თინამ ვერ შესძლეს ვიზების მიღება, ამიტომ დაკრძალვას ვერ დაესწრენ; მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მიიღეს ვიზა და ლადოს საფლავზე პანაშვიდი გადაიხადეს“.* ეს ფოტოები ისევ არქივის კუთვნილებად არ დავტოვეთ...

დასასრულ, ერთი ფაქტი, რომელსაც ამ მოგონებებთან პირდაპირი კავშირი არც კი აქვს, მაგრამ ქართველ მწერალ აკაკი ბელიაშვილს (და არა მხოლოდ მას) ეხება. მას „ცისფერყანწელთა“ უკანასკნელი მოჰიკანი, ბ-ნი სერგო კლდიაშვილი გაიხსენებს და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (№62, 3.IV.2010) დასტამბავს.



ქართველი კლასიკოსი მწერლის – დავით კლდიაშვილის ვაჟი, თავადაც მწერალი – სერგო კლდიაშვილი ერთი შემზარავი ამბის შესახებ მოუყვება მკითხველს. ნაამბობი იმ ბედუკულმართი **1937 წლის ერთ დღეს შეეხება.**

**მწერალთა კავშირში განსასჯელთა სკამზე ამჯერად აკაკი ბელიაშვილია.** დანაშაული აქვს ჩადენილი: სტალინი უხსენებია აუგად და ახლა პასუხი უნდა აგოს.

ადვილად მისახვედრია, როგორი შეძრწუნებული იქნებოდა ბრალდებული. ხმაგაკმენდილი დარბაზი ჩუმად მოელოდა პასუხს. არადა, კრების თავმჯდომარე (დემეტრადე), იმავდროულად, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც რომ იყო, დაჟინებით ითხოვდა, ელიარებინა ბელიაშვილს დანაშაული. ამ სამარისებურ სიჩუმეში თურმე მხოლოდ აკაკი ბელიაშვილის ხმა ისმოდა: სასონარკვეთილი, უიმედო, თავზარდაცემული და რაც მთავარია, განწირული. გაიწირა....

„– აღიარე! საჯაროდ!

– რა ვაღიარო... არაფერი მითქვამს და რა ვქნა, რა ბრალდება ავიღო ჩემს თავზე“.

საბჭოთა საქართველოში წერო, იკითხო, მომლოდინემ... გაუძლო, რთულია! დაჭიმულია წერვები, მოთმინების უკანასკნელი ძაფები ნელ-ნელა, ერთმანეთის მიყოლებით წყდება: განრისხების, ჯავრის, ბოლმის, გაცეცხლების, უღონობის... სერგო კლდიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი და პაოლო იაშვილი ერთ რიგში, გვერდი-გვერდ მსხდარან; მესამე თუ მეოთხე რიგში. მოულოდნელად პაოლოს ქუთათელისთვის სიგარეტი უთხოვია, მოუკიდებია და ნელი ნაბიჯით გასულა დარბაზიდან...

**მერე რაც მოხდა, მთელმა საქართველომ იცის: გასროლა! ამაყი გასროლა, დაუმორჩილებელთა გასროლა, ღირსეულთა გასროლა, „უძლური ჭირისუფლის“ გასროლა – ასე ვხედავ ათეული წლების შემდეგ...**

იმ დღეს კი გადარჩა ბელიაშვილი. თურმე ქუჩაში გასასვლელი კარი გვიანობამდე ჩაიკეტა. ის მხოლოდ დემეტრადისთვის გაიღო: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ლავრენტი ბერიასთან მიდიოდა... მერე მწერლები მწერალთა კავშირში მეორე დღისთვის დაიბარეს... გამოცხადდნენ. ყველა მოსულიყო...

ამის შემდეგ დიდი დრო გაივლის...

ბევრი წყალი ჩაივლის...

უამრავი რამ მოხდება...

ერთ დღეს თბილისი შეძრა მოულოდნელმა, ტრაგიკულმა ახალმა ამბავმა: მცხეთიდან თბილისში მომავალი აკაკი ბელიაშვილი და მისი მეუღლე – თინათინ გამყრელიძე-ბელიაშვილი ავტოავარიაში დაიღუპნენ... მწერალთა კავშირის სასახლეში ორივეს ცხედარი ერთად დაესვენებინათ...

გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“ №52 (1274) 22.XII.1961 მკითხველებს აუწყებდა:

„19 დეკემბერი. დილიდანვე დაიძრა ხალხი მწერალთა კავშირის სასახლისაკენ, სადაც დასვენებული იყო კუბოები გამოჩენილი ქართველი მწერლის აკაკი ბელიაშვილისა და მისი მეუღლის თინა გამყრელიძე-ბელიაშვილის ცხედრებით...“

საფლავებზე ცოცხალი ყვავილების გორაკი აღიმართა“.

დიდუბეს პანთეონში განისვენებენ...

იმ დღეებში ჩუმად, ძალიან ხმადაბლა, ბევრი რამ ითქვა... უცხოეთში მით უფრო. ალექსანდრე (სანდრო) ფანჩულიძე საფრანგეთში მცხოვრები ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ემიგრანტია, გრიგოლ რობაქიძის შორეული ნათესავი. საინტერესოა მათი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, არაერთი წერილი... მისადმი გაგზავნილ გრიგოლ რობაქიძის ერთ ბარათს გამოვარჩევდი. დაინერა 1961 წლის 21 დეკემბერს. აკაკი ბელიაშვილის გარდაცვალების დღეებში ერთი არასასიამოვნო „ვარაუდიც“ გაჩენილა, ამის გამოძახილია ემიგრაციაში დაწერილი ეს წერილიც...

„ძვირფასო სანდრო!

**აკაკი ბელიაშვილისა და მისი ცოლის დალუპვის ამბავმა ძალიან შემანუხა – ძალიან. ცოლი იყო დაჰ გიორგი გამყრელიძისა.** არ გადმოსცეს, რა იყო მიზეზი მათი დალუპვისაა?

მწერ: „აუცილებლად წინასწარ ჩანყობილი იქნება“.

არ მჯერა!

*შენი გრიგოლ“.*

გრიგოლ რობაქიძე დაფიქრებული გაიმეორებს ფანჩულიძის ვარაუდს – გარდაცვალების მიზეზს: „წინასწარ ჩანყობილი იქნება“-ო. ეგებ, თავისთვის იმეორებს, ხელახლა რომ გაიაზროს, ხელმეორედ დაფიქრდეს; იქნებ სანდრო მართალია; ან კიდევ თვითონ სჭირდება, თავი გადაარწმუნოს, რადგანაც სხვაგვარად ფიქრობს, ვერ უშვებს, აკი დაწერს: „არ მჯერა“!

ამას ისტორია გაარკვევს...

მანამდე კი, თუკი ისევ წარსულს მივუბრუნდებით –

ცხოვრება ერთი შეხედვით ზიგზაგებით, მაგრამ მაინც გაგრძელდება...

აკაკი ბელიაშვილი ავბედით 1937-საც გადაურჩება, ხელისუფლების რისხვასაც და ბევრ ყოფით პრობლემასაც ნელ-ნელა გაუმკლავდება, წარმატებებსაც იზეიმებს და ახალ წიგნებსაც... ოკეანის გაღმაც იმოგზაურებს და იმ კაცსაც გაიცნობს, მთელ მსოფლიოს და მასაც მშვიდად რომ ეტყვის: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“...

**და მართლაც, დაბეჭდვიდან პირველად, 51 წლის შემდეგ ტექსტი ისე გამოიცემა – როგორც დაინერა...**

*რუსუდან ნიშნიანიძე*



შარშან ამერიკული გამოფენა ვინახულე მოსკოვში, ამის შესახებ წერი-  
ლიც დავწერე ლიტერატურულ გაზეთში. გამოფენამ ჩემზე ცუდი შთაბეჭ-  
დილება დასტოვა და ეს გულახდილად ვაღიარე. *გამოჩნდნენ ისეთი მკითხ-  
ველები, რომელთაც ეს ჩემი სრულიად გულწრფელი აღიარება ჩვენი ხელი-  
სუფლებიდან პირმოთნეობათ მიიჩნიეს და თურმე ამბობდნენ:*\*

– ხედავთ, ამასაც დაუნყია მლიქვნელობა და განგებ აძაგებს საქვეყ-  
ნოდ ცნობილ ცამდე ასულ ამერიკასო.

„რა მომეწონა მე ამ გამოფენაზე, – ვწერდი წერილის დასასრულს –  
ესაა ის გიგანტური არყის ხეები, რომლებიც ჩამწკრივებულია სოკოლნიკის  
პარკის ხეივანის გასწვრივ-მეთქი“.

როგორაო, – უთქვამთ ზოგიერთ გულუბრყვილო მკითხველებს, რომ-  
ლებსაც ეს ჩემი სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაეგოთ, – განა აკაკი  
ბელიაშვილმა პირველად ნახა თავის სიცოცხლეში სოკოლნიკის პარკის არ-  
ყის ხეები, რომ მხოლოდ ის მოეწონა და ამერიკის გამოფენაზე კი ღირსშე-  
სანიშნავი ვერაფერი შეამჩნიაო?

ცხადია, ვერ გამიგეს. მე იმას კი არ ვამბობდი, რომ ამერიკის გამოფენა-  
ზე ვერაფერი შევამჩნიე ღირსშესანიშნავი, ასეთი რამ მათ არცთუ ისე ცოტა  
ჰქონდათ გამოფენაზე და ეს კიდევაც აღვნიშნე წერილში, მაგრამ ამ სიტყ-  
ვებით მინდოდა მეთქვა, რომ მე ბუნებრივ პირობებში წარმოშობილ დიად  
სილამაზეს მეტ პატივს ვცემ, ვიდრე საქარხნო წესით დამზადებულ და ლამა-  
ზი ეტიკეტებით შელამაზებულ ყუთებში ჩანყობილ მშვენიერებას-მეთქი. და  
მართლაც, მაშინ ამერიკელების ის გამოფენა მაგონებდა ლამაზად გაფორმე-  
ბულ პაპიროსის კოლოფს, რომელიც თავისი ზიზილ-პიპილა ფერებით ყვე-  
ლაზე უფრო ბავშვს მოეწონება და ამ ბავშვმა კი არ იცის, რომ ამ კოლოფში  
ისეთი პაპიროსები აწყვია, რომელიც მართალია, ადამიანს მოსაჩვენარ სია-  
მოვნებას მიაყენებს, მაგრამ ნამდვილად კი სანამლავს წარმოადგენს.

ამიტომ ამ გამოფენით დანახულმა ამერიკამ ჩემზე და საერთოდ, ძალიან  
ბევრ მნახველზე ვერ დატოვა ის შთაბეჭდილება, რომელსაც მოველოდით.

---

\* დახრილი შრიფტით გამოყოფილია 1964 წლის გამოცემაში (აკაკი ბელიაშვილი, თხზუ-  
ლებანი, ტომი II) ამოღებული ტექსტი (გამომცემლის შენიშვნა).

ახლა კი, სწორეთ ერთი წლის შემდეგ, საშუალება მომეცა ამერიკა მთელი სიგრძე-სიგანით მომეველო, მენახა და დამეთვალე რება მისი უდიდესი ქალაქები: ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, ჩიკაგო და ლოს-ანჯელოსი, მენახა მათი ღირსშესანიშნავი ადგილები, მუზეუმები, თეატრები, კინოფილმები და ცხადზე ცხადია, ნამდვილი ამერიკა სულაც არ იყო წარმოდგენილი ამ გამოფენაზე მთელი თავისი ავითა და კარგით, მთელი თავისი სიდიადით, გრანდიოზულობით, წარმოუდგენელი სისუფთავით და ამავე დროს, პარადოქსალური სიბინძურით.

ყოველივე ამის შესახებ მინდა, დაწერილებით ვუამბო მკითხველებს.



მოსკოვიდან გამგზავრების წინ ამერიკის საელჩოში მოგვიხდა მისვლა, სადაც უნდა მიგველო საზღვარგარეთული პასპორტები ამერიკული ვიზით. ჩვენი ტურისტული ჯგუფი სპეციალიზირებული შემადგენლობისაა. აქ არიან ოთხი რესპუბლიკის კინომუშაკთა წარმომადგენლები, რეჟისორები, ოპერატორები, კინომსახიობები, კინოდრამატურგები და კინომოყვარულები. ყველანი ვესტიბულში გაგვაჩერეს, საელჩოს ერთ-ერთმა მდივანმა ბოდიში მოიხადა, კაბინეტში ჩემთან თათბირი მიმდინარეობს და პასპორტები აქ უნდა დაგირიგოთო. ცოტა ხანს გვაცდევინეს, ჩვენ კი ამასობაში კედლებზე დაკიდული სურათების რეპროდუქციებს ვათვალე რებადით. იქვე გამოვიდა და გულდასმით დაგვიჩყო თვალე რება ერთმა უცნაურმა ტიპმა. მნითური კაცი იყო, ასეთივე მნითური უღვაშებით, რომელიც გაცვეთილი კბილის ჯაგრისს მიუგავდა. იგი გულდასმით გვათვალე რებად ყველას.

მდივანმა პასპორტები დაგვირიგა, ყველას ბედნიერი მგზავრობა გვისურვა და ჩვენც დავაპირეთ წამოსვლა, მაგრამ ამ დროს იმ მნითურმა მამაკაცმა შეგვაჩერა, თავი რომელიღაც ამერიკული გაზეთის კორესპონდენტად გაგვაცნო და დაგვიჩყო გამოკითხვა, თუ ვინ ვიყავით და რა მიზნით მივემგზავრებოდით ამერიკაში (ვითომ არ იცოდა). ჩაინერა რამდენიმე გვარი, ჯგუფის ხელმძღვანელის – კინორეჟისორ რომალის, პიპინაშვილის, მწერალ ბორის ლასკინის, ზოგიერთი ცნობები. კიდევ ერთხელ აგვხედავდა თავისი თარსი თვალთ და ხელის დაქნევით გამოგვემშვიდობა. გამოვედით გარეთ. ყველამ გულდასმით გავსინჯეთ ჩვენი საზღვარგარეთული პასპორტები, თითქო ჩვენს შესახებ კიდევ რაიმე ახალს ამოვიკითხავ-

დით მის ფურცლებზე. შემდეგ გავემართეთ სასტუმრო „ნაციონალისაკენ“ და საგანგებო ავტობუსით შერემეტიევოს აეროპორტში მივედით. აეროპორტში საბაჟო პროცედურა არცთუ ისე გაგრძელდა, მაგრამ ორ საათზე მეტი ხნით დაგვიანდა ჩვენი გამგზავრება. აღმოჩნდა, რომ ორ უცხოელ ტურისტს თავიანთი პასპორტები სასტუმროში დარჩენოდათ და წავიდნენ მათ მოსატანად. ჩვენ ათასნაირად ვწყევლიდით იმ ბოთე მოგზაურებს, რადგან ტყუილუბრალოდ გვეკარგებოდა ის ძვირფასი ზედმეტი საათები, რომელიც პარიზის დათვალიერებისათვის უნდა გამოგვეყენებია. სასტარტო მოედანზე კი გველოდებოდა ფრანგული რეაქტიული თვითმფრინავი „კარაველა“, რომელიც ჩვენი „ტუ-104“-ის გვერდით ჩაბუდებულ დედალივით გამოიყურება. საოცრად დაბალ შასიზზე დგას. რეაქტიული ძრავები ფრთებზე კი არა აქვს დამაგრებული, არამედ კუდზე და როდესაც ჩვენი გულმავინცი ტურისტები მოვიდნენ და ჩავსხედით თვითმფრინავში, იგი ცაში ერთის შუშუნ-გრიალით, რაკეტასავით ავარდა, გაძვრა ღრუბლებში, წავიდა სულ მალლა-მალლა და კურსი ვარშავისაკენ აიღო. საათნახევრის ფრენის შემდეგ ამ ქალაქში მართალია, დავეშვით, მაგრამ სულ იმდენი ხნით, რომ „კარაველას“ ახალი მგზავრები მიელო და ცხადია, პოლონეთის დედაქალაქი ვერ ვნახეთ. მალე კვლავ ცაში ვართ, ვარშავას მარტო ზემოდან გადავხედეთ და პარიზისაკენ გავემართეთ. სამიოდე საათის ფრენის შემდეგ პარიზის ახლო „ორლის“ აეროდრომზე დავეშვით.

საფრანგეთის დედაქალაქში ჩვენ გეგმის მიხედვით ორი დღე უნდა გავჩერდეთ და ამიტომ ყველანი მოუთმენლად მოველოდებით ქალაქში გასვლის ნებართვას. დავბორიალობთ მოსაცდელ დარბაზში, ვათვალიერებთ კიოსკებში ყურნალ-გაზეთებს, ფრანგულ კოსმეტიკას, სუვენირებს და ვითვლით იმ ფრანგულ ფრანკებს, რომლებიც ჩვენმა ხელმძღვანელმა, ინტურისტის წარმომადგენელმა ლევ გრიგორიევიჩ სლუცკიმ დაგვირიგა.

„ორლის“ აეროპორტი, ისევე, როგორც ყველა აეროპორტები უცხოეთში, რომლებიც მე ვნახე, აგებულია თანამედროვე მოდერნისტულ სტილზე, რომელშიაც ჭარბობს ჰორიზონტალური მარტივი ხაზები, შუშის კედლებით და ბრტყელი სახურავებით. აქ ავეჯიც მოდერნისტულია, ზოგჯერ აბსტრაქციონისტულიც და ამიტომ ყველაფერი: შენობებიც, ავეჯიც, ერთგვარად ლამაზი ეტიკეტებიანი თუნუქის და შუშის ყუთების შთაბეჭდილებას სტოვებს. თითქო ყოველივე ეს საფაბრიკო ყალიბებში იყოს დაშტამპული, მოჭრილი ან ჩამოსხმული.



კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ყველა ფორმალობა დამთავრებულია, ჩვენც წამოვიშალეთ, ჩავუარეთ ფრანგ პოლიციელ გუშაგებს და ავტობუსში ჩავსხედით.

ყველაფერს ხარბათ ვუცქერით, თუმცა განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავთ. აქაც ისეთივე ასფალტობეტონით დაფარული ავტოსტრადა, ისეთივე დაბლობიანი მიდამოები, ელექტროგანათების თავნამოხრილი მაღალი და წვრილი ბოძები, აქა-იქ მოშრიალე ხეები და გადამწვანებული მინდვრები.

მაღე შევედით ქალაქში. გავიარეთ გარეუბნები და რაც უფრო ვუახლოვდებით ცენტრს, მით უფრო ვინრო ქუჩებით მივდივართ. პარიზის ქუჩებში გარდა ცენტრალური პროსპექტებისა, ყველგან ცალმხრივი მოძრაობაა. ყველას მანქანები პირდაპირ ქუჩაში უდგას და ამიტომ ქუჩების მარცხნივ და მარჯვნივ სულ მანქანებია ჩამწკრივებული. შუაში ისეთი ვინრო ზოლია, რომ პირდაპირ გაოცებას ვარ, როგორ ახერხებს ჩვენი შოფერი, რომ ამოდენა აზაველა ავტობუსი ისე გაატაროს მათ შორის, რომ გვერდები არ მიუჭყლიტოს მსუბუქ მანქანებს და არ მილენ-მოლენოს. ხანდახან ისეთ ვინრო ქუჩაბანდებში შევდივართ, პირდაპირ შეუძლებლად მიმაჩნია იქ არათუ ავტობუსის, არამედ მსუბუქი მანქანის მობრუნება, მაგრამ ჩვენი შოფერი მოხდენილად აძვრენს ამ ჩვენს აქლემს მოსახვევებში და შეუჩერებლად მივექრივართ ჩვენი სასტუმროსაკენ.

ვაკვირდებით სახლებს, გამვლელებს, მაღაზიებს. სახლები აქ საკმაოდ ძველია და ჩამოქეჩილი. ჩვენს წარმოდგენაში პარიზი და პარიზელები ეს რაღაც წარმოუდგენელი ბრწყინვალეების და პენენიკობის სინონიმადაა ქცეული, სინამდვილეში კი, აქ უმეტეს შემთხვევაში, ქუჩაში გამვლელებიც ისეთივე ჩამოქეჩილები და მოთელილ-დაჭმუჭვნილები არიან, როგორც ეს ძველი შენობები. მაგრამ პარიზის ამ სიძველეში არის თავისებური სიმტკიცე, სიდიადე და მიმზიდველი მშვენიერება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არ არსებობს მსოფლიოში ასეთი მომხიბვლელი და მომაჯადოებელი ქალაქი, როგორიც პარიზია. მაიაკოვსკიმ ტყუილუბრალოდ კი არ წამოიძახა, რომ „მე ვისურვებდი მეცხოვრა და მოვმკვდარიყავ პარიზში, რომ ქვეყნად მოსკოვი არ ყოფილიყო.“ მეც ასევე, ცხადია, ჩემს თბილისს ვარჩევდი პარიზს, ეს ჩვეულებრივი პატრიოტული გრძნობის კარნახის შედეგია, მაგრამ... პარიზის მშვენება სულ სხვაგვარია. ასე გგონია, აქ მხოლოდ პოეტები, მხატვრები, არტიტები, მომღერლები და მუსიკოსები უნდა ცხოვრობდ-

ნენო. პარიზის ქუჩები, კაფეები, ქუჩებში გამოტანილი მაგიდები, ნაბლის ხეებით დაჩრდილული ტროტუარები, რენესანსის, ბაროკოს და როკოკოს სტილით ნაშენი თლილი ქვის შენობების ფასადები, აივნები, მოაჯირები, ყველაფერი ეს ისეთი სიმყუდროვის განწყობილებას ქმნის, ისე გიზიდავს და გაჯადოვებს, რომ მათი ცქერით ვერ ძლები.

დავბინავდით სასტუმრო „ცენტრალ-მონტი“-ში. იგი მართლაც, ქალაქის ცენტრშია, ცნობილი თეატრის „ფოლი-ბერჟერის“ პირდაპირ. როგორც გვაცნობეს, ამ სასტუმროს გარშემო უმეტესად ებრაულ-სომხური მოსახლეობა ყოფილა.

„ცენტრალ-მონტი“ საკმაოდ ძველი შენობაა, და არცთუ ისე დიდია. სასტუმროების პატრონებს ვესტიბულის კედლებში დატანებული სარკეებით მოუსურვებიათ ალბათ, მისი „გადიდება“ და როდესაც შედიხარ ასეთი წესით გამრავლებულ დარბაზში, ამ აურზაურსა და ფუსფუსში, ამ ჩემოდნების გროვებში პირდაპირ თავგზა გებნევა. აქ ყველაფერი ვინროა, დერეფნებიც, ვესტიბულიც და სანამ შეეჩვეოდე და თუ გსურს, განზე გადგე, რომ ცოტა ხალვათად იგრძნო თავი, შეიძლება, სარკეს ბუზივით მიეხეთქო. მგონია, ზოგიერთ ჩვენგანს კიდევაც მოუვიდა ასეთი საჯაყი ამბავი. ლიფტიც ძველებურია, ღიათ ჰკიდია კიბის ლიობში, ანუ კიბის ქაში და ბრინჯაოსფერად შეღებილი ქარგული რკინის ჭიშკრებითაა გადაღობილი შესასვლელთან. ნომრებშიაც ძველებური ავეჯი დგას. იატაკზე აფენია მთლიანი ნოხი. ყოველ ნომერს აქვს საკუთარი აბაზანა და საპირფარეშო და მიუხედავად სიძველისა, ყველაფერი სუფთაა და კასკასა. ეგ არის, რომ აქ შხაპები არ იციან და საერთოთ, ფრანგები დაგუბებულ წყალში იბანენ პირსაც და ტანსაც. მახსოვს ჟან შარდენი თავის ცნობილ მოგზაურობის აღწერაში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ თბილისში გამდინარე წყლით იბანენ პირსო.

დავბინავდით. დაღამებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე საათია და გეგმის მიხედვით, ჩვენ უნდა მდინარე სენაზე ვიმოგზაუროთ გემით რომ ღამის პარიზი დავინახოთ. ყველანი სიხარულით ემზადებიან ამ წარმტაცი მოგზაურობისათვის, მარტო მე უნდა ავცდე საერთო ქარავანს. პარიზში ცხოვრობს ჩემი ერთადერთი ღვიძლი ძმა, რომელიც ოცდაათობმეტი წელიწადია არ მინახავს. ჩვენი ოჯახის ეს უძლები\* შვილი ცხრამეტი წლისაც კი არ

\* „უძლები“ ბიბლიური გამოთქმაა და თანამედროვე გაგებით, გზააბნეულს, ანუ უმძღოლოს ნიშნავს (ავტორის შენიშვნა).

იყო, როდესაც სახლიდან გაიპარა და საფრანგეთში ამოჰყო თავი. იქ იგი მშენებელ მუშად იქცა და ყველაზე ძვირფასად – დიდ სიმაღლეზე მუშაობას, ანუ რუსული ტერმინით რომ ვთქვათ, „ვერხოლაზობას“ მოჰკიდა ხელი. ერთის სიტყვით, მოექცა „დიდ სიმაღლეზე“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ჩვენ მართალია, კანტი-კუნტი მიმონერა გვექონდა, მაგრამ ბევრი არაფერი ვიცოდით მისი ბედ-იღბლის შესახებ და სამნახევარი ათეული წლის მანძილზე უნახავი ძმის ნახვა ცხადია, პარიზის ნახვაზე უფრო მეტად მეჩქარებოდა. ვთხოვე ჩემს თანამგზავს კინორეჟისორ კ. პიპინაშვილს უარი ეთქვა სენაზე მოგზაურობაზე და წამომყოლოდა. მართალია, ფრანგული ჩემსავით არც იმან იცოდა, მაგრამ ამ უცხო ქალაქში ორი კაცი უფრო თამამად მოგზაურობს, ვიდრე ერთი.

ვიქირავებთ ტაქსი, შოფერს ქალაქზე დავუნერე ფრანგულად მისამართი, რადგან მეშინოდა ჩემი გამოთქმით და უსწორო ნაკითხვით არაფერი შემშლოდა. მან უხმოდ გადაავლო თვალი ქალაქს, თავი დაგვიქნია, ჩართო მრიცხველი და გზას გავუდექით.

როდესაც პარიზში ტაქსით მოგზაურობ, მიმართულებას ვერასოდეს ვერ მოიძნობ და ბრინჯივით დაიბნევი, რადგან აქ ცალმხრივი მოძრაობაა და შოფერმა ხან წაღმა უნდა გატაროს, ხან უკუღმა. შემდეგ მე რუქის მიხედვით მივაკვლიე იმ ქუჩას, სადაც ძმა ცხოვრობს და აღმოჩნდა, რომ ჩვენი სასტუმროდან არც თუ ისე შორს ყოფილიყო (ცხადია, პარიზის მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ).

აი, გავედით დიდი ხეებით დაჩრდილულ ერთ მყუდრო ქუჩაზე და შევჩერდით იმ სახლის წინ, სადაც ძმა უნდა ცხოვრობდეს. დავაჭირეთ ხელი ზარს და ველოდებით. ზემო, მესამე სართულზე ფანჯარა გაიღო, ვიღაც ქალმა გადმოიხედა და რაღაცას გვეკითხება ფრანგულ ენაზე, ალბათ, ვინ გნებავთო. მე ავძახე: – მუსიო ვლადიმირი-მეთქი. ქალი მაშინვე მიიმალა. მცირეოდენი ლოდინის შემდეგ, კარი გაიღო და ვხედავ, ჩვენს წინ დგას ვიღაც უცნობი მოხუცი კაცი, ტანზე ზოლიანი ხავერდის საშინაო ბლუზა და შარვალი აცვია. გვიცქერის, გვიცქერის და ბოლოს, ქართულად გვეკითხება:

– თქვენ, ბატონებო, მგონი, საქართველოდან უნდა იყოთ.

– დიახ, საქართველოდან, – უპასუხებს ჩემი თანამგზავრი, რადგან ხედავს, რომ მე ადგილიდან არ ვიძვრი და ძმას გაოცებული შევცქერი. მე მას ველარა ვცნობ.

– თქვენ ლადო ბელიაშვილი ბრძანდებით?

– დიახ, მე გახლავართ.

– ამ კაცს ვერ იცნობთ? – ეკითხება პიპინაშვილი და ჩემზე უთითებს.

ლადო მიცქერის, მაკვირდება და თავს უარის ნიშნად იქნევს.

– ვერა, ვერ ვიცანი.

– აბა, ერთი კარგად დააკვირდით, იქნება, იცნოთ, – არ ეშვება ნიკოლოზი.

ძმა კვლავ მაკვირდება, მაკვირდება, თითქო რაღაც მოაგონდა, მაგრამ ისევ უარის ნიშნად იქნევს თავს და გადაჭრით ამბობს:

– ვერა, ვერა ვცნობ!

– თქვენ ძმას ვერა სცნობთ?

– ჩემს ძმას? – გაოცებით აღმოხდა მას და ახლა გაოგნებულმა შემავლო თვალი.

– შენ, შენ, აკაკი ხარ?

გადამეხვია.

ვის არ უნახავს რემბრანტის გენიალური სურათი „უძღები შვილის დაბრუნება“ – ლენინგრადის ერმიტაჟს რომ ამშვენებს. ქუსლებდახეთქილი, ფეხშიშველი, ჩამოქექილ-ჩამოღლეტილი თავხოტორა დაბრუნებული შვილი რომ ჩაუკრავს მკერდზე წვერდაყრილ კეთილშობილ მამას. ადამიანის რამხელა ისტორიაა მოთხრობილი ამ სურათში. ტყუილად კი არ შეუქმნია ეს ბრწყინვალე და უკვდავი ბიბლიური იგავი ებრაელ ხალხს. საუკუნეთა მანძილზე ხდება თურმე ადამიანთა ხასიათის სტერეოტიპული განმეორება.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩვენი შეხვედრა მთლიანად არ წააგავს ბიბლიურ იგავს. უძღები შვილი ჯერ არ დაბრუნებულა თავის ოჯახში, სადაც მამა შეეგებებოდა. მას მამა მაშინაც კი აღარ ჰყავდა ცოცხალი, როდესაც ის სახლიდან გადაიკარგა. ახლა მასთან უფროსი ძმა მოვიდა, რომ მოეტანა მისთვის მოხუცი დედის სალამი და მისი გულში ჩაკვრის სურვილი.

და აი, დგას ჩემს წინ დაკარგული ძმა.

იგი მართალია, არ არის ისე ჩამოქექილ-ჩამოღლეტილი, როგორც რემბრანტის სურათზე აღბეჭდილი მოხეტიალე ებრაელი, მაგრამ დროს, მართოხელობას, უცხო ქვეყნის დუხჭირ ცხოვრებას და სამშობლოზე დარდს საკმაო კვალი დაუმჩნევია მისთვის.

– შემოდით, შემოდით, – ოდნავ დაბნეული, ფუსფუსით გვეუბნება ის და სარდაფში ჩაგვიძღვა, აქ, ეტყობა სახლის პატრონებს სამზარეულო აქვთ

მოთავსებული. დიდი, ძველებური სამზარეულო ღუმელია, გარშემო თაროები და თაროებზე დასუფთავებულ-დაკრიალებული თითბრის ქვაბები; შუაში გრძელი მაგიდა.

გული მეტკინა. ასე, სოფლიდან ჩამოსულ ნათესავებს ღებულობენ ხოლმე ბატონის სახლში მზარეულები, ან მოახლენი.

– დაბრძანდით, დაბრძანდით. აგერ ახლა, ამ ბახალას ვუვლიდი, ეზოში იყო უბედური, – დანვდა შაშვის თუ რაღაც ფრინველის ბარტყს და ნისკარტში სიყვარულით თითი ამოჰკრა, – ჩემს მეტი არავინ ჰყავს პატრონი, იქ კიდევ ორი მტრედი მყავს, იმათაც მე ვუვლი. ამას ვაჭმევდი ახლა, ერთი, ვაჭმევ ბარემ და მერე თქვენ მოგემსახურებით...

მერე გონს მოვიდა, ბახალა კუთხეში დასვა და ისევ ჩვენ მოგვიბრუნდა.

– რა დროს ეს არის, ამას მერეც მივხედავ. მითხარით ახლა, რა ამბავია ჩვენში. მოიცათ. კარადიდან ბოთლი გამოიღო.

– ერთი, ამ შეხვედრის აღსანიშნავად აპერიტივი გადაგკრათ.

ჭიქები ჩამოდგა, აავსო.

– რატომ არ გვიპასუხე უკანასკნელ წერილზე, – ვეკითხები და თვალს თვალში ვუყრი, საახალწლოდ რომ მოგწერეთ და ჩემი შვილიშვილის სურათი გამოგიგზავნეთ.

– არ შემეძლია, ველარ ვნერ. რამდენი ავიღებ კალამს, ამიტყდება ტირილი და თვალელები მიბნელდება.

– რად არ დაბრუნდი სამშობლოში? შენ ხომ გამოავზავნე განცხადება, თხოვნით: ნება მომეცით, დავბრუნდე ჩემს ქვეყანაშიო. ნებართვაც მოგცეს...

– როდის? მე არ მიმიღია.

– არ მიგიღია! სახლში გინდოდა მოერთმიათ ლანგრით? რად არ მიაკითხე?

– მაგაზე ნუ ვილაპარაკებთ...

– რად ნუ ვილაპარაკებთ. თავის დროზე მცოდნოდა რომ მიიპარებოდი, როგორადაც გამეძვრებოდი, იმასაც ვნახავდი. ვიგონებ ამ ოცდათხუთმეტი წლის წინანდელ ამბავს თითქო ჩემს წინ კვლავ ცხრამეტი წლის ჭაბუკი იდგეს და მე კიდევ ოცდასამი წლის უფროსი ძმა, ოჯახის მეთაურის როლში ვადგე თავზე. ჩემი სახლიკაცი კი იწურება, ვითომც ეს ამბავი გუშინ მომხდარიყოს და ცდილობს, საუბარი სხვაზე გადაიტანოს. მეკითხება შინაურ ამბებს და შემდეგ მიგვიწვია სახლის დასათვალთვალად.

აღმოჩნდა, რომ ეს შენობა აუგია ალექსანდრე დიუმას თავისი შვილი-სათვის. ამიტომაც აქ დაცული თვით დიუმასა და მისი შვილის ბიუსტები. ამჟამად ეს სახლი ეკუთვნის ვილაც დრეიფუსების ოჯახს და კერძო საკუთრებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, აქ მუზეუმივითაა დაცული ყველაფერი, განსაკუთრებით კი უბრწყინვალესი ბიბლიოთეკა დიდსა და საოცრად მაღალ დარბაზში მოთავსებული.

მეორე სართულზე გამოგვეგებენ სახლის პატრონი ქალები: დედა და მისი ქალიშვილი. ორთავენი თავაზიანად მოგვესალმენ, მაგრამ ვინაიდან მე ფრანგულზე საკმაოდ მწყრალოდა ვარ და გიმნაზიაში ნასწავლი საყველპურო ცოდნა აქ იოტისოდენადაც არ მეყოფოდა, „ბონ სუარის, ჟენ ნე პარლ პა ფრანსეს“ მეტი ველარა მოვახერხე რა და მასპინძლების ჟღერტულს მართო თავის კანტურით და თავაზიანი ღიმილით ვპასუხობდი.

დავიარეთ დარბაზები, დავათვალიერეთ კედლებზე დაკიდული ცნობილი მხატვრის სურათები, ჩავედით დიდი ხეებით დაჩრდილულ ეზოშიაც.

– ნავიდეთ, ახლა ჭიათურლები ვნახოთ, – მითხრა სახლიკაცმა.

ქუჩაში გავედით, ტაქსი ვიქირავეთ და ხუთმეტოდე ნუთის შემდეგ მივადექით ერთ საბაკალიო დუქანს. იგი ყოფილ შავი ქვის მრეწველს მიხეილ ჩუბინიძეს ეკუთვნის. ეს ჩუბინიძე მემკვიდრეა იმ გედევან ჩუბინიძისა, რომელმაც პავლე მოსეშვილთან ერთად ყველაზე პირველად დაიწყო შავი ქვის გატანა ჭიათურიდან გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში. გედევანს ცოლად ჰყავდა ბაბუაჩემის დაი მართა, ბელიაშვილის ქალი. იგი უშვილო იყო და მის მდიდარ ოჯახში სკასავით ზუზუნებდნენ ნათესავები, დისწულები და ძმისწულები. პატარაობისას ხშირად თვეობით და წლობითაც კი თავისთან ვყავდი და მგონია, რომ ეს მკაცრი და პირქუში ქალი მართო მე მილიმოდა. მათი სახლი ახლაც დგას ზესტაფონში თეატრის გვერდით. მიხეილს, გედევანის ძმის შვილისშვილს ბავშვობიდანვე ვიცნობ. იგი ჩემზე გაცილებით უფროსია, სამოცდაათ წელსაა მიღწეული. ახლა აქ, მაღაზიის მეპატრონე გამხდარა, წინსაფარი აუფარებია და ფრანგ დიასახლისებს საქონელს უწონის. დამინახა თუ არა, მაშინვე მიცნო.

გაიგონეს თუ არა ჩემი სახელი და გვარი, დანარჩენებიც შემომესიენ, ზოგი წინადაც მიცნობდა, ზოგი მწერლობით. თურმე აქ ყოველ საღამოობით თავს იყრიან ქართველები, განსაკუთრებით ჭიათურლები, რომ ერთმანეთს თავის მშობლიურ ენაზე გაესაუბრონ, ახალი ამბები უამბონ და საქართველოზე ჭორი და მართალი ჩამოფქვან.



ქართველი ქართველს შეხვდეს და ბოთლს თავი არ მოხსნას როგორ იქნება. მაღაზიის უკანა მხარეს, მაგიდას შემოვუსხედით ყველანი და ჭიქები ავწიეთ.

ყველას ერთი და იგივე აინტერესებს: რა ამბებია საქართველოში?

– მშვიდობა და კარგად ყოფნა, – ვეუბნები მე, რატომ ასე შორიდან კითხულობთ, რად არ დაბრუნდებით. რა დაგრჩენიათ აქ, ამ უცხო ქვეყანაში.

ეს არის ყველაზე მტკივნეული საკითხი მათთვის, რადგან სამშობლოზე დარდი, ვიცი, არცერთ მათგანს მოსვენებას არ აძლევს. მე თვითონ აი, ახლა, სულ ერთი სრული დღეც არ არის, რაც უცხოეთის საზღვარს ფეხი დავაბიჯე და გული უკვე შინისაკენ მიმინევს. როდესაც წარმოვიდგენ ჩემს ქვეყანას, ამწვანებულ მთა-გორებს, ჩემს მშობლიურ მიდამოებს, ჩემს ქუჩას, ჩემს მეგობრებს, ჩემს რედაქციებს, ჩემს სამუშაო მაგიდას და მოცუნცულეებულ შვილიშვილს, უკვე სულ თითებზე ვითვლი ეს ორი კვირა როდის გაივლის, რომ შინ დავბრუნდე-მეთქი. ესენი კი წლობით, ათეული წლობით განიცდიან ამ ტკივილებს, რომელიც ყველაზე უმძიმესი ავადმყოფობის – ნოსტალგიის სახელით არის ცნობილი.

ალბათ, მათთვის დასწერა რაფიელ ერისთავმა: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

მე არ ვიცი, თუ რა სამოთხეა ქცეული ქართველებისთვის პარიზი. შეიძლება, თბილისელი სტილიაგების წარმოდგენაში პარიზი მათთვის მართლა სამოთხეა, მაგრამ სინამდვილეში ქართველები პარიზში იმავე მდგომარეობაში არიან, როგორც ერთ დროს ჩვენში იყვნენ თურქეთიდან გადმობენილი ქურთები, რომელთა ხვედრი ეს იყო მტვირთავ მუშებათ მუშაობა და ბნელ სარდაფებში ცხოვრება. შეიძლება, უცხოეთში გადახვეწილი ზოგიერთი ქართველი ცოტა უკეთეს პირობებშია ცი იყოს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენში არცერთი მათგანი არ დათანხმდებოდა ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ იკადრებდა ისეთი საქმისათვის მოეკიდა ხელი, რომელსაც ის უცხოეთში ჰკიდებს. ყველაზე უკეთესი პროფესია მათთვის ესაა ტაქსის შოფრობა. მაგრამ თავი დავანებოთ ჩვენებურ უკუდო ამპარტავნებას. ბოლოს და ბოლოს, თუ ადამიანი პატიოსანი შრომით ირჩენს თავს, არავითარი პროფესია საძრახისი არ არის. საქმე ისაა, რომ უცხოეთში გადახვეწილი ეს ბედის მაძიებლები ფიქრობდნენ ცაზე ვარსკვლავებს მოვკრეფთო, თავის ქვეყანაში იქნებ, მართლაც კი მიწვდომოდნენ ვარსკვლა-

ვეებს თუ არა, მაღალ ანძებზე დადგმულ ელექტროლამპებს მაინც, მაგრამ იქ, უცხოეთში ბევრი მათგანი დღეს ვერც კი გაგიმხელს თავის ხელობას.

მე დრო არა მქონდა დაწვრილებით გავცნობოდი ჩემს თანამემამულეთა ყოფა-ცხოვრებას, მაგრამ ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისი იყო ჩემთვის, რომ ნათლად დამენახა, თუ რა დღეში არიან ეს ბედკრული ადამიანები.

როგორ არ მოვიგონო ბარათაშვილის:

„უნინამც დღე კი დამელევა მე!  
უცხოობაში რაა სიამე,  
სადაცა ვერვის იკარებს სული  
და არს უთვისო, დაობლებული?  
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,  
გალიაშია დატყვევებული!  
და ველად იგი ამხანაგთ შორის,  
ჭირსაც ვით ღვინსა ერთგვარ დამღერის!  
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება;  
თავის მამულში მას გაჭირვება  
სხვადასხვა რიგად ენუგეშება:  
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის  
და გულსა გულის პასუხი ესმის!“

ჩემს შეკითხვაზე არეული პასუხები მესმის. თითქმის ყოველი მათგანი ოცნებობს სამშობლოში დაბრუნებაზე.

საერთოდ, უნდა ითქვას, ესაა ქართველი კაცის სასახელო თვისება. ამიტომ აქაც მესმის ყოველი მხრიდან, გვინდა, როგორ არ გვინდა, მაგრამ...

მაგრამ ყოველ მათგანს თავისი რაიმე მიზეზი აქვს. ზოგს აღარავინ არ გააჩნია ნათესავთაგანი თავის ქვეყანაში; აქ კი შეგუებია ცხოვრებას და შიშობს, ვაითუ, ჩემს მინაზე ველარ შევეგუო ახალ პირობებსო, ზოგს ძველი შიში ჩარჩენია გულში, ზოგს არავითარი ცოდნა არ გააჩნია და თავის ქვეყანაში ასე უბირად დაბრუნება ეთაკილება, ზოგი გულით ფიქრობს წამოსვლას და საერთაშორისო გამოდარებას ელოდება...

მე კი ვუამბობ, თუ როგორ გარდაიქმნა ჩვენი ქვეყანა, რამდენი გაკეთდა და აშენდა, რამდენი კეთდება... რუსთავი, ლაჯანურის და გუმათის გიგანტური სადგურები, უამრავი ფაბრიკა-ქარხნები, ჩაის პლანტაციები, ვე-

ნახები, ბალები. ვუამბე, რომ ჩვენ ბადალი არა გვყავს უმაღლესი განათლების მქონეთა მხრივ, რომ...

მაგრამ თურმე ყველაფერი ეს იციან.

– თუ ეს იცით, აბა, ისიც გეცოდინებათ, რომ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა საქვეყნოდ განაცხადა: საბჭოთა ქვეყანაში მე პოლიტიკური პატიმარი აღარა მყავსო და რომ ეს მისი განცხადება აბსოლუტური სინამდვილეა...

– ეგეც ვიცით... სრული სიმართლეა, აგრეა, – მეუბნება ერთი ყველაზე სკეპტიკოსთაგანი, მაგრამ ეგ დღესაა აგრე და ხვალაც აგრე იქნება თუ არა, რა ვიცით?

– შე დალოცვილო, ხვალ თქვენთან რა იქნება, აქ, ის თუ იცით? თქვენ ორმოცი წელიწადია უცდით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას (მენშევიკები ხალხს პირდებოდნენ 1921 წელს, ბოლშევიკები ორ კვირაზე მეტს ვერ გაძლებნო), მაგრამ თუ კიდევ უცადეთ, ძალიან ვეჭვობ, რომ რომელიმე თქვენგანი ისე დღეგრძელი გამოდგეს, რომ იცოცხლოს იმდენ წელიწადს, რამდენსაც ეს ხელისუფლება იარსებებს. განა რამდენი წელი დაგრჩენიათ კიდევ სიცოცხლისა, რომ ამ სულელურ მოლოდინში გაატაროთ და არ დაუბრუნდეთ თქვენს მშობლიურ მინას, თქვენს ნათესავებს, დედ-მამას, ძმებსა და დებს, შვილებსა და შვილიშვილებს, გაიზიაროთ მათი ავი და კარგი, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენი ხალხის დიად და პატიოსან შრომაში, გაიზიაროთ ჩვენი ჭირი და ლხინი.

ასეთი იყო დაახლოებით ჩვენი საუბარი. დამსწრეთა შორის ყველაზე უფრო გულმხურვალედ გამომეხმაურა ერთი თიანეთელი ახალგაზრდა კაცი, ვანო მშვენიერაძე. იგი სამამულო ომის მონაწილე ყოფილა, ტყვედ ჩავარდნილა, პარიზში მოხვედრილა, შოფრობა უსწავლია, აქვე დაცოლშვილებულა და ტაქსზე მუშაობს. სამშობლოში დაბრუნება ოცნებათა აქვს გადაქცეული, მაგრამ ვერ ბედავს, რადგან დაურწმუნებიათ – ტყვედ ჩავარდნილებს აციმბირებნო.

– ამათ რა იციან, თუ რა არის დღეს ჩვენი ქვეყანა, – მეუბნება იგი, ამათ ჰგონიათ, როგორც ორმოცი წლის წინად დატოვეს იგი მშვიერი და მწყურვალი, ჩამოქეცილ-ჩამოღლეტილი ისევე ისეა...

ვანოს გულით სურს თავის ქვეყანაში დაბრუნება. თუ სხვები ვერ ბედავენ სხვათა გასაგონათ ამის ხმამაღლა თქმას და ყურში ჩამჩურჩულებენ, ეს თამამად ლაპარაკობს ამაზე და ალბათ, მალე კიდევაც შეისრულებს გულის წადილს.

ვანომ შემომთავაზა, ლამის პარიზი უნდა დაგათვალიერებინოთო. ჩავ-ვისვა მანქანაში და მთელი ეს მართლა ზღაპრული პარიზი შემოგვატარა. როდესაც ვარსკვლავის, ანუ ეტუალის მოედანზე ამოვყავით თავი ყველა-ზე დიდი ტრიუმფალური არკის, ანუ თალის ქვეშ, სადაც უცნობი ჯარისკა-ცის საფლავია, რაღაც საზეიმო ცერემონიალი მიმდინარეობდა. თალიდან ჩამოეშვათ საფრანგეთის ეროვნული სამფეროვანი გიგანტური ალამი, სამხედრო პირს – ოფიცერს ხელში დროშა ეჭირა და საფლავზე დაეხარა. მგონი, ვიღაც უცხოელ დელეგაციას ტრადიციულად გვირგვინი მოერთმია უცნობი ჯარისკაცის საფლავზე, რადგან იქ, სადაც უქრობი ცეცხლი ანთია, მართლაც იდო ცოცხალი ყვავილებისაგან შეკრული გვირგვინი. გარშემო კი ფრანგი პოლიციელები იდგნენ.

ჩვენ თავისუფლად შევედით ჭიშკარის შიგნით, წავიკითხეთ წარწერე-ბი, შემოვუარეთ გარშემო და შემდეგ გზა განვაგრძეთ, რომ გვენახა სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. ეტუალის მოედნიდან თანხმობის მოედნამდე გადაჭიმულია პარიზის ყველაზე უმშვენიერესი ქუჩა ელისეს მინდვრების სახელწოდებით ცნობილი. თანხმობის მოედანზეა აღმართული ეგვიპტური ობელისკი, რომელზედაც რამზეს მეორეს ისტორიაა ამოკვეთილი იეროგ-ლიფების სახით. შემდეგ ვნახეთ ვანდომის კოლონა, რომელიც ჩამოსხმუ-ლია მტრის ათას ორასი ზარბაზნისაგან. ეს კოლონა ძირს დასცეს ერთ დროს პარიზის კომუნარებმა, მაგრამ შემდეგში იგი აღდგენილი იქნა.


ლამით, ჩვენი სასტუმროს ახლოს, წყურვილის მოსაკლავად შევედით ბარ-ში. ეს პატარა ბარი ვიღაც ხანშიშესულ ქალს (თავს რომ მოიახალგაზრდავე-ბენ ხოლმე ისეთს) ეკუთვნის. კარში ჩაუყენებია ლამაზი, მიმზიდველი მომსა-ხურე გოგონა მუშტრების მისაზიდათ. დახლთან მიმდგარ მაღალ სკამებზე ორი თუ სამი მეღამია პარიზელი ჩამომჯდარა და ლუდსა წრუპავს. ჩვენ მა-გიდას მივუსხედით და მინერალური წყალი მოვითხოვეთ. დახლში ჩამდგარი დიასახლისი გამოგვესაუბრა, მერე რადიოთი საცეკვაოები დაუკრა და მომსა-ხურე გოგონამ ქანდარაზე ჩამომსხდარ ერთ-ერთ სტუმართან ცეკვა დაიწყო.

– დიასახლისს უნდა ჩვენც ავცეკვდეთ, – მეუბნება ვანო – მერე ის გო-გონა შემოგვთავაზებს დავლიოთ რამე... მერე... ეხ, რა იცით თქვენ, პატივ-ცემულო აკაკი, პარიზი. აქ ყოველი ადამიანი ფულზე თევზაობს.

დიასახლისი გავანზილეთ. მარტოდმარტო ვიძის მჟავე წყალი დავლიეთ და ბარი დავტოვეთ, ჩვენს თანამგზავრებს მადლობა ვუთხარით და სას-ტუმროში დასაძინებლად წავედით.



ლადო ბელიაშვილი  
პარიზი, 20 სექტემბერი, 1922




ფოტოს უკანა მხარე





ლადო ბელიაშვილი და უცნობი  
საფრანგეთი, 1920-იანი წლები



ფოტოს უკანა მხარე





ლადო ბელიაშვილი მეგობრებთან ერთად  
საფრანგეთი, 1920-იანი წლები



ლადო ბელიაშვილი მეგობრებთან ერთად  
საფრანგეთი, 1920-იანი წლები



ლადო ბელიაშვილი მეგობრებთან ერთად  
საფრანგეთი, 1920-იანი წლები



ლადო ბელიაშვილი მეგობრის შვილებთან ერთად  
საფრანგეთი, 1930-იანი წლები





ლადო ბელიაშვილი მეზობელ გოგონებთან ერთად  
პარიზი, 1940-იანი წლები



უცნობი და ლადო ბელიაშვილი  
საფრანგეთი, 1940-იანი წლები



ქართველი ემიგრანტების შეხვედრა პარიზში  
ცენტრში, ფანჯარასთან ლადო ბელიაშვილი




ლადო ბელიაშვილის დაკრძალვის ცერემონია  
ლევლის ქართველთა სასაფლაოზე  
საფრანგეთი, 1961













დილით კი უკვე მთელი ჩვენი ტურისტული ჯგუფი ავტობუსში იჯდა და ოდესელი თუ ბერდიჩეველი ებრაელი ერთ დროს ალბათ, თეთრებთან ერთად გადახვენილი საფრანგეთში, ახლა მშვენიერი რუსულით გვაცნობს პარიზის ქუჩებს და გვანვდის სხვა საინტერესო ცნობებს:

– ეს არის მონმარტრი, – გვეუბნება ის, – აქ არის ცნობილი კაბარეები; მულენ-რუჟი, სადაც იცეკვა პრინცესა ელისაბედმა, და მრავალი სხვა. პარიზში რვა მილიონი მცხოვრებია, ხუთი ათასი ქუჩა, ოთხმოცდახუთიათასი ნაბლის ხე, ორმოცდაათი მუზეუმი, ორმოცდაათი თეატრი, ოთხასი კინო, აგერ, რუსული კაბარე „ლამურა“ („ლეტუჩაია მიშ“). აი, შეხედეთ ეს არის კინოთეატრი „ჰომონპალას“-ი, უდიდესი მსოფლიოში.

ოჰ, როგორ უყვართ ყოველ ქალაქში მსოფლიოში უდიდესი რამეების დასახელება. შემდეგში ამერიკაშიაც გვაჩვენეს უდიდესი კინო მთელ მსოფლიოში.

– აგერ, სასაფლაო მონმარტრზე, – განაგრძობდა ჩვენი გიდი. აქ არიან დასაფლავებულები მსოფლიოში ცნობილი მოცეკვავე ნიჟინსკი, ჰენრიხ ჰაინე, მადამ რეკამიე. პარიზშია ორიათასი სასტუმრო, ათასი რესტორანი. აი, ხედავთ ქანდაკებას, წინათ ის ბრინჯაოსი იყო, მაგრამ გერმანელებმა მთელ პარიზში მოხსნეს ყველა ბრინჯაოს ქანდაკება და მის ნაცვლად, ყველგან ქვისა დადგეს. ბრინჯაო ზარბაზნებისთვის ჭირდებოდათ. მარტო სამხედრო ძეგლები არ აუღიათ. აგერ, ებრაელების საბავშვო ბაგა. პარიზში ას სამოცდახუთი ეკლესიაა. უკვე დილის თერთმეტი საათია და მე ვერ ვხედავ ნამდვილ პარიზელ ქალს, რომ თქვენ იცოდეთ და ნათელი წარმოდგენა გქონდეთ პარიზელ ქალებზე. ახლა მოდაშია მაღალი ყელი, ვიწრო წელი, მოკლე კაბა, მუხლები შიშველი, წვეტიანი ფეხსაცმელი ნემსებივით წვრილ ფანდაკებით, ზურგი მთლად შიშველი. ესეც იცოდეთ, რომ პარიზში ოცდაათი ათასი მკერავი ქალია. პარიზული მოდა ვრცელდება მთელ მსოფლიოში. აი, აი, შეხედეთ, ძლივს ერთი პარიზელი ქალი დავინახე.

ქუჩას გადადიოდა მოკლე გაფხორილკაბიანი ქალი. ჩვენი ყურადღება მისმა თმებმა მიიპყრო. ჩვენებურ მეცხვარის მაღალ ბანჯგვლიან ქუდს მიუგავდა თმები. რა ხერხით იყენებენ ამგვარათ, ან რათი ამალლებენ თავზე ასე, ჩემთვის წარმოუდგენელია, რადგან გრძელ თმას როგორც ცნობილია, აღარავინ ატარებს, ხოლო მოკლე თმის ასე ბზის ზვინივით თავზე დადგმა რა სასწაულებით ხდება, არ ვიცი.

მიჭერის ჩვენი ავტობუსი პარიზის ქუჩებში და ჩვენს თვალწინ ხან ტილოთი დახურული საჩიხების ქვეშ დადგმული მაგიდეები ელავენ, ხან ნაბლებით დაბურვილი ხეივნები, ხან საოცრად ვიწრო ქუჩები, სადაც ჩვენი ავტობუსი ძლივს მიძვრება, ხან ერთიერთმანეთზე მიყოლებული განკრიალებული მაღაზიის ვიტრინები, ხან გოთური ტაძრები ცაში აწვეტილი გუმბათებით, ხან განიერ, მთავარ ქუჩაზე გავდივართ და ავტომანქანების მორევში მივცურავთ.

ჩვენი გიდი კი განაგრძობს თავის არეულ-დარეულ ლაქლაქს.

– გერმანელებს ოკუპაციის დროს მეტისმეტად თავდაჭერილად ეჭირათ თავი. მათი ოფიცრები ცდილობდნენ, თავაზიანი მოპყრობით და გალანტურობით გაეკვირვებიათ პარიზელი ქალები. ჰიტლერიც ეწვია პარიზს და „ტროკადეროში“ კიდევაც იცეკვა. ასეთი იყვნენ გერმანელები, სანამ დამარცხების საფრთხის წინაშე არ დადგნენ. მერე კი მიჰყვეს ხელი დახვრეტებს. და გიდი უცბათ სხვაზე გადადის – პარიზი შვიდ გორაკზეა გაშენებული, აქ არის მეტროს 365 სადგური. ამჟამად, მეტროს მუშაკების, ექიმების და დანტისტების გაფიცვა მიმდინარეობს. პარიზში გამოდის სამი რუსული გაზეთი, უაღრესად შავრაზმული, ზომიერი მიმართულებისა და პროგრესიული. აი, ახლა თქვენ ხედავთ ტიულერის სასახლეს. ამ მოედანზე იყო აღმართული გილიოტინა.

მალე ჩვენი ავტობუსი შეჩერდა ინვალიდების სახლთან. ჩვენი გიდის სიტყვით, ამ სახლში ახლა ძალზე მცირე რაოდენობის ომის ინვალიდი ცხოვრობს. ინვალიდების სახლის საერთო ანსამბლს ამშვენებს მაღალგუმბათიანი კაპელა, სადაც დასაფლავებულია პატარა კორსიკანელი, გამოჩენილი მხედართმთავარი და შემდეგში საფრანგეთის იმპერატორი, ნაპოლეონი. ჩვენ ჩამოვედით ავტობუსიდან და მაშინვე გავემართეთ ამ შეუდარებელი სარდლის საფლავის სანახავად. იგი კაპელის შუაგულშია მოთავსებული, ჭასავით ამოჭრილ ლუსკუმას ფსკერზე, სადაც დგას კარელიის წითელი გრანიტის სარკოფაგი. ჩვენი გიდის სიტყვით, ნაპოლეონი ერთმანეთში ჩადგმულ ექვს კუბოში ყოფილა ჩასვენებული. გარშემო აღმართულ სვეტებზე მიყრდნობილი თორმეტი ანგელოსი, მისი თორმეტი დიდი გამარჯვება დასცქერის თავზე.

ჩავცქერი მოაჯირზე მიყრდნობილი ამ დიდებული ადამიანის საფლავს და უაღრესი პატივისცემის გრძნობა მიპყრობს ფრანგი ხალხისადმი, რომელიც ასე უკვდავყოფს იმ უცხო ტომის წარმომადგენელს (ნაპოლეონი ფრანგი არ იყო, არამედ კორსიკანელი, ხოლო ეს უკანასკნელნი, იბერიული ტომების შთამომავალნი არიან), რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ფრანგი ხალხის კეთილდღეობას და საფრანგეთი დიდების მწვერვალ-



ზე აიყვანა. თავის დროზე ცხადია, ბურბონთა დინასტიის წარმომადგენლებს და რეაქციონურად განწყობილ არისტოკრატთა ნაპოლეონის სახელს ვერ უხსენებდი და კარგა ხანი გავიდა, სანამ მის ნემტს წმინდა ელენეს კუნძულიდან პარიზში გადმოსვენებდნენ, მაგრამ დრო ყველაზე საუკეთესო გამოცდა ყოფილა უკვდავთათვის. და განა შეეძლოთ იმ ჭიალუა არისტოკრატებს ჩაექროთ მისი სახელის ბრწყინვალეობა, ან დავინყებისთვის მიეცათ ყოველივე ის, რაც ნაპოლეონმა გააკეთა?

ამავე კაპელაშია დასაფლავებული გენერალი ფოში, ცალკე ურნაშია მოთავსებული ყველაზე კარგი ჯარისკაცის გული (ფრანგებმა იციან ასე ნაწილ-ნაწილ დასაფლავება კაცისა, მაგალითად, გულს ერთ ქალაქში დაასაფლავებენ, ნაწლავებს და შიგნეულს მეორეში, დანარჩენ ნემტს მესამეში).

ერთ-ერთ ეკვდერში ასვენია ნაპოლეონის შვილი, რომელიც როგორც ცნობილია, დაკრძალული იყო ვენაში, კაპუცინების მონასტერში, მაგრამ გერმანელებს, ფრანგების გულის მოსაგებათ იგი აქ გადმოუტანიათ და თავისი მამის ახლო მოუთავსებიათ.

გასასვლელთან კოპნიათ გამოწყობილი მოლოზანი ზის და ღვთის სახელით, ყულაბით ფულებს აგროვებს. იმათაც ჭამა უნდათ თუ არა! სამწუხაროთ, მათ ჯერ ვერ მიაღწიეს ისეთ სასწაულს, რომ წმინდანებივით არსებობდნენ უსმელ-უჭმელად, ანუ უსაზრდოოთ. თვით ახლანდელი რომის პაპიც კი, რომელიც განსახიერება უნდა იყოს ამქვეყნიური ნეტარებისაგან ხელის აღების, სულიერად განსპეტაკების, უნდა ინახავდეს მარხვას, ეტყობა, დიდათ მოყვარული უნდა იყოს ჭამა-სმისა, რადგან ქვეყნათ კონკურსი რომ გამოაცხადონ მუცლის სიდიდეზე, ვფიქრობ, რომ პირველი ჯილდო ნაღდათ ჯიბეში ექნებოდა. თუ არა გჯერათ, ნახეთ მისი სურათი №44 ჟურნალ „ამერიკაში“, როდესაც ის ლოცვა-კურთხევას მიუძღვნის პრეზიდენტ ეიზენჰაუერს.

ჩვენი ავტობუსი საფრანგეთის სამხედრო აკადემიის წინ შეჩერდა. ეს შენობა მაისის მინდვრებს და ეიფელის კოშკს გაჰყურებს. ჩამოვედით თუ არა ავტობუსიდან, მაშინვე მოცვივდნენ ჩვენთან პარიზელი ფერეზიკები, უბიდან პატარა წიგნაკები ამოიღეს და შემოგვთავაზეს, იყიდეთო. დავხედეთ, პორნოგრაფიული სურათების ალბომები აღმოჩნდა.

თავზე კი დაგვცქეროდა საფრანგეთის სახელგანთქმული სარდლის, მარშალ ჟოფრის ქანდაკება.

ჩვენ ზურგი შევაქციეთ ამ უხამსი სურათებით მოვაჭრეებს და ეიფელის კოშკს გავხედეთ. იგი არც თუ ისე დიდათ მომეჩვენა. ცხადია, ჩვენი ფუნი-

კულორის, სატელევიზიო კოშკის, რომელთა საერთო სიმაღლე სანაპირო-დან თითქმის ორჯერ აღემატება ამ კოშკის სიმაღლეს და საერთოდ, ჩვენი არა მარტო გიგანტური მთების, არამედ უბრალოდ, ჩვენი მასშტაბური მშენებლობის მნახველს ეიფელის კოშკი გამაკვირვებს?! თუკი ერთ დროს ეს ნაგებობა ითვლებოდა ტექნიკის სასწაულად, ახლა ჩვენზე იგი ისეთივე სასწაულის შთაბეჭდილებას სტოვებს, როგორც მაგალითად, ჩვეულებრივი სამგზავრო თვითმფრინავის გაფრენა ცაში.

ჩავუარეთ შაიოს სასახლეს. ჩვენმა გიდმა გვითხრა, ამ სასახლის მიდამოებში სულ ამერიკელები ცხოვრობენო. საერთოდ, აქ ცოდნიათ ასე, უბნების ამოჩემა სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთ. ასევე, მაგალითად, ინგლისელები სენ-ლაზარის ვაგზლის მიდამოებში არიან თავმოყრილნი, სომხები და ებრაელები მონმარტრისაში, ქართველები რომელიღაც სოფელში, ქალაქის გარეთ, სადაც ისინი თურმე თესენ სიმინდს და უვლიან ძროხებს. შაიოს სასახლის მიდამოები უმდიდრესად ითვლება მთელ პარიზში ისევე, როგორც სენ-ჟერმენისა და ამერიკელებსაც ალბათ, ამისთვის აურჩევიათ ასეთი კუთხე საცხოვრებლად.

როდენის მუზეუმი შორიდან დაგვანახვეს, და მე ვერც კი გავარკვიე ნე-სიერად, რომელ შენობაზე მიგვითითებდნენ. გულისტკივილით უნდა აღვნიშნო ეს ფაქტი, რომ მე პარიზში ვიყავი და ვერ შევძელი ამ გენიალური ჯადოქარი მოქანდაკის სახელოსნო დამეთვალიერებია.

პარიზში ოცდაჩვიდმეტი ხიდიაო, გამოგვიცხადა ჩვენმა გიდმა და მკითხველს უნდა გავუმხილო, რომ მე სხვებისაგან ფარულად დავინწყე თითებზე ჩამოთვლა, რამდენია თბილისში-მეთქი. აღმოჩნდა, რომ თუ ორთაჭალის ჯერ დაუმთავრებელ ხიდს მივუმატებთ ცხრა გვექონია მდინარე მტკვარზე. მაგრამ თბილისი ხომ ათჯერ ნაკლებია პარიზზე. პროპორციის მიხედვით, ოთხი უნდა გვექონდეს. მაშინ გამოდის, რომ ჩვენ ორჯერ მეტი რაოდენობა გვექონია ხიდებისა, ვიდრე პარიზელებს.

თუ პროპორციებს მოვიშველიებთ, ბევრჯერ გამოვალთ გამარჯვებული. არათუ გამარჯვებული, ბევრ შემთხვევაში ეს მათემატიკური ხერხიც კი არ არის საჭირო.

ჩვენ გავიარეთ საავტომობილო ქარხნის, რენოს მუშათა უბანი, რომელსაც კომუნისტურს უწოდებენ. რენოს ქარხნებში კი ორმოციათასი კაცი მუშაობს. გიდი გვიამბობს, რომ პარიზის ერთ-ერთ უბან სენ-კლუში შან-

ტაჟისტებს გაუტაცნიათ საავტომობილო ქარხნის პატრონის, პეჟოს შვილი და მოუთხოვიათ ორასი მილიონი ფრანკი გამოსასყიდათ. მთელი პოლიცია ფეხზე დადგა, მაგრამ კვალის ნიშანსაც ვერ მიაგნეს. პეჟო იძულებული გამხდარა, გადაეხადა ეს თანხა და მას ცხადია, შვილი უვნებლად დაუბრუნეს. ამბობენ, რომ ეს საქმე დღესაც ვერ არის გახსნილი.

გავიარეთ სენ-კლუს პარკის ქვეშ გაჭრილი რვაასმეტრიანი გვირაბი და დავინახეთ მინდვრებზე საბალახოთ გაშვებული ცხენები. ეს თურმე მილიონერ ბუისაკის ყოფილა. მას ჰყოლია ხუთასი ჯიშოანი ცხენი და ყველაზე თავგამოდებული მონანილეა პარიზის საჯირითო მოედნებისა.

ჩვენი ავტომანქანა ავტოსტრადაზე მისრიალებს. უნდა ითქვას, რომ ფრანგებს საუკეთესო გზები ჰქონიათ ევროპაში. მათი საერთო სიგრძე უდრის ერთ მილიონ კილომეტრს.

მაღე ვერსალში მივედით. იგი პატარა, მყუდრო ქალაქია, სამოცი ათასი მცხოვრებით და როგორც გიდი განმარტავს, ამდენივე ჭორიკანით.

– ეს არის უმდიდრესი ქალაქიო, – გვეუბნება იგი. აქ არის უამრავი საჯინიბო, სადაც ორიათას ხუთასი ცხენი ჰყავთ. როგორც ხედავთ, ფრანგებს ძალზე ჰყვარებიათ საცხენოსნო სპორტი.

ბოლოს, ავედით შემალლებულ ზეგანზე და გამოჩნდა ვერსალის დიდებული სასახლე. იგი ორიათასი ოთახისაგან შედგება. ამ შენობას იცავდა ათი ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. სასახლის გარშემო მცირე შენობებში კი ცხოვრობდა ოცი ათასი მსახური მეფისა.

სასახლის მოედანზე აღმართულია ცხენზე ამხედრებული ლიუდოვიკ მეოთხემეტის ძეგლი. იგი თავის თავს მზეს ადარებდა და ასედაც იხსენიებდნენ: მეფე-მზე. თუმცა, იგი ისევე ჰგავს მზეს, როგორც საზამთრო ლომს.

სასახლე აღრეულ სტილზეა ნაგები. ნაწილი კორპუსებისა როკოკოა, ნაწილი – ამპირი. ამ სასახლეს აგებდნენ ცნობილი არქიტექტორები ჯერლევო და მისი სიკვდილის შემდეგ, ჟიულ მანსარი.

საერთოდ, ვერსალის მოხატვა-გამშენიერებაზე მუშაობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ოსტატები: მხატვარი შ. ლებრენი, მოქანდაკენი: ფ. ჟირარდონი და ა. კუაზევოკსი, მეავეჯე შ. ბული, მოვარაყე ჟ. კაფიერი.

პირველად სასახლის კაპელა ანუ ჩვენებურად, კარის ეკლესია დავათვალიერეთ. იგი ყველაზე საუკეთესოა თურმე მსოფლიოში და მნახველზე მართლაც, მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

შემდეგ შევუდექით ცარიელი დარბაზების დათვალიერებას. მთელი ავეჯი გაუყიდათ აუქციონით საფრანგეთის რევოლუციის დროს. გაყიდვა გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში.

მისაღები დარბაზის ფართობი სამას ორმოცდაათი კვადრატული მეტრია. ამბობენ, ამ დარბაზის ჭერი ყველაზე დიდია მსოფლიოშიო. იგი მოხატულია ჰერკულესის და ოლიმპზე დაბინავებულ სხვა ღმერთების გამოსახულებით. გიდი გვიამბობს, რომ იმ ხანებში იატაკზე აფენდნენ თივას და ზედ კიდევ მიმოფანტავდნენ ლურჯ ყვავილებს, რაც უალრესი სიმდიდრის ნიშანი იყო. ამით იატაკს იცავდნენ, რომ იგი არ გაეფუჭებიათ თავიანთი ჩექმებით სასახლის მცველ ჯარისკაცებს და ოფიცრებსო.

შემდეგ დავიარეთ სასახლის უამრავი დარბაზი, რომელთა შორის აღსანიშნავია სარკის დიდი დარბაზი, სატახტო, კარტის სათამაშო და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია.

ვნახეთ ის ოთახი და მაგიდა, სადაც ხელი მოაწერეს 1919 წელს ვერსალის ზავს. არ ვიცი, ამ დარბაზში იყო თუ კომპიენის ტყეში, როდესაც ხელის მოწერის წინ კლემანსომ შეაჩერა გერმანიის წარმომადგენლები, გავიდა მეორე დარბაზში და იქიდან გამოიტანა ის ბატის ფრთის კალამი, რომლითაც ფრანგებმა ხელი მოაწერეს 1871 წელს გერმანიასთან დამარცხების შემდეგ თავის სამარცხვინო ზავს. ახლა კი, გამარჯვებულმა კლემანსომ გაუწოდა ეს კალამი და უთხრა:

– გერმანელების წარმომადგენლებს ორმოცდარვა წელი ველოდებოდი ჩემი ცხოვრების ამ ყველაზე საზეიმო წუთს და კეთილ ინებეთ, აი, ამ კალმით ხელი მოაწეროთ თქვენი დამარცხების დოკუმენტსო.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ გერმანელები ხშირი სტუმრები იყვნენ ვერსალისა. ხოლო გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს, 1871 წლის 18 იანვარს სწორეთ ვერსალის სასახლის სარკის დარბაზში ვილჰელმ პირველი დაგვირგვინებული იქნა გერმანიის იმპერატორად.

რა იცოდა კლემანსომ, რომ მისივე თანამებრძოლთა ბეცი პოლიტიკის შედეგად, იმავე კომპიენის ტყეში სულ ოციოდე წლის შემდეგ, ჰიტლერი იმავე ვაგონში, იმავე კალმით მოაწერინებდა ფრანგებს ხელს დამარცხებაზე და ვერსალის სასახლეში კვლავ აბრახუნდებოდნენ გერმანული ჩექმები. მართალია, ეს გამარჯვება ძალზე ხანმოკლე გამოდგა და ყოყლოჩინა

ჰიტლერი თავისივე სატახტო ქალაქში იქნა მობეგვილი საბჭოთა ჯარების მიერ, მაგრამ ძნელია იმის გაგება, თუ რამდენად სწორი დასკვნა გამოიტანეს საფრანგეთის მმართველმა წრეებმა ამ ისტორიული მაგალითების შედეგათ. როგორც ვატიკოზ, ისინი კვლავ გულმოდგინეთ ლესავენ თავის დასაკლავ დანას და ამ დანას ხელში უდებენ ფედერალურ გერმანიას.

ვერსალის სასახლის სატახტო დარბაზში დგმულა ვერცხლის ტახტი, რომელიც დაკარგულა საფრანგეთის რევოლუციის დროს. ამჟამად ამ დარბაზში კედელზე ჰკიდია დიდი გობელენი, რომელზედაც გამოსახულია იაზონი და მედეა.

როდესაც საფრანგეთს სწვევია ინგლისის კოროლევა ელისაბედი, მთავრობას მისთვის ამავე დარბაზში ბანკეტი გაუმართავს. გიდის სიტყვით, ეს ბანკეტი დამჯდარა ერთი მილიარდი და ორასი მილიონი ფრანკი (თორმეტი მილიონი ახალი ფრანკი). ამ ბანკეტის დიდი ღირებულება გამონწეული იყო იმით, რომ მთელ სასახლეში, გარდა ამ შიშველი დარბაზებისა, არაფერი არ მოიპოება. აქ არც წყალსადენის გაყვანილობაა, არც პირისსაბნები ან აბაზანებია და თქვენ წარმოიდგინეთ, არც საპირფარეშოები. ამიტომ დედოფლის და მისი დიდი ამალის მომსახურეობა (დედოფალს თურმე, მარიამ ანტუანეტას საწოლ დარბაზში მოუსვენეს) იყო უძნელესი პრობლემა.

ყოველ ისტორიულ ეპოქაში, წარსულში, ჩვენ ვხედავთ ხოლმე ხანდახან ისეთ ჩვევებს, რომლებიც თანამედროვეობაში წარმოუდგენელ სისულელედ გამოიყურება. ლიუდოვიკოს დროს მოდა იყო მამაკაცებს პარიკები ეტარებიათ. ისეთი პარიკები, რომ ცხელი მაშებით დახვეულ-დაკულულებული თმები მხრებზე უნდა ჰქონოდათ დაყრილი. ლიუდოვიკო მეთოთხმეტეს დრომდე თეთრ ან ქერა პარიკებს მხოლოდ ქალები ატარებდნენ, მაგრამ შემდეგ მამაკაცებმაც შემოიღეს ასეთი ფერის თავსამკაულების ტარება და ვინაიდან თეთრი პარიკი გასაოცრად ძვირი იყო, ჩვეულებრივებს პუდრით ათეთრებდნენ ხოლმე.

ჩვენ გვაჩვენეს ოთახი, სადაც კედლებზე ეკიდა თურმე სამასი პარიკი ლიუდოვიკო მეთოთხმეტისა.

ვნახეთ ლიუდოვიკოს სასადილო დარბაზი. აქვე გვიამბეს, რომ ლიუდოვიკოს ჰქონდა კიდევ საგანგებო სასადილო დარბაზი, სადაც შეეძლო მოსვლა ყოველ მსურველს და ენახა, როგორ სადილობს მეფე.

სადილობით კი გაგინხარიათ, თურმე ის სადილობდა. ოცი თავი სასაუზმოდ კერძი მოჰქონდათ, ოცი წვნიანი, ოცი თევზეული, ოცი შემწვარ-მოხრა-



კული, ოცი ტკბილეული, ერთის სიტყვით, სულ ასი კერძი უნდა ყოფილიყო. ცხადია, ამდენს ცხენიც ვერ შეჭამდა, მაგრამ რისი მეფე იყო, თუ ამაზე ნაკლებს მიართმევდნენ.

ვნახეთ ის აივანი, საიდანაც მარიამ ანტუანეტა იძულებული იყო რევოლუციის დროს გამოცხადებოდა აბობოქრებულ ხალხს, სანამ მას თავს მოკვეთდნენ.

რამდენი დარბაზი დავიარეთ აღარ მახსოვს, რადგან ჩვენ გაჭენებული ცხენებივით გავრბოდით, რომ ყველაფრის ნახვა მოგვესწრო.

როდესაც ეზოში გავედით, რათა მსოფლიოში ცნობილი ვერსალის ბაღი დაგვეთვალიერებია, ამ დროს კარიბჭეში ყვავებივით თუ შავკაბიანი და თეთრ გულისპირიანი კაჭკაჭებივით შემოფორიალდნენ მოლოზნები. ისინიც სასახლის დასათვალიერებლად მოსულიყვნენ.

ვერსალის სასახლე ძალზე დაძველებული შენობაა. მისი სახურავის კოჭები და დვირები ისეა დახრილი ან დამპალი, გიდის სიტყვით, თურმე ზოგიერთ დარბაზში გავლაც კი საშიშია, ან იატაკი არ ჩაინგრეს ან ქერი არ ჩამოწვეს. ამყამად მიმდინარეობს შენობის კაპიტალური რესტავრაცია, მთავრობას გამოუძებნია საჭირო თანხა – ხუთი მილიარდი ფრანკის რაოდენობით და ფიქრობენ, რომ შეკეთებას ორ-სამ წელიწადში დაამთავრებენ.

ვერსალის ბაღი მართლაც, რომ სრულიად თავისებურ სილამაზეს წარმოადგენს. ბევრ ჩვენგანს უნახავს მისი სურათები, მაგრამ სინამდვილეში ცხადია, იგი გაცილებით დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. განსაკუთრებით მომაჯადოებელია აქაური ტევრები და კორომები. ასეთი გიგანტური და ლამაზი ხეები მე იშვიათად მინახავს. ყოველი ტევრი შემოლობილია და ხეებს შორის ბუნებრივად მიშვებულისა შამბი და ჯაგნარი კატაბარდებითა და ასკილით ჩახლართულ-ჩახვეული. ხავსმოდებული ხეები კი თითქო ცაში ატყორცნილან და თავისი ქოლგები ზედ ზეცაზე მიუბჯენიათ.

ხეივნებში და აუზებში ქანდაკებანი, ხოლო სასახლის წინ ყვავილნარი. ამბობენ, რომ ამ ყვავილნარს, დიდ გიგანტურ ფერად ხალიჩას რომ გვაგონებს, ახლა ლიუდოვიკოს დროს ყოველ ღამე სცვლიდნენ. გადმოიხედავდა დილით დედოფალი და მთელი ყვავილნარი ლურჯი ფერის იყო, მეორე დილას ვარდისფერი, მესამეს – ყვითელი, მეოთხეს – წითელი და ასე სულ მუდამ. ასობით მებაღე ღამლამობით მაშხალებით და ფარნებით შეიარაღებული თავაულებლად მუშაობდა, რომ დილით მეფე-დედოფლისთვის ეს „სასწაული“ დაეხვედრებია.



ვერსაღს აკრავს შესანიშნავი ტყეები, სადაც თავის დროზე მეფის სანადირო ადგილები იყო. გიდი ამბობს, რომ ამ ტყეებში ახლაც არიან გარეული ცხოველები: ირმები და შვლები, მაგრამ მათზე ნადირობა აკრძალულიაო.

დავბრუნდით პარიზში და ჩავუარეთ სახელგანთქმულ ბულონის ტყეს, რომლის ფართობი ათასი ჰექტარია. აქ არის ორი იპოდრომი და თორმეტი რესტორანი.

ჩავუარეთ ერთ-ერთ იპოდრომს. ტრიბუნები სავსე იყო ხალხით, ხოლო საჯირითო მოედანზე ჟოკეები თავგამეტებით მიაჭენებდნენ ცხენებს.

ამ დღეს პარიზში სტუმრად იმყოფებოდა არგენტინის პრეზიდენტი ფრონდიზო, რომლის პატივსაცემად გამოკიდული იყო საფრანგეთის და არგენტინის დროშები. ერთ ადგილას კიდევაც ჩაგვიქროლა მოტოციკლეტებით გარშემორტყმულმა რამდენიმე მანქანამ.

ელისეს მინდვრებზე უამრავ მანქანათა მდინარეში თვალი მოგკარით უძველეს ავტომანქანას. იგი ჩვენებურ, ძველებურ ეტლს, ანუ ფაეტონს წააგავს, იმ განსხვავებით, რომ შიგ ცხადია, ცხენები არ უბია. საერთოდ, აქაც, საფრანგეთშიაც და ამერიკაშიაც ამ ბოლო ხანებში მოდათ გადაიქცა უძველესი, ანუ პირველყოფილი ავტომანქანებით სარგებლობა. არ ვიცი, ქარხნები უშვებენ ძველი ფასონის ახალ მანქანებს თუ ძველებს აახლებენ, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ჩვენს მიერ პარიზში ნახული ეს ძველებური მანქანა ახალთ-ახალის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ჩავუარეთ შენობას, სადაც არის კაბარე „ლიდო“. აქ თურმე ხელოვნურ ყინულზე ციგურებით დასრიალებენ აბსოლუტურად შიშველი ქალები.

ერთ-ერთ მოედანზე დავინახეთ რამდენიმე ძველებური ერთცხენიანი ეტლი. თურმე, არიან პარიზში ჩამოსული ისეთი ტურისტები, რომელთაც სიამოვნებთ ასეთი ეტლით გავლა ამ დიდებულ ქალაქისა. აქვე, ერთი ეტლის კოფოზე ზის ვიღაც ქალი, თურმე გრაფინია, რომელიც ოდესღაც მგონი, მსახიობი ყოფილა, ხოლო ამჟამათ მეეტლეობით ინახავს თავს.

დავათვალიერეთ ლათინური კვარტალი. ესაა ცნობილი სორბონის უნივერსიტეტის უბანი, სადაც მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული სტუდენტები ცხოვრობენ. აქ ნახავთ მთელი ქვეყნის მდაბიოებსაც, პრინცებსაც და ტახტის მემკვიდრეებსაც, თეთრსა და შავკანიანებსაც.

ლათინური კვარტალი ამ უბანს ეწოდა იმისთვის, რომ ძველად აქაურ სტუდენტებს მარტო ლათინურ ენაზე ჰქონდათ ნებადართული ელაპარაკათ.

მივედით ნოტრ-დამის დიდებულ ტაძართან. ჩამოვხტივით თუ არა ავტობუსიდან, მაშინვე ჩვენთან მოცვივდნენ ფერეზიკები და პატარა ალბომები შემოგვთავაზეს. მეგონა, ან ამ ტაძრის სურათებს გვთავაზობენ, ან რაიმე წმინდა სასულიერო შინაარსის წიგნაკს, ან იქნება რომის პაპის ინდულგენციებს, რომელიც ცოდვებისაგან განწმენდის დიპლომია-მეთქი. დავხედეთ, ისევ პორნოგრაფიული სურათები!

ტაძარში კი ამ დროს შედიოდნენ შავკაბიანი და თეთრ, ქათქათა გულისპირიანი მოლოზნები. მე უცბათ თავხედური ხუმრობის სურვილმა შემიპყრო და თვალით ვანიშნე გამყიდველს მოლოზნებისკენ – იმათ შესთავაზეთ-მეთქი.

ამ ტაძრის დანვრილებით აღწერას ალბათ, მთელი ტომი დაჭირდება. იგი მართლა გრანდიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ახალგაზრდობის დროს მე მიყვარდა ჩემი მეგობრის, პოეტ კოლაუ ნადირაძის ერთი ლექსი, რომელიც ასე იწყებოდა:

„შევალ ნოტრ-დამში მოღუნული როგორც იუდა,  
დიდი ქუჩების ავხორცობით ტანდადალული,  
ვიცი, ვერლენი მონანებით აქ მოდიოდა...“ და სხვა.

რამდენადაც ვიცი და მახსოვს, კოლაუ არასოდეს არ ყოფილა პარიზში და ეს ტაძარი მას მარტო სურათებზე აღბეჭდილი ან კინოში თუ უნახავს. როდესაც შევედი და თაღებს ავხედე, მაშინვე მომაგონდა ეს ლექსი და საოცრად დამწყდა გული, რომ ახლა ორივენი ერთად არ შეეცქეროდით არქიტექტურის მართლაცდა, ამ შედევრს. ტაძარი განგებაა ჩაბნელებული, რომ უკეთ გამოჩნდეს ვენეციური ფერადი შუშით მოქარგული წრისებური ფანჯრები. თქვენ ამ ტაძარში იგრძნობთ, თუ რამდენათ შეძლო ადამიანმა გამოესახა ღვთიური სიდიადე. სამწუხაროდ, ნირვა არ მიმდინარეობდა, რაც ალბათ, კიდევ უფრო დიდებულს გახდიდა ამ სანახაობას.

ჩვენ ვერ შევძელით სამრეკლოზე ასვლა, დრო არა გვყოფნიდა, დაეკმაყოფილდით იმით, რომ გარს შემოვუარეთ ტაძარს, დავათვალიერეთ ლავგარდანებზე გადმოკიდული ქიმერები, რომელთა ხახებიდან გადმორბის ხოლმე სახურავიდან ჩამოდენილი წვიმის წყალი; ვნახეთ კედლებში გამოკვეთილი ბარელიეფები და გორელიეფები. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მეთორმეტე საუკუნეში აგებული ეს ტაძარი განიცდის საოცარ კოროზიას, კედლებიც, ქიმერებიც, გორელიეფებაც გამოფიტულია და ნაწილობრივ, დაშლილი. ამაში ცხადია, ბრალი მიუძღვის პარიზის შედარებით ნოტიო ჰავას და აქაურ შხაპუნა წვიმებს.

არანაკლებ დიდებულია წმინდა მადლენის ტაძარი, სადაც წავაწყდით საქორწილო პროცესიას. ფრანგული, ანუ კათოლიკური წესით ქორწინება ოდნავ განსხვავდება მართლმადიდებლური წესისაგან. ნეფე-დედოფალი საკურთხევლის წინ საგანგებო სავარძელზე დასხდნენ და თეთრ წინსაფრიანი პატრი, ანუ მღვდელი შეუდგა ქორწინების წესის აღსრულებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქორწინებას მღვდლები უფასოდ როდი აღასრულებენ, ისინიც ადამიანები არიან და იმათაც ჭამა უნდათ, ხოლო მადლენის ტაძარში ყველა როდი შეძლებს ჯვარი დაინეროს, აქ მხოლოდ დიდათ შეძლებული წყვილები ზეიმობენ თავისი ბედნიერების ამ დაუვინყარ დღეს. ცხადია, არიან ისეთი მიყრუებული ტაძრები, სადაც შედარებით იაფად შეიძლება ადამიანმა იყიდოს ეს ღვთაებრივი ლოცვა-კურთხევა.

ბოლოს, ჩვენმა გიდმა წაგვიყვანა პარიზის ერთ-ერთ ძველ უბანში, სადაც ფრანგ ხალხს აუგია შესანიშნავი პანთეონი იმ უცნობ ებრაელთა უკვდავსა-ყოფათ, რომელნიც პიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპნენ. ეს შენობა უფრო მუზეუმი. იგი ჩვენი მისვლის უამს დაკეტილი აღმოჩნდა, მაგრამ თანამშრომლებმა როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები ვიყავით, კარი გულლიათ გაგვიხსნეს და იგი თავიდან ბოლომდე დაგვატარეს. პირველად იმ შენობაში ჩავედით, სადაც მარხია დაღუპულ ებრაელთა ძვლები, რომლებიც მოგროვილ იქნა საკონცენტრაციო ბანაკებში. მას ადგას რვაკუთხიანი გრანიტის ვარსკვლავი და ზედ უქრობი ცეცხლი ანთია. პირდაპირ კედელზე კი ებრაული წარწერაა: „არა არს ჭირ-ვარამი ამა ქვეყნად, რაიცა შეედრება ჩემთა ჭირ-ვარამს.“

ჩვენ უნებურად ჩურჩულით ვესაუბრებით ერთმანეთს, თითქო გვეშინოდეს, არ დავარღვიოთ მყუდროება ამ განამებული ხალხის დაფერფლილი ძვლებისა.

და მართლაც, თუ როგორი იყო ჭირ-ვარამი ამ უბედური ადამიანებისა, ჩვენ ეს ვნახეთ იმ ფოტოსურათებზე, რომლებიც გამოფენილია ამ შენობის მუზეუმის სართულებში. მე პირდაპირ შემზარა ამ სურათებმა. განსაკუთრებით მეხსიერებაში ჩამრჩა ბერგენბელზენის ბანაკში დაწყვეტილი ხალხის ფოტოსურათი და ვერ წარმომედგინა, თუ თანამედროვე ეპოქაში შესაძლებელი იყო ძალაუფლებით დაბრმავებული ხალხის ასეთი წარმოუდგენელი გამხეცება, ათასობით ებრაელი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, სრულიად შიშველი, მთლად ძვლებათ ქცეული შიმშილისაგან ჭერეხივით ეყარა დახოცილი.

მაგრამ ამაზე უფრო შემზარავ სურათს წარმოადგენდა ერთი ფოტო, რომელზედაც ასახული იყო ებრაელთა ხვრეტის პროცესი. ღრმათ გათ-

ხრილ დიდ სამარეში უხვად ყრია ახლადდახვრეტილები. სამარის პირად კი დაჩოქილი ებრაელი ახალგაზრდა კაცია ოდნავ გაჩეჩილი თმებით. იგი გაფართოებული თვალებით გიცქერით. მისთვის კეფაზე მიუდგამს კოლტი გერმანელ ჯარისკაცს და აი, სადაც არის, უნდა გავარდეს ტყვია.

მე ბევრი დიდებული მხატვრის სურათი მინახავს ამქვეყნად, ისეთებიც, რომელნიც ასახავენ ტანჯულ ადამიანებს საშინელების წინაშე, მინახავს გოიას, კეტე კოლვიცის, ონორე დომიეს და სხვათა მართლაცდა გენიალური ჩანახატები, მაგრამ ის, რაც ამ ფოტოსურათზე დავინახე ამ სასიკვდილოთ განწირული ებრაელის თვალებში, იმას ვერავითარი მხატვრობა ვერ შეედრება. ეს თვალები მე მთელი კვირა მოსვენებას არ მაძლევდა.

იქვე კი ყვავის ყრანტალად გაისმის ჰიტლერის „მაინ კამპფიდან“ ამონაწერი სიტყვები, რომელიც საგანგებო სტენდზეა გაკრული და ლაღადებს შემდეგს: „განადგურდეს ნაშიერი იმ ხალხისა, რომელთა გაუმჯობესება არ შეიძლება“.

ასე გაანადგურა ჰიტლერმა დაახლოებით ექვსი მილიონი ებრაელი, რომელთა წრიდან წარმოიშვნენ არა მარტო თვით ქრისტი, რომლის გამოსახულებაზე თვითონ გერმანელები დღესაც ისახავენ პირჯვარს, არამედ ისეთი დიადი მოაზროვნეები და მეცნიერები, როგორც იყვნენ: სპინოზა, მარქსი, აინშტაინი და მრავალი სხვა. ნუთუ ასეთ ხალხზე ამბობდა ეს გიჟი, რომ მათი გაუმჯობესება არ შეიძლებაო და აღმოსავლეთის დესპოტებზე უფრო მეტი სიმკაცრით უწყავდა ამ საცოდავ უდანაშაულო ადამიანებს.

სალამოს რესტორან „კოლიზეუმში“ წაგვიყვანეს სავახშმოდ. იგი ელისეს მინდვრებზეა. როგორც ამბობენ, აქაა ცნობილი კაბარე თავბრუდამხვევი ატრაქციონებით შიშველი მომღერალ-მოცეკვავე ქალებით, მაგრამ ჩვენ ჯერ ერთი, ადრინად ვვახშმობთ, როდესაც საესტრადო წარმოდგენები ჯერ არც მიმდინარეობს და მერე რესტორნის ისეთი კუნჭული გვიჭირავს, საიდანაც არაფერი არ მოჩანს.

სუფრაზე ცხადია, იდგა ყინულიანი წყალი და ცალკე მინერალური წყალი, რომელსაც მე ვერავითარი მინერალის ნასახი ვერ შევატყვე გემოთი. მას არც გაზი აქვს და უნდა ითქვას, რომ ამის მსგავსი და შეიძლება უკეთესი, ჩვენში ყოველი უბრალო წყაროს წყალია. მოგვიტანეს თეთრი ღვინო, ძალიან კარგი, ჩვენებური ცოლიკაურის მსგავსი.

ჯერ ფორშმაკით გაგვიმასპინძლდნენ. ესაა თავისებურათ შეკმაზულშენელებული და დაკეპილი თევზი. შემდეგ მოიტანეს კარგად დამზადებუ-

ლი შნიცელი. ვახშმის დასასრულს ოფიციალტმა ჩამოატარა სხვადასხვა სახის ყველი: შვეიცარული, ჰოლანდიური, გადამდნარი, როკფორი და კიდევ რამდენიმე სხვა. ვისაც რა მოსწონდა, ეკითხებოდა და შემდეგ ნაჭერს იქვე მოუჭრიდა. მე ავირჩიე როკფორი. შემდეგ მოგვართვეს ჰაეროვან კრემგადასხმული ხენდრო და ზედ მისაყოლებლად ოქროს ქალაღში გახვეული ვაფლის გრაგნილები. ბოლოს, თურქული ყავით გაგვიმასპინძლდნენ.

არავინ იფიქროს, რომ ეს სტანდარტული კერძები იყო და არ გვეკითხებოდნენ, თუ ვის რა გვინდოდა. ეს იყო ჩვეულებრივი ტურისტული ვახშამი არც მცირე და არც გადაჭარბებულად გულუხვი. მე მხოლოდ ეს კერძები ჩამოვთვალე იმისათვის, თუ როგორი სახისაა ზოგადათ ფრანგული ვახშამი.

ნავახშმევს ჩავსხედით მანქანაში და გავემგზავრეთ თეატრ „ფოლიბერჟერში“ წარმოდგენის სანახავად. ეს არის ჩვეულებრივი საესტრადო თეატრი, სადაც იდგმება პანტომიმები საბალეტო და საესტრადო სკეტჩები, გამოდიან აკრობატები, იმიტატორები და თვალთმაქცები.

თეატრში არ კმარა მარტო ბილეთების შეძენა, აქ დაუსაჩუქრებლად ადგილს არ გაჩვენებენ და ყოველ წუთში მზად უნდა გქონდეს წვრილი ფული.

დარბაზიც და სცენაც საკმაოდ დიდია, თითქმის მეტი ჩვენს რუსთაველის თეატრზე.

დაიწყო წარმოდგენა და მე არ შევუდგები აქ დანვრილებით ამის აღწერას. ჩვენი საესტრადო სპექტაკლებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ აქ ქალები გამოდიან სრულიად შიშვლები. როდესაც მე ამას ვამბობ, არ ვგულისხმობ, რომ რომელიმე მათგანს მკერდზე აფარებული აქვს ბიუსტჰალტერი ან ქვემოთ აცვია ტრუსების მაგვარი რამ. არა, სრულიად დედიშობილად დგანან მაყურებელთა წინაშე; ცეკვავენ ყოვლად უხამსურად და მღერიან... არ ვიცი რას, ალბათ იმას, რაც სავსებით შეეფერება მათ სიშიშვლეს.

მე ძველი ფოტოსურათების მიხედვით ვიცოდი, თუ როგორი ჩაცმულობით გამოდიოდნენ ხოლმე წინად პარიზის კაფე-შანტანებში შანსონეტი, ანუ მომღერალი ქალები, მაგრამ მათი მაშინდელი სიშიშვლე მაინც დაფარული იყო, მკერდზე მათ აფარებული ჰქონდათ მარგალიტის ლამბაქები, ხოლო ქვედანელი მართალია, გვერდებიდან სულ გაჭრილი იყო და შიშველი თეძოები მოუჩანდათ, მაგრამ წინა და უკანა მხარე მაინც დაფარული ჰქონდათ.

ახლა კი ეს სიშიშვლე თეორიულ მაქსიმუმამდე დაუყვანიათ და ტანსაცმლის რაოდენობა თითქმის – ნულამდე. თითქმისო ვამბობ, რადგან ერთადერთ



თი სამოსი, რაც ამ ქალებს აცვიათ არის მაღალ ფანდაკზე შემდგარი ქოშები, რომელსაც მარტო ლანჩა აქვს და ერთი ღვედი გადაჭიმული ფეხის მტევანზე.

ვუცქეროდი ამ სპექტაკლს და ვფიქრობდი იმაზე, თუ რა უნდა მოუნახონ ფრანგებმა ქალებს მომავალში ტანსაცმლით დაფარული სხეულის ისეთი ნაწილი, რისი გამოჩენა მანამდე დაუშვებლად იყო მიჩნეული, რომ იმის გაშიშვლებით მიიზიდონ თეატრში მაყურებელი. ერთადერთილა დარჩენიათ: თავს თუ გადაპარსავენ ქალებს სამართებლით.

ერთი რამ საყურადღებოა. როდესაც ამ აბსოლუტურ სიშიშვლეს უცქერით, იგი უფრო ნაკლებად ამალეღვებელია და გამაღიზიანებელი, ვიდრე ნახევრად შიშველი არსების დანახვა და ამ შემთხვევაში ჩემთვის სავსებით გასაგებია კლასიკური პერიოდის მხატვრების ტენდენცია – დაეხატათ ტაძრებში სრულიად შიშველი ფიგურები ქალთა და მამაკაცთა. ღმერთის წინაშე ადამიანს თავისი სხეულის სამოსით დაფარვა არ ჭირდებაო, ასეთი იყო კლასიციზმის პერიოდის ფილოსოფია. შეიძლება, ამ ღვთაებრივ გაშიშვლებაში კიდევაც იყო ერთგვარი ჰუმანიზმი და მისწრაფება იმ სულიერი განსპეტაკებისაკენ, რომლისკენაც მოუწოდებდა ქრისტიანული მოძღვრება. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, სოკრატეს მიმდევარი ცინიკოსები აცხადებდნენ, რომ ადამიანის სულის თავისუფლებაშია ეთიკის უმაღლესი პრინციპი და მათ (ანტისტენს, დიოგენს და სხვებს) სრულიად არ მიაჩნდათ სავალდებულოდ სხეულის სიშიშვლის დაფარვა ან დაცვა მთელი რიგი ისეთი ზნეობრივი ნორმებისა, რაც დაწესებული იყო იმდროინდელ საზოგადოებაში.

საეჭვოა, რომ ბურჟუაზიული საფრანგეთის საქმოსნებს რაიმე ფილოსოფიური დოგმები ამოძრავებდეთ, როდესაც ასეთ უხამს სპექტაკლებს აწყობენ. ისინი ერთადერთი, თავისი სალაროს ავსების ფიქრით არიან შეპყრობილნი და არაფრით არ განსხვავდებიან იმ იტალიელი საქმოსნისაგან, რომლის გვარი გადაიქცა მსოფლიოში ზოგად სახელათ, ისეთი სახლისა, რისი პროტოტიპიც ერთ დროს ამ იტალიელმა თვითონ დააარსა და წინ წითელი ფარანი დაუკიდა ნიშნად იმისა, რომ ამ სახლში შეგეძლოთ, აგერჩიათ და გეყიდათ როგორც მოგენონებოდათ ისეთი ქალის სიყვარული.

სპექტაკლში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აკრობატი ქალაქის გამოსვლამ და ერთმა იმიტატორმა, რომლის მიმიკური სცენები მართლა რომ მომხიბლავად და ოსტატურად იყო შესრულებული. ასე იყო თუ ისე, შიგადაშიგ, პროგრამაში ჩვენებური წესიერი ნომრებიც იყო ჩართული,

თუმცა დასასრულს, სცენაზე მაინც გამოვიდა შიშველი ქალების მთელი ან-სამბლი, არათუ სცენაზე, სცენის მარჯვენა და მარცხენა ზედა კუთხეებში კიოტებივით გაიხსნა კარებები და იქ გამოჩნდნენ ქანდაკებებად აღმართული შიშველი ქალები. ბოლოს, ჭერიდან დიდი ჭალიც დაიძრა, დაიწყო დაბლა დაშვება და ამ ჭალზედაც აღმოჩნდნენ ახუნძლული შიშველი მშვენიერი არსებანი. ჭალის ბაქანი იმდენათ დიდი იყო, რომ ზედ რამდენიმე ქალი იგა.

აქ კიდევ არაფერი, თბილა. მე ვერ წარმომიდგენია თეატრ „ლიდოში“ როგორ უძლებენ მოციგურე შიშველი ქალები ყინულით დაფარულ ბაქანზე ისრიალონ და არ გაცივდნენ. რას არ აკეთებს ადამიანი ამ გაუბედურებულ ქალაქში, რომ პური ჭამოს.

მეორე დღეს დილიდან კვლავ ქალაქს ვათვალიერებდით, ხოლო დღის პირველ საათზე მივედით ლუვრში.

ეს მუზეუმი ცნობილია მთელ მსოფლიოში. აქ არის თავმოყრილი ისეთი საუნჯენი ხელოვნებისა, რომლის ბადალი არსად არ მოიპოვება. ლუვრის წესიერად დათვალიერებას თვეები ჭირდება. ჩვენ კი სულ ერთი თუ ორი საათი გვაქვს დრო. ამიტომ გადავწყვიტეთ, გვენახა ყველაზე ცნობილი შედევრები და დარბაზები სულ ჭენებით დავიარეთ, მხოლოდ რაფაელის, ველასკეზის, ბოტიჩელის და რამდენიმე სხვა მხატვრის სურათებთან შევჩერდით თითო-ორი წუთით. ლეონარდო და ვინჩის შესრულებული ჯიოკონდას პორტრეტი მუშის ქვეშ მოუთავსებიათ, რადგან ვილაც ჭკუათხელ, მგონი, ბერს ქვა უსვრია მისთვის და ცოტა კიდევაც დაუზიანებია. შუშა ძალიან ცუდ ელფერს აძლევს სურათს და იგი ახლა რეპროდუქციას უფრო წააგავს, ვიდრე დედანს.

ისე სწრაფად დავრბოდით, რომ ჩანერასაც ვერ ვახერხებდი და ახლა, როდესაც ვიგონებ, თუ რა ვნახე, მეხსიერებაში სულ არეულია ერთმანეთში ყველაფერი.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ბერძნული ქანდაკების განყოფილებამ, სადაც მართლაც, რომ უბადლო შედევრებია გამოფენილი, მათ შორის პრაქსიტელის ნამუშევრები და ყველაზე მომაჯადოვებელი ვენერა მილოსისა.

ძველ საბერძნეთში მრავალმერთიანობის, ანუ პოლითეიზმის ეპოქაში ამ ღმერთებს ქანდაკებების სახით გამოსახავდნენ და მას თაყვანს სცემდნენ ისე, როგორც თანამედროვე ეკლესიებში ხატებს. ქრისტიანობამ, როგორც ცნობილია, ბრძოლა გამოუცხადა ასეთ კერპთაყვანისმცემლობას და ამ იდეოლოგიური ბრძოლის შედეგათ, დაესიენ ძველ ძეგლებს, ხელოვნების ამ უდიდეს შედევრებს და დაუნყეს მათ მსხვრევა და მიწაში დამარხვა. ასე იქნა და-

მსხვერუელი მაგალითად, არმაზის ძეგლი მცხეთაშია. მილოსის ვენერა, მაგალითად, გათხრების დროს იქნა ნაპოვნი. იგი მინაში იყო ჩაგდებული და ჩამარხული, ნაბეგვი და ხელეზმომსხვერუელი. ვინ იცის, კიდევ რამდენი ძვირფასი ძეგლის ნამსხვერევებია ასე მინაში ჩაფლული და დამარხული. იქნებ ოდესმე ჩვენც წავაწყდეთ სადმე არმაზის ძეგლის ნაშთებს, იმ ძეგლისა, რომელიც ასე ბრწყინვალედ აქვს აწერილი მემატიანე ლეონტი მროველს: „...და იხილა წმინდამან ნინო, რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვი ოქროსი და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი, და თვალნი ესხსნეს ზურმუხტი და ბივრილი და ხელთა მისთა აქვდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა...

...და კვალად იყო მარჯვენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხნით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა და სახელი მისი გაიმ, რომელნი იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა“.

მიუხედავად ასეთი ზერელე დათვალიერებისა ლუვრი მანც ჩარჩა ჩემს მეხსიერებაში და თუ ოდესმე რამე მინატრია ცხოვრებაში ერთ-ერთი უდიდესი ნატვრაა ჩემთვის კიდევ მეღირსოს, რომ ეს ხელოვნების საგანძური უფრო დეტალურად და გულდამშვიდებით დავათვალიერო.

ამით დასრულდა ჩვენი მოგზაურობა პარიზში და სალამოს ხუთ საათზე ჩვენ უკვე ორლის აეროდრომისაკენ გავემართეთ. გასაცილებლად მოვიდა ჩემი ძმა, ლადო, მასთან ერთად გოგი ნოზაძე მეუღლით და მიშა ჩუბინიძე. ლადომ აეროდრომამდე გამაცილა.



ოთხმოტორიანი რეაქტიული თვითმფრინავი „ბოინგ 707“ ზღაზვნით გავიდა სასტარტო ბაქანზე. მას ასოთხმოცი მგზავრის წაყვანა შეუძლია. აქვს ცალკე სალონი, შემდეგ პირველი კლასის განყოფილება და ბოლოს, მეორე კლასისა, რომელშიაც ჩვენ ვთავსდებით. სალონი და პირველი კლასი თითქმის ცარიელია, მეორე კლასი კი მთლად სავსე. ჩემს წინ მოდის ვიღაც ხნიერი მამაკაცი, რომელსაც ტყუბი ძუძუმწოვარა ბავშვი მოჰყავს და ბოთლებზე წამოცმულ რეზინის სანოვარით ორთავეს რძეს აწოვებს. მოდის აგრეთვე ვიღაც იტალიელი ცოლ-ქმარი და ერთი ზანგი ქალი. მათაც ძუძუმწოვარა ბავშვები ჰყავთ და ჩემს გარშემო ისეთი კონცერტია გამართული, საბავშვო ბაგაში მგონია ჩემი თავი.

აი, აღრიალდნენ მოტორები, ოდნავი ძუნძულით დაიძრა ჩვენი გიგანტი; გაქანდა, გაქანდა, ვიცქირები ფანჯარაში და ვხედავ, რომ ჩვენ უკვე შენო-



ფელიქს ვისოცკი და აკაკი ბელიაშვილი  
ინვალიდების სახლი, პარიზი, 1960






ფელიქს ვისოცკი და აკაკი ბელიაშვილი ბერებთან ერთად  
ბენედიქტინელნოს მონასტრი, პარიზი, ივნისი, 1960





აკაკი ბელიაშვილი  
ცვილის ფიგურების მუზეუმი, პარიზი, 1960



აკაკი ბელიაშვილი  
მონმარტრი, პარიზი, 1960



გიორგი ნოზაძე, აკაკი ბელიაშვილი, ლადო ბელიაშვილი, ფელიქს ვისოცკი,  
ლიდა შარაშიძე-ნოზაძე, მიხეილ ჩუბინიძე  
პარიზი, 1960



ნიკოლოზ (კოლია) პიპინაშვილი და გრიგორ როშალი  
პარიზი, 1960

ბათა თავებზე მივფრინავთ, სწრაფად მივინვეთ მაღლა და მალე უკვე ღრუბლებში შევრგეთ თავი. ხოლო როდესაც ღრუბლებსაც ავცდით და მხეს შევეგებეთ დიქტორმა გამოაცხადა, რომ ჩვენ ინგლისზე მივფრინავთო. მე ვერ გავიგე, თუ რატომ უნდა გადაგვეკვეთა ინგლისის ტერიტორია, რადგან პირდაპირი მიმართულებით თუ წავიდოდით, მაშინ ბრიტანეთის კუნძული ჩემი ვარაუდით, მარჯვნივ უნდა დარჩენილიყო.

სტიუარდესამ გვაჩვენა, როგორ უნდა ჩაგვეცვა ტანზე საგანგებო რეზინის ხალათები თუ ჟილეტები, რომლებიც მესტვირის გუდასავით უნდა გაბერო თუ თვითმფრინავი ოკეანეში ჩავარდა და შენ როგორმე მოახერხებ ზღვაში შეცურვა. აგრეთვე აგვისხნა ჟანგბადის ნილაბის ხმარება, თუ რაიმე მიზეზის გამო ჰაერი არ გეყო.

ღრუბლებს ზემოთ ჩვენი თვითმფრინავი დაახლოებით კიდევ ექვსიათასი მეტრის სიმაღლეზე ავიდა და გამოვუდექით დღეს. ამიტომ პარიზში ჩასასვლელად გამზადებული მზე ახლა არა და არ ჩადის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ათასი კილომეტრის სიჩქარით მივფრინავთ საათში დღეს, საბოლოოდ, მაინც ვერ ვენვეით, რადგან დედამინა თითონ მოძრაობს ათას შვიდასამდე კილომეტრის სისწრაფით საათში და ამიტომ, ბოლოს მაინც დალამდა. ერთ ხანს მივფრინავდით დღისა და ღამის მიჯნაზე. მარჯვნივ დღე იყო, მარცხნივ სრული ღამე და ღამის ცისკიდურზე კიაფობდა ცისკრის ერთადერთი ვარსკვლავი.

ალბათ უახლოეს წლებში, როდესაც აიგება უფრო სწრაფმავალი თვითმფრინავები, რომლებიც ორიათასზე მეტი კილომეტრის სისწრაფით იფრენს ცაში, მოგზაური დროს გაუსწრებს. აფრინდება მაგალითად, ჩვენში მგზავრი დღის თორმეტ საათზე, იფრენს გზაში ვთქვათ, ხუთ-ექვს საათს და იმავე დღის ცხრა-ათ საათზე იქნება ნიუ-იორკში.

უკვე კარგად ბნელოდა, როდესაც ფანჯრებიდან დავინახეთ ელექტროლამპების გრძელი მწკრივებით დასერილი დედამინა და სტიუარდესამ გამოგვიცხადა, რომ ჩვენს ქვეშ უკვე ნიუ-იორკიაო. თვითმფრინავის მოტორები კი ისევ გულმოდგინეთ გუგუნებენ და რატომღაც ახლა გაგრძელდა დრო, აღარ დაადგა საშველი ჩვენს დაფრენას აეროდრომზე. ბოლოს, როგორც იქნა გაუსწორდით გასარბენ ბაქანს და დავეშვით აიდლუაილდის აეროდრომზე.

თვითმფრინავით ბევრი მიფრენია, მაგრამ ახლა ზღაპარით არა მჯერა, რომ სულ რაღაც რვა საათის წინად საფრანგეთში ვიყავ და ახლა ამერიკის მიწაზე ვაბიჯებ ფეხს. ღამეა. ელექტრონის სინათლეში ხან მარჯვნივ,



ხან მარცხნივ მოჩანან გიგანტური თვითმფრინავები, რომლებიც ერთის ღრიალ-გუგუნით ტრიალებენ, ფრთებს შლიან და თითქო ერთმანეთს მოსა-პეპლავად დასდევენ.

შევედით სადგურში, სადაც საბაჟო-საპასპორტო პროცედურა უნდა გა-ვიაროთ. შენობა მთლიანად შუშისა და პლასტიკატებისაა. იატაკს კრიალი გააქვს. კარგა ხანს მოგვიხდა ცდა, სანამ ჩვენს პასპორტებში სერტიფიკატებს ჩააკრავდნენ და ბარგს გასინჯავდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, მო-თავდა პოლისმენების მიერ პასპორტებში კირკიტი (განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი წითელყდიანი მოწმობებისადმი და ეძებდნენ სხვა ხომ არაფერი წერია შიგაო) და ჩვენს ჩემოდნებში ხელების ფათური.

ჩავსხედით ჩვენთვის განკუთვნილ ავტობუსში, რომელსაც დიდი ასო-ებით აწერია: „აირ კონდიშიენ“, ანუ ჩვენებურად რომ გამოვთქვათ, ჰაერი კონდიციონირებულიაო, ესე იგი, ავტობუსში ისეთი დანადგარია, რომელიც სა-განგებოთ განმენდილ და გაგრილებულ ჰაერს აწვდის მგზავრებს.

ლამის ორის ნახევარი იყო, როდესაც ავტოსტრადაზე გავედით და ქა-ლაქისაკენ გავემართეთ. მიუხედავად ასეთი გვიანი დროისა, გზაზე უამრავი მსუბუქი მანქანები მოძრაობენ. ისინი უხმაუროდ მისრიალებენ, ყოველ მხა-რეზე რამდენიმე მწკრივებათ. მოჩანან ცალკეული შენობები, ბენზოკოლონ-კები ანუ იმათებურად, გაზოლინის სადგურები, აქა-იქ აციმციმებული რეკ-ლამები, მაღაზიები, ღია ლუდხანები და დახლთან მაღალ სკამებზე ჩამომჯ-დარი მოქალაქენი (ლამის ორ საათზე). ჩავუარეთ რაღაც ქარხნის თუ სხვა რამ შენობის სილუეტებს, თანდათანობით უფრო მჭიდროვდება დასახლება, გავედით რომელიღაც გვირაბში, ჰუდზონის ქვეშ და უცბათ თავი შევრგეთ ჩაბნელებულ ცათამბჯენების ხეობაში. აქვე უნდა დავძინო, რომ ნიუ-იორ-კის ქუჩები, რომლებზედაც მაღაზიები არ არის, საოცრად ცუდათაა გა-ნათებული. მხოლოდ აქა-იქ ბუფტავენ ლამპები და გეგონებათ ჩვენებურ მიყრუებულ რაიონში მოვხვდიო, მაგრამ იქ, სადაც მაღაზიებია, კინოები და კედლებზე კი აკრული სარეკლამო ფარები, იქ სინათლე უხვად იფრქვევა. განსაკუთრებით დიდი სინათლეა ტაიმს-სკვერის მიდამოებში ბროდვეიზე.

აქ პირდაპირ თვალებს გჭრით სარეკლამო ფარების მოწითალო სინათ-ლე. არ არის რეკლამა, რომელზედაც შუქი არ მოძრაობდეს, არ ციმციმებ-დეს და ყოველ წუთში არ იცვლიდეს სურათებსა და წარწერებს. რა არ ისა-ხება ხოლმე ამ გიგანტურ ფარებზე. ერთსა და იმავე ფარზე იმდენჯერ იცვლება გამოსახულება, რომ მე თვლაც კი მომბზრდა.



ღამის ორი საათი იყო, როდესაც ჩვენი ავტობუსი ბროდვეიზე გავიდა. ქუჩებში იშვიათად დაინახავდით გამვლელებს, მაგრამ მანქანები მაინც ბევრი მოძრაობდა. ყველა კაფე და რესტორანი ღია იყო. საყურადღებოა, რომ ნიუ-იორკში რესტორნები და კაფეები ოცდაოთხი საათის განმავლობაში განუწყვეტლად მუშაობენ.

ბინათ სასტუმრო „გოვერნორ კლინტონში“ დაგვაყენეს. ესაა ოცდარვა-სართულიანი ძველებური აგურის შენობა და იგი არ ეკუთვნის ისეთი სახის სასტუმროს, რომლითაც შეიძლება ამერიკამ თავი მოიწონოს. მართალია, მის ყოველ ნომერს აქვს საკუთარი აბაზანა და საპირფარეშო, დგას ტელევიზორი, რომლის ეკრანი ნახევარი მეტრია თუ მეტი არა, მაგრამ არა აქვს კონდიციონერული ჰაერი და თუ სულ ზედა სართულებში არ მოხვდით, დაბლა სული ამოგხდება კაცს სიცხით. ჩვენ მეშვიდე სართულზე ვიყავით და თავი ღია ფანჯარაში რომ გავყავი, მეგონა, თორნეში ჩავიხედე-მეთქი.

დავბინავდით, მაგრამ სურვილი გვაქვს ქალაქში ცოტა მაინც გავიაროთ და მიუხედავად გვიანი დროისა, ქუჩაში გავედით. ცოტა კი გვემინია არ დავიკარგოთ ამ აზაველა ქალაქში, რადგან ინგლისურზე ყველანი მწყრალად ვართ და ჯერ კარგად ისიც კი არ ვიცით, რა ქვია ჩვენს სასტუმროს ან რომელ ქუჩაზე ვართ. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ სულ ათი წუთია საჭირო იმისათვის, რომ ნიუ-იორკის ქუჩების განლაგებაში გაერკვე და თუ იცი საკუთარი მისამართი, არავისთვის კითხვაც კი არ გჭირდება, ისე მიაგნებ შენს ბინას. ნიუ-იორკის ქუჩები ერთმანეთის მიმართ პარალელურ და პერპენდიკულარულ ხაზებათაა განლაგებული, მარტო ბროდვეი კვეთს მანჰეტენის კუნძულს აღმაცერად თუ დიაგონალურად, ხოლო ყველა დანარჩენი ინოდება: პარალელურები – კუნძულის სიგრძეზე განლაგებულ ავენიუებათ, ხოლო პერპენდიკულარული – სტრიტებათ. ჩვენი სასტუმრო იმყოფებოდა მეშვიდე ავენიუსა და ოცდამეთერთმეტე სტრიტის გადაკვეთაზე.

გავედით ქუჩაზე და დავინწყეთ ხეტიალი ამ გიგანტურ შენობათა ხეობებში. საითაც არ გაიხედავ, ყველგან ცამდე ატყორცნილი სახლებია, პირქუში და ჩაბნელებული. არც ერთი ეს მრავალსართულიანი შენობა საცხოვრებელი არ არის, მათი აბსოლუტური უმრავლესობა დანესებულებები, კანტორები, ბანკები, უნივერსალური მაღაზიები, იშვიათად სასტუმროები ან საკულტო სახლებია. არიან ამ შენობებში ღამაზი და მომხიბლავი ნაგებობანი, მაგრამ უმეტესობა ისეთი უშნო, უგემოვნო და მყვირალა შენობაა,

გული აგერევათ. თითონ ამერიკელები ამბობენ: ნიუ-იორკზე უმნო და ულა-ზათო ქალაქი მსოფლიოში არ არსებობსო.

დილას ყველანი ადრიანად ავდექით. სასაუზმოდ იქვე სასტუმროს კაფეტერიუმში ჩავვიყვანეს. მე ავირჩიე ერბო-კვერცხი შაშხით და არ შემეძლია ეს კერძი არ ავწერო. ეს იყო ერთი კვერცხი ტაფაზე დახლილი, ხოლო გარშემო სამკუთხედათ ენყო შაშხის ფელიკის სამი ისეთი სიფრიფანა ნაჭერი, თითქო სალექვერთხე წვრილი ღვედი გაეჭრათ სამ ნაწილად და ის შემოეწყოთ ამ კვერცხის გარშემო. სინათლე გადიოდა, ისეთი თხელი იყო. ჩემმა მეზობელმა კი აირჩია ასევე, ერბო-კვერცხი ძეხვით და ამასაც მოუტანეს ერთი კვერცხი ტაფაზე დახლილი და ზედ დანყობილი სიგარეტის ოდენა ორი პატარა ძეხვუკა. მკითხველმა არ იფიქროს, რომ ვაჭარებებ, ზუსტად ასეთი იყო. ერთმა თანამგზავრმა მითხრა, არ იფიქროთ, რომ ასეთი კვება გვექნება. პირველ დღეს ასე მცირედით დაიწყებენ, მერე თანდათან უმატებენ და ნასვლის წინ იმდენს დაგვყარა თავზე, ველარც კი მოერევიტ და ეს უბრალო ხერხი იმისთვის აქვთ შემოღებული, რომ უკანასკნელი დღის შთაბეჭდილებას მეტი მნიშვნელობა ეძლევა, რადგან სწორეთ ეს დაგამახსოვრდებათ და ჩავგრჩებათ მეხსიერებაშიო.

შთაბეჭდილების მოხდენის ასეთი მეთოდოლოგიის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, ისე კი შემდეგში მართალია, ჩვენ შესანიშნავად გვკვებავენ, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში სწორეთ ეს პირველი კერძი ჩარჩა, რომლითაც ამერიკა გამიმასპინძლდა.

აქვე უნდა დავძინო, რომ რაც ამერიკაში ვიყავი, ასეთი უგემური და ქალაღღივით პური ჩემს სიცოცხლეში არ მიჭამია. სულ მაგონდებოდა პარიზის პურის გემო, უგემრიელესის, სურნელოვანის და შესახედავადაც მიმზიდველის. თითონ საფრანგეთი ამერიკული პურით იკვებება და რატომაა, რომ თავის საკუთარ ხორბალს ამერიკელები ასე უგემურს აცხობენ, ჩემთვის ეს გაუგებარი და ამოუხსნელი ამოცანაა. შეიძლება იმიტომ, რომ საერთოდ ჯანმრთელობისათვის, პურს რამდენადაც უფრო ნაკლებს ჭამს ადამიანი, მით უკეთესია და იმიტომ ამერიკელები განგებ აუგემურებენ მას. საუზმე იყო, სადილი თუ ვახშამი, ამერიკაში აუცილებლად სუფრაზე მოქონდათ ყინულიანი წყალი და ციტრუსის ან ტომატის წვენი. უმეტეს შემთხვევაში, სვამენ აგრეთვე ყავას, უფრო იშვიათად, ჩაის. ისიც ორიგინალურად მოაქვთ. ჭიქაში ჩაკიდულია პატარა მარლის ან დოლბანდის ტომსიკაში

ჩაყრილი ჩაი და თქვენი სურვილის მიხედვით, აჭყუმპალებით მას ჭიქაში და რა სიმაგრისაც გნებავთ, იმ სიმაგრეზე აყენებთ.

საუზმის შემდეგ, თორმეტ საათამდე თავისუფალი დრო გვექონდა და ჩვენ მაშინვე გავსწიეთ ქალაქში სახეტილოდ. კვირა დღე იყო და ქუჩები თითქმის ცარიელი დაგვიხვდა. აქა-იქ თუ გაიქროლებდა მანქანა, ან თვალს მოჰკრავდი იშვიათ გამვლელს. მთელი ეს უზარმაზარი ქალაქი უკაცრიელ-სა ჰგავს. ცაში ატყორცნილ შენობათა გიგანტურ კოშკებს შორის ძლივს აღწევს მზის სხივები. მხოლოდ ამ შენობათა კენწეროებია განათებული. მთელი დანარჩენი ნაწილი შენობებისა და თვით ქუჩები სულ ჩრდილებშია ჩაძირული და ამიტომ, საამოდ გრილა.

სარეკლამო ლამპები კი განუწყვეტლად ციმციმებენ, ინთებიან, ქრებიან, ისევ ინთებიან, სწერენ და შლიან ფარებზე სხვადასხვა წარწერებს. აქ ეს რეკლამები განუწყვეტლად ანთია, დღე და ღამე. მაღაზიების უმრავლესობა დაკეტილია. არიან ისეთები, რომელთაც გაჭირვება აიძულებთ სულ ღია ჰქონდეთ მაღაზია, რომ საგანგებოთ გაიაფებული ჩანოლილი საქონელი როგორმე მიყიდ-მოყიდონ და ფინანსიური გაჭირვებიდან თავი დაიხსნან.

ჩვენ ინტერესით ვათვალიერებდით ვიტრინებს და საქონლის ფასებს. ვაჭრული მოტყუების პირველი წესი მაშინვე გვეცა თვალში. ყველგან, სადაც კი საქონელს ფასი აწერია, ყველგან გვითხულობთ ერთსა და იმავეს.... სი-იაფის იმიტაციისათვის ყველაფერს ერთი ცენტის ფასდაკლებით აცხადებენ. ფეხსაცმელი მაგალითად, ღირს ცხრა დოლარი (დიდი ციფრით) და ოთხმოც-დაცხრამეტი ცენტი (წვრილი ციფრებით). ამრიგათ, მყიდველმა უნებურად უნდა იფიქროს, რომ საქონელი ათი კი არა ცხრა დოლარი ღირსო.

ეს წესი ლოძელ და კრაკოველ ებრაელებს ჰქონდათ შემოღებული ძველ დროში და ჟურნალ „ოგონიოკში“ ან „ნივაში“ მეფის რეჟიმის დროს ამომი-კითხავს ხოლმე განცხადებაში: „საათი ერთი მანეთი და 99 კაპეიკიო“. ერთი მანეთი აქაც დიდი ასოთი იყო დაბეჭდილი, ხოლო კაპეიკები უწვრილესით. ალბათ, სწორეთ ლოძელმა ებრაელებმა ჩაიტანეს ეს წესი ამერიკაში.

ბევრი ალბათ ფიქრობს, რომ რაც ამერიკის სავაჭრო მაღაზიებში მოი-პოება, ყველაფერი ამერიკაშია დამზადებული. ეს ცხადია, აბსურდია. ამე-რიკის მაღაზიებში თქვენ ნახავთ იაპონურ, ვიეტნამურ, ინდურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, არგენტინულ და მრავალი სხვა ქვეყნის საქონელს. ამერიკის კეთილდღეობის მთელი სისტემა დამყარებულია ვაჭრობაზე, მან

უნდა დაამზადოს ისეთი საქონელი, რომელსაც ძვირად გაჰყიდის თავისთან დამოკიდებულ ქვეყნებში, ხოლო იქედან კი ნახევარ, ან უფრო სწორად, ჩალის ფასად შემოზიდოს თუნდაც ფართო მოხმარების საქონელი და თავისი ბაზრები აავსოს. ამ ძვირად გაყიდვის და იაფად ყიდვის სისტემაზეა აგებული ამერიკის მთელი კეთილდღეობა. ამით დააგროვეს მათ ეს უამრავი სიმდიდრე და არა იმით, რომ თითქოს კაპიტალისტური მეურნეობის რაღაც უებარი სისტემა არსებობდეს, ისეთი, რომელიც საშუალებას აძლევდეს მათ, ასე სწრაფად განავითარონ თავისი მრეწველობა. ამერიკელი გიდები გვეუბნებოდნენ ტაიმს სკვერისკენ ნუ ნახვალთ, იქ მართალია, ყველაფერი იაფად იყიდება, მაგრამ ბევრი გაიძვერაა და თავი მოარიდეთო. ნამდვილად კი ტაიმს სკვერში უამრავი სავაჭრო დანესებულებაა უცხოეთიდან შემოზიდული საქონლით სავსე და ბევრ მაღაზიაში ხდება ჩვენებურად რომ ვთქვა, ეგრეთწოდებული მიყიდ-მოყიდვა ანუ რუსული გამოთქმით „რასპროდა-შა“, ე. ი. გაკოტრების პირას მიმდგარი მაღაზიის მეპატრონე ჩალის ფასად ყიდის უცხოეთიდან შემოზიდულ კოლონიურ საქონელს.

მთელს ნიუ-იორკში ვერ დაინახავთ ჰაერში გაბმულ გადამცემ მავთულებს და ვერ ნახავთ ვერც ტრამვაის, ვერც ტროლეიბუსს. მარტო გრძელი ავტობუსები დაჰქრიან. ქალაქს აქვს მეტროპოლიტენი, საკმაოდ ბინძური, ბნელი და უსიამო. ჩვენი ამერიკელი გიდები ცდილობენ, რომ როგორმე აგვარიდონ მეტროს, არ ღირს მაგის ნახვა, იგი საკმაოდ ცუდიაო, გვეუბნებიან. მათ ნახული აქვთ მოსკოვის მეტრო და ამიტომ იციან, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს მათი მეტროპოლიტენი ყოველ ჩვენგანზე. მგზავრებიც იშვიათად ჩადიან და მატარებლებსაც დიდხანს უნდა უცადო. ეტყობა, ტრანსპორტის ეს სახეობაც საკმაო კრიზისს განიცდის.

ნიუ-იორკში ჩვეულებრივი სამგზავრო მატარებლებიც მიწის ქვეშ გადის. ჩვენს სასტუმროსთანაა სწორეთ გიგანტური ვაგზალი, სადაც მატარებლები ამ ცათამბჯენების ქვეშ გავლით შედიან.

ჩავედით ტაიმს სკვერამდე. აქ არის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციის სვეტივით აღმართული საოცრად ვიწრო და მაღალი შენობა. აქვეა ბევრი კინო-თეატრი. ერთ-ერთი ფილმის რეკლამაზე გამოსახულია გიგანტური მამაკაცი, რომელიც პირიდან უშვებს თამბაქოს ბოლის რგოლებს. ამ რგოლებს საგანგებო მონყობილობა ისვრის და ყოველ წუთში ისმის გასროლასავით ხმაური.

ერთ დიდ კინოში მიდიოდა ფართოეკრანიანი ფილმი „ბენ-ჰური“. ამ სურათს უკვე წელიწადზე მეტია, რაც განუწყვეტლად უჩვენებენ მაყურებელს. იგი ოთხი საათის განმავლობაში მიდის და მის სანახავად საგანგებოთ უნდა მოიცალოს კაცმა.

ნიუ-იორკში ბევრია კინო-თეატრი, სადაც ნახევრად პორნოგრაფიულ ფილმებს უჩვენებენ და სარეკლამო ფარებზე თქვენ დაინახავთ ყოველად უხამსათ გამიშვლებული ქალების სურათებს.

ძალზე იშვიათად წაანყდებით წიგნის მალაზიებს. იაფფასიანად გამოცემული წიგნები კი მრავლად აწყვია საგაზეთო კიოსკებში. მაგრამ აქ უმეტესად *ეგრეთწოდებულ* კომიკებს თუ ნახავთ. ნამდვილ და დიდ ლიტერატურას იშვიათად თუ მოჰკრავთ თვალს. მე ბევრი ვეძებე სტეინბეკის, ჰემინგუეის, ფოლკნერის, კოლდუელის და სხვა სახელგანთქმული მწერლების წიგნები ამ კიოსკების ვიტრინებში, მაგრამ ერთსაც კი ვერ წავაწყდი. სამაგიეროთ, ბევრი იყო ჩემთვის სრულიად უცნობი ავტორები და ყდების ილიუსტრაციების მიხედვით ვხვდებოდი, თუ როგორი შინაარსის წიგნებთან მქონდა საქმე. ან ნახევრად შიშველი ქალი ვილაცას უღერებდა რევოლვერს, ან ვილაცას მისდევდნენ სროლით, ან მაიმუნისმაგვარი მამაკაცი ახრჩობდა ქალს და სხვა ასეთები. მხოლოდ ერთ კიოსკში შემხვდა წესიერი წიგნი. ეს გახლდათ შოლოხოვის „წყნარი დონის“ ამერიკული გამოცემა.

ბროდვეიზე წავაწყდით პორნოგრაფიული ლიტერატურისა და ალბომების *სპეციალურ* მალაზიას. ვიტრინაში შედარებით ისეთი სურათებია გამოფენილი, რომელთაც ჩვეულებრივად ყოველ ამერიკულ ჟურნალებში ნახავთ, სავსებით შიშველი ქალები სხვადასხვა, ფრიად ეროტიულ პოზებში. ვიტრინიდან მალაზიაში შეხედვა არ შეიძლება, მთლიანად დაფარულია ქუჩის მხრიდან. ამიტომ მალაზიაში უნდა შეხვიდეთ. იქ კი...

თორმეტ საათზე ნიუ-იორკის იმ დოკში მივედით, საიდანაც ყოველ თხუთმეტ წუთში გადიან საექსკურსიო გემები კუნძულ მანჰეტენის გარშემო. ამ კუნძულზეა გაშენებული მთელი ეს ცათამბჯენებიანი ნიუ-იორკი.

გემი საკმაოდ დიდია. ჩვენ არ ვისურვეთ ზედა ბაქანზე ასვლა და გემის ცხვირზე მოვიყარეთ თავი. აქედან უკეთესად ვხედავდით გარემოს.

დაიძრა გემი. გავედით მდინარის შუაგულში და გავუდექით გზას. აი, მხოლოდ აქედან შევამჩნიეთ, თუ რომელი შენობაა ამ ქალაქში მართლა ცათამბჯენი და მათ შორის ნამდვილი გიგანტი – ას ორსართულიანი სახლი „ემპაიერ სტეიტს ბილდინგი“, რაც ჩვენებურად ნიშნავს ემპაიერის შტატის



შენობას. იგი დაახლოებით ოთხასი მეტრის სიმაღლისაა, აგებულია კუნძულ მანჰეტენის ზედ შუაგულში და მთელ ქალაქზე მბრძანებლობს. ნიუ-იორკის დოკები ერთ დროს უდიდესი იყო მთელ მსოფლიოში. აქ მოდიოდნენ გემები მთელი მსოფლიოს კუთხიდან, მაგრამ ახლა აქ გემების მოძრაობა, როგორც ეტყობა, დასულია მინიმუმამდე, და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე დოკია წესრიგში, ახლად შეღებილი და ზედ დიდი ასოებით წარწერები, თუ რომელი საზოგადოების, ან რომელი ქვეყნის სანაოსნო კამპანიას ეკუთვნის იგი. დანარჩენი დოკები როგორც ეტყობა, გაუქმებულია, წყალში ჩაშვებულ მსხვილ ხის ბოძებზე გამართული სადოკო ბაქნები მთლიანად დამპალია. ალაგ-ალაგ კიდევაც დაუნყიათ მათი დაშლა.

მე გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ყველა გემთმისადგომი ბეტონის კი არ იყო, არამედ ხისა და ამ გიგანტურ ცათამბჯენების ფონზე პირდაპირ არ გჯერა, რომ ამ ქალაქს მეჩვიდმეტე თუ მეთვრამეტე საუკუნის დროინდელი პრიმიტიული ნავსაყუდარი აქვს. ამ დოკებში მხოლოდ ორი საოკეანო გემი დავინახე, არც თუ ისე დიდი. ერთი მათგანი მგონი, საფრანგეთის უნდა ყოფილიყო. ნიუ-იორკის კუნძულს ნაპირებთან მრავალი ხიდი აერთებს. მე საერთოდ გაგონილი მქონდა ბრუკლინის ხიდის სიდიდის და გრანდიოზულობის შესახებ მთელი ლეგენდები, მაგრამ ახლა რომელ ხიდქვეშაც არ გავედით, ყველა ბრუკლინისა მეგონა. იმდენათ დიდია ყოველი მათგანი და იმდენათ წააგავენ ისინი ერთმანეთს, რომ შეუძლებელია, ასე ერთი შეხედვით გამოიცნო რომელი რომელია.

დაახლოებით სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა ჩვენი მოგზაურობა მანჰეტენის გარშემო. მდინარე ჰუდზონი აქ ყველგან ისეთი დიდია და ისეთი ღრმა, რომ აქ თავისუფლად მიმოდინა საოკეანო გემები.

ჩავუარეთ თავისუფლების ძეგლს. იგი დაახლოებით ასი მეტრის სიმაღლეზეა ამართული ზღვის ზედაპირიდან. უნდა გულახდილათ ვთქვა, რომ ჩემზე ეს ძეგლი არ სტოვებს დიდი ხელოვნების ნიმუშის შთაბეჭდილებას. რამდენიც არ ვუცქირე, მე ვერ შევიგრძენი, რომ იგი გამოხატავს თავისუფლების დიად სიმბოლოს.

ამ კუნძულის ახლო იყო მეორე უფრო დიდი, რომელსაც „ცრემლების კუნძულს“ უწოდებდნენ. აქ გადმოსხამდნენ ხოლმე ემიგრაციაში მომავალ ხალხს საკარანტინოდ და ქონების შესამონმებლად. ამერიკაში ჩასასახლებლად საჭირო იყო ერთგვარი ქონებრივი აუცილებელი მინიმუმი, ურომლისოდაც ამ ქვეყანაში არავის შეუშვებდნენ. ბევრი იყო ისეთი ოჯახი, რომე-

ლიც გაჭირვებას აედუღებია თავისი ბედი ამერიკაში ეძებნა, ამიტომ მოვე-  
როვებია რაც კი რამ გააჩნდა და მცირე სახსრებით გამოდგომოდა გზას ამ  
ალთქმის ქვეყნისაკენ. მაგრამ დახეთ უბედურებას, მათ აღარ გააჩნდათ  
ქონების ის მინიმუმი, რაც საჭირო იყო ამ ქვეყანაში შესვლის ნებართვის  
მისაღებათ და მათ ეუბნებოდნენ, სადაც გინდათ, იქ მიბრძანდით, თუნ-  
დაც წყალში გადაცვივდით, მაგრამ ამერიკაში არ შეგიშვებთო. აი, ამიტომ  
დაერქვა ამ კუნძულს ცრემლებისა, რადგან აქ მართლაც მთელი მდინა-  
რეები დაღვრილა უბედურ ადამიანთა, გამწარებულ დედათა, პატარა ბავშ-  
ვებთა და მათ მამებთა ცრემლებისა.

გიდი მეუბნება, რომ ეს კუნძული უკვე სამოცი წელია აღარ ასრულებს  
ამ საკარანტინო დანესებულების როლს და იქ აღარავითარი ცრემლები არ  
იღვრებაო. ჩემთვის ესეც გასაგებია. ყველა საჭირო ფორმალობა ახლა წი-  
ნასწარ სრულდება სხვადასხვა ქვეყნებში მიმოხვეულ ამერიკის საელჩოე-  
ბის და საკონსულოების მიერ და თუ ცრემლებს ღვრის ვინმე დაე, ისევე თა-  
ვის მიწაზე დაღვაროს, ვიდრე ამერიკის ამ კარიბჭესთან და თავისუფლების  
უკვე სახელგატეხილ ძეგლთან.

შემოვუარეთ მანჭეტენის აღმოსავლეთის კონცხს, რომელზედაცაა მო-  
თავსებული უოლსტრიტის უბანი. აქ ცათამბჯენები სოკოებივით ჯგუფად  
არიან ამოზრდილნი. გზადაგზა ჩაგვიქროლებენ ხოლმე კერძო მეპატრონე-  
თა გლისერები და იახტები. მათ პალუბაზე წამონოლილან შიშველი ქალები  
და მამაკაცები და მზეს ეფიცებებიან. ერთ-ერთ დანგრეულ და მიტოვებულ  
დოკის ბაქნიდან ბიჭუნები ტყაპა-ტყუპით ცვივიან ჰუდზონის მღვრიე და  
ბინძურ წყალში და ჭყუმპალაობენ.

გავუარეთ ძველი ავტომანქანების სასაფლაოს. ხმარებიდან გამოსული  
ავტომანქანები მდინარის პირად გორებათაა ერთმანეთზე დახვავებული.  
აღბათ, აქ მათ გემებში ტვირთავენ და ქარხნებში აგზავნიან გადასადნო-  
ბად. როგორც ეტყობა, აქაური მანქანები დიდათ გამძლეები არ უნდა იყონ,  
რადგან ამ გადაყრილ მანქანების ძარებს შორის ბევრია სრულად ახალი მო-  
დელებისა და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ყოველი მათგანი ახალი  
შეღებილივით ლაპლაპებს. ცხადია, ამერიკული საავტომობილო მრეწვე-  
ლობისათვის სრულიადაც არაა ხელსაყრელი გამოუშვას გამძლე მანქანები,  
რადგან ქარხნის მეპატრონეს გამუდმებით ჭირდება მყიდველი და ამიტომ  
დიდათ არ იტკივებენ თავს იმისათვის, რომ მათ მიერ დამზადებული მანქა-

ნები დიდხანს ძლებდნენ. მუშტრის მისაზიდათ მთავარია, გარეგნობა, ხოლო ამ მხრივ, სხვადასხვა ფირმები წარმოუდგენლად ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ჩვენი გემი შეუჩერებლად მიარღვევს ტალღებს. ქათქათა, მზიანი დღეა და ჩვენს თვალწინ მიცურავს კუნძულ მანჰეტენის ფანტასტიური პეიზაჟი. ერთმანეთს სცვლიან მრავალსართულიან შენობათა უცნაური კონტურები. აღმოსავლეთის მხრიდან განსაკუთრებით ბევრია ხიდეები მდინარე ჰუდზონზე. სულ ბოლოს გავიარეთ ყველაზე ვიწრო სრუტესთან რკინიგზის გასახსნელ ხიდის შუაში, გავედით ზღვასავით განიერ ჰუდზონის მთავარ კალაპოტში და სამხრეთისაკენ დავუხვიეთ. ჩავუარეთ საკმაოდ შემადლებულ გორაკზე გაშენებულ ნიუ-იორკის იმ ნაწილს, სადაც შვიდ-რვა სართულიანი აგურის საცხოვრებელი სახლებია საკმაოდ ლამაზად და მიმზიდველად ნაგები. შემდეგ თანდათანობით კვლავ წამოიმართენ ცათამბჯენები. ჩავუარეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წიგნივით აყუდებულ მრავალსართულიან შენობას, მთელ რიგ დოკებს და ჩვენი მოგზაურობაც დამთავრდა.

ჩვენ თუ ცქერით დავიღალეთ, ჩვენი თანამგზავრი კინოოპერატორი ფელიქს ვისოცკი გადაღებით დაიღალა. მას საკმაოდ მძიმე კინოაპარატი ეჭირა ხელში და ფუსფუსით იღებდა კადრს კადრზე, იმას არც ჩვენი კინორეჟისორი კ. პიპინაშვილი ჩამორჩებოდა, თუმცა მას საკმაოდ მსუბუქი კინოაპარატი ეჭირა ხელში, თექვსმეტ მილიმეტრიანი ფირით და ამ თავის კინოაპარატს უფრო მშვენიერ არსებებს უმიზნებდა, ვიდრე საინტერესო სანახებს. სამთავენი შთაბეჭდილებებით ვიყავით გაბრუებული და საკმაოდ დავიღალეთ.

შინ ავტობუსით დავბრუნდით, რომელმაც საკმაოდ მოზრდილი რეისით რამდენიმე ჩვენთვის უცნობი ქუჩა შემოგვატარა და უნდა ითქვას, რომ უკვე ჩვენი პირვანდელი ინტერესი თანდათან შენედა. ეს ცამდე ატყორცნილი სახლები უნებურად ძალზე ერთფეროვნების შთაბეჭდილებას სტოვებს. მერე და რაც მთავარია, გარდა „როკფელერ-სენტერის“ მართლადა მოხდენილი ანსამბლისა, ამდენი უშნო და უგემოვნო შენობა კი აღარ გხიბლავს, არამედ გულს გირევს.

სალამოს ტაიმს სკვერისკენ გავისეირნეთ. წინა ღამით ნახული სარეკლამო ელნათურების ციმციმი ახლა აღარც გვიკვირს, აღარც გვაინტერესებს. არხეინად მივაბიჯებთ ამ გიგანტური ქალაქის ქუჩებზე და ვიტრინებთანაც კი იშვიათად ვჩერდებით. აქაც სტერეოტიპული ერთფეროვნებით მეორდება ყოველივე და საერთოთ, საკმაოა დაათვალიეროთ ნიუ-იორკის

ერთი კვარტალი, შემოუაროთ მას გარშემო, შეხვიდეთ ერთ უნივერსალურ მაღაზიაში, ერთ რომელიმე დანესებულებაში, რომ თქვენ თამამად შეგიძლიათ სთქვათ, რომ გარეგნულად მთელი ნიუ-იორკი გაქვთ ნახული.

ცალკე უნდა შევჩერდე აქაურ კაფეებზე და ბარებზე. უცქერით ზოგიერთ კაფეს და ხედავთ, რომ ერთი მისი ნახევარი ანუ ერთი დარბაზი გაჩახახებულია სინათლით, შეიხედავთ მეორე დარბაზში და იქ ყველაფერი ფანტასტიურადაა ჩაბნელებული. ძლივს ბჭუტავს სინათლე მაგიდებთან, ბარმენის დახლთან, და საერთოდ, დარბაზში თუ ფრთხილად არ იარეთ, შეიძლება კისერიც მოიტეხოთ. ასეთ კაფეებში უყვართ შესვლა ვინმეს გაცნობის მოსურნე ქალსაც და ვაჟსაც. ჩამოსხდებიან ბარის დახლის გასწვრივ დადგმულ იმ სიმაღლე სკამებზე, რომლებზედაც თუ არ შეხტი, ისე ვერც შეხვალ, შეუკვეთენ ერთ ჭიქა ღვინოს, მოიხედავენ გვერდით და რას ხედავს გასართობად მოსული მონყენილი მამაკაცი? საკმაოდ მომხიბლავი ქალი უზის გვერდით და ისიც უკვეთავს ჭიქა ღვინოს.

იბმება ნაცნობობა.

საერთოდ, ასეთი ნახევრად სინათლე როგორც ეტყობა, ძალიან უწყობს ხელს თავგადასავლის მოყვარულთა ინტიმურ განწყობილებას და ბარის მეპატრონეებმა მაშ, აბა რისთვის უნდა იზრუნონ, თუ არა მუშტრის სიამოვნებისათვის.

მე გამიგონია ერთი ჩვენებური, იმერული გამოთქმა, ქალაქის ბაზარში ჩამოსული გლეხი, როდესაც დაინახავს რესტორნებს, საბაზრო ლატარიას, კარუსელს, კალეიდოსკოპს და სხვა ასეთებს, გულგრილად იტყვის: „ფულის მახეა ბატონო, ეს ყველაფერიო“. ასეთ „ფულის მახედაა“ ქცეული აქ ყოველი სავაჭრო ან სანახაობითი დანესებულება. მახეში კი მისატყუებლად ყოველგვარი მიმზიდველი საშუალება გამოიყენება, თუნდაც ისეთი, როგორიც პარიზის ზოგიერთ კაფეში და მგონი, ზოგიერთ ამერიკულ ლამის კაბარეებშიაც იყენებენ. მუშტრებს ემსახურებიან აბსოლუტურად შიშველი ოფიციანტი ქალები.



მეორე დღეს შევუდექით ქალაქის საფუძვლიან დათვალიერებას. ჩვეულებრივი სამარშრუტო ავტობუსით გავემგზავრეთ ქალაქის შუაგულისკენ. იქ პირველად ვინახულეთ ეგრეთწოდებული „როკფელერ-სენტერის“ ცათამბჯენთა ანსამბლი. ეს მართლაც, რომ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს

მნახველზე. ცენტრალური ცათამბჯენის წინ, ოთხკუთხად ჩაღრმავებულ ეზოში აუზია მონყობილი და სიმაღლიდან გადმოშვებული ლურჯი, განიერი ჩანჩქერი ხმაურით ეშვება აუზში. იმ ეზოში რესტორანია.

აქ შეგვეგებენ ნიუ-იორკის კინემატოგრაფისტთა კავშირის ხელმძღვანელები. მათ მოისურვეს ჩვენი მიპატიჟება რესტორანში სასაუბროთ, ჩვენ კი აუტანელი სიცხის გამო არც პიჯაკები გვეცვა, არც ჰალსტუხები გვექონდა და ისე კი რესტორანში შესვლა, თურმე, არ შეიძლებოდა. მასპინძლებმა თავაზიანად შემოგვთავაზეს, აქვეა გამქირავებელი კანტორა და შეგიძლიათ, ახლავე ჩაიცვათ პიჯაკებიო. ჩვენ მაღლობა მოვახსენეთ დაპატიჟებისათვის, ხოლო ნაქირავები პიჯაკების ჩაცმაზე უარი განვაცხადეთ – სხვის ნაცვამებს არ ვიცვამთ-მეთქი. თანაც გაკვირვებით დავძინე, თქვე დალოცვილებო, განა თქვენი ამერიკელები არ არიან ევროპაში, არათუ პიჯაკ-ჰალსტუხით, არამედ უმარვლოდ, მოკლე ტრუსებით და მოღლეტილი გულით რომ ყველგან უტიფრად შეგლიჯინობენ, გნებავთ, რესტორანი იყოს, გნებავთ, თეატრი და გნებავთ, ოჯახური სალონი. აქ რალატომ აწესებთ ასეთ წესებს, თუ სხვაგან თითონ თქვენ არ იცავთ-მეთქი.

„როკფელერ-სენტერის“ ცათამბჯენთა ანსამბლის დათვალიერების შემდეგ გავემართეთ ახალი ხელოვნების მუზეუმისაკენ და გზათ შევიარეთ სასტუმრო „ასტორიას“ დასათვალიერებლად, სადაც ბინათ იყო ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ამერიკაში ყოფნის დროს. ესაა მართლა გიგანტური შენობა, თუმცა სიდიდით ბევრათ არ უნდა აღემატებოდეს სასტუმრო „უკრაინას“ მოსკოვში. სანამ სასტუმრომდე მივალწევდეთ, რამდენიმე კვარტალის ფენით გავლა მოგვიხდა. იმ დღეს სიცხესთან ერთად ჰაერი საოცრად ნესტიანი იყო და ავტომანქანების ბოლი ქუჩაში წვებოდა. ამიტომ ქუჩებში მდინარესავით მიმავალ ავტომანქანათა ბოლის გამო პირდაპირ შეუძლებელი იყო სუნთქვა და თვალეზიც გვეწვოდა. მაშინ კი წამომცდა სიმწრით, ვინც ეს ავტომობილი მოიგონა იმისი ოჯახი დააქცია ღმერთმა-მეთქი. მთელი ეს ქალაქი ნამდვილ ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა.

შევედით სასტუმრო „ასტორიას“ ვესტიბულში და უცბათ სული მოვითქვით. საამურად გაგრილებული სუფთა ჰაერი სანეტაროდ მოგველამუნა მთელ სხეულზე. თითქო მართლა სამოთხეში შევსულიყავით, მართალია, მარტო ვესტიბულების დათვალიერებით დაგვკმაყოფილდით, მაგრამ იმოდენა დარბაზები იყო და ყველგან ისეთი საამური სიგრილე, რომ წამოსვლა აღარ გვინდოდა, ამ კონდიციონერული ჰაერის სუნთქვა გვერჩია ამყრალე-



ბულ ქუჩებში ხეტიალს. ბოლოს მაინც იძულებული ვიყავით მიგვეტოვებია ეს მდიდრულად მორთული დარბაზები და გავსნიეთ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დასათვალიერებლად. იგი ნიუ-იორკის ცენტრშია მოთავსებული, 53-ე ქუჩაზე, მეხუთე ავენიუს კუთხეში და ცათამბჯენებს შორის საცოდავათაა ჩაცუცქული. ვესტიბულში შესვლისთანავე თქვენს ყურადღებას იპყრობს ქვის კვარცხლბეკზე დადგმული კაკლის ხის ჯირკი, გალესილ-გაპრიალებული, თავ-ბოლო სწორად გადახერხილი, ერთის სიტყვით, ჩვეულებრივი ნაპობი. წარწერის მიხედვით, ეს არის ქანდაკება, შესრულებული რომელიღაც აბსტრაქციონისტი მხატვრის მიერ. მე ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი მოსაზრება რუს თანამგზავრთა შორის ამ ქანდაკების შესახებ და ვუნოდე მას: „პოლიროვანნაია ჩეპუხა“. ჩვენმა გიდმა, მისტერ კიმმა ძალზე იწყინა და დამიწყო მტკიცება, ეს სულაც არაა ჩეპუხა, არამედ ხელოვნების ნაწარმოებიაო. მე ღიმილით ვუთხარი, რომ ამ ორმოციოდე წლის წინათ, როდესაც თქვენ ქვეყნად გაჩენის პროექტშიაც კი არ იყავით, მე თითონ გახლდით კუბიზმის მიმდევარი და ასეთ სისულელებს ქება-დიდებას ვახამდი და ახლა თუ თქვენ ეს კუნძი მართლა რაიმედ მიგაჩნიათ, მით უარესი თქვენთვის-მეთქი.

სტუმრებს შემოგვეგება მუზეუმის ფილმების განყოფილების დირექტორი, მისტერ გრიფიცი. ჩვენ მას ვკითხეთ, რა ნათესაობა გაქვთ ცნობილ კინორეჟისორ გრიფიტთან-თქო, ღიმილით გვითხრა, მე ძალიან მსიამოვნებს ასეთი შეკითხვით რომ მომმართავთ, მაგრამ მასთან არავითარი ნათესაობა არა მაქვსო.

მან წაგვიყვანა და ჯერ თავისი განყოფილება დაგვათვალიერებია. ამ მუზეუმში თავმოყრილია მსოფლიოში ყველა ღირსშესანიშნავი ფილმი. არის აგრეთვე ყველაზე პირველად გადაღებული ფილმები ედისონის და ლუი ლიუმერის დროისა.

შეგვიყვანეს ფილმოტეკის სეიფებში და ერთ პატარა საპროექციო დარბაზში გვიჩვენეს მთელი პროცესი, თუ როგორ ხდება უძველესი ფილმების გაცოცხლება. საქმე ისაა, რომ ძველი ფირი, დროთა განმავლობაში იშლება და შეხებისთანავე იმსხვრევა. ამავე დროს ძველი ფილმებიდან დარჩენილია მარტოდმარტო ქალაქის ბაფთაზე გადაღებული პოზიტივის პირი, რომელსაც მაშინ საგანგებოთ ბეჭდავენ, როგორც საარქივო დოკუმენტს საავტორო უფლებების დასაცავად. ამ ფოტოასლიდან ამჟამად ამზადებენ ახალ ნეგატივს და იქიდან კი ფილმის ასლს. ჩვენ გვაჩვენეს ამგვარად გაცოც-

ხლებული ძველი დოკუმენტალური ფილმი. აქ ნაჩვენებია იყო მაშინდელი ავტომობილების რბენა, ავსტრიის იმპერატორის, ფრანც იოსების ჩასვლა სადღაც და სხვა ამგვარი რამეები.

შემდეგ გვაჩვენებს რეჟისორ ლუის ბიუნიუელის ცნობილი სურრეალისტური სურათი „ანდალუზიელი ძაღლი“. ეს ფილმი მართლაც რომ საოცრებაა თავისი ორიგინალური უაზრობით და შემზარავი კადრებით. ფილმი იწყება თითქოს სრულიად ჩვეულებრივად: დილაა, მოჩანს ქალაქის ქუჩა აივნიდან. ახალგაზრდა კაცი ტყავზე პირს უწყობს სამართებელს, მიდის მეორე ოთახში, იქ ზის ახალგაზრდა ქალი. ვაჟი მიუახლოვდა, თავი გადაუნია, შემდეგ გამოჩნდა მსხვილი პლანით ქალის თვალი, კადრში შემოდის სამართებლიანი ხელი ვაჟისა, რომელმაც მოულოდნელად სამართებელი თვალის გუგაზე გაუსვა და შუაზე გადასერა იგი....

ან ასეთი კადრი: დგას იგივე ქალი ქუჩაში და უტრიალებს გარშემო თავის საკუთარ მოკვეთილ ხელს, ვერ ახერხებს მის აღებას. გარშემო გროვდება ხალხი და უხმოდ უცქერიან ამ სურათს. შემდეგ ამ ხელს კოლოფში ჩადებენ და ქალს გულზე დაკიდებენ....

ან კიდევ ასეთი: სურათის მთავარი გმირი გამალებით მიიწევს, მაგრამ ვერ კოცნის თავის სასურველ არსებას, იმიტომ, რომ მიმაგრებულია ბანრებით ორ გოგრაზე თუ კვანზე, ორ მღვდელზე და როიალზე, რომელზედაც დევს მკვდარი ვირი.

აი, ასეთი რამეებისაგან შედგება მთელი ფილმი და თუ კარგი ნერვების პატრონი არა ხარ, შეიძლება მისი ნახვის შემდეგ მთელი ღამე არ დაგეძინოს. მე გამიგონია, რომ კინოთეატრში ამ ფილმის ჩვენების დროს ქალები გულმწუხრებული გაჰყავდათ ხოლმე, თურმე გარეთ და ისმოდა მათი ისტერიული კივილი.

საყურადღებოა ისიც, რომ ამჟამად ლუის ბიუნიუელი სავსებით რეალისტურ ფილმებს დგამს და სრულიადაც აღარ იმეორებს თავის ამ პათოლოგიურ ექსპერიმენტებს.

მეორე ფილმი, რომელსაც ეწოდებოდა „მინა უპუროდ“ დოკუმენტალური იყო და მოგვითხრობდა ესპანელი გლეხების წარმოუდგენლად გაჭირვებულ ცხოვრებაზე. სურათი მართლაც, შემზარავი იყო და ძალიან წააგავდა თავისი ხასიათით იმ სიურრეალისტურ ფილმს. განსაკუთრებით საშინელი სანახავი იყო შიმშილისაგან გასიებული მკვდარი ბავშვი, ისიც თვალგახელილი, დედას რომ აეხუტებია.

პატივცემულმა გრიფიცმა გვიამბო, რომ ამ მუზეუმში რასაკვირველია, შეუძლებელია თავმოყრა ყველა იმ ფილმებისა, რაც მსოფლიოში გადაღებულია, მაგრამ ისინი ცდილობენ, შეიძინონ ყველა ღირსშესანიშნავი ფილმი, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მათ საბჭოთა რამდენიმე ფილმი ჰქონიათ, მაგრამ ქართული ფილმებიდან სამწუხაროდ, არც ერთი არ აღმოაჩნდათ.

შემდეგ დავათვალიერეთ მუზეუმის სამხატვრო ექსპონატები. აქ უმეტესად თავმოყრილია იმპრესიონისტების, კუბისტების და აბსტრაქციონისტის მხატვრების ან მოქანდაკეების ნაწარმოებები, როგორც არიან მაგალითად, პაბლო პიკასო, ფრანს პიკაბია, ჟაკ ლევინი, ჟან არპი, პოლლაკი და სხვანი.

როგორც შემდეგ გავიგე, ამ მუზეუმში ყოფილა აგრეთვე ჩვენი ცნობილი მხატვრების: დავით კაკაბაძის და ლადო გუდიაშვილის სურათები, მაგრამ ვინაიდან დარბაზების სიმცირის გამო აქ ხშირად ცვლიან სურათებს, ამ ექსპოზიციაში მათი სურათები არ შემხვედრია. აქვეა ცნობილი რეალისტი მხატვრების და მოქანდაკეების ნამუშევრები, რომელთა შორის უეჭველად ყურადღებას იპყრობს მუზეუმის ეზოში დადგმული ბალზაკის მთლიანი ფიგურა როდენისა.

ერთ მიყრუებულ ოთახში, კიბის ქვეშ დგას ვილაც აბსტრაქციონისტის ნაცოდვილარი: რკინის ჟანგიანი მილებისაგან და რკინისვე სამკუთხა თუ ოთხკუთხა ნაჭრებიდან ნაკეთები გაუგებრობა. ბატონმა გრიფიცმა ღიმილით გვითხრა, რომ დირექტორმა ეს შემოქმედებითი „შედეგი“ ამ მიყრუებულ ოთახში დადგა, რადგან ამ ახუხულავებული სისულელით მაინცდამაინც არ არის აღტაცებულიო.

რა შეიძლება ითქვას აბსტრაქციონისტ მხატვრებზე და მოქანდაკეებზე.

ჩემის აზრით, ამას უნდა ვუნოდოთ ხელოვნების აბსოლუტურად დაცემის პერიოდი. მე ვერ წარმომიდგენია ხელოვნება გარეშე აზროვნებისა, რაც ყოველთვის ახლდა მას თვით კუბიზმის პერიოდშიაც, მაგრამ აბსტრაქციონიზმი ესაა სრული უაზრობა და მას ყველაზე მარტივი დეკორატიულობის ფუნქციის მინიჭებაც კი ვერ ამართლებს. ანდა რა დეკორატიულობა უნდა ვეძებოთ ჩარჩოში ჩასმულ ისეთ სურათში, რომელიც ჩვეულებრივი შავი საღებავით დატყლაპნილ ტილოს წარმოადგენს და მეტს არაფერს. ერთადერთი დამსახურება აბსტრაქციონიზმისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი მოგანატრებს და შეგაყვარებს ნამდვილ ხელოვნებას, ისევე, როგორც გიჟი შეგაყვარებს ჭკვიანს, ავადმყოფი – ჯანმრთელს, ბოროტი – კეთილს.

მუზეუმში არის მშვენიერი კაფეტერიუმი მომსვლელთათვის, გამართული თვითმომსახურეობის პრინციპზე. აიღებ სინს, დადგამ საგანგებო ლიანდაგზე, მიაცურებ და გზადაგზა იღებ ვიტრინიდან რაც მოგეწონება, აწყობ ამ სინზე, ბოლოში მოლარე საანგარიშო მანქანით ერთ წუთში დაითვლის რაც უნდა გადაიხადო. დააჭერს ხელს ლილს და გამოხტება ქალაქდზე ჩამობეჭდილი ანგარიში.

აიღებ ხელში ამ შენს პურ-მარილს და ეძებ თავისუფალ ადგილს რომელიმე მაგიდასთან. კაფეტერიუმის შუშის კედლები მუზეუმის ეზოს გაჰყურებს. ეზოშიაც დგანან საჩრდილობელი ქოლგებით დაფარული მაგიდები.

უნდა ითქვას, რომ ეს მართლაც კარგი წესია და ყოველი ადამიანისათვის მუზეუმის დათვალიერება ნამდვილი დასვენებაა. აქ მთელი ოჯახებია მოსული თავისი აჭალ-ბუჭულებით, დადიან, ათვალიერებენ დარბაზებს, საუზმობენ თუ სადილობენ, ისვენებენ, ისევ ათვალიერებენ დარბაზებს.

ჩვენც ვისადილეთ, კარგად დავისვენეთ, ფოტო და კინოაპარატები ავა-მუშავეთ და შემდეგ გავემართეთ ნიუ-იორკის უდიდესი თეატრის „რადიო სიტი ჰოლის“ დასათვალიერებლად და წარმოდგენის სანახავად. ეს თეატრი გარედან არცთუ ისე გრანდიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს. მით უმეტეს, იგი მოთავსებულია „როკფელერ-სენტერის“ ცათამბჯენის ახლო და ამ ცაში ატყორცნილ სამოცდაათსართულიანი გიგანტის გვერდით პანანინად გვეჩვენება, მაგრამ, როდესაც შიგ შევედით, მაშინ დავინახე, თუ რასაც წარმოდგენდა იგი სიდიდის მხრივ.

თავდაპირველად კულისებში შეგვიყვანეს, სადაც მსახიობები ემზადებოდნენ სპექტაკლის დაწყებისათვის. ეს თეატრი საესტრადოა, „ფოლიბერჟერის“ მსგავსი. აქ დადგმული საესტრადო სპექტაკლი, რომელიც წარმოდგენს საბალეტო, საცირკო და წმინდა საესტრადო ნომრების თავისებურ კონგლომერატს, მთელი თვის განმავლობაში განუწყვეტლად მიდის სცენაზე და ხანდახან, თუ წარმატება ხვდა, შეიძლება მეტ ხანსაც. ამავ დროს თეატრი იტევს ექვსიათას ოთხას მაყურებელს.

სცენა მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. აქ არა მარტო მბრუნავი სცენაა, არამედ მთელი იატაკი სცენისა იძირება დიდ სიღრმეზე, სადაც შეიძლება სწრაფად შეცვალონ დეკორაციები, დაენციონ საცეკვაოდ გამზადებული ბალერინები და იატაკი ისევე სწრაფად ამოვა მალა, ხოლო ზემოდან, კოლოსნიკებიდან, ანუ როგორც ჩვენი ლექსიკონი გვითარგმნის, ცხაურებიდან, წამდაუნუმ ეშვება და ერთმანეთს სცვლის

ნაირ-ნაირი დეკორატიული ფარდები. თეატრში ხშირად მიმართავენ ეგრეთ-  
წოდებულ ლიუმინესცენციურ ხერხებს და ზღაპრულად ფერიული სურათე-  
ბი წამდაუნუმ სცვლიან ერთმანეთს. ამ საღამოსაც გვაჩვენეს ელექტრო-  
ლამპების დახმარებით წამდვილი შუშხუნების ფანტასმაგორია.

სპექტაკლის დასაწყისი და რამდენიმე საბალეტო ნომერი კულისებიდან  
ვნახეთ, ხოლო შემდეგ გადავედით პარტერში. აქ დარბაზის გრანდიოზუ-  
ლობამ უფრო გაგვაკვირვა, ვიდრე სპექტაკლმა. პროსცენიუმის თალის სი-  
მაღლე თვრამეტ მეტრს უდრის. იგი რკალისებურია, როგორც მთელი დარ-  
ბაზის ქერი, რომელიც თანდათან დიდდება, რაც უფრო შორდება სცენას.

თეატრის ანსამბლის სიამაყეს წარმოადგენს ქალთა საბალეტო ჯგუფი  
„როკეტს“, სადაც ყოველთვის ერთად გამოდის ოცდათექვსმეტი მოცეკვავე  
ქალი. უნდა ითქვას, რომ ეს ანსამბლი მართლა პირველხარისხოვნად ცეკვავს,  
მათი რიტმი და პლასტიკა უზადოა. ბალერინებსაც წესიერად აცვიათ და  
ისე უხამსად არ გამოდიან სცენაზე, როგორც პარიზის „ფოლი-ბერჟერში“.

ჩვენ ვესაუბრეთ თეატრის მთავარ რეჟისორს, ლეონ ლეონიდოვს. იგი  
კიეველი თუ ოდესელი ებრაელია, დიდი ხნის წინად გადასახლებული ამე-  
რიკაში. ამ ოციოდე წლის წინათ უმოგზაურია საბჭოთა კავშირში, გაცნობია  
მოსკოვის თეატრებს და მოკლე ხანში კვლავ აპირებს სტუმრობას. რუ-  
სულად იდეალურად ლაპარაკობს და ჩვენც თავისუფლად ამოვისუნთქეთ,  
რადგან სული შეგვიწუხა ჩვენი უხეირო თარჯიმნების დახმარებით საუბ-  
რებმა. არ ვიცი, მათ მართლა ცუდათ იციან რუსული, თუ როცა არ უნდათ  
მოგვცენ სწორი პასუხი, განგებ აძნელებენ სიტყვის ამოღერღვას პირიდან.  
ეს კია, რომ მათი დახმარებით ბევრს ვერაფერს ვგებულობთ.

ლეონიდოვმა გვაჩვენა თეატრის მთელი რიგი ტექნიკური მოწყობილო-  
ბანი, გვიამბო, თუ როგორი ხასიათის სპექტაკლებს დგამენ ხოლმე, ან რას  
წარმოადგენს მათი ეს თავისებური თეატრალური მიმოხილვები. ჩვეულებ-  
რივად, სპექტაკლი ერთ თვეზე მეტს არ მიდის. საჭიროა ახალი პროგრამის  
დამზადება, ხოლო სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი ეს იგივე  
ძველი „მასალისაგან“ უნდა გაკეთდეს. იგივე საბალეტო ანსამბლი „როკეტს“,  
იგივე თვალთმაქცი ან ჟონგლიორი, იგივე გიმნასტები და ამიტომ ძლიერ  
ძნელი ამოცანის წინაშე ვდგევართ ხოლმეო.

სპექტაკლები სეანსებად მიდის და დღის განმავლობაში რამდენჯერ-  
მე მეორდება. პროგრამაშია აგრეთვე რომელიმე ფილმის ჩვენება. ჩვენი იქ



ყოფნის დროს მიდიოდა რაღაც ფართოეკრანიანი კომედიური ფილმი, მაგრამ ეს კომედია იმდენად „სასაცილო“ იყო, რომ იგი ჩვენ ადრინათ მივატოვეთ.

მე და პიპინაშვილი შევეკითხეთ ლეონიდოვს ბალეტმეისტერის გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძის შესახებ. იგი, როგორც ცნობილია, ითვლება ამერიკული ბალეტის ფუძემდებლად და კლასიკოსად. ლეონიდოვმა გვითხრა, რომ „ჩვენი ჟორჟიკი“ ამჟამად მარტო ერთ საბალეტო ანსამბლს ხელმძღვანელობს და არ წვრილმანდება სხვადასხვა თეატრებში დადგმებზე მუშაობით.

ლეონიდოვმა შეაქო აგრეთვე ჩვენი ხალხური მოცეკვავეთა ანსამბლი სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ისინი ძალზე წარმატებით გამოდიოდნენო.

შემდეგ გავედით ფოიეთა დასათვალიერებლად, ჩავსხედით ლიფტში, რომელიც სიდიდით თითქმის ჩვეულებრივი ოთახის ოდენაა და შიგ არათუ მთელი ჩვენი ჯგუფი ოცი კაცის შემადგენლობით, არამედ ერთი ამდენი, თუ მეტი არა, მაყურებელი იყო. დავეშვით პირველ სართულზე და დავტოვეთ ეს გიგანტური თეატრი.

გარეთ კი ჯერ კიდევ დღე იყო და დასავლეთისკენ გადანვერილი მზე უკვე ცათამბჯენის დაბლა სართულებს შორიდან იჭყიტებოდა.



*სალამოს შექსპირის ერთ-ერთი პიესის დადგმის წინასწარ ჩვენებაზე უნდა წავსულიყავით ყველანი. წარმოდგენა ღია ცის ქვეშ მიმდინარეობს. რამდენიმე კაცმა უარი განვაცხადეთ, რადგან ენა ჩვენ არ ვიცოდით და ისე გნებავთ, სპექტაკლის, გნებავთ, კინოფილმის ნახვა პირდაპირ წამებაა. ასედაც გვითხრეს იმ ამხანაგებმა, რომლებიც მაინც წავიდნენ სპექტაკლზე დასასწრებათ, რა ჭკვიანი ხალხი ხართ, რომ არ წამოდით, ამაზე მოსაწყენი ჩვენ არაფერი გვინახავსო.*

*მთელი სალამო ვიხეტიალეთ ქალაქში. ჩამავალი მზე პირდაპირ ჩაკარგულიყო ამ გიგანტურ სახლებში და ჩვენი ფელიქს ვისოცკი წაღმა-უკუღმა იღებდა ამ მართლაც ფანტასტიურ სანახაობებს. ახლა ნიუ-იორკის ქუჩები გატენილი იყო ავტომანქანებით და მათი ნაირ-ნაირად შეღებილი ხოკერები სველივით ლაპალაპებენ ჩამავალ მზის სხივებზე. უნებურად ყურადღებას იპყრობს ის, რომ ხშირად ვხედავთ ყველაზე ძვირფას მანქანებში ზანგებს. მოჭერის აგერ კასკასა „პონტიაკი“ ან „დე სოტო“ და საჭესთან ზის შავზე შავი ზანგი ქალი. გვერდით კი უსხედან თავისი თავშავა შვილიკოები.*

მე ვკითხე ჩვენს გიდს მისტერ კიმს, ნუთუ ამდენი შეძლებული ზანგია ამერიკაში, რომ ასეთ ბრწყინვალე მანქანებით დაჰქრიან-მეთქი.

– იცით რა, – მიპასუხა მან, – რასაკვირველია, ამერიკაში არიან შეძლებული ზანგებიც, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ვინც ასეთი ძვირფასი მანქანებით დაჰქრის ყველა დიდათ მდიდარია. შეიძლება, რომელიმე მათგანი სადღაც ჯურღმულში ცხოვრობდეს, მაგრამ მანქანას მაინც ძვირფასს იძენს და ისე გააქროლებს ამ ბროდვეიზე, თითქო მილიონერი იყოს. ამერიკაში არის ერთი ყველაზე მდიდარი ზანგი, თავის თანამემამულეთა შორის, იგი ყოფილი ჩემპიონია კრივში. მას ახლა საკუთარი რესტორანი აქვს ჰარლემში.

ბროდვეიზე წავანყდით მათხოვარს. იგი ბრმა იყო, ხელში ეჭირა ცარიელი კონსერვის კოლოფი და შიგ ჩაგდებულ ცენტიანებს აჩხაკუნებდა, რომ გამვლელთა ყურადღება მიექცია. ასეთ მათხოვრებს რამდენჯერმე შევხვდით ნიუ-იორკის ქუჩებზე. ამერიკის სახელმწიფო მესვეურნი ხშირად ტრაბახობენ, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე მთელ მსოფლიოშიო. შესაძლებელია, მოსახლეობის განსაზღვრული ფენები მართლაც ფუფუნებაში იყვნენ, ჩვენ გვაჩვენეს და სტუმრად წაგვიყვანეს მართლაც შეძლებულ ადამიანთა ოჯახებში, მაგრამ ტყუილად იტყუებენ თავს და თავის ჭკუით ჩვენც გვატყუებენ ეს მესვეურნი, რომ მათ ქვეყანაში მართლაც ყველასათვის იყოს განხორციელებული ცხოვრების მაღალი დონე. ჩვენებური ანდა ზაა: მაძლარს მშვიერიც მაძლარი ეგონაო და სწორედ ისეა კაპიტალისტური სისტემის მოტრფიალე ადამიანთა საქმე. განა ამერიკაში ოფიციალურად აღრიცხული ხუთ მილიონამდე უმუშევარი დამადასტურებელი არ არის იმისა, რომ ეს „მაღალი“ დონე ბევრისათვის მიუწოდომელ ოცნებათ რჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

აი, რას სწერს უმუშევართა შესახებ 1960 წლის ზაფხულს მათივე გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმს მეგეზინ“, რომლის შესახებაც გვიამბობს „პრავდის“ ფურცლებზე ბ. სტრელნიკოვი: „ფლორიდიდან, ტექსასიდან და სამხრეთ კალიფორნიიდან მიემართება ჩრდილოეთისაკენ ძონძებში გახვეულ ადამიანთა ქარავნები. სოფლის მეურნეობის მუშათა ეს მრავალტანჯული არმიია, ხუთასი ათასი ქუჩადმავალი ოჯახი. ისინი ქმნიან საკვები პროდუქტების უმეტეს ნაწილს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ თითონ იმყოფებიან კანონიერების მიღმა და ისე შორს, რომ მათ დაარქვეს „ცხოვრებისაგან ამორიცხულნი“.

„მე ვიყავი ყველგან, მაგრამ ვერსად ვერ ვიშოვე ადგილი“, – ასე ჩივის მოხეტიალე მუშა. ის მისდევს მზეს და მოსავალს, მაგრამ იგი ლატაკია დიდ

სიმდიდრეს შორის. ის მოგ ზაურობს იმ გზებზე, რომლებზედაც მოთავსებულია მდიდრული ოტელები, რომლის ნეონის აბრები გაჰკვივიან, რომ ყოველ ნომერში დგას ტელევიზორი და სასტუმროს კაფეტერიებში კი ყველაზე გემრიელი საჭმელებიაო. მაგრამ მოხეტიალე მუშა ღამეს გაათევს ქოხში, რომელიც გადახურულია გაფისული კარტონით, ან საქათმეში, ან დაგლეჯილ კარავში, ან საქონლის საჩხებში. იგი ამუშავებს მსუყე მინას, ქმნის პროდუქტების სიუხვეს, მაგრამ თითონ და მისი შვილები კი გამუდმებით შიმშილობენ“.

„მეორე გაზეთში „ნიუ-იორკ პოსტში“, მოთავსებულია შემდეგი ცნობა – გვატყობინებს იგივე ბ. სტრელნიკოვი: „ამ დღეებში პოლიციელმა, როდესაც იგი თავისი უბნის შემოვლას აწარმოებდა, ყურადღება მიაქცია ძველთაძველ ჩამოქექილ მანქანას, რომელიც გზის კიდეზე იდგა. გამხდარ, ჩამოგლეჯილ ტანსაცმლიან მამაკაცს საჭეზე თავი დაედო და ტიროდა. გვერდით მას უჯდა მდუმარე ქალი, ხელში მომაკვდავი ბავშვით. ქალს უკვე აღარ შეეძლო აღარც ტირილი, არც მოძრაობა, არც ლაპარაკი. ორი მისი ცოტა უფროსი ბავშვი უკანა მხარეზე ისხდნენ. იქვე გზაზე კი მიმოჰქროდნენ მანქანები, საიდანაც იცქირებოდნენ მაძლარი მღიმარე ადამიანები.“

ლუჩიანო მარტინეზმა, 30 წლის სოფლის მეურნეობის მუშამ დიდხანს ვერ შეძლო პასუხი გაეცა პოლიციელისათვის. ბოლოს, მან უამბო, რომ მისი ოჯახი უკვე სამი დღეა მშვიერია. ამ თავისი ძლივს მლოდავი მანქანით, რომელიც შეუძენია რამდენიმე წლის განმავლობაში ნაგროვები ფულით, მისი ოჯახი დაეხეტება ამ გაუთავებელ გზებზე, რომ სადმე რაიმე სამუშაოს წააწყდნენ. მაგრამ სამუშაო არსად ჩანს, ბენზინიც გაგვითავდა და აღარც მისი საყიდელი ფული გვაქვსო.

პოლიციელს უთქვამს გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ კორესპონდენტისათვის, რომ მას ბევრი უნახავს ცხოვრებაში, მაგრამ ასეთი სასონარკვეთილება მშობლებისა და ასეთი ნაღვლიანი თვალები ნელ-ნელა მომაკვდავი ბავშვებისა არასოდეს არ მინახავსო. „პირდაპირ გულში დამარტყეს“, – სთქვა პოლიციელმა. ქველმოქმედმა ორგანიზაციებმა მარტინეზის ოჯახი ჰოსპიტალში მოათავსეს. მერე?

„როდესაც ისინი მომჯობინდებიან, – მთავრდება კორესპონდენტისა გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტში“ – ისინი კვლავ გამოვლენ ამ დაუბოლოვებულ გზებზე იმ სუსტი იმედით, რომ სადღაც, სადმე თამბაქოს პლანტაციებზე იშოვიან სამუშაოს...“



სალამოს და მეორე დილით ჩვენ კვლავ ქალაქს ვათვალიერებდით. წავედით სახელგანთქმულ ჩინელთა უბანში. ნიუ-იორკის ჩინელთა უბნის შესახებ ბევრი რამ მქონდა ჭაბუკობის დროს წაკითხული სათაგვადასავლო ლიტერატურაში და ბევრი რამ მენახა კინოშიაც. ამ უბნის შესახებ ათასნაირ ლეგენდებს ავრცელებდნენ.

აი, გაჩერდა ჩვენი მანქანა ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე. ჩამოვედით ყველანი და ჩავუხვიეთ ვინრო ქუჩაბანდებში. უნდა ითქვას, რომ აქ ყველაფერი მართლა ზღაპრულია და მიმზიდველი. შენობები არქიტექტურულად ჩინურ ყაიდაზეა ნაგები, მაღაზიებში გამოფენილია ჩინური ხელობის ნივთები, ფაიფური, ნიჟარები, ძვლისგან გამოთლილი მხატვრული ნივთები, ფერადი ფარნები, სათამაშოები. ქუჩები საოცრად ვინროა და მიხვეულ-მოხვეული, ძალიან წააგავს ჩვენი ძველი თბილისის უბანს.

როგორც გვითხრეს, ნიუ-იორკში ოცდაათი ათასი ჩინელიაო. მართალი გითხრათ, მე მეგონა, რომ გაცილებით მეტი ცხოვრობდა. საყურადღებოა ისიც, რომ ამ უბანში აბსოლუტურმა უმრავლესობამ ჩინელებისა ერთი სიტყვა არ იცის ინგლისურად და მათთან სასაუბროთ თვით ნიუ-იორკელს ჭირდება თარჯიმანი. გვითხრეს აგრეთვე ისიც, რომ მათ შორის დაცულია ერთგვარი გვაროვნული წყობილება და მთელი ეს უბანი რამოდენიმე ასეთ გვაროვნულ გაერთიანებას ეკუთვნისო.

ამავე უბნის საგაზეთო კიოსკში დავინახე რუსული თეთრგვარდიული გაზეთი. დამაინტერესა, მე ვთქვი: – ერთი ვნახო, რას სწერენ ჩვენს შესახებ –მეთქი. ისეთი უბადრუკი და საცოდავი წერილები იყო მოთავსებული ჩვენი ქვეყნის შესახებ, რომ ჩვენში სიცილადაც არ ეყოფოდათ მკითხველებს მათი ბოდიალი. ცხადია, მათი წყალობითაა ალბათ, რომ ამერიკაში ასეთი არასწორი წარმოდგენა აქვთ ჩვენს ქვეყანაზე. გაზეთის უმეტესი ნაწილი ეჭირა ამერიკულ სისხლის სამართლის ქრონიკას, ვინ მოკლეს, ვისი მაღაზია გაცარცვეს, ვის დაესხენ თავზე და ვინ გააუპატიურეს. საამისო მასალა იცოცხლეთ, ბევრი იყო. უკანა გვერდი ეჭირა სავაჭრო განცხადებებს და ერთი მათგანი მეკუბოვისაც იყო. განცხადებაში ეწერა, რომ ეს საამო ხელობის მქონე ბიზნესმენი აწარმოებდა ყველაზე იაფ დამარხვას მთელ ამერიკაში, რომ მის მაღაზიაში იშოვება ყველაფერი მიცვალებულის ჩასაცმელად და მოსართავადო.

სხვათა შორის, ჩვენს სამგ ზავრო ავტობუსშიც, სხვა რეკლამებთან ერთად გაკრული იყო მეკუბოვის რეკლამაც. პრიალა პლაკატზე გამოსახული იყო თვით მეპატრონე, საკმაოდ მიმზიდველი სახის ახალგაზრდა კაცი, ხოლო მის უკან გამოსახული იყო სულ უკანასკნელი ფასონის კუბოები, რომლებიც ცოტა არ იყოს, მათი ახალმოდის ავტომანქანების ძარებს წააგავდნენ.

როდესაც ისევ მთავარ ქუჩაზე გამოვედით, მოულოდნელად წინ შეგვეფეთა ვიღაც უცნაური მამაკაცი, ნამთვრალევს წააგავდა, მთელი სახე და ხელები ისე ჰქონდა მოთხუბნული ზეთით და მაზუთით, როგორც ჩვენში ერთ დროს ქუჩაში მოწანწალე პაცანებს. ლურჯი ზოლიანი კოსტუმიც მთლად მტვერში ჰქონდა ამოგანგლული. ერთის სიტყვით, ნამდვილი მანანწალა, ანუ რუსები რომ უწოდებენ – ბოსიაკი. შემოგვაცქერდა, შეგვატყო, რომ ჩვენ ტურისტები ვიყავით და საუბარი დაგვიწყო. რალაცას გვეუბნებოდა, თანაც თავის საოცრად ჭუჭყიან ხელებს გვიჩვენებდა. ჩვენმა გიდმა, მისტერ კიმმა გადაგვითარგმნა, ამბობს მე ირლანდიელი ვარო და მეტი ვერაფერი გავიგეთ მისგან. ეტყობოდა, უსახლკაროდ დარჩენილი ჯურღმულების ერთ-ერთი მცხოვრებთაგანი გახლდათ და ჩვენმა გიდებმა არც კი გვითარგმნეს ხეირიანად, თუ რას გვეუბნებოდა ეს ბედისგან განწირული ადამიანი.

ახლა კი საოცრად ვინანე, რომ ინგლისური ენის შესწავლა მივატოვე მოუცლელობის გამო და ვერ შევიძელი გამეგო, თუ რას გვიამბობდა იგი. იქნებ ოპიუმს ეწეოდა ცხოვრებისაგან გამწარებული, თუ არაყს იყო დაწაფებული, სახე საოცრად გამხდარი ჰქონდა და ლოყები ჩაცვენილი, ტანზე ხომ ძვირფასი ინგლისური ტრიკოს კოსტუმი ეცვა ახლა მთლად ამოგანგლულ-ამოსვრილი. რამ ან ვინ დაანარცხა ასე უღმობელად ძირს ეს უბედური ადამიანი, ვინ იყო იგი, უბრალო მუშა თუ ბედის მაძიებელი სოფლის მეურნე, სწავლული თუ უსწავლელი. აშკარათ ვხედავდით, რომ მას სურდა დაენახებია ჩვენთვის, შემხედეთ, აი, მე, კეთილშობილი ევროპიელი სანამდე მიმიყვანა ნიუ-იორკში დუხჭირმა ცხოვრებამო. გიდებს ვთხოვე ზუსტად ეთარგმნათ, რასაც იგი გვეუბნებოდა, მაგრამ მათ მიაფუჩეჩეს ყოველივე, ალბათ, იმ ირლანდიელს უთხრეს: ნადი, ახლა თავს ნუ გვჭრიო და ისიც ნელი ბარბაცით გაუდგა გზას.

შემდეგ ზანგების უბან „ჰარლემში“ წავედით. აქ ცათამბჯენები არ არის, ჩვეულებრივი ორ-სამ სართულიანი შენობებია და არც ის სიმდიდრე გცემთ თვალებში, რასაც ნიუ-იორკის ზოგიერთ უბნებში დაინახავთ.



ზანგებზე ჩვენში ერთნაირი წარმოდგენა აქვთ, წესის მიხედვით ყველა შავი ფერის ჰგონიათ. ამერიკაში ყველა ზანგი როდია შავი. აქ ბევრია მეტი სი, თეთრებში შერეული ჯიშის ადამიანები, ზოგი ოდნავ შავი ფერის და ზოგი იმდენად თეთრი, რომ იფიქრებთ, ეს სულაც არ არის ზანგიო. თანაც არც სახის გამომეტყველება არა აქვთ დამახასიათებელი ზანგური, არამედ სავსებით ევროპიული, მოყვანილი თვალ-წარბი და ტუჩ-კბილი და რაც მთავარია, ჩვეულებრივი თმები, დალაღებათ ჩამოშლილი. აქ ვნახე რამდენიმე ზანგი ქალიშვილი ტიპიური ევროპიული გარეგნობისა, ტან-წერ-წეტანი, მწყაზარი სახისანი, კასკასა და ლამაზი ტუჩ-კბილით. ვნახე ბევრი ასევე, მოხდენილი ნამდვილი ევროპიელის სახის მქონე მამაკაციც ზანგებს შორის. სხვათა შორის, არიან ისეთებიც, რომელთაც სრულიად ვერ გაარჩევთ თეთრკანიანებისაგან, ვერც ფერით და ვერც გარეგნობით, მაგრამ ამერიკაში ისინი მაინც ზანგებათ ითვლებიან.

გიდებმა წაგვიყვანეს იმ ამერიკელი ყოფილი მოკრივე ზანგის გასაცნობათ, რომელიც ახლა უმდიდრესად ითვლება მთელს ამერიკაში. მისი რესტორანი არცთუ ისე დიდია და არ აღემატება ჩვენებურ ძველებურ რესტორანს „გემოსა“ და „ტილიპუჭურს“. თითონ მეპატრონე სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა თავის სავაჭროში, რომ მასთან გასაუბრების საშუალება გვექონოდა. ისე კი მისი ამ წამოწყების დათვალეერებით ჩვენ ნათლად წარმოგვიდგა, თუ როგორ „ფართოდ“ ჰქონიათ გახსნილი გზა ზანგებს სიმდიდრისაკენ ამერიკაში.

როდესაც შინ ვბრუნდებოდით ჩვენი სასტუმროს ახლოს ეკლესიის თუ მონასტრის წინ თვალი მოვკარიით ორ ფრანცისკანელ ბერს. მათ გრძელი შავი ანაფორები ეცვათ წელზე ზონარშემორტყმული. ორივენი საკმაოდ ჩასუქებულები, კათოლიკური წესით პირგაპარსულნი, იდგნენ და მხიარულად საუბრობდნენ. ჩვენ ოსტატურად დავდექით მათთან ახლო და სურათები გადავიღეთ. კარგა ხანია, რაც ნამდვილი ბერი აღარ მენახა. მათ, ცოტა არ იყოს, ისეთი გამომეტყველება ჰქოდათ, თითქო ბოკაჩიოს „დეკამერონიდან“ გამოებიჯებიან.



დღის პირველ საათზე ვაშინგტონში გავფრინდით. აეროდრომზე „ლაგვარდია“ დაგვიხვდა ოთხმოტორიანი ჩვეულებრივი თვითმფრინავი, რომლითაც წინად ატლანტიკურ ოკეანეზე ფრენდნენ, ახლა კი ასეთი საჰაერო მანქანებით მარტო ახლო მანძილებზე ფრენენ, ნიუ-იორკიდან ვაშინგტონამდე

ამ თვითმფრინავით საათნახევრის გზაა. შედარებით მოწმენდილი ამინდია, არც ძალიან მაღლა მივფრინავთ და დედამინა ხელისგულივით მოჩანს. მთელი ტერიტორია დაფარულია მწვანე ბალებით, პურის ყანებით, ტყიანი მასივებით, დასერილია საავტომობილო გზებით. ყველგან მოჩანს ფერმერების სახლები. ალაგ-ალაგ მოჩანს მცირე ქალაქები. საერთოდ, ისეა გადამწვანებული მთელი მიდამო, უნებურად მაგონდება ჩვენი კოლხიდის დაბლობი.

ვაშინგტონი მოსახლეობის რაოდენობით თბილისის ოდენაა, ტერიტორიით ცხადია, გაცილებით მეტია, რადგან აქ ჯერ ერთი, ცათამბჯენები არ არის; მერე – მთელი ქალაქი წარმოადგენს საოცრად განიერი ქუჩების და თვალუნვდენი პარკების სამყაროს.

გადავუარეთ ქალაქს და დავეშვით აეროდრომზე. იგი თითქმის ეკვრის ქალაქს. საჭაერო ვაგზალი აქ არცთუ ისე დიდია და არც მაინცადამაინც მომხიბლავი. აქ შეგვეგება საელჩოს პირველი მდივანი. ჩავსხედით ავტობუსში და სასტუმროში დაბინავებამდე მივედით საბჭოთა საელჩოში, სადაც ძალიან გულთბილად მიგვიღეს. ვისაუბრეთ, ახალი ამბები გამოვკითხეთ, რადგან რაც ჩვენი ქვეყნიდან წამოვედით, გაზეთები არ წაგვეკითხა და რა ხდებოდა ამ ქვეყნად არ ვიცოდით.

საელჩოს თანამშრომლებმა შემოგვიჩვილეს, ვაშინგტონში ცხოვრება ძალიან გვიჭირს, აქ წარმოუდგენლად ცხელი ჰავაა და ძალზე ნესტიანი, რადგან ქალაქს გარშემო სულ ქაობები აკრავსო. მართლაც, ჩვენი თვალთ ვნახეთ თვითმფრინავიდან, რომ მთელი ქალაქი ტბებითაა გარემოცული.

საელჩოს შენობა ძველია, მეფისდროინდელი, საკმაოდ მდიდრული და დიდი დარბაზებით. აქვეა კინოდარბაზიც, სადაც ხშირად მართავენ საბჭოთა ფილმების სეანსებს.

საუბრის შემდეგ საელჩოს თანამშრომლებმა თავიანთი ავტომანქანებით მიგვიყვანეს სასტუმრო „კომოდორში“, რომელიც სულ ახლოა ამერიკის პარლამენტის შენობასთან „კაპიტოლიუმთან“. სასტუმრო არცთუ ისე დიდია, ჩვენი „თბილისის“ ოდენა ძლივს თუ იქნება. ნომრები პატარებია, მაგრამ ყოველ ფანჯარაში ჩადგმულია კონდიციონერული ჰაერის მომწოდებელი აპარატი, ურომლისოდ აქ ვერც კი დაიძინებდა ადამიანი. ჰაერი გარეთ მძიმეა, დახუთული და საოცრად ნესტიანი, სწორეთ ისეთი, როგორიც იცის ხოლმე ხანდახან ბათუმში, როდესაც დიდი სიცხეების დროს თბილი წვიმები დაინყება და ყველაფერი ისე იჟღენთება, ცეცხლის პირადაც აღარაფერი შრება ხოლმე.

დავბინავდით და შევეუდექით ქალაქის დათვალიერებას. უპირველეს ყოვლისა, ვაშინგტონში ყურადღებას იპყრობს თვალუნვდენი პარკები და გიგანტური ხეები. ამ პარკებში საითაც არ გაიხედავ, აღმართულია ან მუზეუმის, ან ვისიმე ძეგლების, ან საკულტო შენობათა გუმბათიანი შენობები.

თუ ნიუ-იორკში ტრამვაის ან ტროლეიბუსის ნიშან-წყალიც კი არ არსებობს, ვაშინგტონში ტრამვაი დადის, მხოლოდ აქ საჰაერო მავთული არ არის, არამედ ელექტროგადაცემის ხაზი გადატანილია მიწაში, რელსების შუაში დატოვებულ ღარშია ჩადებული ეს მავთული და ტრამვაის ვაგონის ფსკერიდან ჩაკიდული საკონტაქტო შტანგის საშულებით აწვდის დენს ვაგონს. ქუჩის ზედაპირი ლიანდაგების გასწვრივ მთლიანად მოასფალტებულია, ხოლო საკონტაქტო ღარის ნაპირები კი გამაგრებულია კუთხოვანი რკინის ლარტყებით. მე არ ვიცი, როგორ იცავენ ღარებს დანაგვიანებისა და წვიმის წყლისაგან, შესაძლებელია, საგანგებო საკანალიზაციო მილებით, რომლებიც ამ მავთულთა ქვეშ იქნება გაყვანილი, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ვაშინგტონის ქუჩებში იშვიათი სისუფთავეა დაცული, რაც სავსებით გამორიცხავს ამ საკონტაქტო ღარების გაბინძურებას ნაგვისაგან.

ქალაქის რომელ კუთხეშიაც კი არ გავიარეთ, ყველგან, შენობათა ფასადები საოცრადაა მოვლილი და ისე ახლად გამოიყურება, თითქო სულ ახლახან დაემთავრებოთ მათი მშენებლობა. საერთოდ აქ, მთელ ქალაქში განსაკუთრებით გეცემათ თვალში იშვიათი სისუფთავე, წინააღმდეგ ნიუ-იორკისა, სადაც ჭუჭყი და ნაგავი ხშირად ამშვენებს ზოგიერთ მთავარ ქუჩებსა და მოედნებსაც კი.

საცხოვრებელ სახლების უმეტესობას წინ აქვს რკინის მოაჯირიანი კიბეები. აქა-იქ ამ კიბეებზე დავინახეთ ჩამომსხდარი და მომუსაიფე ქალები. ბევრი მათგანი მოკლე შარვლებით იყო, დანარჩენებს კი ეცვათ საოცრად მოკლე კაბები.

ვაშინგტონში ბევრი ძეგლია. მათი უმეტესობა მიძღვნილია სამოქალაქო ომის გმირებისადმი. ერთ ადგილას დაგვანახვეს მასონების შტაბის შენობა. ჩვენთვის, საბჭოთა ქვეყნის ადამიანებისათვის მასონობა და საერთოდ, მასონური მოძრაობა, რომელმაც რუსეთში უკვე მეცხრამეტე საუკუნეში მოჭამა თავისი დრო საოცარ ანაქრონიზმათ გაისმის. თუმცა, ამერიკელებისთვის შეიძლება მასონური მოძრაობა – როგორც მღალაღებლობა ზნეობრივად განსპეტაკებისა – მართლაც, საჭირო იყოს. მასონების ერთ-ერთი ძირითადი მცნებაა: „გაექეც ბოროტებას“, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიან-

მა თავი უნდა იხსნას შვიდი მომაკვდინებელი ცოდვისაგან. ეს ცოდვებია: ქედმაღლობა, სიძუნწე, არაზომიერება, ავხორცობა, უსაქმურობა, სიავე და ანგარება. მაგრამ ეს ხომ ისეთი აუცილებელი და საჭირო ელემენტებია კაპიტალისტური სამყაროსათვის, რომ მას ვითომ მასონთა ლოჟები მოუღებს ბოლოს? მეტი არაა შენი მტერი.

ჩვენ გავიარეთ მეთექვსმეტე ქუჩაზე, რომელიც მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ზუსტად მერიდიანის ხაზის მიმართულებით. ამ ქუჩაზეა საელჩოები და საკულტო შენობები: ეკლესიები, სინაგოგები, ბაბტისტების და მგონი, თუ არ ვცდები, მორმონების სამლოცველო სახლებიც კი. ყოველ შემთხვევაში ეს ტაძრები იმდენი დაგვანახვეს ამერიკაში მოგ ზაურობის დროს, რომ უკვე ერთმანეთში ამერია, სად რომელი ვნახე. ებრაელების უბანში მაგალითად, ისეთი შესანიშნავი და მდიდრულად ნაგები თორებია, რომლის მსგავსი მე მგონია, თვით იზრაილის სახელმწიფოშიაც არ ექნეთ.

მე დიდი მოყვარული ვარ ძველებური ტაძრებისა, მონასტრებისა, სინაგოგებისა, მეჩეთებისა და სხვა სამლოცველო სახლებისა, რომლებიც წარსულში ღმერთების სადიდებლად ადამიანებს აუგიათ, მაგრამ გულს მირევს ახლად აგებული ტაძრები, სინაგოგები და მეჩეთები, რადგან არაფერი არ მეზიზღება ისე, როგორც რელიგიური ფანატიზმი, ეს ყოვლად უბადრუკი გადმონაშთი წარსულიდან, რომელიც სთესავს ანტაგონიზმს არა მარტო სხვადასხვა ეროვნებებს, არამედ მოძმე ერებს შორის, აძულებს ერთმანეთს სისხლით მონათესავე ტომებს, მხოლოდ იმ წარმოუდგენელი სისულელის გამო, რომ მათ სხვადასხვაგვარად სწამთ ღმერთი და თაყვანსა სცემენ სხვადასხვა მოციქულებს. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ ის ადამიანები, რომელნიც მილიონებს არ იშურებენ, რომ ასეთი ტაძრები, მეჩეთები თუ თორები ააგონ, ნაცვლად სკოლებისა და მუზეუმებისა, თეატრებისა და თუნდაც, საავადმყოფოებისა, ნაცვლად იმისა, რომ მოახმარონ ეს თანხები ხალხის კეთილდღეობას, აგებენ ასეთ გიგანტურ სრულიად უსარგებლო შენობებს, რათა იქ შეასრულონ იგივე რიტუალები, რომელსაც მათი წინაპრები ამ ათასეული წლების წინათ ასრულებდნენ, ეს ადამიანები თავისი გონებრივი უბადრუკობის მეტს არაფერს არ ამჟღავნებენ.

ადამიანი სადაცაა კოსმოსში გაფრინდება, ხოლო ესენი კვლავ განაგრძობენ იმის მტკიცებას, თითქო ღმერთს ამ ხუთიათასი წლის წინად ეთქვას: „დაე, იყოს სინათლე და გაჩნდა სინათლე“...

წავედით ქალაქგარეთ, რათა დაგვეთვალიერებია მაღაზია „ზე-გიგანტი“.

ეს მაღაზია მოთავსებულია ტრიალ მინდორზე, გარშემო მას რამდენიმე ასეული მანქანის სადგომი ბაქანი აქვს. თითონ მაღაზია ერთსართულიანია, მხოლოდ საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს. აქ არის როგორც საკვები პროდუქტების განყოფილება, აგრეთვე სამრეწველო საქონელი, ტანსაცმელი, თეთრეული, ბავშვის სათამაშოები, ფოტო და კინო აპარატურა, საოჯახო საქონელი და სხვა.

მაღაზიის წინა კედელი მთლიანად შუშისაა. შუშისაა აგრეთვე შესასვლელ-გამოსასვლელი კარებებიც, რომლებიც მიახლოებისთანავე ავტომატიურად, თავისით იღება. მე ბევრი ფუკირკიტე, თუ სად უნდა იყოს დამალული ის მანქანა ან ფოტოელემენტი, რითაც ეს კარებები იღება, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვერ შევამჩნიე, ვერც ზევით, ვერც ქვევით. ზევით ისევ შუშაა, სადაც პატარა რკინის საქუსლეში აქვს შედგმული თავი კარის რკინის ლერძს, ქვემოთაც ასევე. უეჭველია, მთელი მოწყობილობა იატაკქვეშაა დამალული.

მაღაზიაში საკუთარი მანქანებით მოდიან დიასახლისები მთელი თავისი აჭალ-ბუჭულებით. საჭესთან დიასახლისი ზის. საერთოდ, ამერიკაში დაქირავებული შოფერი შეიძლება ჰყავდეს მარტო ისეთ ინვალიდს, რომელსაც ხელ-ფეხი გაკავებული აქვს. აქ ყველა თითონ მართავს მანქანას, დიასახლისიც, მამასახლისიც, ქალიშვილიც და ვაჟიშვილიც. საერთოდ, ამერიკულ სკოლებში, ავტომანქანის მართვის სწავლება, როგორც მითხრეს, ერთ-ერთ საგალდებულო საგნათ ითვლება.

მაღაზიის შესასვლელთან აწყვია ხელით საგორებელი პატარა ურიკები. დიასახლისი შეაგორებს ამ ურიკას მაღაზიაში, დადის საქონლით გამოტენილ თაროებს შორის, ირჩევს, რაც მოეწონება (მაღაზიას არა ჰყავს გამყიდველები) აწყობს ურიკაში, ხოლო გასასვლელთან მოლარე სწრაფად აწყაპუნებს საანგარიშო მანქანაზე ღილებს, დააჭერს სახელურს ხელს და ქალაღზე დაბეჭდილი ზუსტი ანგარიში, ხაზს ქვემოთ შეჯამებული დიასახლისის ხელთა აქვს. იხდის ფულს, მიაგორებს ურიკას თავის მანქანასთან, გადაცლის ნაყიდ საქონელს და გაუდგება გზას. ცარიელ ურიკებს კი მაღაზიის მუშა აგროვებს და კვლავ კართან აყენებს მწკრივში.

მაღაზია კოოპერატიულია. მუდმივ მყიდველებს დარიგებული აქვთ წიგნაკები, რომელშიც აკრავენ აქ ყოველ დახარჯულ დოლარის შესატყვის მარკებს, ხოლო როდესაც მარკების რაოდენობა განსაზღვრულ რიცხვს მიაღწევს, დიასახლისს შეუძლია, ჯილდოს სახით ერთი ან ორი დოლარის ღირ



რებული საქონელი უფასოდ მიიღოს მაღაზიიდან. ესაა მუშტრის მიზიდვის ერთ-ერთი ხერხი. ფასები აქაც ამერიკულ ნესითაა, ერთი დოლარი და ოთხმოცდაცხრამეტი ცენტი, ხუთი დოლარი და ისევ ოთხმოცდაცხრამეტი ცენტი. ას დოლარიან საქონელსაც ერთი ცენტი აკლია, სამას დოლარიანსაც.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ სალაროსთან გადაიხდით საქონლის ფასს და ეს გეყოფათ. არა. საქონლის ფასში არ შედის სავაჭრო გადასახადი, რომელსაც იქვე გიანგარიშებენ, შეაჯამებენ და ქვითარს ისე მოგართმევენ. ამიტომ შეიძლება თქვენ ამოიკითხოთ ფასი ერთი დოლარი და ოთხმოცდაცხრამეტი ცენტი, მაგრამ გადახდის დროს აღმოჩნდება, რომ ორი დოლარი და რამდენიმე ცენტი უნდა გადაიხადოთ. ასე რომ, ვაჭრები ორმაგად ცდილობენ მოატყუონ და მიიტყუონ მყიდველი.

შემდეგ დავათვალიერეთ აქაური აფთიაქი, სადაც იყიდება ყოველგვარი საქონელი, მათ შორის ფოტო და კინო აპარატები, საკანცელარიო ნივთები, ყვავილები და შეგიძლიათ, შეუკვეთოთ საუზმე, დალიოთ ნაირ-ნაირი სასმელები და მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი „კოკა-კოლა“. ეს ოდნავ დაშაქრული ყავისფერი წყალი, ოდნავ ხელისაბან საპნის სუნის რომ ასდის.

აქედან გზათ შევჩერდით ახლად აგებულ კომუნალურ სახლების დასათვალიერებლად. აქ ოროთახიანი ბინა თვეში ღირს 120 დოლარი. ამბობენ, რომ ეს ძალზე იაფიაო. ბინა ავეჯითაა განწყობილი და ტელევიზორიც კი დგას. სამზარეულოში არის გაზი, დგას მაცივარი და საერთოდ, ყველა ის მოწყობილობა, რაც თანამედროვე ამერიკულ სამზარეულოშია ხოლმე. ბინას ცხადია, აქვს საკუთარი აბაზანა და საპირფარეშო, უნდა ითქვას, რომ ბინები იშვიათი გემოვნებითაა მოწყობილი და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. რაც შეეხება თითონ შენობებს და მათ გარეგნობას, ამაზე არქიტექტორებს სრულიად არ უზრუნიათ და ამათზე ულაზათო დაღვრემილი შენობები ჯერ არც მინახავს. არც აივნები, არც ლოჯები, ფანჯრებიც უბრალო, ერთის სიტყვით, რაღაც ყაზარმის მსგავსი რამ.

ჩვენ გაგვაცვინეს გაზეთის კორესპონდენტი, რომელიც ერთ-ერთ ასეთ ბინაში ცხოვრობს და იხდის თვეში 150 დოლარს. მისი შემოსავალი კვირაში ყოფილა 83 დოლარი. ამგვარად, როგორც ხედავთ, მისი ხელფასის თითქმის ნახევარი მიაქვს ბინის ქირას. ეს იმ დროს, როდესაც იგი ცხოვრობს ქალაქის განაპირას თუ გარეუბანში და უჭირავს ყველაზე იაფფასიანი ბინა.

ჩვენ შევეკითხეთ გიდეებს, რას ღებულობს თქვენში უნივერსიტეტის ლექტორი-თქო, ხუთიათას ხუთას დოლარს წლიურადო.

ყველაზე კარგი ხელფასი ნახშირის მრეწველობის მუშებს აქვთო, გვითხრეს გიდებმა. წარმომიდგენია, თუ რა „საამო“ სამუშაო იქნება ნახშირის მაღაროში, სადაც ამერიკელი მრეწველები იძულებული არიან დიდი ხელფასით მიიტყუონ მუშები.



ვაშინგტონი ესაა ძეგლების და მუზეუმების ქალაქი. ჩვენც დავიარეთ და ვნახეთ რამდენიმე ღირსშესანიშნავი ძეგლი, მათ შორის აბრაამ ლინკოლნისა, ტომას ჯეფერსონისა და გენერალ ლის სახლ-მუზეუმი.

აბრაამ ლინკოლნის ძეგლი დგას საგანგებოდ აგებულ პარტენონის ტიპის შენობაში. ლინკოლნი სავარძელში ზის და სახელურებზე ხელებით დაყრდნობილი გასცქერის სამყაროს.

ძეგლი უხილავი შუქითაა განათებული და ასე გგონია, თითქო ძველებურ სამლოცველო სახლში შესულხარ, სადაც ბუდას გიგანტური ქანდაკება დგას. მართალია, ლინკოლნი ოდნავათაც არა ჰგავს ბუდას, მაგრამ იგი ისე მორჩმული ზის ძველებურ რომაულ საკარცხულზე, რომ მოქანდაკეს მართლაც მიუგნია ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწის და მოაზროვნის ხასიათის გამომხატველ გარეგნული ფორმის უაღრესათ შთამბეჭდავ გამოსახულებისათვის.

ლინკოლნმა თავისი ცხოვრების კარიერა ტყისმჭრელობით და მდინარე მისისიპიზე მეტივეობით დაიწყო. მაგრამ ეს უბრალო მუშა ხარბად ეწაფებოდა თვითგანვითარებას და მან მიაღწია ჯერ იმას, რომ უმაღლესი იურიდიული განათლებაც კი მიიღო და ოცდახუთი წლის ახალგაზრდა უკვე ამერიკის საკანონმდებლო კონგრესის წევრი იყო. იგი გამოდიოდა მონათმფლობელური სისტემის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც ამერიკის პრეზიდენტად იქნა არჩეული, მის არჩევას აღშფოთებულმა სამხრეთის შტატების მონათმფლობელმა პლანტატორებმა ამბოხებით უპასუხეს და სამოქალაქო ომის ცეცხლი გააჩაღეს. ომი კარგა ხანს გაგრძელდა. ასე რომ, დადგა ლინკოლნის მეორედ არჩევის საკითხი. 1864 წელს იგი, როგორც რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი ხელახლა იქნა არჩეული ამერიკის პრეზიდენტად, დაამარცხა რა მეორე კანდიდატი რეაქციონერი გენერალი მაკ კლელანი. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ 1-ლი ინტერნაციონალის გენერალურმა საბჭომ კ. მარქსის და ფ. ენგელსის ინიციატივით მისალმების წერილი გაუგზავნა ლინკოლნს.

მემორიალის შენობაში კედელზე მარმარილოს დაფაზე ამოჭრილია ტექსტი სიტყვისა, რომელიც მან წარმოსთქვა პრეზიდენტად არჩევისა და ფიცის დადების შემდეგ. მე ვფიქრობ, რომ ქართველი მკითხველისათვის იგი არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული. ამიტომ მომყავს ეს ტექსტი, რომლის თარგმანი ეკუთვნის ამხ. გ. გიგოლაშვილს.

### **ლინკოლნის შესავალი სიტყვა**

#### **წარმოთქმული მისი მეორე პრეზიდენტობაზე შედგომის დღეს**

„მეგობრებო, თანამემამულენო: ეს მეორე გამოსვლა საპრეზიდენტო ფიცის დასადებად უფრო ნაკლებ შესაძლებლობას მაძლევს რაიმე ვრცელი განცხადება გავაკეთო, ვიდრე პირველი. მაშინდელი ჩემი განცხადება ჩვენი საერთო პოლიტიკური კურსის საკითხზე მართებულად და უდავოდ მიგვაჩნდა. მას შემდეგ განვლო ოთხმა წელმა, რომელთა განმავლობაში საჯარო განცხადებებს თითქმის ყოველდღიურად ვაკეთებდით იმ დიად ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც დღემდე იპყრობს ერის მთელს ყურადღებასა და ენერგიას, ახლა კი რაიმე ახალის თქმა ძნელია. ჩვენი ბრძოლა, რაზედაც დამოკიდებული იყო ყველაფერი, წარმატებით დამთავრდა, ეს თქვენთვის ისევე კარგად ცნობილია, როგორც ჩემთვის და ეს ამბავი, მე დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენთაგანს ახარებს და ამხნევეს და ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ნათელი მომავლის იმედს იძლევა.

ასეთსავე მომენტში, ოთხი წლის წინად, ყოველი ჩვენთაგანის ფიქრი ჭმუნვით იყო მიპყრობილი სამოქალაქო ომისაკენ, რომელიც ჩვენ დაგვატყდა თავს. ის ყველას აშინებდა და ყველა ცდილობდა მის აცილებას. იმ დროს, როდესაც ჩემი მაშინდელი შესავალი სიტყვა მე მთლიანად ვუძღვენი ჩვენი კავშირის მთლიანობის შენარჩუნებას და ომის საშიშროების აცილებას, მუამბოხეთა აგენტები, რომლებიც ჩვენს ქალაქებში იყვნენ, ცდილობდნენ უბრძოლველად და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ჩვენი კავშირის დანგრევას, მის დაშლასა და მისი ძალების დაქუცმაცებას. ორივე პარტია გამობდა ომს, მაგრამ ერთ მათგანს ომი ერჩივნა ერის სიცოცხლეს, მეორეს კი ომი ერჩივნა ერის სიკვდილს, და ომმა იფეთქა.

მთელი მოსახლეობის ერთ მერვედს შეადგენდნენ ფერადკანიანი მონები, რომლებიც თანაბრად კი არ იყვნენ გავრცელებული მთელს ტერიტორიაზე, არამედ თავმოყრილები იყვნენ კავშირის სამხრეთ ნაწილში. ეს მონები წარმოადგენდნენ განსაკუთრებულსა და ძლიერ ინტერესს. ყვე-

ლასათვის ცნობილია, რომ ომი გამოიწვია ამ ინტერესმა. იმისათვის, რათა შეენარჩუნებინათ და გაეფართოვებინათ ეს ხელსაყრელი ინტერესი, მეამბოხეები მზად იყვნენ, გაენირათ სახელმწიფოს მთლიანობა და დაეწყათ ომი, მაშინ, როდესაც ჩვენი მთავრობა მხოლოდ ცდილობდა შეეზღუდა მონათმფლობელობის ტერიტორიული გაფართოვება.

არცერთი პარტია არ მოელოდა ისეთი მასშტაბისა და ხანგრძლივობის ომს, როგორც მან სინამდვილეში მიიღო. ყველას გამარჯვება ადვილი ეგონა. ორივე მხარე კითხულობდა ერთსა და იმავე სახარებას, ლოცულობდა ერთსა და იმავე ღმერთს და ყოველი მათგანი ევედრებოდა უფალს მონინაალმდეგეზე გამარჯვება მოენიჭებინა. საოცარია, ადამიანები ბედავენ და ღმერთს დახმარებას სთხოვენ, რომ თავიანთი პური სხვისი ოფლით მიიღონ. მაგრამ ნუ მიუზღავთ მსჯავრს, რამეთუ არ იქნეთ მსჯავრდებულნი. უფალი არცერთ მხარის ვედრებას არ შეინწყნარებს, რადგან მას საკუთარი ზრახვები აქვს. „ვაი სოფელს, რამეთუ ბოროტება მოსახდენი მოხდება და ვაი იმ ადამიანს, ვისი მეოხებითაც ეს ბოროტება მოვა.“

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ამერიკული ბატონ-ყმობა სწორედ ასეთი ბოროტებაა, რომელიც უნდა მომხდარიყო, მაგრამ რომელსაც თავისი დრო გაუვიდა და რომ ეს საშინელი ომი სასჯელია მათთვის, ვინც ეს ბოროტება შემოიტანა, დაე, ვიხილოთ ამაში ღვთაებრივი განგების აღსრულება, რომელსაც ყოველთვის ხედავდნენ მორწმუნენი. ხოლო თუ მისი ნებაა, რომ მონათა უსასყიდლო შრომით ორასი წლის მანძილზე დაგროვილი სიმდიდრე გაჩანაგდეს და მათგან დაღვრილი სისხლის ყოველი წვეთი მახვილით ანაზღაურდეს, როგორც ეს ნათქვამი იყო სამი ათასი წლის წინად, დავსძინოთ ისიც, რომ „ყოველი მსჯავრი ღვთისა არის ქემშარიტი და სამართლიანი“.

არავისადმი ღვარძლი და ყველასადმი სათნოება, ამ სამართლის მტკიცე შეგნებით, როგორც ეს შთაგონებული გვაქვს ღვთისაგან, ვიბრძოლოთ იმ საქმის გამარჯვებისათვის, რომელიც ჩვენ ვიკისრეთ. შევუხვიოთ წყლულები ერს და მოუუაროთ მათ, ვინც თავი დადო ბრძოლაში, აგრეთვე მათ ქვრივებსა და ობლებს, ვიძიოთ ყოველი ღონე იმისათვის, რათა სამუდამოთ დამყარდეს და გაიფურჩქნოს სამართალი და მშვიდობა ჩვენს შიგნით და ყოველთა ერთა შორის“.

წარწერა ჩრდილოეთ კედელზე

სულ ექვსი თვე არ გასულა ლინკოლნის მეორედ არჩევის შემდეგ, რომ ჩრდილოეთის შტატების ჯარებმა დაამარცხეს სამხრეთელები და 1965 წლის 9 აპრილს მონათმფლობელთა არმიის მთავარსარდალმა, გენერალმა რობერტ ლიმ იარაღი დაჰყარა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, 15 აპრილს, გამხეცებული პლანტატორების მიერ მოსყიდულმა მსახიობმა ბუტსმა პრეზიდენტი ლინკოლნი ვერაგულად მოკლა სცენიდან ნასროლი ტყვიით, როდესაც იგი სპექტაკლს უყურებდა.

თურმე წინამურის ტრალედია მარტო ჩვენში არ მომხდარა.

ასეთივე შთაბეჭდილებას სტოვებს თომას ჯეფერსონის გრანდიოზული ძეგლი. ისიც კოლონადიან გადახურულ შენობაშია.

ჯეფერსონი ამერიკის დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებული ომის სულისჩამდგმელია და იდეოლოგი. ისიც სრულიად ახალგაზრდა, სულ ოცდაექვსი წლის იყო, როდესაც აირჩიეს ვირჯინიის საკანონმდებლო საკრებულოში. იმის გამო, რომ მან დასწერა პამფლეტი ინგლისის კოროლის, გეორგ III-ის წინააღმდეგ, გამოცხადებული იქნა ინგლისის მთავრობის მიერ კანონგარეშე. 1775 წელს იგი არჩეული იქნა მეორე კონტინენტალური კონგრესის წევრად. ამ კონგრესის დავალებით მან შეადგინა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელშიაც შეიტანა მუხლი მონათმფლობელობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მუხლი კონგრესმა უარყო.

ჯეფერსონი მხურვალედ თანაუგრძნობდა საფრანგეთის რევოლუციას. იგი საერთოდ აღიარებდა ხალხის უფლებებს რევოლუციის მოსახდენათ და აუცილებლად მიაჩნდა, რომ ყოველ ოც წელიწადში საჭიროა რევოლუციონური გადახალისება და უნდა გადახედილი იქნას კონსტიტუცია და ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებების სისტემაო.

იგი თამამად ამხელდა მეთვრამეტე საუკუნის ამერიკულ რევოლუციურ გადატრიალების ნაკლულოვანებებს, რომელმაც ვერ მოსპო მონობა, ვერ მოახდინა აგრარული რეფორმა, ვერ უზრუნველყო ხალხისთვის სრული პოლიტიკური უფლებები და წინასწარმეტყველებდა ამერიკისათვის ახალ რევოლიუციებს.

ჯეფერსონის ფილოსოფიური შეხედულებანი განიცდიდა ფრანგი განმანათლებლების და ინგლისელი მოაზროვნეების ლოკის, ჰარინგტონის და სხვათა დიდ გავლენას.



მისი ფილოსოფიური კრედო ამოკვეთილია ამ შენობის კედლებზე გაკრულ ოთხ მარმარილოს დაფაზე.

ვფიქრობ, რომ ქართველი მკითხველისათვის არც ეს ტექსტები იქნება ინტერესს მოკლებული (თარგმანი ეკუთვნის ამხ. გ. გიგოლაშვილს).

### **ტომას ჯეფერსონის ფილოსოფია**

## **მისი ნაწერების მიხედვით, რაც წარწერილია მისი მემორიალური ძეგლის კედლებზე**

I

ჩვენ მიგვაჩნია თავისთავად ცხად ჭეშმარიტებად, რომ ყოველი ადამიანი გაჩენილია თანასწორუფლებიანად, რომ შემოქმედის მიერ მათ (ადამიანებს) მონიჭებული აქვთ გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, მათ შორის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერების მოპოვება, რომ ამ უფლებების დასაცავად ადამიანთა შორის შექმნილია მთავრობები... ჩვენ საზეიმოდ და საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ამ კოლონიებს სრული უფლება აქვთ, იყვნენ თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოები... და ამ განცხადების დასაცავად ჩვენ მზად ვართ შევწიროთ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი კეთილდღეობა და ჩვენი პატიოსნება.

II

ყოველისშემძლე ღმერთს გონება შეუქმნია თავისუფალი. ყოველგვარი ცდა ამის შეზღუდვისა, ძალდატანებისა და მუქარის საშუალებით, არის ჩვენი სარწმუნოებისა და ღვთაებრივი გეგმის დამახინჯება... არცერთი ადამიანი არ უნდა აიძულონ, მიემხროს რაიმე რწმენას ან ეკლესიას, ანდა შეეწიროს თავის რელიგიურ შეხედულებებს, ყოველი ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს თავისი რელიგიური რწმენის საკითხებში. მე მწამს მხოლოდ ერთი ზნეობრივი კანონი, ეხება ეს ცალკე ადამიანს, თუ კოლექტივს.

III

ღმერთმა, რომელმაც მოგვცა სიცოცხლე, მოგვცა თავისუფლებაც. განა შეიძლება, რომ ერის თავისუფლება იქნას დაცული, თუ უარყოფთ, რომ ეს თავისუფლება ღმერთისგან არის ნაბოძები? ნამდვილად მე ვზრუნავ ჩემს სამშობლოზე, როცა მე ვამტკიცებ, რომ ღმერთი სამართლიანია, რომ მისი სამართლიანობა დაუძინებელია. ვაჭრობა პატრონსა და ყმას შორის ნიშნავს მტარვალობას. არაფერი არ წერია ბედ-იღბლის წიგნში უფრო მტკიცედ,

ვიდრე ის, რომ ყოველი ერი თავისუფლად უნდა აწესებდეს კანონებს ხალხის აღზრდისათვის. ეს სახელმწიფო საზრუნავი და სამოქმედო საქმეა.

მე არა ვარ მომხრე ხშირი ცვლილებებისა კანონებსა და კონსტიტუციებში. მაგრამ კანონები და წესები მხარდამხარ უნდა მისდევდნენ ადამიანთა აზროვნების წინსვლას, რადგან კაცობრიობა სულ უფრო განვითარებული და განათლებული ხდება, რადგან ადგილი აქვს ახალ აღმოჩენებს, ხდება ახალი ქეშმარიტებების მიგნება და გარემოთა ცვლილებასთან ერთად იცვლება შეხედულებებიცა და ცხოვრების წესიც.

ადამიანთა წეს-დებულება უნდა მიდიოდეს წინ და უსწორდებოდეს დროს. როგორც არ შეიძლება მოვთხოვოთ მოზრდილს იცვამდეს თავისი ბავშვობის ტანსაცმელს, ისე არ შეიძლება მოვთხოვოთ ცივილიზებულ ადამიანს, რომ ის თავისი ბარბაროსი წინაპრების დონეზე იდგეს.

ჯეფერსონის მემორიალის დათვალიერების შემდეგ ჩვენ გავედით მდინარე პოტომაკზე გადებულ ხიდზე და უკვე მეორე შტატში, სახელდობრ, ვირჯინიაში ამოვყავით თავი. აქ ტყით დაფარულ მაღლობებზე, რომელიც მთელ ვაშინგტონს დაჰყურებს, მოთავსებულია სასაფლაო. ერთ-ერთ გორაკზე არის ამერიკელი უცნობი ჯარისკაცის საფლავი. ჩვენი მისვლის უამს ხდებოდა ყარაულის შეცვლა, რაც ერთგვარი ცერემონიალით ტარდება. მორიგე ოფიცერს გამოჰყავს შემცვლელი ჯარისკაცი, განზე აყენებს და უსინჯავს თოფს. ამისთვის ჯარისკაცი მხარზე გადებულ შაშხანას სხაპუნით და მკვეთრად დანაწევრებული მოძრაობით იხსნის მხრიდან, იხუტებს მკერდზე, გახსნის და გამოსწევს საკეტს. დათვალიერების შემდეგ ჯარისკაცი ისეთივე სხაპუნით კეტავს საკეტს, გაიდებს თოფს მხარზე და კომანდის მიცემის შემდეგ მოდიან მორიგე ყარაულის შესაცვლელად. ეს მორიგე ჯარისკაცი კი საგანგებოდ დაგებულ რეზინის ფიანდაზზე დააბიჯებს. მივა ერთ ბოლოში, შეჩერდება, შებრუნდება უცნობი ჯარისკაცის საფლავისაკენ, დგას უძრავად განსაზღვრულ წამებს, შემდეგ იბრუნებს პირს, გაუყვება ფიანდაზს მბუჭდავი ნაბიჯით, მივა მეორე ბოლოში, ისევ შედგება, ისევ შებრუნდება საფლავისკენ, დგას გარინდული რამდენიმე წამს და კვლავ გაუყვება ფიანდაზს. ასე დადის იგი წაღმა-უკულმა განსაზღვრული დროის მანძილზე, სანამ შემცვლელი მოუვიდოდეს.

მოჰყავს ოფიცერს შემცვლელი, იძლევა კომანდას: „სმენა!“ გაჭიმულ ხელს მიიდებს საფეთქელთან, შებრუნდება და მოგროვილ ხალხს მიმარ-

თავს სიტყვებით: „გთხოვთ, პატივი სცეთ ომში გმირულად დაღუპულ უცნობ ამერიკელ ჯარისკაცს. გმადლობთ“.

შემდეგ ჯარისკაცები კომანდის მიხედვით შეცვლიან ადგილებს და ახლა ახალი ყარაული იწყებს ნაღმა-უკუღმა სიარულს.

უცნობი ჯარისკაცის საფლავთან დგას საკმაოდ მოზრდილი ტაძრის მაგვარი შენობა, რომლის უკან კოლონადით გარშემორტყმული ძველი ბერძნული თეატრის მსგავსი ღია აუდიტორიუმია მარმარილოს მერხებით. აქ თურმე ტარდება ცნობილ ადამიანთა გასვენების დროს სამოქალაქო პანაშვიდები, ხოლო ზაფხულობით ეწყობა ხოლმე სიმფონიური კონცერტები.

შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ გენერალ ლის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად. ისიც იმავე მაღლობზეა და ამ შენობის ფასადი ქალაქს გადაჰყურებს.

სასახლის გარშემო რამდენიმე ათეულ თუ ასეულ ჰექტარ ტყეში მოთავსებულია სამხედრო ვეტერანთა ძმათა სასაფლაო. აქვე არიან დასაფლავებულნი მთელი რიგი სახელმწიფო მოღვაწენი. უნდა ითქვას, რომ ამერიკაში ერთიც არ მინახავს, ისეთი ძვირფასად და მდიდრულად შემკული საფლავები, როგორც თუნდაც ჩვენში, თბილისში იციან. აქ, საფლავზე დადგმულია უბრალო, პატარა ზომის ოთხკუთხად გათლილი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია მიცვალებულის გვარი და სახელი. ეტყობა, ამერიკელები აქაც პრაქტიკულ ჭკუას იჩენენ. მართლაც, რაში ჭირდება მიცვალებულს ასეულ ათას მანეთებათ ღირებული ძვირფასი ლაბრადორიტის, მარმარილოს და ბრინჯაოს ძეგლები. ეს მიცვალებულისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამოხატულებაა, თუ ჭირისუფლის სულელური პატივმოყვარეობის გრძნობის დაკმაყოფილება. ასეთი წესით დარდის გაქარვება არცთუ ისე საამაყოა. რამდენი ვიციტ ჩვენში, სიცოცხლეში მშობელს შვილი ყურადღებასაც არ აქცევს, არც ახსოვს მისი არსებობა და არც კითხულობს, შივა, სწყურია, უჭირს რამე თუ არა. მოკვდება და შეიქნება, ჰაი გვირგვინები, ჰაი აკლდამა, გრანდიოზული ქელები და მერე სასაფლაოზე მთელი სასახლეების წამოჭიმვა. ეს მე მგონია თვალთმაქცობა უფროა, ვიდრე გულწრფელობა.

გენერალი რობერტ ლი მართალია, სამხრეთელ რეაქციონერთა ჯარების მთავარსარდალი იყო, მაგრამ მის სახელს ამერიკაში უაღრესად პატივს სცემენ, ვაშინგტონში მისი ძეგლიც არის აღმართული, ხოლო მისი სასახლე მუზეუმადაა ქცეული. აქ ყველა ოთახები ხელუხლებლადაა დაცული, ნივთების უმრავლესობა მართალია არ არის ის, რაც თითონ ლის ჰქონდა,

მაგრამ ზუსტად იმ ეპოქისაა. სასახლე ამპირის სტილზეა ნაგები. დიდსა და მაღალ დარბაზებს განიერი ბუხრები ამშვენებს, მაშებით, ჩანგლებით, შამფურებით და აქანდაზებით შემკული. ცალკეა საქალებო ოთახი, სადაც იმდროინდელი ხელსაქმის: საქსოვი, სართავი, საჩეჩი და საძახავი და ზგები და საქარგავი ჯალდები დგას.

ცალკეა საბავშვო ოთახი, მაშინდელი მათი სათამაშოებით სავსე. საწოლი ოთახებიც იმ სახითაა დაცული, გაჩარხულ სვეტებზე გამართული ბალდახინებით დახურული ლოგინებით და საერთოდ, ამ სახლით შეიძლება ნათელი წარმოდგენა იქონიოთ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის მიჯნებზე, თუ რას წარმოადგენდა შეძლებული ამერიკელის ოჯახი.

როდესაც უკან ვბრუნდებოდით, ერთ-ერთმა ჩვენმა გიძმა, წარმოშობით მგონი, პოლონელმა იაკუბოვსკიმ მითხრა, როგორც ომის ვეტერანს უფლება მაქვს, თუ მოვისურვე ამ სასაფლაოზე შემიძლია მოვითხოვო და მასაფლავონო.

– დიდი შელავათია-მეთქი, – ვუთხარი ღიმილით.

ერთ-ერთ გორაკზე დაგვანახვეს ჯონ ფოსტერ დალესის საფლავი. იმასაც უბრალო ოთხკუთხათ გათლილი ქვა ადევს, მხოლოდ ცოტა მოზრდილი. ნეტავ იმის შიში ხომ არა ჰქონდათ, მეორეთ ვაითუ, წამოდგეს საფლავიდანო.



სალამოს ვესტუმრეთ ამერიკელი კინემატოგრაფისტების ასოციაციას. მათ ცალკე შენობა უჭირავთ ვაშინგტონის ცენტრალურ უბანში, საკმაოდ მყუდრო ადგილას. მიღებას დაესწრნენ ამერიკელი კინომოღვაწენი და საბჭოთა საელჩოს ზოგიერთი თანამშრომელი. გამასპინძლება აქაც ამერიკულ წესზე იყო. მისაღები დარბაზის ერთ-ერთი კუთხე დახლივითაა გამართული, სადაც ზანგი ბარმენი თქვენი სურვილის მიხედვით ყრის ნებით აღებულ ცინულებს ჭიქაში და გიმზადებთ ან კოქტეილს, ან ვისკის, ან რომელიმე სახის ვაჟინს, ან უბრალოთ, კოკა-კოლას. მიხვალთ, აიღებთ გამზადებულ ჭიქას, შემდეგ მიუახლოვდებით რომელიც გნებავთ იმ ჯგუფს და ებმებით მუსაიფში.

საუბრის დროს ერთ-ერთმა მანდილოსანმა მომანოდა მოყავისფრო სასმელი, რომელშიაც ცინულის გოროხები ეყარა. ეს შოტლანდიური ვისკი გახლავთო. მოვსვი, ნამდვილი ჩვენებური ანწლის არაყი, მყრალი და მომწამვლელი. ნამდვილი რახი, მთიულეთში თუ ხევსურეთში რომ ჟიპიტაურს

უნოდებენ ისეთი. გუნებაში გავიფიქრე, ამას ერთი ჭიქა ჩვენებური მყავე ქვიშხური ან გურული ადესა მირჩენია-მეთქი, ჭიქა ხელუხლებლად მაგიდაზე დავდგი და ბარმენს კოკა-კოლა შევუკვეთე. მართალია, ამასაც ძველებური ბოდლოს საპნის გემო თუ სუნი დაჰკრავს, მაგრამ ეს მოწამვლით მაინც არ მომწამლავს-მეთქი.

ჩვენი საუბარი სულ სხვადასხვა საკითხს შეეხებოდა, მაგრამ ერთი უმთავრესი საკითხთაგანი მაინც თანამედროვე კინემატოგრაფიის პრობლემები იყო.

ამერიკელი კინემატოგრაფისტები საერთოდ მათ კარზე ატუზულ კრიზისს უჩივიან. როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ ლოს-ანჯელოსში მივემგზავრებოდით ჰოლივუდის დასათვალიერებლად, მათ ფრთხილად ჩამოგდეს სიტყვა იმის შესახებ, რომ ამჟამად იქ გაფიცული არიან სცენარისტები და ელექტროგამნათებლებიო. უფრო წინად კი მგონი, სტატისტები ყოფილან გაფიცულნი. საერთოდ კი, ჰოლივუდში ახლა ძალიან ცოტა ფილმს იღებენო. ტელევიზიამ, სპორტულმა სანახაობებმა თითქმის მთლიანად წაართვა მაცურებელი კინო-თეატრებს, *ამიტომ* ამერიკაში დადგმული ფილმები უკვე ველარ ანაღებენ დადგმაზე განუულ ხარჯებსაც კი და ამიტომ ბევრმა ფირმამ სავსებით შეწყვიტა ფილმების გადაღებაო, – გვითხრეს კინომუშაკებმა. ჩვენი პროდიუსერები ახლა ფილმებს ევროპაში იღებენ, სადაც ამ ფილმების გადაღება იმის ერთი მესამედიც არ უჯდებათ, რამდენიც ამერიკაში და ამით ძლივს აღწევენ თავს ზარალსო.

შემდეგ მიგვიჩვენეს საპროექციო დარბაზში, მათი ახალი ფილმის „ის, ვინც ქარს მოიმკის“ სანახავად. ეს ფილმი ჩვენი სიამაყეაო, – გაგვიცხადა ასოციაციის პრეზიდენტმა, ჩვენ იგი გავგზავნეთ კანში ფესტივალზე და ვიმედოვნებთ, რომ პირველ ჯილდოს მივიღებთო.

სურათი ძალზე მარტივი სიუჟეტისაა და მთლიანად პროკურორის და დამცველის დიალოგის მეტს არაფერს არ წარმოადგენს. მთარგმნელი არა გვყავდა. ჩემს გვერდით მჯდომი გიდი იაკუბოვსკი ძლივს ლაპარაკობს რუსულს, გაჭირვებით მითარგმნის თითო-ოროლა სიტყვას, რომლითაც არაფრის გაგება არ შეიძლება. მე კინალამ ხვრინვა ამოვუშვი.

ამით დამთავრდა ჩვენი პირველი დღის სტუმრობა ვაშინგტონში.

მეორე დღეს ჩვენ გავემართეთ კაპიტოლიუმის *შენობის* დასათვალიერებლად. ამ შენობაში, რომლის გიგანტური გუმბათი მთელს ქალაქზე მბრძანებლობს, მოთავსებულია სენატი და კონგრესი. შენობაში საგანგებო საშვით უნდა შესვრიდე. ყოველ დერეფანში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დგანან



პოლიციელები, ტყავისბუდიანი ძველებური კოლტის რევოლვერებით შეიარაღებულნი. პოლიციელები თითქო განგებ შეურჩევიათ: ერთნაირი ზომის, ლამაზი მხარბეჭიანი ვაჟკაცები.

ჩვენ სენატის სხდომის დარბაზი დავათვალიერეთ. მაშინ სწორეთ სხდომა მიმდინარეობდა. კრებას თავმჯდომარეობდა მორიგე სენატორი. წინ მას ოთხი მდივანი უსხდა, ისინი სკამებზე გადადღვარდულნი უსმენდნენ ორატორს. ეს ორატორი, თავმჯდომარისკენ ზურგშექცეული ეკამათებოდა მეორე სენატორს. დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო. იქით კუთხეში შეჯგუფული სენატორები ფეხზე დამდგარი საუბრობდნენ და კამათს ყურადღებას არ აქცევდნენ.

ზემოთ სენატის სხდომის დარბაზს გარშემო უვლის ქანდარა, კორესპონდენტებისა, უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლებისა, სტუმრებისა და უბრალოდ, ცნობისმოყვარე ხალხისათვის. ჩვენი იქ შესვლის დროს ერთ მხარეზე ისხდნენ ამერიკელ ექსკურსანტთა ჯგუფი უკაბო ქალები მოკლე ტრუსებით და ასეთივე მამაკაცები, ბავშვები.

სენატში კამათობდნენ იმის შესახებ, პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის დაწყების წინ სენატორები დარჩენილიყვნენ და განეგრძოთ სესია თუ საზაფხულო არდადეგებზე წასულიყვნენ. ამიტომ მათი ეს სხდომა უფრო შინაურულ საუბარს გვაგონებდა და ვინაიდან დარბაზში მეტი საინტერესო აღარაფერი იყო, გარეთ გამოვედით.

დავათვალიერეთ კაპიტოლიუმის ცენტრალური ნაწილი მთავარი გუმბათის ქვეშ. აქაა დიდ ტილოებზე აღბეჭდილი ამერიკის ისტორიის უმთავრესი ეტაპები, აქვეა ცნობილი პრეზიდენტების ქანდაკებები.

შემდეგ გავემართეთ ვაშინგტონის ბიბლიოთეკის დასათვალიერებლად, რომელიც უდიდესია მსოფლიოში და აქაა თავმოყრილი მთელ ქვეყანაზე კირაც წიგნი იბეჭდება. ჩვენი მისვლისას აქ დასათვალიერებლად მოსულიყო ტაილანდის მეფე, რომელიც ამალით გარშემორტყმული დადიოდა ბიბლიოთეკის დარბაზებში.

აქ ჩვენ გვაჩვენეს ამერიკელთათვის ყველაზე უძვირფასესი ხელნაწერები, ჯეფერსონისა, ლინკოლნისა, გვაჩვენეს ძველებური მანუსკრიპტები, დიდი სამუშაო დარბაზი. შემდეგ დავათვალიერეთ კინოფილმების განყოფილება, სადაც დაცულია ათასობით ფილმები დაწყებული უპირველესიდან უკანასკნელ დრომდე.

მე მაინტერესებდა, ნეტავ, ამ ბიბლიოთეკაში ჩემი წიგნები თუ არის-მეთქი. გიდის დახმარებით მოვნახეთ კატალოგების დარბაზში ის უჯრა, სა-

დაც აღფაბეტის თანმიმდევრობით გვარები იწყებოდა „ბელ“-ით. მიუხედავად ასეთი მიახლოებული საძიებლისა, მე კარგა ხანს მომიხდა ფურცვლა სანამ ჩემს გვარს წავაწყდებოდი და აღმოჩნდა, რომ ოთხი სხვადასხვა სახელწოდების წიგნი იყო ჩემი, მხოლოდ რუსული თარგმანები. შემდეგში გავიგე, რომ ქართულებიც ყოფილა, მაგრამ ვინაიდან აქამდე სპეციალისტი არა ჰყოლიათ, რომ ათას ხუთასზე მეტი სხვადასხვა ქართული წიგნი დაეღაგებიათ, ისინი ჯერ არ შეუტანიათ კატალოგებში და ეს მუშაობა ამჟამად მიმდინარეობსო. ისე, რომ მთელი ქართული მწერლობა წარმოდგენილია ამ გრანდიოზულ წიგნსაცავში.

სასტუმროში დავბრუნდით. სასადილოში მაგიდებს უნდა მივსხდომოდით, როდესაც ჩვენმა მთავარმა გიდმა, მისტერ რუბინმა მოიყვანა და გაგვაცნო ერთი ახალგაზრდა ტანმორჩილი და გამხდარი ყმაწვილი კაცი, რომელმაც ხელის ჩამორთმევისას თავისი გვარიც გვითხრა:

– ჯაბადარი.

გამიკვირდა. საიდან, სად, რომელი ჯაბადარია? ქართული მან არ იცოდა.

– თქვენი რა იყო ცნობილი რეჟისორი ჯაბადარი, რომელსაც ერთ დროს თეატრალური სტუდია ჰქონდა და მასთან სწავლობდნენ ჩვენი სახელოვანი ქართველი მსახიობები?

– ის მამა იყო ჩემი. გიორგი ჯაბადარი. ჩვენ გერმანიაში ვცხოვრობდით, მეც იქ ვარ დაბადებული. მამაჩემი სულ მუდამ მიმეორებდა, არ დაგავიწყდეს, რომ ქართველი ხარო.

– საქართველოში თუ ყოფილხართ.

– არა. წელს ვაპირებ მოვინახულო.

– აქ რას აკეთებთ, სად მუშაობთ.

– აქ „ამერიკენ ექსპრესის“ თანამშრომელი ვარ.

– ქართველები თუ არიან ვაშინგტონში.

მან დამისახელა რამდენიმე გვარი და მათ შორის პოეტი გრიგოლ გამყრელიძე, თავის დროზე გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით ცნობილი, ჭაბუკობის დროს ჩემი ბავშვობის მეგობარი და ამჟამად ჩემი ცოლისძმა.

ლამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც ტელეფონით ნომერი ავკრიფე და ჩავძახე:

– ალლო, გრიგოლი ხარ?

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – მესმის ქართულის გაგონებით გაოცებული ხმა გრიგოლისა.

– მე ვარ, აკაკი ბელიაშვილი, შენი სიძე.

– რას მეუბნები, შენ? საიდან, როგორ, სადა ხარ, მოდი ახლავე ჩემთან.

– მოიცა, მოიცა, მოდი ისე მეუბნები, თითქო შენ ზოდში იყო და მე დარკვეთში. მე როგორ მოგაგნებ. შენ თითონ მოდი, სასტუმროში ვარ.

მისამართი ვუთხარი და ვესტიბულში დავინყე ლოდინი.

ფიქრებმა წამილო.

ამ ოცდათვრამეტი წლის წინად, ქალაქ თბილისში, ძნელადის ქუჩაზე ოპერის თეატრის უკან, შევხვდი გრიგოლს. იგი თავისი ბიძის, სახალხო კომისრის ლევან გამყრელიძის ბინაში ცხოვრობდა და ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს.

– მშვიდობით, აკაკი, – მითხრა მან – ხვალ მივემგზავრები გერმანიაში.

გრიგოლი შეძლებული მამის პატრონი იყო და საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ოცნებობდა სასწავლებლად უცხოეთში გამგზავრებულყო. ახლა ეს ოცნება უსრულდებოდა.

– კეთილი მგზავრობა, – ვუთხარი მე და ახალ ამბათ მეც ვახარე – ხვალ ჩავჯდები თვითმფრინავში და თბილისის თავზე ვიფრენ.

მაშინ ეს ახალი ხილი იყო ჩვენში, ჩვენმა მთავრობამ იყიდა „იუნკერსის“ ფირმის რამდენიმე სამგზავრო ექვსადგილიანი თვითმფრინავი და მოსახლეობის შესაჩვევად აწყობდნენ ქალაქის თავზე მსურველთა გასეირნებას. ბილეთი ხუთი მანეთი ღირდა. მაშინდელ ოქროს ფასზე ეს ჩემისთანა ხელმოკლე სტუდენტისათვის საკმაოდ დიდი თანხა იყო, მაგრამ მე მერჩია, მომეკლო სმა-ჭამა, ოღონდ ამესრულებია ჩემი ბავშვური ოცნება და ავფრენილიყავ ჰაერში.

გრიგოლი გაემგზავრა ევროპაში და მას შემდეგ იგი აღარ მინახავს. მე კი, დავრჩი ჩვენს თბილისში. მეორე დღეს ვერც ჩემი გულისწადილი შევისრულე, ჰაერში ავფრენილიყავ.

გავიდა წლები. რამდენმა წყალმა ჩაიარა მის შემდეგ. მაშინ მეც და გრიგოლიც ოცი წლის ყმანვილები ვიყავით. მეოცნებენი და პოეტურად უსაქმურნი. მე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ლექციებს ვესწრებოდი, მაგრამ საგნების ჩაბარებაზე მაინცადამაინც თავს არ ვიმტვრევდი, მაშინ არსებობდა კურსიდან კურსზე გადასვლისათვის საგნების საჭირო მინიმუმის ჩაბარების წესი. ორი ან სამი საგანი უნდა ჩაგებარებია, სხვებს მერე ჩააბარებდი. მეც ვაბარებდი ამ მინიმუმს. უფრო მეტ დროს კი ჩემს ლიტერატურულ საქმიანობას ვანდომებდი.

გრიგოლი ხომ ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს, 1922 წელს მან პატარა კრებულები კი გამოსცა ლექსებისა, სათაურით „დალურსმული ხელები“. ამ პატარა წიგნაკმა მაშინდელი ლიტერატურული წრეების ყურადღებაც კი მიიპყრო.

მაგრამ წავიდა ეს ბიჭი უცხოეთში და ჩარჩა იქ. კარგა ხანს გერმანიაში ცხოვრობდა, შემდეგ პრალაში, პარიზში და ბოლოს, ამერიკაში ამოჰყო თავი.

ოჯახში ხანდახან გზავნიდა წერილებს და ცხადია, საპასუხო წერილებით ჩვენს ამბებსაც გებულობდა. იცოდა ცხადია, ისიც, რომ მე მათი ოჯახის სიძე ვაგხდი.

დიდხანს ელოდა დედამისი მარიამი შვილის დაბრუნებას. არ ეღირსა მისი ნახვა. 1945 წლის თებერვალში გარდაიცვალა და ვაჟიშვილის ნაცვლად იგი ორმა სიძემ დაიტირა (მესამე სიძე ფრონტზე იყო). იტყოდა ხოლმე მოხუცი ქალი, მე ვატყობ, შვილის დაბრუნებას ვეღარ მოვესწრები, ხოლო როდესაც ჩემი სიკვდილის შემდეგ დაბრუნდეს, მოიყვანეთ ჩემს საფლავზე და უთხარით ფეხით მაგრათ მოსრისოს მინა, რომ ჩემმა ძვლებმა მაინც იგრძნონ შვილის დაბრუნებაო.

მამამისი კი ამჟამად ოთხმოცდამეორე წელში გადამდგარი მოხუცი კვლავ ელოდება შვილის დაბრუნებას. იგი მარტოდმარტო ზის თავის ძველებურ მამა-პაპისეულ სახლში სოფელ ზოდში, შეჰყურებს დრო-ჟამისაგან ჩამოქეჩილ კედლებს, მოღრეცილ კარ-ფანჯრებს და იგონებს იმ ბედნიერ დღეებს, როდესაც ამ სახლში სიცოცხლე სდუღდა და გადმოდუღდა, როდესაც ისმოდა მხიარული სიცილ-ტკრციალი მამათა და დედათა, ძმათა და დათა, შვილთა შვილიშვილთა.

წავიდენ წლები. წავიდ-წამოვიდენენ ყველანი. ზოგმა საუკუნოდ განუსვენა წიაღსა შინა, ზოგი ცოცხალია, მაგრამ განშორდა ამ სახლსა და ამ ოჯახს, ხოლო ერთადერთი ვაჟი კი გადაკარგულა შორს, სადღაც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით....

და ზის ახლა მოხუცი მიხაკო სოფელ ზოდში. ახლა იქ დღეა, შუადღე, აქ კი შუალამე. ვზივარ სასტუმროს ვესტიბულში და ველოდები მის გადაკარგულ ვაჟს. ხშირად ვიცქირებით ქუჩისაკენ. სასტუმროს ვესტიბულის შუშის ვიტრინებში ორი მხრით მთელი ქუჩა მოჩანს.

უეცრად ჩვენმა ფელიქსმა თვალი მოჰკრა ქუჩაში ვიღაცას და მითხრა:  
– აი, მოვიდა, მგონი ისაა.

კარი გაიღო და სასტუმროში შემოვიდა ხანშიშესული სათვალეებიანი მამაკაცი. ვუცქერი და ვხედავ, თითქო ჩემი სიდედრი გაცოცხლებულიყოს, ისე საოცრად ჰგავს სახით დედამისს.

წამოვიდა და პირდაპირ ჩემსკენ მოაშურა.

– მიცანი? – გამიკვირდა მე.

– ველარ გიცნობდი, მაგრამ რომ შეგათვალიერეთ სამივენი, გუმანით მივხვდი, შენ უნდა ყოფილიყავ.

გადავხვებით ერთმანეთს. დავსხედით. მოვიგონეთ წარსული, მოვიკითხე ნათესავები, ვუამბე, თუ როგორაა მამამისი, დები, მამიდები და მამიდაშვილები.

– გახსოვს, რომ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, გერმანიაში რომ მიემგზავრებოდით, გითხარი, ხვალ თბილისის თავზე უნდა ვიფრინო-მეთქი. მაშინ ვერ გავფრინდი, მაგრამ განა შემეძლო წარმომედგინა, რომ მოვესწრებოდი ჩემს სიცოცხლეში ისეთ ამბავს, როდესაც თბილისიდან ვაშინგტონამდე ჰაერში ფრენით ჩამოვიდოდი, ისიც ათიათასი მეტრის სიმაღლეზე საათში ათასი კილომეტრის სისწრაფით და აქ შევხვდებოდით ერთმანეთს?

– აბა, აბა, რამდენიმე დრო გავიდა მას შემდეგ. თითქმის ორმოცი წელი. შენ კარგადა ხარ, მართალია, გათეთრებულხარ მთლად, მაგრამ მაინც ყოჩაღად გამოიყურები.

– შენც კარგადა ხარ...

– მე მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე, ურთულესი ოპერაცია გამიკეთეს და მთელი ჩემი ქონება, რაც კი რამ გამაჩნდა, სახლი, კარი, (დალასში ვცხოვრობდი, იქ საკუთარი პატარა სახლი მქონდა) ყველაფერი ექიმებმა შეინირეს...

– როგორ... ჰო, მართლა, მე შეჩვეული ვარ ჩვენში რომ ექიმობაში არაფერს ვიხდით, უფასოა....

– აქ, უფულოდ, სული რომ გხდებოდეს, არავინ მოგხედავს. არა, არის აქაც კომუნალური საავადმყოფოები, მაგრამ... იქ გინდა მისულხარ და გინდა პირდაპირ წასულხარ სასაფლაოზე... ერთია.

– ლექსებს აღარ სწერ?

– როგორ არა, – გაიღიმა გრიგოლმა – ვიქტორ ნოზაძემ გამოსცა ჩემი ლექსების კრებული. ჩემთვის არ უკითხავს და ბევრი სუსტი ლექსი შეუტანია, შორიდან ხმის მიწვდენა ძნელია, ის სანტიაგოში ცხოვრობს. ახლა მინდა თუ მოვახერხებ, აქ ერთი რაჭველი კაცი ცხოვრობს – გივი კობახიძე, დიდი კუთხური პატრიოტი რაჭისა. ის მპირდება ჩემი ლექსების კრებულის გამოცემას.

– სამშობლო არ გენატრება?



– ნულარ იტყვი. თუ ოდნავ დავდექი ფეხზე, უნდა დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში. ხელცარიელი მიჭირს დაბრუნება, მეშინია ვაითუ, ვერ შევეგუო ამ სიბერის დროს თქვენი ყოფა-ცხოვრების თავისებურებას და გამიჭირდეს...

– შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. მამაშენს კიდევ აქვს ზოდში ერთი ქვევრი ხელუხლებლად თავგადაგლეხილი, არ გენატრება ჩვენებური ციცქა...

ღვინის გახსენებამ ბარში შეგვიყვანა და ლამის ორ საათამდე გაგვიგრძელდა საუბარი.



დილით სამხატვრო ეროვნულ გალერეის დასათვალიერებლად გავემართეთ.

ეს უზარმაზარი შენობა ააგო მილიონერმა მელონმა. მან 15 მილიონი დოლარი გადასდო მის ასაგებად და თავისი სურათების უმდიდესი კოლექციაც ამ გალერეას შესწირა. ამავე დროს ხუთი მილიონი დოლარი შეიტანა ბანკში, რომლის დივიდენდები ხმარდება მუზეუმის საჭიროებას, ახალი ექსპონატების შეძენას და სარესტავრაციო სამუშაოებს. მელონს სხვა მდიდრებმაც მიბაძეს, და თავისი კოლექციები შესწირეს ამ გალერეას. ამგვარად, გალერეის ფონდებში დაგროვდა 16 ათასი სურათი და ქანდაკება. უნდა ითქვას, რომ ლუვრისა, ერმიტაჟისა და დრეზდენის გალერეების შემდეგ, რაც ჩემი თვალთ მინახავს ამ სამხატვრო გალერეამ უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა ყოველ ჩვენგანზე. შეიძლება ითქვას, რომ აქ თავმოყრილია ალორძინების ხანის უბრწყინვალესი შედეგები. აქ ნახავთ სურათებს ტიცინისა, რემბრანტისა, ჯოტოსი, ტინტორეტოსი, ვერონეზისა, ჯორჯონესი, ფრანც ჰალსისა, ვანდეიკისა, ველასკეზისა, ელ-გრეკოსი, მურილიოსი, ვატტოსი, რენუარისა, სეზანისა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ცნობილი ოსტატის მხატვრული შედეგები ამ შენობის დარბაზებს. ერთადერთი გულდასაწყვეტი ის იყო ჩემთვის, რომ დროის სიმცირის გამო გაჭენებული ცხენებივით დავრბოდით დარბაზებში და დრო არა გვექონდა უფრო გულდასმით დაგვეთვალიერებია თუნდაც ის სურათები, რომელთა დედნების ნახვა მე საოცნებოთ მქონდა გადაქცეული.

აქვე ქირით იძლეოდნენ საინტერესო სასმენ აპარატებს. ესაა ტრანზისტორებით მოქმედი მაგნიტოფონი, რომელიც სამ ენაზე იძლევა ახსნა-განმარტებებს სურათების შესახებ. გაიკეთებ სასმენს ყურზე, მიდიხარ სურათთან და აპარატი გიხსნის ერთ-ერთ ენაზე, თუ რას წარმოადგენს ეს სურათი, ვისი ნამუშევარია იგი და სხვა.

ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. აქ სურათები მგონი, ფერის კოლორიტის მიხედვითაა დალაგებული, რადგან ერთ დარბაზში თუ ნახავთ რემბრანტისა და ტიცციანის სურათებს ერთად დაკიდულს, გაიხედავთ და სულ სხვა დარბაზში ნახავთ რემბრანტის მეორე სურათს სეზანის გვერდით. ამიტომ, როდესაც აქ რომელიმე ცნობილი მხატვრის ერთ ან ორ ტილოს წააწყდებით, არ იფიქროთ, რომ ამით ამოიწურება ამ მხატვრის სურათების კოლექცია ამ გალერეაში. მაგალითად, ტიცციანის „ვენერა სარკესთან“ ცალკე დარბაზშია, სადაც სხვა მხატვრების სურათებია გამოფენილი, ხოლო მეორე დარბაზში ხუთი თუ ექვსი უშესანიშნავესი სურათია იმავე ტიცციანისა კიდევ სულ სხვა მხატვრების სურათების გვერდით.

გალერეის ცალკე დარბაზში შესასვლელთან იყიდება მშვენივრად დამზადებული რეპროდუქციები სურათებისა, ალბომები და მონოგრაფიები. ჩვენც შევიძინეთ რამდენიმე რეპროდუქცია და შინისაკენ გამოვემართეთ, რადგან დღესვე უნდა გავფრინდეთ ლოს-ანჯელოსში.

*ჩვენს გასაცვილებად მოვიდა გიორგი გამყრელიძე თავის მეუღლით, თან მოიყვანა და გაგვაცნო ექიმი გივი კობახიძე. იგი ვაშინგტონის ბიბლიოთეკაში მუშაობს და სწორედ მან მაცნობა ქართული წიგნების არსებობის შესახებ ამ ბიბლიოთეკაში.*

*ჩვენი ბარგი უკვე ჩამოეტანათ ვესტიბულში. ავტობუსიც ჩამოაყენეს.*

*– მშვიდობით ჩემო გიორგი და თქვენც პატივცემულო გივი, – ვუთხარი მე მათ – ვაშინგტონი არც ქუთაისია და არც ჭიათურა, რომ ხშირი ჩამოსვლა შემეძლოს და მეღირსება თუ არა კიდევ თქვენთან შეხვედრა, არ ვიცი, მაგრამ ახლა ჯერი თქვენზეა, თუ არ დაკარგავთ სამშობლოს, ეს უკვე თქვენზეა დამოკიდებული, და დაუბრუნდებით ჩვენს საბჭოთა საქართველოს, გულით მიგიღებთ. მოდით, ნახეთ, არც ისე ცუდათაა ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის საქმე, მტერს რომ გაეხარდეს. მართალია, ჯერ ისე მდიდრები არა ვართ, როგორც აქ არიან ზოგიერთები, მაგრამ ორ რამეში, განათლები-სა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ამერიკაზე გაცილებით წინა ვართ. საქართველო უმაღლესი განათლების მხრივ პირველთაგანია მთელ მსოფლიოში, ჩვენი მძიმე ინდუსტრია ახლა მთელი სიძლიერით შლის ფრთებს, სოფლის მეურნეობაც ხომ მოწინავე ხდება, ჩვენი ვენახები, ჩაის, თამბაქოს პლანტაციები და სხვა ტექნიკური კულტურების ფართობები, ჩვენი მეცხოველეობა ყოველწლიურად იზრდება. საქართველოში უკვე იშვიათია სოფელი, სადაც ელექტრონის შუქი არ ენთოს. კეთდება ასფალტით დაგებული*

საავტომობილო გზები, ელექტროფიცირებულია რკინისგზები, შენდება ახალი საცხოვრებელი სახლების მთელი მასივები, მეტი რაღა გავაკეთოთ... შენ კი, ჩემო გიორგი, არ უნდა დაივინყო შოთას სიტყვები: „არ დავინწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“. აი, ახლა გიცქერი და ჩემს თვალწინ გაცოცხლდა და მილიმის დედაშენი. მან შენს მოლოდინში დახუჭა თვალები. იგი ჩემი საკუთარი ხელით ჩავასვენე კუბოში, მის ნაცვლად მე მეღირსა შენი ნახვა და როდესაც დავბრუნდები საქართველოში, ავალ მის საფლავზე და ჩავდახებ, აი, დედა, ვინახულე შენი შვილი, ასე რომ ნატრობდი მის დაბრუნებას და ვერ ეღირსე-მეთქი...

გიორგის პატარა ბავშვივით აუტყდა ქვითინი და გარეთ გავარდა. მე გავეყვი და დამშვიდება დავუწყე. ის კი გულამომჯდარი ზღუქუნებდა და იმეორებდა:

– დედა... ჩემო დედა...

სამოცი წლის, ხანშიშესული მამაკაცი მიყრდნობოდა ვაშინგტონის მთავარ ქუჩაზე ცაცხვს და მდულარე ცრემლებს აფრქევდა.




ვაშინგტონიდან კალიფორნიამდე რამდენიმე ათასი კილომეტრია და ჩვენ კვლავ რეაქტიულ თვითმფრინავში ჩავსვს.

ისევ ავცილდით ღრუბლებს ხუთიოდე კილომეტრით და დავეკიდეთ სტრატოსფეროში. იმდენათ ერთნაირია ეს ღრუბლებს ზემოთა სამყარო, იმდენჯერ მინახავს იგი სულ სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთის მსგავსი ვარიანტებით, დღისით, საღამოთი, ღამით, რომ ფანჯარაში გახედვის სურვილიც კი არა მაქვს და მე და ნიკოლოზ პიპინაშვილი ჭადრაკის თამაშით ვერთობით. ასეთ შემთხვევაში წარმოუდგენლად სწრაფად გარბის დრო და ახლა მართლაც, ვერ მოვასწარით სამი თუ ოთხი პარტიის გათამაშება, რომ უკვე ლოს-ანჯელოსს გადავუარეთ და აეროპორტში დავეშვიტ.

ეს იყო 30 ივნისს, საღამოს ცხრა საათზე. ჩვენში ამ დროს პირველი ივლისის დილის ცხრა საათია. ერთის სიტყვით, ჩემი ქვეყნიდან დაშორებული ვართ დედამიწის ზუსტად ნახევარსფეროს მანძილით და ერთმანეთისკენ ფეხისგულებით ვართ მიმართული. რაღაც ძნელი წარმოსადგენია, რომ აი, ახლა ამ მიწაზე დავდივარ იმ გრძნობით, რომ თავი მაღლა მაქვს, ფეხები კი მიწაზე, ამავ დროს ჩვენს ქვეყანაშიც დადის ვიღაც ჩემიანები და ისიც ასევე




აკაკი ბელიაშვილი  
1925



ფოტოს უკანა მხარე




გიორგი (გუგული) გამყრელიძე  
კიოტენი, 1923




ფოტოს უკანა მხარე





გიორგი (გუგული) გამყრელიძე  
კიოტენი, 24 ოქტომბერი, 1923



სახსოვარ ღირვას ბე-მამს  
კუკულა-მან.  
ქ. კიოტენი.  
1923წ.  
24-ებ.  
გიორგი (გუგული) გამყრელიძე

ფოტოს უკანა მხარე




გიორგი (გუგული) გამყრელიძე  
ტემპელჰოფის აეროდრომი, ბერლინი, 26 დეკემბერი, 1928

სუკია შა შორ  
სახლსა  
ქუყვიანს  
26/XII 1928 ქ. ბერლინი.  
ქაქაძის სახლი წახლა.

ფოტოს უკანა მხარე



გიორგი (გუგული) გამყრელიძე  
გერმანია, 23 აპრილი, 1936



ფოტოს უკანა მხარე



გიორგი გამყრელიძე მეუღლესთან – ვალი (ვალერია) გამყრელიძესთან ერთად  
გერმანია, 1936






გიორგი (გუგული) გამყრელიძე  
გერმანია, 1936



გიორგი (გუგული) გამყრელიძე  
დალასი, იანვარი, 1957



ფოტოს უკანა მხარე



გიორგი გამყრელიძე მეუღლესთან – ვალი გამყრელიძესთან და მეზობელთან ერთად გამყრელიძეების კოტეჯის ეზო, დალასი, 1960-იანი წლები



გიორგი (გუგული) გამყრელიძე  
1960-იანი წლები



ქეთევან გამყრელიძე (აკაკი ბელიაშვილის ცოლისდა), აკაკი და მანანა ბელიაშვილები,  
თინათინ გამყრელიძე (აკაკი ბელიაშვილის მეუღლე)  
ნაღვერი, 1932



გრძნობს ცას ზემოთ და მიწას ქვემოთ, ამავე დროს კი ორთავენი დედამიწის ბრუნვის მიმართულების ღერძის პერპენდიკულიარულად ვდგავართ.

აეროპორტში ქალიშვილები რატომღაც ქართველ გოგონებს მაგონებდნენ, ლამაზები არიან, ტანწერწეტიანი, შავთმიანები, ბრიალა თვალებით და ქალურად ნაზები.

*ცა მოკრიალებულია. სანეტარო სიგრილეა.*

„ლოს-ანჯელოს“ ჩვენებურად რომ ვთარგმნოთ, გამოდის მგონი, „ანგელოსების ხვედრი“ თუ რაღაც ამდაგვარი და მართლაც, მთელი ეს სანაპირო წყნარი ოკეანისა ჰავის მხრივ ამქვეყნიური სამოთხეა. აქ ზამთარ-ზაფხულსულ ერთნაირი ტემპერატურაა – ოციდან ოცდაოთხ გრადუსამდე სითბო. ყველაზე ცხელი დღე ოცდაცხრა გრადუსს არ აღემატება. აქ დეკემბერ-იანვარშიაც ისევე ბანაობენ ზღვაში თუ ეზოში გამართულ აუზებში, როგორც ივლის-აგვისტოში. წელიწადში აქ სამას ორმოცდაათი მზიანი დღეა და სწორეთ ამან განაპირობა მთელი ამერიკის კინომრეწველობის ამ ქალაქში თავმოყრა. ისე კი ეს ქალაქი ნავთის მრეწველობის ცენტრია, აქაა უდიდესი საბადოები ნავთობისა. აქვეა საავიაციო და სამხედრო ქარხნები.

ფართობის მიხედვით, ლოს-ანჯელოსი უდიდესი ქალაქია მსოფლიოში. მისი სიგრძე-სიგანე თითქმის ას კილომეტრს უდრის. მთელი ქალაქი, გარდა ცენტრალური მცირეოდენი ნაწილისა, ერთსართულიანი პატარა ერთბინიანი სახლებისაგან შედგება. მარტო ცენტრალურ ნაწილშია არცთუ ისე ბევრი მრავალსართულიანი სახლი და ისიც საგანგებოთ ნაგები, სეისმიურად გამძლე. აქ ხშირი ყოფილა მიწისძვრები.

აეროპორტიდან გასვლისთანავე მივიღვართ ხოჭოებივით ალაპლაპებულ ფერად-ფერადი მანქანების ზღვაში. აქ უმთავრესად რძისფერი მანქანებია, თუმცა არიან წითელი, შავი, შინდისფერი, მწვანე და წალურჯო ფერისაც. ყველგან დიდი ფართობები აქვს დათმობილი მათ სადგომებს, არა მარტო ვაგზლებთან, არამედ ქალაქის ყოველ გზაჯვარედინზე, ბენზოკოლონებთან და ყოველი ეს თვალუწვდენი ბაქანი სავსეა მანქანებით. ასე გგონია, ნახირივით საბალახოთ გამოუყვანიათო.

გამოვედით ერთ-ერთ უფართოეს და უგრძეს ქუჩაზე „უილიშერ ბულვარზე“. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ერთმანეთს ცვლიან ეკლესიები, სინაგოგები, ბაბტისტების სამლოცველო სახლები და სადამზღვევო საზოგადოებების მრავალსართულიანი შენობები. საერთოდ, ამდენი სადაზღვევო საზოგადო-

ება, რამდენიც ლოს-ანჯელოსში დაგვანახვეს, მე მგონია, მთელ მსოფლიოში არ არსებობდეს. ამერიკელებს, როგორც ამბობენ, ძალიან უყვართ ყველაფრის დაზღვევა, რადგან აქაც ხედავენ მოულოდნელად გამდიდრების მცირე შანსს. ერთ ადგილას თვალი მოგვჭრა მარმარილოთი ნაგებმა ცათამბჯენმა. იგი ნავთობის დამმუშავებელი საზოგადოების სამმართველოს შენობა ყოფილა.

ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებულია კელაპტრებივით მაღალი ოცდაათმეტრიანი პალმები ქოქოსისა. ისინი ისე ერთნაირი არიან, ხელოვნურებას გვანან. მთლად გაშიშვლებულნი, უტოტონი ატყორცნილან მაღლა, იქ კი თავზე თაიგულივით ადგათ მარაოსმაგვარი ფოთლები, თავისივე ბუნებრივი ძენძის სქელი საბნით შემოსალტული.

ბევრია მაღაზიები, იშვიათი და კარგი გემოვნებით გაფორმებული ვიტრინებით და რაც მთავარია, კარგი რეკლამებით. თუ ნიუ-იორკი ვერ დაიტრაბახებს სისუფთავით, აქ პირიქით, ყველაფერი: ქუჩები, ტროტუარები, სახლები, ეზოები, ისეა განკრიალებულ-გასუფთავებული, ყველაფერი ისე ახლად და ცინცხლად გამოიყურება, გეგონება მთელი ეს ქალაქი სულ ახლახან გაუმზადებიათ ქარხანაში და მზეზე გამოუდგამთ გასაშრობათო.

ჰაერიც ისეთი სუფთაა, კასკასა და გამჭვირვალე, ესეც ქიმიურათ განმენდილი გგონია კაცს.

თუ ნიუ-იორკის ცენტრში უამრავი მანქანების გადამუშავებული ბოლი თვალებს გწვავს და სულს გიხუთავს, აქ, ამ გაშლილ ადგილზე ამას ვერ იგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ აქაც აუარება მანქანა მოძრაობს.

ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება. თითქმის არ დაგვინახავს საბარგო და სატვირთო მანქანები. არ ვიცი, ისინი ღამით მოძრაობენ თუ მათი საჭიროება აღარ არის. ეს კია, რომ მათ ძალზე იშვიათად ვხედავთ.

დავბინავდით სასტუმრო „კლარკში“. იგი ქალაქის ცენტრშია, იქ, სადაც მრავალსართულიანი სახლები თითქო სათათბიროთ მოგროვილან.

სასტუმროები აქ სტერეოტიპიურად ერთმანეთს გვანან. პატარა ნომრები, იატაკზე, ყველგან, დერეფნებშიაც, ნომრებშიაც რბილი ნოხები, ხელოვნური ქსოვილისა თუ კაუჩუკისა, ტელევიზორები არაჩვეულებრივად დიდი ეკრანებით, განკრიალებული აბაზანები, და ქვესადგურებით მომუშავე ტელეფონები. არცერთ სასტუმროში არ შემხვედრია ქალაქის ქსელში პირდაპირ ჩართული ტელეფონი ისე, როგორც ეს ჩვენს სასტუმროებშია.

დავბინავდით და მაშინვე მოვენყვეთ დასაძინებლად.





დილას გავემგზავრეთ ჰოლივუდის დასათვალისწინებლად, ხოლო წინასწარ მიგვიწვიეს მხატვრული ფილმების წარმოების გაერთიანებულ სამმართველოში თუ საბჭოში, დიდ დარბაზში შემოვუსხედით მრგვალ მაგიდას. ამერიკული კინომრეწველობის მხრიდან საუბარს ესწრებოდნენ: აქტიორთა კავშირის თავმჯდომარე ჯორჯ ჩენდლერი, ამავე კავშირის გამგეობის წევრები მსახიობი ქალი რუთ ასეის და ცნობილი ფილმის „ბენ-ჰურის“ მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ჩერლტონ ჰესტონი; მწერლები: რიჩარდ ბრაინი და „ბენ-ჰურის“ სცენარის ავტორი კარლ ტენბერგი; დირექტორები: მარკ რობსონი, ფრანკ ბორზაგი, რობერტ რიხი (მაინცადამაინც არ იყო დიდი რიხის პატრონი); პროდიუსერები: ბრაიან ფოირი, ფრანკ როზენბერგი; სტუდიების ხელმძღვანელები: „კოლუმბია ფილმისა“ – უელი ლევი და დისნეის წარმოებისა დონ მოიე და კიდევ რალაც მთავარსამმართველოს ხელმძღვანელები: კლარკ ჰ. უალეს – მგონი და ჯოფრეი შერლოკი, ესეც რალაც წარმოების დირექტორი. ცოტა მოგვიანებით საუბარს შემოემატა პროდიუსერი თუ დირექტორი მისტერ გრინი, რომელიც შესანიშნავად ლაპარაკობდა რუსულად. საერთოდ, თარჯიმანის როლს ასრულებდა ვინმე ზემანიში, ისიც წარმოშობით რუსეთიდანაა. არ ვიცი, ებრაელია თუ ოსტზეელი გერმანელი ან რომელიმე სხვა ეროვნებისა. რუსულად ლაპარაკობს იდეალურად.

პირველად ვიკითხეთ, რას იღებენ ამჟამად ჰოლივუდში.

გვითხრეს, რომ იღებენ „სპარტაკს“, დგამს სტენლი კუბრიკი. დგამენ სურათს „ალამო“ – სურათი ამერიკის და მექსიკის ომს ასახავს. დგამს ჯონ ჟეი. შემდეგ დგამენ „დიად ისტორიას“ ქრისტეს ცხოვრებიდან (ნეტავ, მერამდენეჯერ უნდა დადგან) დგამს ჯორჯ სტივენსონი. იდგმება აგრეთვე გოგოლის „ტარას ბულბა“. დგამს კალტენბერგი. შემდეგ „დაუმთავრებელი ისტორია“ ლისტის ცხოვრებიდან და თუ მივუმატებთ „ქარის მომკელს“ კრემერის დადგმას, რომელიც უკვე ვნახეთ ვაშინგტონში, ესაა თითქმის მთელი იმ სურათების სია, რაც ამჟამად ჰოლივუდში იდგმება.

ეს მაშინ, როდესაც ჰოლივუდი წელიწადში დგამდა დაახლოვებით რვაას ფილმს.

რა მოხდა? რამ გამოიწვია ასეთი კატასტროფიული დაქვეითება ფილმების წარმოებისა?

ჰოლივუდის მესვეურები ამას ხსნიან იმ გარემოებით, რომ ტელევიზიამ, სპორტულმა სტადიონებმა და სხვა ამგვარმა სანახაობებმა, გარდა ამისა, ქალაქების მოსახლეობის ლტოლვამ ქალაქგარეთ ცხოვრებისაკენ, რასაც ხელს უწყობს ავტომობილიზმის განვითარება, დააკარგინა კინოთეატრებს მყურებელი და ახლა იშვიათია ამერიკაში გადაღებული ფილმი რომ ანაზღაურებდეს ხარჯებს. ხოლო როგორც ცნობილია, კაპიტალისტურ ქვეყანაში თუ დახარჯული დოლარი დივიდენდს არ იძლევა, ისეთი წარმოება იმ წამშივე კვდება.

ამიტომ ხარჯების გაიაფების მიზნით, ამერიკელი პროდიუსერები და დირექტორები ევროპაში და სხვა ქვეყნებში გაიჭრენ სურათების დასადგმელად, რათა იაფად გამოსულიყვნენ. არათუ სურათების დადგმას, არამედ სცენარების შექმნასაც საზღვარგარეთ შეუდგნენ, რამაც გამოიწვია სწორედ რამდენიმე ათასი ჰოლივუდელი სცენარისტის გაფიცვა.

როდესაც გიდება ვეკითხებოდი, რამდენ ფილმს იღებენ ამჟამად ნელინადში ჰოლივუდში-მეთქი, მათ ისე მითხრეს, დაახლოებით ასამდეო, რომ მაშინვე გუნებაში გავიფიქრე, ალბათ, ათი-თორმეტის მეტი არ იქნება-მეთქი, და მართლაც, ახლა საუბარში გამოირკვა, რომ თვით ჰოლივუდში ამჟამად ამდენსაც არ იღებენ და მთელი ეს გიგანტური სტუდიები ათეული თუ ასეული პავილიონებით, გადასაღებათ გამზადებული დეკორაციული მთელი ქალაქებით, სოფლებით, მდინარეებით თუ „ზღვებით“ დღეს უქმათა დგას და ჩამკვდარია.

მე ვფიქრობ, რომ მყურებლის გაქცევა კინოდან არ აიხსნება მარტოდენ ტელევიზიით ან სტადიონებით. ტელევიზორები ამერიკაშიც არ არის ისეთი იდეალური, რომ ნახულმა სურათმა დიდი სიამოვნება მოგაყენოს და ცხადია, იგი ვერ შეედრება კარგსა და მყუდრო კინოში ნახულ სურათს. სტადიონები და სხვა სანახაობითი დაწესებულებები მაშინაც არსებობდნენ, როდესაც ხალხი აწყდებოდა კინოს.

ჩემი აზრით, ეს კრიზისი გამოწვეულია უნიჭო სურათების დადგმით და უნიჭო მსახიობების გაბატონებით ეკრანზე. საქმეს ვერ უშველა იმანაც, რომ ამერიკაში არ მოერიდენ თითქმის სავსებით პორნოგრაფიული ფილმების გამოშვებას. ჩვენ ნიუ-იორკში ათი წუთის განმავლობაში ვიდექით კინოთეატრის წინ, რომელშიაც ასეთი ფილმი მიდიოდა, ხოლო რეკლამებზე ასახული იყო ვულგარულად ნახევრადმიშველი, ქვედა საცვლების ამარა გადაღებული ქალის გადიდებული ფოტოსურათები ყოვლად უხამს პოზებში. მერე და რა, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ახალგაზრდა შეჩერდა სალაროსთან, იყიდა ბილეთი და შევიდა თეატრში.

დანარჩენი ფილმები კი მომაბეზრებელია, მოსაწყენი და უნიჭო. შეიძლება დადგმის და ტექნიკურად შესრულების მხრივ ეს სურათები არცთუ ისე ცუდები იყვნენ, მაგრამ ერთფეროვანება, რაგინდ გენიალურიც არ უნდა იყოს, მოსაწყენია და მოსაბეზრებელი.

კინომესვეურებმა სცადეს, გამოსავალი ენახათ და ფართოეკრანიანი კინო მოიგონეს. არც ამან უშველა, თუმცა ფართო ეკრანმა ერთგვარი სასწრაფო დახმარების როლი შეასრულა, მაგრამ ასეთი სურათის დადგმა გაცილებით ძვირი ჯდება და ხარჯებს მაინც ვერ ანაზღაურებდა.

მასპინძლებმა კითხვა კითხვაზე დაგვაყარეს. მათ ბევრი რამ აინტერესებდათ ჩვენი საბჭოთა კინომრეწველობის პრობლემებიდან.

მაგალითად გვკითხეს: ვინ წყვეტს ძირითადად იმა თუ იმ სურათის გადაღებას.

ვუპასუხეთ: სტუდიის ხელმძღვანელობა და სამხატვრო საბჭო.

ვინ აფინანსებს სტუდიას? როგორ ხდება ეს დაფინანსება? – ამ კითხვებზე რასაც ვეტყოდით, ჩვენი მკითხველებისათვის ცხადია, ნათელია.

შემდეგ გვკითხეს: რას უშვებიან იმ რეჟისორს, რომლის დადგმა ჩავარდება?

– რა უნდა უქნან? არაფერს. ხელახლა მისცემენ დადგმას, რადგან ხელოვნებაში მარცხი შეიძლება მოუვიდეს ყველას, დამდგმელი რეჟისორი იქნება ეს თუ მსახიობი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ რომელიმე მათგანი უნიჭოა.

– თუ მეორედ ჩავარდა?

– მესამედ მიცემენ დადგმას. შეიძლება მეოთხეჯერაც. იყო ასეთი შემთხვევები.

– ვინ უნდა აანაზღაუროს ის ზარალი, რომელიც გამონვეულია სურათის ჩავარდნით?

– სახელმწიფომ, – ვუთხარით ჩვენ.

– ნუთუ არავინ ისჯება ამის გამო? – გაოცებით გვეკითხებიან ისინი – განა დამდგმელი რეჟისორი არ დაჰკარგავს თავის სამსახურს?

– არა, არ დაჰკარგავს, – ვუთხარით ჩვენ, ის დაჰკარგავს მარტო პრემიალურ თანხას, რომელიც უნდა მიეღო თუ სურათის დადგმას წარმატებით განახორციელებდა. ისე კი მას სამსახურიდან არავინ მოხსნის.

– არც დააქვეითებენ? – გვეკითხებიან კვლავ ისინი.

– არც დააქვეითებენ, თუ რაიმე დანაშაული არ ჩაიდინა. შემოქმედებითი მარცხი კი ჩვენში არ ითვლება დანაშაულად.

ასეთი იყო ჩვენი კითხვა-პასუხების მთელი სერია და ბევრი რამ ჩვენი პასუხებიდან გულწრფელად იწვევდა გაცემას ამერიკის კინომესვეურთა შორის.

გვკითხეს, თუ ვინ მონაწილეობს მასიურ სცენებშიო. როგორც ეტყობა, მათ სურდათ, გაეგოთ დაქირავებული ხალხი ლებულობდა მონაწილეობას თუ მოხალისენი. შემდეგ შეგვეკითხენ, თუ რომელი ამერიკული სურათი მოეწონათ საბჭოთა კავშირში. ამით ალბათ, სურდათ ცოდნოდათ, თუ რა ხასიათის სურათებს ექნებოდა გასავალი ჩვენში.

საუბრის დამთავრების შემდეგ ჩვენ ცალ-ცალკე ჯგუფებათ გავემგზავრეთ სხვადასხვა კინოსტუდიების დასათვალიერებლად.

ჩვენ, ოთხი კაცი წაგვიყვანა თავისი საკუთარი მანქანით კინომრეწველმა მისტერ მიშელ გრინმა. მისი მანქანა შავი ფერისაა და მზეზე საარაკოდ ხურდება. ჩავსხედით და თითქო გახურებულ ლუმელში შეგვეყოს თავი. მისტერ გრინი მიუჯდა საჭეს, ღილს თითი დააჭირა და ფანჯრები სხაპუნით დაიხურა. მერე ჩართო კონდიციონერული ჰაერის აპარატი და ორიოდე წუთის შემდეგ, ჩვენ უკვე საამო სიგრილეში ვისხედით და ისე მივქროდით სტუდიისაკენ.

ეს სტუდია ეკუთვნის რომელიღაც სააქციო საზოგადოებას და იგი მთელ ქალაქს წარმოადგენს. აქ ათეული დახურული გიგანტური პავილიონების გარდა, აგებულია ღია ცის ქვეშ მუდმივი და მტკიცე დეკორაციები სხვადასხვა სახის ეპოქის და სტილის ქუჩებისა, მაღაზიებით, ბანკის შენობებით, თეატრებით, სასახლეებით; არის აგრეთვე სოფლები, ცალკეული რანჩოები, ძველებური ხის სახლების ქუჩები, ეკლესიები, და ვინ მოთვლის კიდევ რა სახის ან სტილის დეკორაციას არ ნახავთ. ზედა სართულებზე გასანათებელი აპარატურისათვის ბაქნებია განწყობილი.

მაგრამ მთელი ეს ქალაქი უკაცრიელსა და ამონყვეტილს ჰგავს. ჩვენს მეტი ამჟამად არავინ არ არღვევს მის მყუდროებას. მარტო ერთ პავილიონში მიმდინარეობდა გადაღება რაღაც ეპიზოდისა. იღებდნენ სცენას სასამართლოს დიდ დარბაზში. ჩვენ დავესწარიით ამ ეპიზოდის გადაღებას. უნდა გულახდილად ვთქვა, რომ ასეთი კვალიფიციური და რეალისტურად გათამაშებული ეპიზოდი ყოველი შემსრულებლის მიერ კარგა ხანია არ მინახავს. გადაღება სინქრონული იყო, მასიურ სცენაში მონაწილენი, რომელნიც სასამართლოს დარბაზში მოსული მაყურებლების როლს ასრულებდნენ, ისე ორგანულად განიცდიდნენ მოქმედების მსვლელობას, რომ იფიქრებდით, ესენი მართლა რაღაც მეტად საინტერესო საქმეს ისმენენო.

შესვენების დროს მოგვიყვანეს და გაგვაცნეს მთავარი როლის შემსრულებელი ახალგაზრდა საოცრად ლამაზი ვაჟკაცი, შავგვრემანი სახის. გვითხრეს, ეს რუსია წარმოშობით. მან გვითხრა, რომ ის მართლაც, რუსეთიდან ყოფილა, კიევის თუ ოდესის რაიონიდან. ეფრაიმ ზიმბალისტ არის მისი სახელი და გვარი. იგი ებრაელია და მამამისი არ ვიცი, 1917 თუ 18 წლებში წასულა რუსეთიდან ამერიკაში ბედის საძიებლად. ეფრაიმმა ცხადია, რუსული არ იცის.

სასადილოთ სტუდიის სასადილოში წავედით. იგი არცთუ ისე დიდია, მაგრამ გხიბლავს გასაოცარი სისუფთავით. საჭმელებიც მეტისმეტად ფაქიზად და გემრიელადაა დამზადებული.

აქ სასაუბროთ გვერდით მოგვისხდნენ მასპინძლები. მათ შორის ჩემთან ახლო დაჯდა მწერალი ლუის სერრანო, წარმოშობით ესპანელი, დედა კი ფრანგის ქალი ყოფილა. იგი უფრო ჟურნალისტია, თუმცა წერს მოთხრობებსაც და თანამშრომლობს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჟურნალებში.

ჩვენი საუბარი უმთავრესად ამერიკის მწერლობას შეეხებოდა. მე ვთხოვე მას დაესახელებია ყველაზე პოპულარული მწერალი ამერიკაში. ეს მაინტერესებდა იმიტომ, რომ ჩვენში სახელმოხვეჭილი და პოპულარული ამერიკელი მწერლები ხშირად თავის ქვეყანაში არც თუ ისე ჰქუხან, როგორც ჩვენა გვგონია. ასე მაგალითად, როდესაც ასახელებენ ყველაზე სახელმოხვეჭილებს, იქ ვერცერთჯერ ვერ გავიგონეთ, რომ დაესახელებიათ ან ჰემინგუეი, ან სტიენბეკი, ან კოლდუელი. მართალია, მათ შესახებ ძალიან კარგი აზრისანი არიან და ამბობენ, ესენი მართლა მშვენიერი მწერლებიაო, მაგრამ მათზე წინ დამისახელეს ჯერ ფოლკნერი, ახლა კი მისტერ ლუის სერრანომ დამისახელა ტენესი უილიამსი – როგორც ყველაზე პოპულარული მწერალი. შემდეგ მან მითხრა, რომ ახლახან გამოვიდა ა. მილერის ძალზე საინტერესო რომანი „ხედი ხიდიდან“.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ამერიკაში წარმოიშვა ლიტერატურული მოძრაობა „ნაგვის მქექაობის“ სახელწოდებით. ამ მოძრაობის მიმდევარნი აკრიტიკებდნენ ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის მძიმე უღელს. მე არ ვიცი, ზემოთ დასახელებული მწერლები ჰქექავენ თუ არა თანამედროვე ამერიკულ ნაგავს თავიანთ რომანებში, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მათი პოპულარობა ვფიქრობ, არ უნდა იყოს გამონკვეული დიდი პროგრესიული იდეებით. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ძნელია ამ წიგნების წაუკითხავათ რაიმეს თქმა მათ შესახებ, ხოლო ჩემს შეკითხვაზე, თუ რით არიან ასე პოპულარული ეს წიგნები, გარკვეული პასუხი ვერ მივიღე.



ჩვენს გვერდით მაგიდას უსხდნენ გრიმნასმული მსახიობები. მათ შორის იყო ერთ-ერთი კინოვარსკვლავი მსახიობი ქალი დაიან მაკბენ, ქერათმიანი, ტანწერწეა გოგონა. წარმოშობით შოტლანდიელი. ჩვენ ერთმანეთი გაგვაცნეს, ფელიქს ვისოცკიმ სურათიც კი გადაგვიღო ერთად. მე ვუთხარი ახალგაზრდა ქალს, რომ თბილისში რომ ჩავალ ჩვენს ჭაბუკებთან ტრაბახს დავინყებ, რომ გავიცანი ამერიკელი კინოვარსკვლავი-მეთქი. შემდეგ ქართული სამკერდე ნიშანი ვაჩუქე და ამით დამთავრდა როგორც ჩვენი საუბარი, ისე ნაცნობობაც.

მისტერ გრინმა ისევ ჩაგვსვა თავის მანქანაში და გზათ თავის საკუთარ სახლში გაგვატარა. როდესაც ჭიშკარს მიუახლოვდა, მანქანა შეაჩერა ერთ წუთს. ჭიშკარი თავისით გაიღო, შევედით ეზოში, ჭიშკარი თავისით დაიხურა.

მისტერ მიშელ გრინი ანუ, ძველებურად თუ ვუნოდებთ, მიხეილ იოსების ძე გრინბერგი რუსი ებრაელია, ამერიკაში ამ ორმოციოდე წლის წინად გადასახლებული. აქ გამდიდრებულა და ახლა ცდილობს თვალი მოგვეჭრას თავისი სიმდიდრით. მისი ერთსართულიანი სახლი არც თუ ისე დიდია. წინ ცხადია, მოლით დაფარული ეზო, ბეტონის ბილიკებით. თითონ სახლი საოცრად დაბალი ჭერთა და ოთახში, ჭერის ამალლების მიზნით, ჭერის ლამფა სახურავზეა აკრული. ოთახები არც თუ ისე ბევრია, წინ სასტუმრო, ძვირფასი, მაგრამ სადა ავეჯით, კედლებზე რამდენიმე სურათი, დედნები. მგონი, ერთი მათგანი სისლეს იყო. ერთ კედელზე აღმართულია ბუჟეროს დიდი სურათი რალაც ბიბლიურის მსგავსი სიუჟეტით, პატრონი მიმტკიცებდა, ეს ძალზე ძვირფასი სურათიაო, მე კი მართალი გითხრათ, მას სახლში არ შევიტანდი. მეორე ოთახი სალონია, რბილი ნახევარწრიული დივანით. რომლის პირდაპირ კედელთან დგას მსხლის თუ რალაც სხვა ძვირფასი ჯიშის ხის სერვანტის მსგავსი კარადა. მისტერ გრინი ჩაჯდა სავარძელში, იქვე გვერდზე რალაც ღილებს ხელი სტაცა, თურმე ეს ტელევიზორის სადისტანციო სამართავი ყოფილა, მოატრიალა ეს ღილები და კარადიდან ამოცურდა ტელევიზორი, წარმოუდგენლად დიდი ეკრანით. ვფიქრობ, არანაკლები ერთი მეტრის სიგანისა. იმავე სადისტანციო სამართავით ჩართო და იმნამსვე გამოჩნდა გამოსახულება. ალბათ, ლამპები მაშინვე ხურდებოდნენ, როგორც კი ტელევიზორი დაიძრა კარადიდან და სანამ ზევით სავსებით ამოვიდოდა, კიდევაც ამუშავდა.

იმავე სადისტანციო სამართავით მისტერ გრინმა ზედიზედ გამოცვალა პროგრამები, ამერიკაში ათამდე სატელევიზიო გადაცემა მიმდინარეობს ერთდროულად და განუწყვეტლად მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

ამ სალონის ერთი კედელი მთლიანად შუშისაა და შიგნით ეზოს გაჰყურებს. შუშები ორმაგი კედლებისაგან შედგება, შუაში მგონი, უჰაერო სივრცით, რაც სავსებით საკმარისია სითბოს იზოლაციისთვის.

გავედით ეზოში. აქაც მთელი ეზო – ესაა ნაბადივით რბილი მოლი – შუაგულში თეთრი კაფელით მოგებული საბანაო აუზი, რომელშიაც ლურჯი წყალი კამკამებს. ყოველ აუზში აწყობენ განათებას და ღამლამობით, როდესაც ასეთ განათებულ აუზში ჩადიხართ, შეგიძლიათ თავი ზღაპრულ ფერიათ წარმოიდგინოთ თუ, რასაკვირველია, შესაფერი გარეგნობაც ხელს გინყობთ.

აუზის მიღმა მარმარილოს იატაკიანი გრძელი და ფართე საჩიხია გამართული, რომლის ერთი მხარე მთლიანად შუშისაა და ეზოს მეორე ნახევარს გაჰყურებს. იქაც მოლი ბიბინებს, ეზოს საზღვრების გასწვრივ რამდენიმე ციტრუსოვანი ხეა და რამდენიმე ჭერმისა და ატმის ხე. ეზოში კი ორი მოშინაურებული ავაზა ანუ, ლეოპარდი დასეირნობს. მასპინძელმა მიგვიწვია, რომ ლეოპარდებს საკუთარი ხელით მოვფერებოდით. ისინი საოცრად მოალერსე ცხოველები აღმოჩნდნენ.

მასპინძელმა გვაჩვენა აგრეთვე ცალკე გალიაში დამწყვდეული იაგუარი. იგი არც თუ ისე დიდია, ფოცხვერის ჯიშისაა და მართალია, პატრონს მოშინაურებული ჰყავს, მაგრამ მის მეტი ვერავინ ვერ მიეკარება. მაშინვე აიქორჩრება და საცემად ემზადება, როგორც კი უცხოს დაინახავს.

მასპინძელს მაღლობა მოვახსენეთ სახლის ჩვენებისათვის. ვუთხარით, რომ ყოველივე მისი ეს კარ-მიდამო მართლაც, რომ საამო შთაბეჭდილებას სტოვებს-თქო და შემდეგ მასთან ერთად გავემართეთ „მეტრო-გოლდვინ-მაიერის“ სტუდიაში, სადაც უნდა გვენახა ფართოეკრანიანი ფერადი ფილმი „ბენ-ჰური“, დადგმული მწერალ ლეო უოლლესის რომანის მიხედვით.

იქ ცოტა ხანს ცდა დაგვჭირდა, სანამ ყველანი თავს მოიყრიდნენ და შემდეგ მიგვიწვიეს სტუდიის საპროექციო დარბაზში.

სანამ სურათს დაიწყებდნენ მთარგმნელმა ზემანიშმა გაგვაცნო ჯერ საერთოდ ფირმა „მეტრო-გოლდვინ-მაიერის“ წარმოშობის და განვითარების ისტორია, რაც ორიოდე სიტყვით შემდეგია: ჯერ ამ ფირმას ერქვა მეტრო (რატომ, ეს აღარ ვიცო), შემდეგ მას შეუერთდა ვინმე გოლდვინი (ბევრი ფულის პატრონი, რეჟისორი) და ბოლოს, მაიერი. ამჟამად მართალია, გოლდვინი გამოეყო ამ ფირმას, მაიერი გარდაიცვალა, მაგრამ სახელი მაინც უცვლელი დარჩა. ოთხმოცი წლის გოლდვინი კვლავ ეწევა საქმიანობას. მისმა შვილმა დადგა ფილმი „ტომ სოიერი“, თუმცა ამბობენ, რომ ეს სურათი მამამ თითონ

დადგა და შვილს მიაწერა, უნდა ცხოვრებაში გამოიყვანოს და გზაზე დააყენოსო. შემდეგ გვითხრა ისიც, რომ ეს ფირმა გაკოტრების გზაზე დამდგარა. მაყურებელთა რაოდენობის დაქვეითებამ, დადგმული ფილმებისაგან მოყენებულმა ზედიზედმა ზარალმა ფირმა ლიკვიდაციის წინაშე დააყენა თურმე, დივიდენდებმა იკლო, აქციების ფასი კატასტროფულად დაეცა და დაიწყეს თურმე ლაპარაკი ფირმის დახურვის შესახებ. მაგრამ აი, მოვევლინა ამ საზოგადოებას ახალი თავმჯდომარე, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი, განიზრახა გრანდიოზული ფილმის „ბენ-ჰურის“ დადგმა, სიიაფის გულისთვის წაიღო იგი და იტალიაში დადგა (ერთადერთი ნაკლებად სარისკო გამოსავალი) და აი, ამ სურათმა არა მარტო აანაზღაურა ხარჯები, არამედ მისცა იმდენი შემოსავალი, რომ ფირმა ფეხზე დააყენაო.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ, ჩვენ ცხადია, უფრო მეტი ინტერესით მოვემზადეთ ფილმის სანახავად.

სანამ დარბაზში სინათლე ჩაქრებოდეს, ფილმი იწყება სიმფონიური უვერტიურით და უნდა ითქვას, რომ ასეთი მომაჯადოებელი მუსიკა კარგა ხანია არ მომისმენია. შემდეგ სინათლე ნელ-ნელა ქრება და ეკრანზეა კლდოვანი ხრიოკი ნაზარეთი, ღამეა, ცაზე აინთო ვარსკვლავი თუ რაღაც ალი შარავანდედით მოსილი წამოვიდა, გადაუარა თავზე ცხვრის ფარას და კომბლიან მწყემსებს. აი, დაადგა იგი ერთ ქოხს და დააშუქა თავისი ნათელი, იშვა ქრისტე. მოდიან მოგვები....

ასე იწყება ეს სურათი, რომელშიაც შემდეგ ნაამბობია ებრაელი ბენ-ჰურის თავგადასავალი, მისი უსამართლოთ დასჯა, წამება, შეხვედრა ქრისტესთან, როდესაც წყურვილისაგან დატანჯულ, გადასახლებაში მიმავალ ბენ-ჰურს ნაზარეთზე გავლისას ქრისტემ წყალი მიაწოდა; შემდეგ მისი მენიჩბეთ მუშაობა რომაულ გალერაზე, რომელზედაც რგოლებით ერთ ჯაჭვზე დაბმული მსჯავრდადებულნი, რომაელ ჯარისკაცთა მათრახებით ზურგაჭრელებულნი თავგანწირვით უსვამენ ნიჩბებს, ბოლოს, ბენ-ჰური მოიპოვებს თავისუფლებას, მაგრამ შინ დაბრუნებულს დაუხვდება გავერანებული სახლკარი, ხოლო კეთრით შეპყრობილი მისი დედა და მეუღლე ბნელ კატაკომბებში არიან დამალულნი.

სურათში ნაჩვენებია ძველ რომაულ კოლიზეუმში გამართული ოთხცხენიანი ეტლების მარულა, რომელიც მართლადა ფანტასტიურია როგორც გადაღების ტექნიკით, ისე გრანდიოზულობით. საერთოდ, ეს სურათი, რომელიც ოთხი საათის განმავლობაში მიმდინარეობს, გვაოცებს თავისი მონუმენტულობით.

როგორც მითხრეს, ფილმი გადაღებულია საგანგებო ფართო ფირზე და მის საჩვენებლად სპეციალური საპროექციო აპარატურაა საჭიროო.

სურათის ნახვის დასასრულს ჩვენთან მოვიდა ბენ-ჰურის როლის შემსრულებელი მსახიობი ჩერლტონ ჰესტონი. ჩვენ გულწრფელად მივულოცეთ მას თავისი როლის ბრწყინვალე შესრულება და მართლაც, მისი თამაში ამ სურათში კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. თუმცა ისიც უნდა დავძინო, რომ მისი ეს თამაში არ გამოირჩევა შესრულების რაიმე განსაკუთრებული და იშვიათი ღირსებით. ტექნიკურად კარგად დამუშავებული მისი მიმიკა და ყესტი ვერ არის გამთბარი იმ დიდი შინაგანი ცეცხლით, რაც ყოველთვის ახასიათებდათ დიდი შთაგონების მსახიობებს. შეიძლება ამ შესაძლებლობას მას უსპობს კინოფილმის დანაწევრებულად გადაღების ტექნოლოგიური მექანიკა, მაგრამ ერთი ცხადია, დღესდღეობით მთელ კინემატოგრაფიაში დიდ ხელოვნებას ცვლის დიდი ხელოსნობა. ამიტომაც, რომ თანამედროვე კინემატოგრაფია კრიზისიდან გამოსავალს მონუმენტალობაში ეძიებს. არათუ მონუმენტალობაში, რისთვისაცაა გამოგონილი ფართოეკრანიანი კინო, და უფრო მეტი ზომის სინერამა, სადაც ერთდროულად უკვე სამი აპარატი აშუქებს ნახევარწრიულ ათი მეტრის სიმაღლის ეკრანს, არამედ ახლა ცირკორამაც გამოიგონეს, სადაც ფილმს უკვე მთელ წრეზე უჩვენებენ. როგორ უნდა გამოიბას მაყურებელმა კეფაზე თვალები არ ვიცი, მაგრამ ასეთი ფილმის ცქერით მიუხედავად იმისა, რომ იგი თხუთმეტ წუთზე მეტი არ მიმდინარეობს, ადამიანმა შეიძლება ნამდვილად იღრძოს კისერი.

*ხელოვნება, დიდი და განუმეორებელი ხელოვნება კი სადღაც გაქრა და მე ვფიქრობ, სანამ კვლავ არ მოვლენ ეკრანზე ისეთი ცეცხლოვანი მსახიობები, როგორიც იყვნენ მუნჯი კინოს პერიოდში, ისე თანამედროვე კინემატოგრაფიას ვერავითარი ტექნიკური და თუნდაც რეჟისორული გამოგონებანი ვერ უშველის.*

არ დამავინყდება ერთხელ ჩემთან საუბარში ივანე პერესტიანმა, კინემატოგრაფიის ნამდვილმა ვეტერანმა და ფუძემდებელმა, განაცხადა:

– არ არის მართალი, როდესაც აცხადებენ, კინემატოგრაფია ხელოვნებააო. როგორ შეიძლება მანქანებით ამოძრავებული სურათები ხელოვნებათ იქცეს. კინემატოგრაფია არის მრეწველობათ ქცეული ფოტოგრაფია და ფოტოსურათი, რაგინდ ბრწყინვალეთ არ უნდა იყოს გადაღებული, მაინც არაა ის, რაც ჯადოსნური ხელით შესრულებული მხატვრული ტილოო.

პერესტიანი ძველ თეატრალურ ტრადიციებზე აღზრდილი მსახიობი და რეჟისორი იყო და არ არის გასაკვირი, რომ მას კინო არ მიეჩნია დიდ ხელოვნებათ. და მართლაც, განა შეიძლება მხატვრული ტილო გავუტოლოთ ფოტოსურათს? მაგრამ არც მთლად ასეთი ნიჰილისტური შეხედულებაა მართალი, რადგან მხატვრის ინდივიდუალური შემოქმედების უნარი ფოტოგადაღებაშიაც შეიძლება იქნას გამოვლენილი და ზოგჯერ იგი მართლაც და დიდი ხელოვნების სიმაღლემდე აღის. რაც შეეხება მსახიობის უნარს ამ ფოტოსურათის შემწეობით გადასცეს მაყურებელს დიდი განცდები, ეს უდავოთ დაადასტურეს წარსულში ცნობილმა მსახიობებმა და მათ შორის გენიალურმა ჩარლი ჩაპლინმა. მაგრამ თუ კინემატოგრაფიაში ხელოვნების ნაცვლად ხელოსნობა გაბატონდა, მაშინ მის დაქვეითებას ველარაფერი ვერ უშველის. ტყუილად უჩივიან ამერიკელი კინომესვეურები, მაყურებელი ტელევიზიამ წაგვართვაო. მე ძალიან მეეჭვება, რომ იმ ტელევიზორებითაც ხშირად სარგებლობდნენ მათი პატრონები, რადგან ერთჯერ საკმარისია უცქიროთ ამერიკულ სატელევიზიო გადაცემას, რომ გული აგირიოთ. პროგრამაში ყოველ წუთში ჩაჩრილმა უნიჭო სარეკლამო ფილმებმა და იქ ამ სანახაობით მარტო უასაკო ბავშვები თუ ერთობიან.



საღამოს მთელი ჩვენი ტურისტული ჯგუფი სახლში მიგვიწვია ამერიკელმა საქმოსანმა ქალმა იუანიტა სეიერმა. მის სადარბაზო ბარათზე სწერია, თუ როგორ საქმიანობას ეწევა იგი: „საზოგადოებრივი ურთიერთობანი“. მე ვკითხე ჩვენს მთავარ გიდს მისტერ რუბინს, რაში გამოიხატება ეს ურთიერთობა და რა საქმიანობას ეწევა ეს ქალი-მეთქი. მან თავისი გაჭირვებული რუსულით განმიმარტა და როგორც მე მივხვდი, ამ ქალს აქვს ერთგვარი სალონი კინოხელოვნების მუშაკთათვის. გაბმული აქვს ნაცნობობა კინორეჟისორებთან, დირექტორებთან და სხვა გავლენიან პირებთან, როდესაც რომელიმე მსახიობს, ქალი იქნება იგი თუ ვაჟი, მხატვარს, მუსიკოსს თუ ოპერატორს სურს, გაიკვლიოს გზა კინოვარსკვლავობისაკენ, მიიღოს როლი, დადგმა თუ სხვა რაიმე შეკვეთა, მან უნდა მოიშველიოს ქალბატონი იუანიტა სეიერ. ქალბატონი სეიერი ამას სეირის გულისთვის ცხადია, არ აკეთებს და იგი ასეთი საქმისათვის გასამარჯელოს ღებულობს.

– როგორ, ეს მისი პროფესიაა? – გამიკვირდა მე.



– დიას. თქვენთვის ეს გაუგებარია, – მითხრა რუბინმა – ჩვენში კი ასეთი შუამავლობაც პროფესიონალურ საქმიანობათაა ქცეული.

ესე იგი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ქალბატონი სეიერი ყოფილა ჩვეულებრივი კინემატოგრაფიული მაჭანკალი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ კინოვარსკვლავად გახდომისათვის ამერიკელ ლამაზ ქალებს ჭირდებათ გავლენიანი დირექტორების და რეჟისორების დიდი დახმარება, რისთვისაც საკმაოდ დიდ მსხვერპლზე უნდა წავიდნენ, მაშინ ჩვენი სოლომონ მორბელაძის და უბადლო ხანუმას საქმიანობაც კი უმანკო და ღვთაებრივ პროფესიათ გამოჩნდება ქალბატონი სეიერის საქმიანობასთან.

ამ ამერიკელ ხანუმას საკუთარი სახლი აქვს ლოს-ანჯელოსის ერთ-ერთ უბანში, პატარა ეზოთი და ატმის ხეებით. სახლი არცთუ ისე მდიდრულია და შიგნითაც არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული მორთულობით.

თითონ ქალბატონი იუანიტა საშუალოზე ოდნავ მაღალი, სანდომიანი სახის ქალია, ორმოც წელზე შეჩერებული ასაკისა, ხელოვნურად ვერცხლისფრად შეღებილი თმებით. ოჯახში მან გაგვაცნო თავისი მეუღლე, ბრგე და ბეჭებგანიერი მამაკაცი, რომელიც სამზარეულოში იდგა და თავისი ხელით ამზადებდა სტუმრებისათვის რაღაც ესპანურ თუ მექსიკურ საჭმელს, გაგვაცნო თავისი პატარა შვილები და რამდენიმე სხვა, არ ვიცი, ნათესავი თუ მეზობელი.

გამასპინძლება ჩვეულებრივად, კვლავ ამერიკული წესით მიმდინარეობდა. თითქო ბარში ან კაფეტერიუმში შევსულიყავით. დახლთან ოჯახის უფროსი ჩვენი შეკვეთით ამზადებდა ვისთვის კოკტილს, ვისთვის ვისკის სოდიანი წყლით, ვისთვის ღვინოს ან კოკა-კოლას ყინულით.

დიასახლისს ეხმარებოდა არ ვიცი კრეოლი, თუ რაღაც შერეული ჯიშის ტანმორჩილი ქალი, ვერ გავიგე მოსამსახურე იყო იგი თუ ოჯახის ნათესავი. მამაკაცებს მეტად შინაურულად ეპყრობოდა, მერე ერთი-ორი ჭიქა არაყი გადაკრა, აჩერჩეტდა, ბორის ლასკინს კალთაში ჩაუჯდა და კოცნა დაუნყო. ამის დამნახავი ჩვენი ხელმძღვანელი ლევ სტუცკი წამოიჭრა ფეხზე და გვითხრა, ადექით, წავიდეთ, აქ სად მოვსულვართ, ეშმაკმა უწყის ამათი თავი, ემანდ საქვეყნოთ თავი არ მოგვჭრან; ეს რა ოჯახში მოვედითო. მე ვუთხარი:

– ეს ამბები არც მე მომწონს, მაგრამ უარესი უზრდელობა არ გამოგვივიდეს, ვენვიეთ ვჭამეთ, ვსვით, ახლა წამოვვარდეთ და გავიქცეთ, განა ამისთვის მოვედით-მეთქი. მერე ლევ გრიგორიევიჩ, ნუ დაგავინყდებათ, რომ ჩვენ ჯგუფში სამი მწერალი ვართ, რამდენიმე რეჟისორი და მსახიობი

და ჩვენთვის, ამათი ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლის თვალსაზრისით, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს-მეთქი.

ამან ცოტა არ იყოს დააშოშმინა და ჩვენც განვაგრძეთ სტუმრობა. მე და ფელიქსი უფრო შორიდან ვუთვალთვალავდით, სხვები კი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილნი საუბრობდნენ. დიასახლისმა სცადა ერთ ჯგუფში გაება საუბარი ბორის პასტერნაკის შესახებ და გამოარბენინა მისი წიგნი „ექიმი ჟივაგო“, მაგრამ მისმა თანამოსაუბრეებმა გულცივად იბრუნეს პირი.

ბოლოს, მადლობა მოვახსენეთ მასპინძლებს და წამოვედით მთელი დღის შთაბეჭდილებებით გაბრუებულნი და დაქანცულნი.

ბოლოსთვის მინდოდა შემომენახა, მაგრამ ბარემ ახლა გიამბობთ ერთ-ერთი ჩვენი ჯგუფის წევრის ახირებულ თვისებას. როგორც კი სადმე მიღებაზე მივიდოდით სტუმრად, მაშინვე აწრიალდებოდა, ხან ჩემთან მოვარდებოდა და ხან ვისთან, მიშველეთ, მომადებნიეთ საპირფარეშო, თორემ მოვკდი კაციო. ეს მეორეჯერ ჩაგვაგდო ასეთ დღეში და შემდეგ რამდენჯერაც მოვიხდა სადმე სტუმრობა, თავისი ამ ახირებით ჩვენდა სამხიარულოთ, ჩვენთვის გული არ დაუნყვეტია.

უკვე ბინდდებოდა, როდესაც შინისკენ გავემართეთ. ავტოსტრადაზე თვალი მოგვჭრა უამრავმა მანქანებმა. ჩვენ გვითხრეს, რომ დღეში ორასი ათასი ავტომანქანა მიმოდის ამ ავტოსტრადაზეო. მართლადა უცქერი და უნებურად ფიქრობ, რომ მთელი ამერიკა სულ ავტომანქანებზეა შემდგარი და ამოძრავებული. ერთ უბანში ჩვენ ჩავუარეთ ბაქანს, რომელზედაც ჩამწკრივებულიყო ეგრეთწოდებული მოძრავი აგარაკები. ესაა მსუბუქ ავტომანქანაზე გამოსაბმელი ავტობუსისოდენა ვაგონი, საცხოვრებელი ოთახებით, სამზარეულოთი და აბაზანებით. ამერიკული ოჯახი ასეთი საკუთარი „მატარებლით“ მიემგზავრება დასასვენებლად და სასეირნოთ, გამოაბამს თავის მანქანას ამ ვაგონსახლს და გასწევს სამოგზაუროთ. გზადაგზა მონყობილია ასეთი მანქანების საგანგებო სადგომები, დიდი ბაქნები, სადაც შენი ვაგონსახლით ერთ წუთში ჩაერთვები წყალსადენსა და კანალიზაციას, შეგიძლია ტელეფონსაც. აქ შეგიძლია გაათიო ღამე, მიილო აბაზანა, მოამზადო ვახშამი თუ საუზმე და შემდეგ მეორე დღეს გამოაბამ შენს მსუბუქ მანქანას ამ ვაგონს და გაუდგები გზას.

ამერიკული გზების პირობებში ასეთი მოგზაურობა მართლაც, რომ საამურიია.

აქაური გზები და ავტოსტრადები მართლაც რომ, განცვიფრებას იწვევს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გზაჯვარედინების თავიდან ასაცდენათ გამართულია ვიადუკები და ესტაკადები. მიდინართ და ხანდახან გაძვრებით მრავალსართულიან ესტაკადათა მთელი ლაბირინთის ქვეშ. გაიხედავთ და ამ ესტაკადებზე ზევით და ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ დაჰქრიან ავტომანქანები ისე, რომ მათ არ უხდებათ გზაჯვარედინების გადაკვეთა. მივექრივართ ამ გზებზე და ერთხელაც არ დაგვინახავს ქვეითად მოსიარულე ადამიანი.

გაგვატარეს სამრენველო რაიონში. აქ შედარებით უბრალო, ფინური ტიპის სახლებია და მთელი მუშათა უბანი ძალზე ღარიბულად გამოიყურება. გვითხრეს, რომ აქ უმეტესად მექსიკელები და მეტისები ცხოვრობენო.



შაბათს, დილით გავემგზავრეთ სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტთან არსებული კინემატოგრაფიის ინსტიტუტის დასათვალისწინებლად. მთლიანად ბაღებში ჩაფლული უნივერსიტეტის კოროპუსები ძალზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, რასაც ვერ ვიტყვით კინემატოგრაფიის ინსტიტუტზე, რომელიც უბრალო, ხის ბარაკის ტიპის შენობებშია მოთავსებული და არც თუ მაინცადამაინც კარგად მოწყობილი. აქ გვაჩვენეს აუდიტორიები, ლაბორატორიები, სტუდენტთა სასადილოები და საპროექციო დარბაზი, სადაც მუხლამდე ეყარა ნაგავი. ინსტიტუტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ბოდიში მოიხადა, გუშინ გვიან აქ ლექციები თუ რაღაც კრება ჩატარდა, დღეს შაბათია, დასვენების დღე და დავა ვერ მოვასწარიო. მაინც ამ ნაგვიან დარბაზში დაესხედით და გვიჩვენეს სტუდენტების მიერ გაკეთებული ერთნაწილიანი ფერადი ფილმი ფრანგი მხატვრის – დეგას შესახებ. ფილმი დიდი გემოვნებით და ფაქიზათ არის გაკეთებული და ნათელ წარმოდგენას იძლევა დეგას შემოქმედების შესახებ.

ინსტიტუტს აქვს ორი სასცენარო ფაკულტეტი: კინო და ტელევიზიისა. მე ძველი კინოდრამატურგი ვარ და მართალი გითხრათ, ვერც კი წარმომიდგენია რა ასეთი არსებითი განსხვავებაა ჩვეულებრივ კინოსა და სატელევიზიო გადაღებებს შორის ისეთი, რომ ცალ-ცალკე უნდა არსებობდეს მათი სასცენარო ფაკულტეტები. როდესაც ამის შესახებ შევეკითხე ინსტიტუტის მუშაკებს მაინცადამაინც გარკვეული პასუხი ვერ მომცეს. სამაგიეროთ, ჩვენმა რეჟისორმა როშალმა მითხრა, როგორ გეკადრებათ ტელევიზიას თავისი სპეციფიკა აქვსო.

ოჰ, რა უყვართ ამ კინემატოგრაფისტებს ეს სპეციფიკა.

სწავლება ოთხნლიანია. ასპირანტურაში ორი წელია საჭირო. ინსტიტუტში ლეზულობენ ყველა მსურველს. სასწავლო გადასახადი ზაფხულში ღირს 45 დოლარი თვეში, ზამთარში კი ცხრათვიანი კურსი ღირს 1000 დოლარი.

როდესაც ჩვენ შევიცხადეთ ასეთი დიდი გადასახადი სწავლებისათვის, მაშინვე გაგვიმარტეს, ეს კერძო ინსტიტუტია, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ასე დოლარი ღირს წელიწადში.

როგორ ეწყობიან რეჟისორები სამუშაოდ დამთავრების შემდეგ და ლეზულობენ თუ არა ისინი დადგმებს, ვკითხეთ ინსტიტუტის მუშაკებს. მათ გვითხრეს, რომ დამთავრების შემდეგ რეჟისორები იმწამშივე ეწყობიან სამუშაოთ სარეკლამო დაწესებულებებში. ინსტიტუტიდან გზათ გავიარეთ კალიფორნიის მუზეუმში, სადაც იმჟამად მონყობილი იყო კლოდ მონეს სურათების გამოფენა. მე ნახული მქონდა კლოდ მონეს რამდენიმე სურათი მოსკოვში და დიდი თაყვანისმცემელი ვარ ამ მართლაცაა ჯადოქარი მხატვრისა, მაგრამ მისმა ამ გამოფენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მის ტილოებზე აღბეჭდილი პარიზის სხვადასხვა ხედები მართლაც რომ დაუეწიყარ შთაბეჭდილებას სტოვებს. არანაკლებ მომხიბლავია სოფლური პეიზაჟებიც. ალბათ, მთელი დღე ვერ მოვშორდებოდი ამ სურათებს, რომ თანამგზავრებს გარეთ ძალით არ წავეყვანეთ. ძუნძულით დავირობინეთ სხვა დარბაზები, რომელთაგან ახლა მეხსიერებაში ნათლად აღარაფერი ჩამრჩა და ყველაფერი ერთმანეთშია არეული.

გვაჩვენეს სტადიონი „ატლასი“, რომელიც იტევს 103 ათას მაყურებელს. მის გვერდითაა საცურაო აუზის თლილი ქვის გიგანტური შენობა.

ვნახეთ სულ ახლადდამთავრებული სტადიონი კალათბურთისა და სხვა ამგვარი სახეობის შეჯიბრებებისთვის, სადაც სულ მალე უნდა ჩატარებულიყო, არ ვიცი, რესპუბლიკური თუ დემოკრატიული პარტიის ყრილობა პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით. ეს სტადიონი მრგვალი შენობაა და თავისი ფორმით სვეტებზე შემდგარ გიგანტურ ხვიმირას გვაგონებს.

ლოს-ანჟელოსში ვნახეთ ვინროლიანდაგიანი ძველებური ტრამვაი, რომლის საჰაერო მავთულები გუდრონით გაჟღენთილ ხის სვეტებზეა დამაგრებული. აქ ხშირად ვხედავთ აგრეთვე ჰაერში დაკიდულ ელექტროდენის მსხვილ მავთულებს.

გვაჩვენეს რამდენიმე ცათამბჯენი, რომელიც ეკუთვნის მილიონერ ტიშმანს. ჩემთვის ეს გვარი არაფერს არ ლაპარაკობს. საყურადღებო მხოლოდ ისაა, რომ ეს ცათამბჯენები დაყრდნობილი ყოფილა საგანგებო

ჰიდრავლიურ ბურჯებზე, ასე რომ, მიწისძვრის დროს სახლებს შეუძლიათ იქით-აქეთ გადაიხარონ ორი მეტრით.

შორიდან დაგვანახვეს აგრეთვე ამფითეატრი, რომელიც იტევს 25 ათას კაცს. აქ იმართება უმთავრესად კონცერტები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე კი ვხედავთ გიგანტურ რეკლამას, რომელზედაც დახატულია ნამონოლილი შიშველი ქალი და ქვემოთ კი ასეთი წარწერაა: „ცოდვილებო, მოდის კინოსურათი „ელმარ ჰენტი““.

კვლავ ჩავუარეთ ნავთის მრეწველობის სამმართველოს მარმარილოს მრავალსართულიან შენობას. ამერიკაში როდესაც დაგანახვებენ რომელიმე ცათამბჯენს, მაშინვე მის ფასსაც გეტყვიან. აქაც გვითხრეს, რომ ეს შენობა დაჯდა 21 მილიონი დოლარი, ამ შენობაშია ორი ბანკი, კაფე, საცურაო აუზი და სხვა. ამ ადგილზე ერთი აკრი მიწა ღირდა 7 დოლარი (ერთი აკრი ჩვენებურად ერთი ქცევაა ანუ 4 ათასი კვადრატული მეტრი), ახლა კი 2 მილიონი დოლარი ღირსო.

ქალაქის ცენტრში ხშირად ვხედავთ ტროტუარზე მოსიარულეებს. განსაკუთრებით თვალში გვცემს ჩვენი ქვეყნისათვის ქალთა უჩვეულო მორთულობა, მოკლე შარვლები, ჩემს შვილიშვილს რომ აცვია ისეთი, შიშველ ფეხზე ქოშები, ხოლო ზემოთ ბიუსტჰალტერი ან ბოლერო (მამაკაცებმა ქალებს ჰკითხეთ, რა არის ეს ბოლერო) და მორჩა, ასე გაშიშვლებული დაიარებიან ქუჩებში, მაღაზიებში და როგორც წინად მოგახსენეთ, სენატის სხდომების დარბაზშიაც კი დავინახე ამ ტანსაცმელში გამოკოპნიავებული არცთუ ისე ახალგაზრდა დედაკაცი.

გავემგზავრეთ ფერმერთა ბაზრის დასათვალიერებლად. ეს ბაზარი ერთგვარად წააგავს ჩვენს საკოლმეურნეო ღია ბაზრებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გაცილებით უკეთესადაა მოწყობილი და სანიმუშო სისუფთავეა დაცული. აქვე ისიც უნდა დავძინო ჩვენი ბაზრის დირექტორების და ქალაქის ხელმძღვანელთა საყურადღებოთ, რომ ასეთი ბაზრების სანიმუშო სისუფთავე მარტო ამერიკაში კი არ გვაკვირვებს, არამედ რიგის, ტალლინის, ლენინგრადის, მოსკოვის და სხვა ჩვენი დიდი ქალაქების ბაზრებზე დანესებული სისუფთავე მართლა რომ სანიმუშოა. ხშირად გვიყვარს ტრაბახი და სუფრაზე დიდ პატრიოტულ სიტყვებს ვაბრტყელებთ, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ ვამჩნევთ ხოლმე საკუთარ ისეთ ნაკლს, რამაც შეიძლება ხშირად გაგვანითლოს ხოლმე.

მართლდა, თუ აქამდე მე სატრაბახოთ მქონდა ჩვენი მიწის ხვავი და ბარაქა და მიყვარდა შექება ჩვენი საკოლმეურნეო ბაზრებისა, სადაც მთე-



ლი წლის განმავლობაში გამოუღვევლად ნახავთ თავდადებულ ხილის გორებს და სხვა ხორავს, ახლა ამ ფერმერთა ბაზრის ნახვის შემდეგ მივხვდით, რომ სატრაბახო ბევრი არა მქონია.

რატომ, ალბათ, იკითხავთ? იმიტომ, რომ რაც აქ ვნახე, მონმობს იმას, რომ ყველაფერს, ჭირნახული იქნება ეს, საკუთარი ტანსაცმელი თუ ადგილსადგომი, სადაც საქმიანობ, ყველაფერს მოვლა უნდა, გასუფთავება და გალამაზება.

რა ვნახე ამ ბაზარზე.

ყველაფერი, რაც გასაყიდათ იყო მოტანილი, ხილი იყო ეს თუ სხვა რამ, ყველაფერი იყო უმაღლესი ხარისხის და საგანგებოდ შერჩეული. ქლიავი იყო, ვაშლი, პომიდორი თუ ფორთოხალი, ყველა საგანგებოდ შერჩეული, ყველა ერთი ზომის უნაკლო და უზადო. საგანგებოდ ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ნამდვილი კონდიციონებული საქონელი.

შემდეგ, საითაც არ გაიხედავ, ყველგან სანიმუშო სისუფთავე. განა შეიძლება შევადაროთ ჩვენი ბაზრების ჩაბინძურებული დაზგები თუ დახლები მათ ამ ბაზარს, ან იატაკი, ან საპირფარეშოები, ან თითონ სავაჭრო ფარდულები?

ან თითონ როგორ არიან ჩაცმულ-დახურულნი. განა ჩვენზე ძვირფასი რამ აცვიათ. არა. ჩვეულებრივი ხალათები, ბლუზა შარვლები, უბრალო კომბინეზონები, მაგრამ ყველაფერი სუფთა, ახლად დაუთოებული; ან განა აქ შეიძლება დაინახო რომელიმე მამაკაცი წვერგაუპარსავი? საერთოდ, წვერგაუპარსავად ქუჩაში გამოსვლა ეს ხომ აქ უზრდელობათ ითვლება. მაგრამ რომელ ჩვენი ბაზრის დირექტორს მოუვა აზრათ, რომ არ დაუშვას ბაზარზე სავაჭროთ ცუდათ ჩაცმული და წვერგაუპარსავი მამაკაცი, არ დაუშვას ბაზარზე ცუდი, ჭიანი და ბინძური საქონელი, ხილი იქნება იგი თუ ბოსტნეული.

მისტერ კიმი მეუბნება, მე დავათვალიერე თქვენი თბილისური ბაზრები და ახლა ერთი მითხარით, როგორ მოგწონთ ჩვენი ფერმერთა ბაზარიო. იცის იმ ღმერთძალმა, სად დამარტყას ხოლმე. მაშინ ვინატრე, ოჰ, ერთი ჩვენი ბაზრის დირექტორები, ჩვენი სანიტარული ინსპექტორები მომათრევია ახლა აქ ყურით და მათთვის გამაცემია ერთი პასუხი, რას ეტყვიან-მეთქი.

მერე და გულის გასახეთქი სწორეთ ისაა, რომ განა ხილი ან საქონელი გვაქვს უარესი, ან ხალხს აკლია ჩაცმა-დახურვა, არა. განა რა უნდა იმას, რომ დილით გაუთოებული ბლუზა-შარვლით გამოხვიდე, წვერგაუპარსული, მიიხედ-მოიხედო, არ აფურთხო, ცხვირში თითი არ გაიყარო და ისე არ დადგე

დახლში. რა უნდა იმას, რომ გასაყიდათ წამოსაღები ხილი გაარჩიო, გარეცხო, ლამაზათ ჩაანყო, რომ მყიდველს თვალში მოუვიდეს, რა უნდა იმას, რომ შენს გარშემო ნაგვის გორები არ დააყენო!.. ან რა ძნელია, რომ საჭირო წესრიგი დაამყარო ბაზარზე იმან, ვისაც ასეთი წესრიგის დამყარება გაკისრია.

აქვე, ბაზარზე, ცხადია, არის მშვენიერი კაფეტერიები, სადაც მზადდება ამერიკული, ჩინური, ესპანური, ფრანგული და ვინ მოსთვლის, კიდევ რომელი ქვეყნის საჭმელები. სასმელად ციტრუსის და სხვა ხილის წვენი, კოკა-კოლა, შუშხუნა წყლები, მაგრამ მაგარი სასმელები არ დამინახავს.

საყიდლებისთვის აქაც ბორბლებიან ყუთებს დააგორებენ დიასახლისები, აწყობენ შიგ ნაყიდ ხილს, პატარა კალათებში ჩაწყობილ ხენდროს, დუთ-მა ნესვებს, ციტრუსოვანებს, ცელოფანის თოფრაკებში გახვეულ-გასუფთავებულ გარეცხილ კარტოფილს, პომიდორს, აავსებენ ურიკას და მიაგორებენ თავის მანქანის სადგომამდე.

ცათამბჯენებს არ მოუხდენია ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება, როგორც ამ ჩვეულებრივმა სასოფლო პროდუქტების ბაზარმა მოახდინა.



– ახლა წავიდეთ და ვნახოთ ის უბანი, სადაც ცხოვრობენ კინოვარსკვლავები, – გამოგვიცხადა მთავარმა მეგზურმა, მისტერ რუბინმა.

ჩავსხედით ჩვენს აქლემისმაგვარ ავტობუსში. მას გვერდზე აწერია „აირ კონდიშიენ“ და ფანჯრების ჩარჩოებიდან სულ მუდამ მოქმუტუნობს სუფთა და გრილი ჰაერი.

ჯერ ქალაქის დაბლობ რაიონში გავიქროლეთ და შემდეგ მოვექეციით იმ მაღლობზე გაშენებულ უბანში, რომელსაც ეწოდება „ბევენ ჰილ“ და სადაც ცხოვრობენ კინოვარსკვლავები. თუ შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ დიდი ტერიტორია, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მსგავსი, დაფარული სულ ქოქოსის თუ პურის ხის პალმებით, მაგნოლიებით, მარადმწვანე მცენარეებით და ამ ტროპიკულ ტყეში გაყვანილი ბეტონით დაფარული ქუჩები და ბეტონისავე გზებით დაკვალებულ ეზოებში ზღაპრული სილამაზის ვილები და კოტეჯები, ნაირ-ნაირ სტილზე ნაგები. ზოგი ძველებურ რანჩოსა ჰგავს, ზოგი იაპონურ თუ ჩინურ ქოხს, ზოგი თანამედროვე მოდერნისტულ სტილზეა, ზოგი ამპირია თუ როკოკო, მაგრამ უმეტესობა მეტად მარტივი და სადა შენობაა, თანამედროვე მოდერნისტული არქიტექტურის შეხამება ძველებურ მეთვრამეტე თუ მეცხრამეტე სუკუნის მარტივ ფორმებთან. მაგალითად, კედლები

ამოყვანილია შეუღლესავი ფიქალის ქვით, სახლები საოცრად დაბალია და რაც მთავარია, აბსოლუტური უმრავლესობა სახლებისა შენდება ისე, რომ მათ არა აქვთ კიბე. ეზო და სახლის იატაკი ერთ სიბრტყეზეა. ეზოში მარტო მოლია. აქ ვერ ნახავთ ერთი ან ორი რაიმე უბრალო ხის ან ხეხილის გარდა ვერც ყვავილებს, ვერც ჩვენებურ ბოსტნეულს. სუფთად გაკრიალებული მწვანე ერთფეროვანი მოლი (ხონელებისაგან და სამტრედიელებისაგან ხომ არ გადაიღეს ნეტავი, იქ უყვართ ასეთი ეზოები) ეზოში საბანაო აუზი და შუშის ფანჩატური.

დაგვანახეს ამერიკელი ცნობილი კინომსახიობის, გერი კუპერის სახლი. იგი ფიქლის ქვითაა ნაგები, ერთსართულიანია, დაბალი ჭერით და კედლებზე გადმოშვერილი სახურავით, წააგავს შვეიცარულ ქოხს, მხოლოდ ამ უბრალოებაში ხედავთ, თუ რამდენათ ძვირფასია იგი და უნებურად გაგონებს უბრალო ჩითის კაბიან ახვითქინებულ სოფლის გოგოს, რომლის მთელი მშვენიება მის ბუნებრივ სილამაზეშია.

საყურადღებოა ისიც, რომ აქ ვერ ვხედავ შემორაგვეულ ეზოებს ან რკინის რიკულებს ფანჯრებზე. ყველაფერი ღიათაა, ყოველ შემთხვევაში ქუჩის მხრიდან მაინც და ზოგიერთი თუ რაგვავს ეზოს, როგორც მაგალითად, ეს მისტერ გრინს ჰქონდა, ეს იმიტომ, რომ არ გაეპაროს თავისი გარეული ცხოველები: ავაზები და იაგუარი.

კვლავ ვაქცევ ყურადღებას იმას, რომ გზებზე ვერ ვხედავ საბარგო მანქანებს.

გავემგზავრეთ ზღვისპირისაკენ, რათა საკუთარი თვალით გვენახა წყნარი ოკეანე და სახელგანთქმული პლიაჟი. ამ ადგილს ჰქვია „რილანდო რიჩ“. ჩვენმა ავტობუსმა დიდხანს იწრიალა, სანამ დასადგომ ადგილს ნახავდა, ასეთი სანაპიროზე ვერ აღმოაჩინა, ჩვენ ჩამოგვსხა და შოფერმა გვითხრა, ნავალ, მოშორებით დავდგები, თქვენ ისეირნეთ და მე დანიშნულ დროს – სამი თუ ოთხი საათის შემდეგ დავბრუნდებიო.

როგორია ეს სანაქებო ზღვისპირი ლოს-ანჯელოსისა? სილამაზით იგი ცხადია, ოდნავადაც ვერ შეედრება ჩვენი შავი ზღვის – სუხუმისა და ბათუმის მიდამოებს. მაგრამ კეთილმონყობის მხრივ, ცხადია, ბევრათ უკეთესია. მთელ სანაპიროზე მიუყვება ფართო ავტოსტრადა, რომლის სამოძრაო მხარეებზე ოთხმწკრივად მოძრაობენ ავტომანქანები.

ჩვენ მაღლობიდან გადავყურებთ ოკეანეს და სანაპიროს. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, სადამდისაც კი თვალი მიუწვდება ათეული კილომეტრების

მანძილზე, ყველგან საბანაო პლიაჟებია ზღვისპირზე, და ყველგან ზეგანზე, მთების კალთებზე, ფერდობებზე მოჩანს პალმებში ჩაფლული ვილები და კოტეჯები. ალაგ-ალაგ კი საგანგებო ბაქნებზე და მოედნებზე ფერად-ფერადი ხოჭოებივით უძრავად ჩამწკრივებულან სხვადასხვა მარკის ავტომანქანები.

ზღვისპირა პარკში მოწყობილია საოჯახო თალარები და მოლით დაფარული მოედნები. აქ თავისი მანქანებით მოდიან მთელი ოჯახები და მოლზე შლიან სუფრას. იქვე კი მათთვის სახელდახელო სამზარეულოებია, სადაც დიასახლისებს ყველაფერი შეუძლიათ დაამზადონ.

მთელ პლიაჟზე ყოველ კილომეტრზე მოწყობილია შხაპები, გასახდელ-ჩასაცემელი ოთახები და საპირფარეშოები. ხშირია კარგად მოწყობილი წყლის სასმელი კოლონები. წყალი ისე განუწყვეტლად კი არ იღვრება, როგორც ჩვენთან, დააჭერ ხელს სახელურს და კრანიდან იწყებს დენას პატარა შადრევანი. აუშვებ ხელს და დენაც შეწყდება. ამიტომ იქაური წყალი არ არის ისე ცივი, როგორც ჩვენი ნატახტარი.

სანაპიროზე, იქ, სადაც გემების მისადგომი პირსია, მაღაზიებში იყიდება თევზეული და ოკეანეს კიბორჩხალები. იქვე ჰყიდიან ზღვის ნაირ-ნაირ ნიჟარებს და მარჯნის ფერად-ფერად ტოტებს, ჩვენებურ ძეძვის ბუჩქივით დაჩხალულს. პირსზე სათევზაოთ მოსული უამრავი მამაკაცი დაგვიხვდა. ზოგი პატარა ბავშვებით მოსულა. ყოველ მათგანს გადაუგდია ანკესი და მოთმინებით ელოდება მსხვერპლს. ნანადირევიც იქვე უწყვიათ. ესაა თითის სიგრძე ჭერება ან ღორჯო. ყოველ მამაკაცს ჩაცმულობაზე ეტყობა, რომ მარტო სახალისოთ არ მოსულა იგი აქ, თევზის საჭერად.

გავუყევით ტალღების საქრობ მოლოს ანუ ყორეს, რომელიც ზღვაშია შეჭრილი, გემების სადგომ უბეს გარს უვლის და ლელვისაგან იფარავს. ზღვაში ჩაუყრიათ გრანიტის გიგანტური ლოდები, რომლებზედაც შეზრდილა უამრავი ნიჟარა ხამანკისა. მე ვცადე ერთი ხელით მომენყვიტა ლოდიდან, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. თუ რამდენათ მაგრათ ებლაუჭება ქვას იგი, ადვილი წარმოსადგენია იმით, რომ როდესაც ერთი მათგანი როგორც იქნა მოვწყვიტე, ნიჟარას ფესვებზე პატარა ქვები ეკიდა. აქვე ლოდებზე წარმოუდგენელი სისწრაფით დარბიან კიბორჩხალები. ისინი ამ ხამანკების დიდი მუშტრები არიან და მოთმინებით დარაჯობენ ხოლმე, რომ რომელიმე მათგანმა გახსნას ნიჟარა, რათა მაშინვე ეცენ და გამოსვლიპონ. არც ამ კიბორჩხალების დაჭერა აღმოჩნდა ადვილი, როგორც კი წაუპოტინებ ხელს, ისინი ელვის სისწრაფით შველიან თავს. აქვე დავინახეთ ზღვის ობო-

ბები. საერთოდ, ცხოველთა თუ თევზის ასეთი სიმრავლე პირველად ვნახე ზღვის წყალში. წყნარი ოკეანეს წყალი საოცრად თბილია და მითხრეს, რომ აქ მთელი წლის განმავლობაში, ზამთარ-ზაფხულ ბანაობენ ზღვაშიო.

ერთ ადგილზე ვნახეთ ახალგაზრდები ზღვაში შესულიყვნენ საბანაოთ საგანგებოთ გათლილი ზღვის თხილამურებით. ესაა ფართო და გრძელი ფიცარი, რომელსაც ფსკერში ბოლოზე საჭესავით ფრთა აქვს. შევლიან ზღვაში, განვებიან ასეთ ფიცარზე და მოყვებიან ნაპირისაკენ აგორავებულ ტალღების ქავლებს. ასეთი „ნაგები“ დადიოდნენ სათევზაოთ თუ სამოგზაუროთ პირველყოფილ ხანაში კუნძულების და ოკეანისპირა მცხოვრები მელანეზიელები თუ პოლინეზიელები. ასეა თუ ისე, მოცურავე ადამიანისათვის (ახალგაზრდებს ვგულისხმობ) ასეთი ნავთხილამურით ჯომარდობა წყალზე ყველაზე საამო გართობაა და მე ვნუხდი, რომ აღარა ვარ ისეთი ასაკისა, ასეთ სპორტის სახეობას მივყო ხელი, თუმცა ცურვა მართლა რომ კარგი ვიცი.

სალამოს, როდესაც უკან ვბრუნდებოდით, ჩვენ გვაჩვენეს კინოთეატრი ავტომობილისტებისათვის. ესაა საკმაოდ დიდი მოედანი, სადაც გიგანტურ ეკრანზე უჩვენებენ კინოსურათს, ხოლო მაყურებლები... სხედან საკუთარ ავტომობილებში, მოედანზე, და უცქერენ კინოსურათს. ასე რომ, ასეთ კინოთეატრში ჩვეულებრივი, ქვეითად მოსიარულე კაცი რომ მოხვდეს, გაგიჟდება. იფიქრებს, აქ ავტომანქანები ნახულობენ კინოსურათსო.

ვნახეთ აგრეთვე ისეთი უბანი, სადაც სიღარიბეს დაესადგურებია. საცოდავი პატარა სახლები, ეზოში ხის ჩეჩმები, არცერთი ხე, არცერთი ყვავილი და არც უბრალო მოლი. აქ ცხოვრობენ ზანგები და მექსიკელები.

ვნახეთ მორმონების გიგანტური და ძვირფასი ტაძარი, ამ სექტის დამაარსებლის ჯოზეფ სმიტის ძეგლით.

ქართველი მკითხველისათვის მგონია არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული, თუ ვინ არიან ეს მორმონები.

მორმონები – ანუ როგორც თითონ თავის თავს უწოდებენ – უკანასკნელ დღეების წმინდანები, ესენია ნახევრად წარმართული სექტის წევრები. ეს სექტა დააარსა ჯოზეფ სმიტმა დაახლოებით 1830 წელს.

როგორ წარმოიშვა ეს სექტა.

ერთმა პროტესტანტული სექტის მქადაგებელმა სალომონ სპოლდინგმა დაწერა დაახლოებით 1812 წელს რომანი სათაურით „ნაპოვნი ხელნაწერი“. ამ რომანში ნაამბობი იყო გამოგონილი ისტორია ორი ებრაული კოლონიისა, რომლებიც თითქო დაარსებული იყო უძველეს დროში. ამ კოლონიის-



ტებმა ვითომდა თავიანთი გადაგვარებული შთამომავლობა წითელკანიანთა სახით დაგვიტოვეს.

ეს რომანი არ იყო გამოქვეყნებული, მაგრამ ხელნაწერით მას იცნობდნენ ავტორის უახლოესი ნათესავები და ნაცნობები.

ავტორის გარდაცვალების შემდეგ ამ წიგნის ერთ-ერთი ნუსხა ხელში ჩაუვარდა ბაბტისტების მქადაგებელს სიდნეი რიგდონს, რომელიც მაშინ დაახლოებული იყო მის მეზობლად დროებით მცხოვრებ გაუნათლებელ, ახალგაზრდა კაცთან, ხელოსნის შვილთან, ჯოზეფ სმიტთან. ეს სმიტი ცნობილი იყო თავისი უნესო ცხოვრებით და არამზადული საქმიანობით. არ გასულა დიდი ხანი მას შემდეგ, რაც რიგდონი გაეცნო სპოლდინგის რომანს, რომ სმიტმა, რომელიც აქამდე თავს ასალებდა ჯადოქრად და განძების აღმომჩენელად, განაცხადა თითქო მან ზეშთაგონებით იცის, რომ კიუმორის მთის ერთ-ერთ გამოქვაბულში არის გადამალული წიგნი, რომელიცაა ამერიკელ იზრაელთა მატთან დაწერილი მათი ერთ-ერთი ბელადის მორმონის მიერო. სმიტი გაემგზავრა ამ წიგნის მოსაძებნად და დაბრუნების შემდეგ ირწმუნებოდა, ეშმაკეულებთან დიდი ბრძოლების შემდეგ უზენაესმა არსებებმა გადმომცეს ეს წიგნი დაწერილი ოქროს ფურცლებზე ახალ ეგვიპტური ნიშნებით და ამ წიგნს თან ახლდა ოპტიკური იარაღი, რომელშიაც შევიცანი ურიმი და თურიმიო (ძველ ებრაელ მღვდელმთავართა საწინასწარმეტყველო ხელსაწყო). სმიტი ვითომდა კითხულობდა ამ ხელსაწყოთი ნახულ წიგნს, და ფარდის იქით მიმალული კარნახობდა მის შინაარსს ინგლისურ ენაზე. ეს თარგმანი გამოიცა პალმირაში 1830 წელს. ბევრმა იმ პირთაგან, რომლებიც იცნობდნენ სპოლდინგის რომანს, განაცხადეს, რომ „მორმონის წიგნი“ ესაა ამ რომანის გამეორებაო.

შემდეგში სპოლდინგის რომანის ხელნაწერი სმიტის მიმდევრებმა მოიპარეს და დაწვეს, ხოლო რაც შეეხება ოქროსფურცლებიან მატთანეს, იგი, ჯერ ერთი, თვალთ არავის უნახავს და შემდეგ მორმონებმა ხმა გააფრცელეს, რომ ეს წიგნი ანგელოსებმა ზეცაში წაიღესო.

ერთი სიტყვით, მიუხედავად ამ სექტის ასეთი წმინდა არამზადული ხრიკებით წარმოშობისა, მორმონული მოძრაობა საოცრად გავრცელდა და როგორც ვხედავთ, ისინი დღესაც კი მოიპოვებენ უხვად ამერიკაში. მათ ერთ დროს მრავალცოლიანობაც კი შემოიღეს და ეს წესი მხოლოდ გასული საუკუნის დასასრულს გააუქმეს, თუმცა ამბობენ, რომ არაღეგალურად ახლაც კი შეხვდებით მათ შორის მრავალცოლიანებსო.

არ შეიძლება უარყოფა იმისაც, რომ მორმონულ მოძრაობას, ამერიკული კაპიტალისტური სისტემის აღორძინება-გაფურჩქვნის პერიოდში, როდესაც გამდიდრებისაკენ მისწრაფებული ადამიანები კაციაფამიანობის ინსტინქტებით იმსჭვალებოდნენ და მამა-შვილს აღარ ინდობდა მოსაკლავად, ერთგვარი დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა ზნეობრივი ნორმების სასტიკად დაცვის მხრივ, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში და საერთოდ, მთელ რიგ ადამიანურ ღირსებების განმტკიცებაში; მაგრამ როგორც ყოველ რელიგიურ ფანატიკურ მიმდინარეობას ახასიათებს ხრწნა და საზიზღარ ფორმებში გადაზრდა, ისე მორმონული მიმდინარეობის საზოგადოებრივი ფორმა გადაიზარდა დესპოტურ თეოკრატიაში და მათი ამდროინდელი შინაგანანესი, სასულიერო მამათა მმართველობის უსაზღვრო უფლებების სახით, ძალზე საეჭვოა ახალ მიმდევრებს იზიდავდეს, პირიქით, მგონია, ზიზღს იწვევს ყოველ მოწინავე აზროვნების ადამიანში. ამჟამად მორმონების რაოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში და მექსიკაში არ აღემატება ერთ მილიონ სულს.

სალამოს მთელი ჩვენი ჯგუფი თავის ოჯახში მიგვიწვია ჩვენი მთავარი გიდის, რუბინის უნივერსიტეტის თანაკურსელმა, ჭოკივით მაღალმა, ფრიად სიმპატიური გამომეტყველების სათვალეებიანმა ყმანვილმა კაცმა.

ავტობუსი დაბლობზე გაჩერდა და ჩვენ ფეხით ავიარეთ ასფალტით დაფარული აღმართი. მალლობზე დგას ამ ყმანვილი კაცის მშობლების სახლი, ხეებში და სუბტროპიკულ მცენარეებში ჩარგული. ჩვენ გვითხრეს, რომ სტუმრად მივდივართ საშუალო ამერიკელის ოჯახში.

ასფალტით დაგებულმა ფართო გზამ მასპინძლის ეზოში შეგვიყვანა, პირდაპირ სახლზე მიდგმულ გარაჟთან, სადაც აღარ მახსოვს ორი თუ სამი მანქანა იდგა.

გამოგვეგებენ ოჯახის უფროსები ცოლ-ქმარი მისტერ დუ, ესეც საოცრად სიმპატიური მამაკაცი და მისი მეუღლე, გარეგნობით ჯერ სრულიად ახალგაზრდა ქალი. სახლში სხვებიც იყვნენ. არ ვიცი, ოჯახის წევრები, ნათესავები თუ მეზობლები. აქაც სახლის ერთი კედელი, რომელიც დაბლობს გადაჰურებს, მთლიანად შუშისაა.

მასპინძლებმა გვთხოვეს თავი სრულიად შინაურულად გვეგრძნო, გაგვეძრო პიჯაკები, მოგვეხსნა ჰალსტუხები და შევდგომოდით ჯერ სმას და შემდეგ სერობას.

აქაც ერთ ოთახში დახლია გამართული და ოჯახის ერთ-ერთი წევრი გვისხამს ყინულჩაყრილ სტაქნებში ნაირ-ნაირ სასმელებს. იქვე სუფრაზე აწყვია

საინები, დანა-ჩანგალი და ლანგრებზე ნაირ-ნაირი საჭმელები. უნდა მიხვიდე, აილო საინი, დანა-ჩანგალი და გადმოილო შენთვის რაც მოგწონს და რამდენიც გსურს. ცალკე მაგიდაზე აწყვია ხილი, ბანანები, ყურძენი, ატმები, ქლიავი.

ჩვენ, განსაკუთრებით საქართველოს წარმომადგენლები, ჩვენებურ გამასპინძლებას შეჩვეულნი, დღესაც უხერხულად ვგრძნობთ თავს. განსაკუთრებით გვიჭირს გიდების დახმარებით საუბარი მასპინძლებთან და ახლა მერამდენჯერ უნდა ვინანო, რომ ახალგაზრდობის დროს ოთხ ენას ვსწავლობდი და ვერც ერთი კი ვერ ვისწავლე ისე, რომ ერთი მაინც მცოდნოდა რიგიანად და მასპინძლებთან უშუალოდ საუბრის საშუალება მქონოდა.

ჩემთან მოვიდა მასპინძლის მეზობელი დაბალი ტანის მკვრივი მამაკაცი, წარმოშობით მგონი, ირლანდიელი და მითხრა:

– თუ არ დაიზარებთ, მინდა ჩემი სახლ-კარი და ეზო-გარემო გაჩვენოთო.

წავეყვით რამდენიმე კაცი. იგი სულ ახლო ცხოვრობდა მთავარი გზის თუ ქუჩის მეორე მხარეს, მისი სახლიც დაბლობს გადაჰყურებდა და ისიც ისევე კარგად იყო მოწყობილ-მორთული როგორც მისტერ დუს სახლი. სასტუმრო ოთახი, ფართო ვერანდა, სამზარეულო იშვიათად განყოფილი და ისეთი სუფთა, როგორც ქირურგის ინსტრუმენტების კარადა. მაჩვენა სანოლი ოთახი, სადაც მთელ კედლის სიგრძეზე გამართულ კარადაში ეკიდა მათი ტანსაცმელი (არც თუ ისე ბევრი, რომ გამკვირვებოდა, რადგან ამის საკმაო საბაბი მქონდა). მაჩვენა ნიგნების თარო და ფერადი ყდებიანი ჟურნალების ორიოდე დასტა. მე ცხადია, არ მითქვამს იმისთვის, რომ არც ეს გამაკვირვებდა ჩემი ბიბლიოთეკის პატრონს და არც მისი ორიოდე ჟურნალი, რადგან თითონ ვინერ ყოველწლიურად ოცამდე სახელწოდების ჟურნალს და ამდენივე გაზეთს.

მაჩვენა გარაჟიც, სადაც ორი მანქანა ედგა, ერთი მეუღლისა, შესანიშნავი, სულ უკანასკნელი მოდელი, ერთიც თავისი, მომცრო, ჩვენებური „პობედის“ მაგვარი.

მე უნებურად მივაქციე ყურადღება იმას, რომ ამ შუალამეზე სახლიპატრონს სახლი სულ ღიათ ჰქონდა დატოვებული, მაგრამ აქ, როგორც ეტყობა იმის შიში, რომ სახლში ვინმე შეიპარება, არ არსებობს.

უკან რომ გამოვბრუნდით, სახლი ასევე, ღიათ დასტოვა.

კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი სტუმრობა ამ უაღრესად სიმპატიურ მასპინძლებთან. როდესაც ვაკვირდებოდი მათ სახლ-კარს, ეზო-გარემოს, ავეჯს, ქონებასა და ცხოვრებას, ცხადია, მე ამ საშუალო ამერიკელის ოჯახში ვერ ვხედავდი ისეთს რამეს განსაკუთრებულს, რაც ჩვენი, ვთქვათ, სა-

შუალო ქართველის ოჯახში არ მოიპოებოდე ან რისი პატრონებიც ჩვენ არ ვიყით. განა მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზის ლუმელი ან პირადი საპირფარეშო და აბაზანა არ კეთდება ჩვენს ბინებში და აგარაკებზე? ყველაფერი ეს კეთდება და გვაქვს. ასევე, გვაქვს ტელევიზორიც, რადიოც, როიალიც, იატაკებზე და კედლებზე ნოხებიცა და გობელენებიც. არავინ იფიქროს, რომ მე თითონ რაიმე განსაკუთრებული ქონების პატრონი ვიყო და მათ თავს ვადარებდე. არა. ბიბლიოთეკის გარდა, მე არაფერი გამაჩნია ისეთი, რაც ოჯახში არ ჰქონდეს საშუალო ქართველ ინტელიგენტს და შეიძლება ძალიან ბევრ შემთხვევაში, ჩემზე ბევრათ უკეთესიც ჰქონდეთ ყველაფერი.

მართალია, ამერიკელების მაცივრებიც და სამზარეულოც ბევრათ უკეთესია ჩვენსაზე, მაგრამ არც ისე, რომ სულ მოკლე ხანში ჩვენ ვერ გავაკეთოთ მათზე უკეთესი. ისე კი არც თუ ისე გვჯობნიან, რომ მე ჩემი ხალხის, ჩემი ინტელიგენციის მიმართ სიამაყის გრძნობით არ გავმსჭვალულიყავი.

რით ვგავართ ჩვენ ერთმანეთს? გულდია სტუმართმოყვარეობით. ამ შემთხვევაში ამერიკელები მხოლოდ იმით გვჯობიან, რომ არავის არ აძალებენ ღვინოს, არც საჭმლით ჰყორავენ სტუმარს, არამედ ყველაფრით გულუხვად გიმასპინძლებიან და შენს ნება-სურვილზეა დამოკიდებული სმაცა და ჭამაც. მორიდება არ იციან, თუ უნდათ, სვამენ და ჭამენ რამდენიც უნდათ, ჩვენსავით არ იპუნკებიან.

ჩვენში პოპულარულია ლოზუნგი, დავენიოთ და გავუსწროთ ამერიკასო. მათი ქვეყნის, მათი ყოფა-ცხოვრების დათვალეერების შემდეგ და მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელი ათიოდე წლის განმავლობაში გააკეთა, მე ვფიქრობ, რომ არც ისე შორსაა ის ზონარი, რომელიც ჩვენ მკერდით უნდა გავგლიჯოთ.

რაში გვჭირდება მართლაც სერიოზული ჩაფიქრება, ესაა ჩვენი ყოფა-ცხოვრების ჰიგიენის კულტურა, ესაა ჩვენი საცხოვრებელი ბინების, სახლების ფასადების, ეზოების, ქუჩების, საზოგადოებრივი შენობების, ბაზრების, საპირფარეშოების ჰიგიენის კულტურა. ამაში ისინი ნამდვილად გვჯობნიან.

ამერიკაში მე არ დამინახავს სახლი ჩამოქეცილი ან დაძველებული ფასადით, არ დამინახავს დაუგველ-დაუსუფთავებელი ეზო ან ღია საწყობი, არ მინახავს გაბინძურებული საპირფარეშო, არ მინახავს დანაგვიანებული ქუჩები (გარდა ნიუ-იორკისა). და თუ თავშივე მე ვლაპარაკობდი ამერიკულ სიბინძურეზე, ეს კაბარეებში და პრიტონებში დაბუდებული ზნეობრივი სიბინძურეა, რასაც ჩვენში კარგა ხანია ბოლო მოელო.



კვირას გავემგზავრეთ დისნეილენდის დასათვალიერებლად.

რა არის ეს დისნეილენდი, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ ყველგან და მათ შორის, ჩვენს პრესაშიაც.

ეს არის კინორეჟისორ უოლტ დისნეის თაოსნობით გაშენებული ფანტასტიური კუთხე, ერთგვარი საბავშვო კულტურისა და დასვენების პარკი, უამრავი მართლაც ფანტასტიური ატრაქციონით. იგი საკმაოდ შორსაა ქალაქიდან. გარშემო მას მოწყობილი აქვს დიდი ფართობის მოედნები ავტომობილების სადგომებათ. თვით ეს ქალაქი, დისნეილენდი, გაშენებულია საკმაოდ მოზრდილ ფართობზე და წარმოადგენს ცნობილი მწერლების მარკ ტვენის, ფენიმორ კუპერის, ჯონატან სვიფტის და სხვათა რომანების გაცოცხლებული სურათების გალერეიას. აქ ნახავთ ძველებური ქალაქების ქუჩებს, მალაზიებს, შენობებს, უძველეს ტრამვაის, ომნიბუსებს, ასე გასინჯეთ, სახანძრო მანქანებსაც, რომლებზედაც შემსხდარი ბავშვები სიამოვნებით დაჰქრებიან დისნეილენდის ქუჩებში ზარის რეკვით და ბუკის ყვირილით. აქვე დააბიჯებენ ძველი ქალაქის მცხოვრებნი, მარკ ტვენის და სხვა მწერლების ნაწარმოების გმირები, გრიმირებული სტატისტები, ძველებური ქრელი ჟილეტებით და კარდალა ქუდებით, დააბიჯებენ მომავალი კოსმონავტები თუ მარსიელები, საპლანეტაშორისო ტანსაცმელში გამოწყობილები. ქალაქს გარს უვლის რკინიგზა, რომელზედაც დადიან ღია ვაგონიანი მატარებლები და მგზავრების თვალწინ მართლა რომ ფანტასტიური სურათი იშლება. მატარებლიდან თქვენ ხედავთ ინდიელთა სოფლებს, ტროპიკულ მდინარეებს და ჯუნგლებს, იალქნიან ხომალდებს და მარკ ტვენისდროინდელ სამდინარო გემებს, ხედავთ ცეცხლწაკიდებულ ინდიელთა ვიგვამებს, კოლორადოს გრან-კანიონს, „თოვლიან“ მწვერვალებს და ჩანჩქერებათ გადმოვარდნილ მდინარეებს. იქვე ხედავთ მთებზე და გორაკებზე შემოხვეულ ჰაერში დაკიდულ ცალფა ლიანდაგს, რომელზედაც დაჰქრის მომავლის მატარებელი. ესაა სიგარისებური ვაგონი. ამ ვაგონში სამოცამდე კაცი ეტევა. იქვე ხედავთ საჰაერო – საბაგირო გზას, რომელზედაც ერთიერთმანეთს მისდევენ დაკიდული ვაგონები ორ-ორი თუ სამ-სამი მგზავრით. ქვემოთ კი დაკლაკნილ, მიხვეულ-მოხვეულ გზატკეცილზე ერთი ციცქნა საბავშვო ავტომანქანებს დააქროლებენ და არა მარტო პატარები, არამედ მოზრდილებიც.

დისნეილენდში ბევრი ატრაქციონია. თითო ატრაქციონის ნახვა ღირს ნახევარი დოლარი.



ჩვენ ჯერ ნავებში ჩავსხედით და ჯუნგლებისაკენ გზას გავუდექით. აქ მდინარიდან თავს ჰყოფენ და პირებს აფრინენ ნიანგები, წყლიდან ამოყურ-ყუმალდებიან ბეჭემოტები, ბალახებში დაშლივინობენ მარტორქები და სპილოები, ხეზე მოსრიალებს გიგანტური მახრჩობელა გველი, მობაჯბაჯებს დათვი, მაგრამ ყველაფერი ეს ხელოვნურია და ელექტრონის ფოტოელემენტებით მოძრაობს. ნავზე ზის მენავე და ყვება, თუ როგორი ცხოველებია ჯუნგლებში, ხოლო უფრო მეტი შთაბეჭდილებისათვის ხშირად იძრობს თავის გრძელლულიან კოლტს და ხან ხახადაფრინილ ნიანგს დაახლის, ხან ხეზე გადმოკიდებულ მახრჩობელა გველს. ამიტომ ამ ხელოვნურ მდინარეზე განუწყვეტლად ისმის რევოლვერების ბათქა-ბუთქი, თითქო მართლა დიდი ხოცვა-ჟლეტა იყოს გამართული ამ „გარეული ცხოველებისა“.

ნავით მოგზაურობის შემდეგ ჩვენ დავსხედით მარკ ტვენის დროინდელ სამდინარო გემზე და ახლა ახალი მიმართულებით გავუდექით გზას. მე ძალიან მინდოდა იალქნიანი ხომალდით მემგზავრა, იმ ხომალდის ასლით, რომლითაც მოგზაურობდნენ კოლუმბი და მაგელანი, მაგრამ როდესაც ნავსადგურში მივედით, მან, რომ იტყვიან, ფეხათ გაგვასწრო.

ეს გემიც არ არის ინტერესს მოკლებული. იგი საკმაოდ დიდია და რამდენიმე გემბანი აქვს. აქედანაც საოცარი პეიზაჟები იშლება ჩვენს თვალწინ. აგერ „მთის“ მწვერვალის აღმართს შედგომიან პატარა ჯორებზე და პონებზე შემსხდარი „ტურისტის“ ბავშვები, აგერ ინდიელების სოფელში ჭრელ-ჭრულებში ჩაცმული ინდიელები ცეკვავენ თავიანთ რელიგიურ ცეკვებს. ისინი ცხადია, ცოცხალი ადამიანები კი არ არიან, არამედ მოძრავი მანეკენები. აგერ სულთმობრძავი და ისრით განგმირული ინდიელი აგდია ძირს, იქით კი გვესალმება ცხენზე შემჯდარი უკანასკნელი მოჰიკანელი. ცხადია, ისიც მანეკენი. აგერ ძაღლები გადმომდგარან მდინარის პირზე და კუდის ქიცინით გვესალმებიან. კვლავ ინდიელთა სოფელი, სადაც ჩვენ ვხედავთ საოჯახო საქმით გართულ ქალებსა და მამაკაცებს.

მაგრამ მარტო ინდიელთა მანეკენები კი არა ჰყავთ დისნეილენდში. ერთ-ერთი ატრაქციონის შესასვლელთან იჯდა ნამდვილი მოხუცი ინდიელი, ძველებურ ინდურ ტანსაცმელში, მამლის ფრთებით მორთული ქუდით და ზურგზე დაყოლებული ასეთივე ფრთებით შემკობილი ხერხემლით თუ ნაწნავით – რა დავარქვა, არ ვიცი.

მე მას ხელის ჩამორთმევით მივესალმე, შემდეგ ორთავე გვერდი-გვერდ დავდექით და ფელიქსმა სურათი გადაგვიღო. როგორც იქნა მეღირსა ცოც-

ხალი ინდიელის ნახვა, რომელთა როგორც ჩაგრული ხალხის მიმართ მე მუდამ ვიყავი გამსჭვალული უდიდესი სიყვარულით. მაინ რიდის, ფენიმორ კუპერის და განსაკუთრებით ჰენრი ლონგფელოს ნაწარმოებებმა შემაყვარეს ეს მართლა უბედურ დღეზე გაჩენილი ხალხი, რომელთა უკანასკნელი წარმომადგენელი, ცოცხალი ადამიანი, მანეკენის როლის მოთამაშედ აი, აგერ დამიხვდა დისნიელენდში.

შემდეგი ატრაქციონია წყალქვეშა ნავი. დიდ აუზში ლურჯად კამკამებს გამჭვირვალე წყალი. შუაში კუნძულია, რომელზედაც შესულან წყალში მობანავე ქალიშვილები სირინოზებათ ჩაცმულები. წელსქვევით მათ თევზის ქერეჭიანი ჩასაცმელი ამშვენებთ და როდესაც ქვაზე სხედან, ამ თევზის ბოლოებს მართლა თევზივით ატყაპუნებენ.

ნავმისადგომთან გრძელი რიგია, მაგრამ იგი სწრაფად მიიწევს წინ, რადგან წყალქვეშა ნავები ერთმანეთს ზედიზედ მოსდევენ. თითო ასეთი ნავი სამოც კაცამდე იტევს. ჩავედით ამ ხომალდში და დავსხედით მრგვალ ფანჯრებთან. დახურეს სახურავი და დავიძერით ადგილიდან. ფანჯარაში მოჩანს ზღვის ფსკერი და ნაირ-ნაირი ზღვის ცხოველები, მცენარეები. მარჯნის პოლიპები, თევზები. ეს ჯერ დღის სინათლით განათებულ ფსკერს დავეყურებთ, შემდეგ წყლის ფარდით დაფარულ გვირაბში შევდივართ და აქ უკვე ზღვის ფსკერთა დიდი სიღრმეების სანახაობებია. აქ არიან თვითმანათობელი ზღვის თევზები და სხვა ცხოველები, რვაფეხანი, ვარსკვლავანი, კიბორჩხალები, აქვეა დალუპული და ჩაძირული გემების ნამსხვრევები, განძით სავსე ზანდუკებით, მოჩანს წყლისქვეშა ვულკანები, რომლებიც აფრქვევენ ლავასა და ცეცხლს. ერთის სიტყვით, შეუძლებელია ადამიანმა ნახოს ამაზე უფრო მეტი ფანტასტიური წყალქვეშა სამყარო და მგონია მარტო მე კი არა, თვით ჟიულ-ვერნიც კი გაოცებული დარჩებოდა ყოველივე ეს რომ ენახა.

მე არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩვენი მოგზაურობა წყალქვეშ; ვფიქრობ, არა უმეტეს 10–15 წუთისა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქო მთელი დღე დავსეირნობდი ზღვის ფსკერზე, იმდენი საოცარი რამ ვნახე.

როდესაც ნავიდან ამოვედი, გული დამწყდა და მზად ვიყავი ეს მოგზაურობა განმემეორებია. თუ ეს მე მომდიოდა სამოც წელს მიღწეულ კაცს, წარმომიდგენია, რას განიცდიან ბავშვები, განსაკუთრებით იმ ასაკისა, რომელნიც კითხულობენ ასეთ ფანტასტიურ ლიტერატურას, სადაც აწერილია წყალქვეშა ეს სამყარო.

აქ ბევრი სხვა ატრაქციონია, რომელთა ნახვა ვერ მოვახერხებ. მაგალითად, ისეთი, როგორცაა მოგზაურობა კოსმოსში. შესასვლელთან დგას გიგანტური რაკეტა-კოსმიური ხომალდი. შედინართ ამ ხომალდში და თქვენ ლებულობთ სრულ შთაბეჭდილებას, თითქო მართლა კოსმიურ სამყაროში მიფრინავთ.

დიდი რიგი იდგა აგრეთვე საჰაერო-საბაგირო გზით მოგზაურობაზე, მაგრამ მე არ გავყევი ჩემს თანამგზავრებს, რადგან ასეთი და ამაზე უკეთესები ჩვენ თბილისსა და ქიათურაში გვაქვს, რომლებითაც მოგზაურობა მე არ მაკლდა, ამიტომ გადავწყვიტე სხვა ატრაქციონები გარეგნულად მაინც დამეთვალაღიერებია.

აქ ბევრია სხვადასხვა სახის კარუსელები, პროპელერებიანი თვითმფრინავები. შესანიშნავი ტირები, სადაც თოფებ-ავტომატებით ესვრიან მოძრავ ფიგურებს, კაფეები, სასადილოები, სავაჭრო ფარდულები.

დისნეილენდს არცთუ ისე დიდი ტერიტორია უჭირავს, მაგრამ ეს ატრაქციონები, მათთვის საჭირო გზები, ან არხები და აუზები ისე ოსტატურადაა ერთმანეთში ჩახლართული, რომ გამოუყენებელი არ არის არცერთი მტკაველი მიწა და არცერთი კუბომეტრი საჰაერო სივრცე. მე უნებურად გამკრა გუნებაში, ნუთუ არ შეიძლება ჩვენს მუშტაიდში, სადაც საბავშვო რკინიგზაცა გვაქვს და მთელი რიგი ატრაქციონებისა, ზოგიერთი დამატებითი ხარჯები გავნიოთ და ასეთი რამე მოვანყოთ-მეთქი. მით უმეტეს, რომ მტკვარი პარკს იქვე გვერდზე ჩამოუდის და წყლის მარაგით უზრუნველყოფილი ვიქნებით-მეთქი. ან არადა, ასეთი პარკი თბილისის ზღვის მიდამოებში მოეწყოს, ასეთი ზღვა დისნეილენდს არც კი დაესიზმრება, ხოლო მახათის მთა და მისი მიდამოები პირდაპირ ზედგამოჭრილია ამგვარი ატრაქციონების მოსაწყობად. საერთოთ, კარგი იქნება ამ საქმის რამდენიმე სპეციალისტს რომ მიავლინებდნენ ჩვენგან დისნეილენდის სანახავად და შესასწავლად, მე მგონია, რომ ჩვენი ინჟინრები ამაზე გაცილებით უკეთეს პარკებს მოუწყობენ ჩვენს ბავშვებს. საამისოთ ჩვენ ყოველი შესაძლებლობა გვაქვს.

მე სამუნუხაროდ, ვერ შევიძელი გამეგო, თუ რა დაჯდა ეს ქალაქი და ან რამდენ ხანში უნდა მოხდეს მასზე განეული ხარჯების დაფარვა-ამორტიზაცია. თუ დისნეილენდს ყოველ დღე ჰყავს ამდენი მნახველი, როგორც მე ვნახე, მაშინ ამ ქალაქის მშენებლობაზე განეული ხარჯები ძალიან მალე უნდა დაიფაროს.

პედაგოგიური თვალსაზრისით დისნეილენდი თვალსაჩინო სახელმძღვანელოს მთელი ენციკლოპედიაა. აქ მოსწავლე ეცნობა არა მარტო ბუნების-

მეტყველებასა და ისტორიას, არამედ ნახულობს თანამედროვე ტექნიკის მიღწევებს. ყოველივე აქ ნახულის შემდეგ ასე შეიძლება, რომ მოსწავლემ უფრო მეტის ინტერესით არ გადაშალოს თავისი ის სახელმძღვანელოები, რომლებითაც მანამდე შეიძლება თავი ჰქონდა გაბეზრებული.



ჩვენმა გიდებმა გამოგვიცხადეს, რომ სადილათ მიწვეული ვიყავით ქ-ნ პარკერთან, ჰოლივუდის კინოვარსკვლავთა უბნის ერთ-ერთ ბინადარ მდიდარ ქალთან.

ჩვენი ავტობუსი პირდაპირ შევიდა ამ ქალბატონის გარაჟებთან. წინ შეგვეგება დიასახლისი, სამოც წელს მიღწეული მაღალი, საკმაოდ სანდომიანი სახის ქალი და მისი ქალ-ვაჟი. ქალიშვილს საოცრად ნაღვლიანი გამომეტყველება ჰქონდა და ძალზე ფერმკრთალად მეჩვენა, ან უიმედოთ შეყვარებული უნდა ყოფილიყო ან ავადმყოფი, თუმცა შეიძლება, არც ერთი იყო არც მეორე. ვაჟიშვილი კი საოცრად სიმპათიური ჭაბუკი გახლდათ, სტუდენტი ყოფილა მგონი, კინოინსტიტუტისა. აქვე შეგვეგებენ მასპინძლის მიერ ჩვენს საპატივცემულოდ მიწვეული სტუმრები: ქერათმიანი კინომსახიობი ქალი ლერა ლეინ, რომელსაც მარტო ტრუსები და ბიუსტჰალტერი ეცვა და თავის ლამაზ ტანს მომხიბლავად მოაქანებდა, ჩვენთვის უკვე ნაცნობი „ბენ-ჰურის“ შემსრულებელი ჩერლტონ ჰესტონი, ვინმე მარკოვი, რომელიც თურმე კალიფორნიის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს რუსულ ლიტერატურაზე და რამდენიმე სხვა პირი, რომელთა გვარები აღარ მახსოვს.

მიგვიწვიეს ჯერ ეზოში. მიმოვიხედეთ. ეზო დიდია, მთლიანად მოლით დაფარული. ეზოს ერთ კუნჭულში ტრადიციული საბანაო აუზი საკმაოდ მოზრდილი, ლურჯი კაფელით მოგებული და სახტომი ტრამპლინით. ეზო გარშემორტყმულია გიგანტური ლამაზი ხეებით. ეზოში იდგა მაგიდები, მოწეული სავარძლები. ღია ვერანდის წინ დაედგათ მრგვალი და საკმაოდ მოზრდილი მაყალა, რომელზედაც დადგმული იყო ნიკელისმაგვარი პრიალა რკინის ჯოხებისაგან გაკეთებული ჩელტი თუ ფაცერი, რომელზედაც თურმე სამწვადე ხორცს აწყობენ და ჩვენებურ მწვადებს წვავენ.

იქვე ეზოშივე გაენყოთ სასმელების ბარი და ზანგი მსახური ჩვენი შეკვეთით, ამზადებდა ნაირ-ნაირ სასმელებს.

თითონ სახლი წმინდა ამერიკული ტიპის თანამედროვე სახლებს მიეკუთვნება, სრულიად უბრალო კედლებით, დაბალი ჭერით და არავითარ შემთხვე-

ვაში არ შეიძლება, ჩავთვალოთ კაპიტალურ ნაგებობათ. მთავარი ყურადღება აქ მიქცეული აქვს იმას, რომ სახლი იყოს მაქსიმალურად კეთილმოწყობილი და პრაქტიკულად გამოსაყენებელი. მასაც აქვს ფანჯრებათ ქცეული შუშის კედლები, აქვს ბუხარი, სადაც სალამოს დიასახლისმა ცეცხლი შეანთო (ამერიკაში ეს დიდ ფუფუნებათ ითვლება, ნამდვილი შეშით ბუხრის გახურება). აქვს ცხადია, ყველა ის ტექნიკური გაუმჯობესება, რაც თანამედროვე სახლებს ახასიათებთ, იატაკები აქაც მთლიანად მოფენილია რბილი ხელოვნური ნოხებით.

დღისით აქ საერთოდ საკმაოდ ცხელა, მხოლოდ ღამით ასევე, საკმაოდ აცივდება ხოლმე. სანამ მზისგული იყო, დიასახლისმა გვთხოვა, როგორც თქვენს სახლში ისე იგრძენით თავი, აგერ აუზი, იბანავეთ, იქ – გასახდელ ოთახში, რამდენიც გნებავთ და რა ზომისაც, საბანაო კოსტუმები აწყვია და შეგიძლიათ, ჩაიცვათო.

ახალგაზრდებმა გაიხადეს და აუზში ჭყუმპალაობა დაიწყეს. ჩვენ ხან-შიშესულებმა თავი შევიკავეთ, თუმცა მე დიდი მოყვარული ვარ ცურვისა და საათობით შემიძლია წყალში ყოფნა.

ჩვენ ისევ საუბარი ვარჩიეთ. მე ვკითხე დიასახლისს მისი ვინაობა და ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები.

– ეს, რასაც ხედავთ, – მითხრა ქალბატონმა პარკერმა და თავის სახლ-კარსა და ეზო-მიდამოს ხელი მიმოავლო – ეს სულ მამაჩემის გაკეთებულია. მამაჩემი ახლაც ცოცხალია, 87 წლისაა. იგი იყო პირველი ფაბრიკანტი, რომელმაც მუშები თავისი მოგების წილში შეიყვანა...

ეს ფორდის მეთოდია: კაპიტალისტს ამითი ცხადია, სურდა, რაც შეიძლება მეტი შრომის ნაყოფიერებისთვის მიეღწია და თუ მუშა დღეში მოგების სახით შაურს მიიღებდა, მეორე შაური ფაბრიკანტს მიქონდა და ვინ იყო ნამდვილად მოგებული, თქვენ ადვილად მიხვდებით. ახლა ქალბატონი პარკერი მამა აბრაამის ბატკნად მისახავს მამამისს, ვითომდა ასეთი პატიოსანი და მუშებისათვის მზრუნველი მამის პატრონი ვარო.

– მე კი ამჟამად ქმარს გაცილებული ვარ, – განაგრძობდა ქ-ნი პარკერი – მე მას სამი შვილი შევძინე და ოცდაორი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ დავშორდით ერთმანეთს.

მიზეზი? არ ვეკითხები, მაგრამ ძალიან კარგათ ვგრძნობ, რომ სხვის ქონებაზე გასუქებულმა ბურჟუამ ალბათ, რომელიმე კინოვარსკვლავი გაიჩინა საყვარლად და გულმოსულმა მეუღლემ უეჭველია, ამის გამო აუკრა გუდა-ნაბადი ქმარს.



ახალგაზრდა კინომსახიობი ქალი ლერა ლეინი თავისი შიშველი ტანის რხევით მომიახლოვდა და მითხრა:

– მე მინდა თქვენ ჩემი „კარი“ გაჩვენოთ.

„კარ“ – ეს ინგლისურად, ავტომანქანას ნიშნავს.

წავედით გარაჟისაკენ. რამდენიმე მანქანის შორის ვხედავ, დგას ორადგილიანი სპორტული ავტომანქანა, რომელზედაც თურმე ექვსასძალიანი ძრავა დგას და საათში – თუ გაიმეტებ თავს – მგონი, სამას კილომეტრს ავიტარებ.

ლერამ მოხდენილათ მიმითითა, ჩაბრძანდითო, თითონ მეორე მხრიდან მოუარა, საჭესთან მოეწყო, ფეხებზე ქოშებიც კი წაიძრო და შიშველი ფეხი დააჭირა დროსელს.

ხელით მანიშნა, თავი დაიბიო. დავხედე, აქაც, ისევე როგორც თვითმფრინავში სავარძელზე დამაგრებულია მისაბმელი ღვედები. რა გაეწყობოდა, დავები შიშველი ქალის გვერდით, საერთოდ, არც ისე წასული ვარ ხელიდან, რომ დაბმა მჭირდებოდეს.

ჩართო უკუსვლა და ისე მოხდენილად და სწრაფად გაიყვანა მანქანა უკუსვლით მთავარ გზაზე, მე, თითონ ისე, პირდაპირ ვერ მიმყავს ხოლმე, თუმცა თავი ავტომობილის მოყვარულ მძღოლათ მიმაჩნია. მთავარ მაგისტრალზე კი დააჭირა ფეხი და რომ იტყვიან, ელვის სისწრაფით გააფრინა მანქანა. ჩიტივით უსწრებდა გზაზე გაქროლებულ სხვა მანქანებს და გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ რომელიღაც ეზოში შევფრინდით და მანქანების სადგომ ბაქანზე შევჩერდით.

მე ვთქვი, სადა ვარ, ან სად მომიყვანა ამ ჯადოქარმა-მეთქი. თურმე იქვე მოვსულვართ, საიდანაც წავედით. ჩამოხტა ახალგაზრდა ქალი მანქანიდან და ღიმილით მითხრა:

– გულადი მამაკაცი ყოფილხართ.

ალბათ, ბევრი დაუჯენია ჩემი ხნის მამაკაცი თავის მანქანაზე, რომელთაც იციან, თუ რას ნიშნავს ასეთი სისწრაფის დროს გადაყირავება და ვინ იცის, რამდენს ან გული წასვლია შიშით ან ფერი. მე კი მართალი გითხრათ, აბსოლუტურად არ მიგრძვინია მანქანის დიდი სისწრაფე, რადგან ჯერ ერთი, სრულიად არ ისმოდა მოტორის ხმაური, რის გამო არც კი მეგონა, რომ ჩვენ, საერთოდ თავბრუდამხვევი სისწრაფით მივდიოდით, მერე, მე თითონ მოყვარული ვარ კარგ გზაზე დიდი სისწრაფით მოძრაობისა თუ გამოცდილ ხელს მიჰყავს მანქანა და ჩემთვის ეს სულაც არ იყო უჩვეულო ამბავი.

მასპინძლობა აქაც ჩვეულებრივი ამერიკული წესით იყო. გაახურეს მაყა-  
ლა, დაანყეს ზედ დანაყილი ხორცი, ჩვენ სათითაოდ მივდიოდით და საინზე  
გვიდებდნენ ამ თავისებურ მწვადს, სხვა ადგილას კი ჩვენ თითონ ვიღებდით  
წინაკიან სანელებლებს, ნაირნაირ საჭმელებს და ასე ხონჩებივით თავდაგმულ  
საინებით მივდიოდით ეზოში დადგმულ მაგიდებთან და იქ შევექცევოდით.

სასმელებსაც ასე ვიღებდით. აქ არ იციან სადღეგრძელოები და სასუფ-  
რო ტოსტები. მარკ ტვენის დროს იცოდნენ, მისი თხზულებებიდან ვიცი და  
ახლა რატომ გადაჩვეულან, ჩემთვის გაუგებარია.

სალამოს აცივდა და დიასახლისმა სახლში მიგვიწვია, აგუზგუზებულ  
ბუხართან.

ბუხრის გვერდით თაროებზე წიგნები ეწყო. მე ინტერესით ვათვალიერებ-  
დი მათ. დიასახლისმა შემნიშნა, მეორე ოთახში გავიდა და იქიდან გამოიტანა  
მდიდრულად გამოცემული „დონ-კიხოტი“ დორეს ილუსტრაციებით. მე ვუთ-  
ხარი ქნ პარკერს, რომ ჩვენშიაც, ამ ორმოცდაათი თუ სამოცი წლის წინად  
ქართულ ენაზე გამოიცა „დონ-კიხოტი“ სწორეთ დორეს ამ ილუსტრაციებით  
-მეთქი. მაშინ დიასახლისი წავიდა და გამოიტანა კიდევ უფრო იშვიათი და  
ძვირფასი წიგნი. ეს იყო ნაპოლეონის მემუარების ოთხტომეული, მაგრამ  
ამ წიგნებში საყურადღებო და ძვირფასი იყო ის, რომ ერთ-ერთ ტომში, წინ,  
ფრონტისპირის ადგილას ჩანებულებული იყო ნაპოლეონის ხელით დაწერილი  
წერილი, დედანი, ველინგტონთან მიწერილი, ხოლო მეორე ტომში ჩანებუ-  
ლი იყო ველინგტონის ხელით დაწერილი წერილი ნაპოლეონთან. საიდან გა-  
მოძებნეს კოლექციონერებმა ეს წერილები და ჩაანებეს ამ წიგნებში, ჩემთვის  
სრულიად გაუგებარია. იქნება ისინი დედნების ლითოგრაფიული ასლები  
იყვნენ? არ ვიცი. ვფიქრობ, რომ არა, რადგან შეუძლებელია ისე მიმსგავსება  
და დაძველება წერილებისა. ყოველ შემთხვევაში ეს წიგნები და ეს წერილები  
დაწერილი თითქმის ასორმოცდაათი წლის წინად მაინც ძვირფას განძს წარ-  
მოადგენს ყოველი ბიბლიოთეკისათვის.

მე დიდათ მოვიწონე ეს წიგნები და ვუთხარი ქნ პარკერს, რომ მოყვა-  
რული ვარ ძველი მანუსკრიპტებისა და მეც მაქვს უძველესი ხელთნაწერი  
წიგნი აპოკალიფსისი იოანე ღვთისმეტყველისა, რომელიც გადაწერილია  
ჩემი რომანის გმირის, იმერეთის დედოფლის ანას ბრძანებით-მეთქი.

აქ, უკვე რომ იტყვიან, დავბასე, ვუთხარი ჩვენს დიასახლისს, რადგან  
მისთვის აპოკალიფსისი ხელნაწერი უფრო მეტი სენსაცია იყო, ვიდრე ნაპო-  
ლეონის ეპისტოლე.

საუბრის დროს ერთმანეთის პირდაპირ მოვხვდით მე და კინომსახიობი ჩერლტონ ჰესტონი. ვკითხეთ, თუ რას აპირებს მომავალში. გვითხრა, რომ ფიქრობენ მეფე ლირის გადაღებას და მე ამ როლზე ვოცნებობო. მე ვკითხე, რატომ არ გინდათ ლინკოლნი ითამაშოთ და ფილმიც დადგათ ამ შესანიშნავ პრეზიდენტზე-მეთქი. მან მიპასუხა, რომ ლინკოლნზე ორი ფილმია დადგმული (ერთი მათგანი, სხვათა შორის, მე მინახავს, მაგრამ სუსტი შესრულებით).

იგი ახლა ოცნებობს ოტელოს როლის შესრულებაზე და ალბათ, კიდევაც განახორციელებს მას. შეიძლება, მის მიერ განსახიერებული ეს როლი მართლა საინტერესო იქნეს, მაგრამ მეეჭვება, რომ ამ მსახიობმა რაიმე ახალი თქვას, ისე, რომ განსაკუთრებით დააინტერესოს მაყურებელი.

ნამდვილი და დიდი მსახიობისათვის, მე ვფიქრობ, მრავალჯერ გადაღებული და ცოტა არ იყოს, უკვე მოძველებული ოტელოს სახის შექმნაზე უფრო საინტერესო და ძნელია ისეთი ეროვნული გმირის, დიდებული და ნამდვილად ტრაგიული ადამიანის პორტრეტის გაცოცხლება, როგორც იყო ლინკოლნი. ჯერ მისი სრულყოფილი სახე მე ვფიქრობ, არ შექმნილა კინემატოგრაფიაში, და მართალია, მისი ბიოგრაფიიდან ორი ფილმი ყოფილა დადგმული, მაგრამ არცერთი მათგანი არ გახმაურებულა ისე, რომ ამ ორიდან ერთი მაინც წარმოადგენდეს დიდი ხელოვნების ნიმუშს.

მაგრამ ჩერლტონ ჰესტონი სულ სხვაგვარად ფიქრობს და ღმერთმა ხელი მოუმართოს. კაცია და გუნებაო. იქნებ მისი ოტელო მართლა ახალი სიტყვა იქნეს კინემატოგრაფიაში.

შემდეგ სუვენირებათ დიასახლისმა ჩამოარიგა ლანგრიტ სათითურისოდენა ნაირ-ნაირ ბოთლებში ჩასხმული და თავგადაღუქული სასმელები: ბენედიქტინები, აბრიკოტინები, ფერად-ფერადი ლიკიორები, ღვინოები.

კარგა მოგვიანებული იყო, ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ, როდესაც გამოვეთხოვეთ მასპინძლებს. ეზოში ფანტასტიური სინათლით ელვარებდა ქვემოდან განათებული საცურაო აუზი. უკვე საკმაოდ დაღლილები ვიყავით სტუმრობით. განსაკუთრებით დაგვალა მარკოვმა, რომელიც რომალთან ერთად მთელი საღამო რუსულ პოეზიაზე საუბრობდა; იგონებდა ბლოკის, ბალმონტის, ხლებნიკოვის, მაიაკოვსკის, ესენინის და სხვათა ლექსებს და ორივენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დეკლამაციაში.

გამოვეთხოვეთ მასპინძლებს და როდესაც ავტობუსში ჩავჯექი და გზას გავუდექი, უნებურად მომაგონდა დიასახლისის ქალიშვილის ნაღვლიანი

გამომეტყველება. ამ შესანიშნავ გარემოცვაში, სიმდიდრეში, ფუფუნებაში, თურმე შეიძლება ბევრი რამ გაკლდეს ადამიანს ისეთი, რამაც ასეთი ნაღველი ჩაგინვინოს თვალებში და შეიძლება თურმე უმთავრესად გაკლდეს სიცოცხლის ხალისი. რამდენჯერ მინახავს ჩვენში, სოფელში, მიადგები მოსახლეს, ხედავ ღარიბია, სახლი კი არა ქოხი დგას, ღობე მორღვეული, ჭიშკარი ნაქცეული, მაგრამ აგერ გამოცქრიალდება ფეხშიშველი გოგონა, თვალებში სიცოცხლისა და ხალისის შუქი უციმციმებს, გამოცქრიალდება, მიგიპატიჟებს, სახლსა და კარს სიცილ-კისკისით აავსებს, ჯარასავით დატრიალდება, იქ საცერს აატკაცუნებს, აქეთ სახაჭაპურო გუნდას ააგორებს, მერე დაჯდება გიტარას ააჟღერებს, ყელს მოიღერებს და ისეთ სიმღერებს ააკამკამებს, დაგწვავს, დაგფუფქავს და სანთელივით დაგადნობს. თუ ახალგაზრდა ხარ, იტყვი, ნეტავი შენი თავი მაღირსა მეუღლეთო; თუ ხანშიშესული, რძლათო. ჰოდა, მაშინ აღარც ის ქოხი გეჩვენება ღარიბათ, ეზოც ლამაზია, ხეც, მთაც და ბარიც.

თუ სიმდიდრე ადამიანს ცხოვრებისა და სიცოცხლის ხალისს უკარგავს, სპობს მის არსებაში შრომის და ახლისკენ მისწრაფების ხალისს, მაშინ ჭირსაც ნაუღია ასეთი სიმდიდრე და ფუფუნება. ქართველმა კაცმა იცის ხოლმე თქმა – ყველა სიმდიდრეს ადამიანის ჯანმრთელობა ჯობიაო.

სრული სიმართლეა.



დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა ლოს-ანჯელოსში და ორშაბათს, ოთხ ივლისს დილის 11 საათზე უკვე აეროპორტში ვიყავით. აქ დავინახეთ გაფიცულ ინჟინერთა პიკეტები აეროპორტის სალაროებთან. ვიკითხეთ, რა მოხდა-თქო და აგვიხსნეს შემდეგი: ერთ-ერთ საჰაერო კომპანიას რეაქტიულ თვითმფრინავებზე, ხარჯების შემცირების მიზნით გაუუქმებია ბორტმექანიკოსების თანამდებობა და ეს საქმე თვით პილოტებისათვის დაუვალებია. ახლა, ბორტმექანიკოსთა სოლიდარობის მიზნით გაფიცულან ამ კომპანიის საჰაერო ინჟინრები, გადაუკიდიათ გულზე და ზურგზე პლაკატები წარწერებით: „არ იყიდოთ ბილეთები ამა და ამ კომპანიის სალაროში, გაფიცულია ამ კომპანიის ინჟინრები.“ ჩვენ გადავიღეთ გაფიცულ მოპიკეტეთა სურათები, გამოვესაუბრეთ მათ, რაზედაც გულმოსულმა პოლისმენმა მოპიკეტეს მკაცრად შენიშნა და უბრძანა, ერთ ადგილზე ნუ გაჩერდებითო.




აკაკი ბელიაშვილი  
ნიუ-იორკი, 1960



აკაკი ბელიაშვილი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში  
ნიუ-იორკი, 1960






აკაკი ბელიაშვილი და ნიკოლოზ (კოლია) პიპინაშვილი  
ნიუ-იორკი, 1960



აკაკი ბელიაშვილი და ფელიქს ვისოცკი  
ნიუ-იორკი, 1960



აკაკი ბელიაშვილი  
ნიუ-იორკი, 1960




ფოტოს უკანა მხარე



აკაკი ბელიაშვილი  
ნიუ-იორკი, 1960





აკაკი ბელიაშვილი საჯარო ბიბლიოთეკასთან  
ნიუ-იორკი, 1960





ფელიქს ვისოცკი და აკაკი ბელიაშვილი  
ნიუ-იორკი, 1960



კინემატოგრაფისტთა ტურისტული ჯგუფი: აკაკი ბელიაშვილი, რეჟისორი გრიგორ  
როშალი, მსახიობი ლიდა სუხარევსკაია და უცნობები  
ზღვისპირა პარკი უოლსტრიტის დასაწყისში, ნიუ-იორკი, 1960



აკაკი ბელიაშვილი მანჰეტენზე  
ნიუ-იორკი, 1960



აკაკი ბელიაშვილი მანჰეტენზე  
ნიუ-იორკი, 1960



აკაკი ბელიაშვილი  
ვაშინგტონი, 1960

ჩვენ მაინც არ შევეპუეთ პოლიციელს, მოპიკეტეს სამკერდე ნიშნები ვაჩუქეთ, ჩვენებური პაპიროსებით გავემასპინძლდით და „გუდბაის“ ძახილით დავემშვიდობეთ.

დღის პირველ საათზე ოთხმოცობრიანი რეაქტიული თვითმფრინავი შურდულივით ავარდა ცაში და კურსი ჩიკაგოსაკენ აიღო. ფანჯრიდან კარგად მოჩანდა დედამინა და რასაც ვხედავდი, თვალებს არ ვუჯერებდი. მთელი ეს სამოთხისებური ზღვის სანაპირო, სადაცაა მოთავსებული ქალაქი ლოს-ანჯელოსი და საერთოდ, ეს ნაკურთხი კალიფორნია თურმე არცთუ ისე ფართო ზოლს წარმოადგენს, ხოლო ამ ზოლის შემდეგ იწყება ყავისფრად გადარუჯული, უტყეო და უწყლო უდაბნო ცისკიდურიდან ცისკიდურამდე თვალუნვდენი და შემზარავად მოსაწყენი. აი, ამ უდაბნო ადგილების მორწყვის პრობლემა მართლა რომ გადაუჭრელი ამოცანაა. ჩვენ გადავუარეთ შტატებს: იუტას და კოლორადოს, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან უდაბნოებით. გადავუფრინეთ გრან-კანიონს რომელიც, მართლა რომ ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მას წარმოუდგენლად დიდი სიმაღლიდან დავყურებთ.

მხოლოდ აიოვასა და ნებრასკას შტატების ტერიტორიაზე გამოჩნდა სიმწვანე და თვით ჩიკაგოს მიდამოებში მართლაც მოგვხიბლა ტყის კორომებმა.

ხუთი საათის ფრენის შემდეგ დავეშვით აეროდრომზე. აქაც მოედნებზე მანქანათა გაუთავებელი მწკრივები და ავტოსტრადაზე ასევე, გაუთავებელი მდინარება ფერად-ფერადი ლიმუზინებისა.

ჩიკაგოს გარეუბნები ესაა აგურის ორსართულიანი მყუდრო შენობების გაუთავებელი მწკრივები. ტროტუარები დაჩრდილულია ცაცხვებით და სხვა დეკორატიული ხეებით. შენობები საოცრად მოვლილია და ერთმანეთს ეჯიბრებიან შნოსა და ლაზათში. აქაც სახლის წინა ბაქნები მოფენილია თითქო თარგში აჭრილი მოლის ოთხკუთხა ხალიჩებით. ქუჩებში იშვიათად დაინახავთ გამვლელებს და უფრო ნაკლებად, ბავშვებს.

*ქალაქის ის ნაწილი, რომელიც მიუყვება მიჩიგანის ტბის სანაპიროს, ესაა ცათამბჯენების გაუთავებელი მწკრივი. მათი უმეტესობა შავი ჭვარტლითაა გაბოლილი და შუშის თვალებს ბრაზიანათ აბრიალებენ. საერთოდ, ჩიკაგო ცნობილი იყო უამრავი ქარხნების ბოლით მონამლული ჰაერით. ხანდახან, როდესაც ჰაერი ზედმეტი სინოტივით იყო ხოლმე თურმე გაჟღენთილი, ჩიკაგოში ლამესავით ბნელდებოდა, რადგან მთელი ჭვარტლიანი ბოლი ძირს წვებოდა და ქალაქს თავის ყომრალ ნისლში ხვევდა. ეს ბოლი სიცოცხლეს*



უმნარებდა მცხოვრებლებს, ინვევდა ყველაზე საშინელ ავადმყოფობებს: ფილტვების კიბოსა და ქლექს და ამიტომ ეს ქალაქი ყველაზე საშინელ ადგილ-საცხოვრებლად ითვლებოდა მთელს ამერიკაში. მხოლოდ სულ ამ ბოლო ხანებში მოჰკიდეს ხელი ინჟინრებმა ჰაერის გასუფთავების საქმეს, მოაწყვეს ბოლის დამჭერი საგანგებო აპარატები და არათუ განმინდეს ჰაერი, არამედ მიიღეს ქიმიური მრეწველობისათვის მთელი რიგი ძვირფასი პროდუქტები.

ამჟამად ჩიკაგოში გაცილებით უფრო სუფთა ჰაერია, ვიდრე ნიუ-იორკში, ხოლო ახლადგებული ცათამბჯენები უკვე თვალისმომჭრელად კრიალებენ.

გავჩერდით სასტუმრო „ჰამილტონში“ ქალაქის ცენტრში. ზედ სასტუმროს შესასვლელთანვე მეტროპოლიტენში ჩასასვლელი, ვინრო და უბრალო კიბეა, ისეთი, როგორსაც ჩვენში აკეთებენ სახლის მეპატრონენი სარდაფში ჩასასვლელად. სასტუმროს წინ კი ამართულია ცათამბჯენები, მათ შორის თვალსა გვჭრის უჟანგავი ფოლადისაგან და შუშისაგან ნაგები მრავალსართულიანი შენობა, მგონი ფოლადის მრეწველობის ტრესტისა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სილამაზის მხრივ თავისი ამ ცათამბჯენებით, ქუჩებით, სანაპიროთი, მდინარით და მდებარეობით ჩიკაგო გაცილებით ლამაზია და მიმზიდველი, ვიდრე ნიუ-იორკი.

როდესაც ქალაქს ვუახლოვდებოდით, ჩვენ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მოვდიოდით მეტროს გვერდით, რომელიც ქალაქგარეთ მიწის ზემოთაა. რამდენიმე სადგური გამოვიარეთ მეტროსი, და მე ამ სადგურებზე არ დამინახავს ერთი ან დიდი-დიდი ორი მომლოდინე მგ ზავრისა, ხოლო რაც შეეხება თვით მატარებელს, მთელი ამ მანძილის გავლისას ბარემ ათიოდე სადგურს ჩავუარეთ და ბოლოს ძლივს დავინახე ორვაგონიანი მატარებელი მიჩანჩალებდა. როგორც ეტყობა, ხალხი მართო განსაზღვრულ საათებში თუ სარგებლობს ამ სახის ტრანსპორტით ან შეიძლება, ავტომობილიზმის განვითარებამ დაუკარგა მას მუშტარი. ჩვენ გვითხრეს, რომ ჩიკაგოში სამი მილიონი ავტომანქანა მოძრაობსო. ასეთი რაოდენობის შემდეგ, არც გასაკვირია, რომ მეტროს მუშტარი არა ჰყავდეს.

სალამოს, ვახშობის შემდეგ, გავუყევით ჩიკაგოს ქუჩებს. გავედით განიერსა და მდიდრულ მიჩიგან ავენიუზე, ავუარეთ რადიოსა და ტელევიზიის ცათამბჯენს, მივადექით ხიდს, საიდანაც მოჩანდა ტბის სანაპირო. ზანტად მოლივლივე მდინარეზე სისხლისფრად ელავდნენ ცათამბჯენებზე აცვარებული რეკლამის სინათლის ანარეკლები, შორს, ტბისპირა პარკში კი ფეიერვერკი გაემართათ და შუშხუნებსა და მაშხალებს უშვებდნენ ჰაერში. უნდა



გულახდით ვთქვა, რომ ეს იყო პიროტექნიკული ხელოვნების უმშვენიერესი დემონსტრაცია. ცაში ატყორცნილი ყოველი შუშუნა გასკდომის დროს ქმნიდა ისეთ წარმტაც ფიგურებს, რომლის მსგავსი მე ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. იმდენად მომხიბლავი იყო ეს სანახაობა, რომ ჩვენ საათზე მეტი ვიდუქით და ვუცქეროდით ნაირ-ნაირი ფერადებით აჭრელებულ ცეცხლოვან სურათებს. თვით ჩვენი გიდი, მისტერ კიმი მოხიბლა ნახულმა და გულწრფელად მეუბნებოდა, როგორ მიხარია, რომ ამ ფეირვერკს შევესწარიო.

მდინარის პირას დავინახეთ დიდი ყაზარმისებური მონითალო შენობა, რომლის წინ მდინარეზე იდგა საკმაოდ მოზრდილი გემი. შენობა „ჩიკაგოტაიმსის“ რედაქცია და სტამბა აღმოჩნდა, ხოლო გემით თურმე ქალაქი მოჭქონდათ სტამბისათვის.

სხვათა შორის, ჩიკაგოში ზოგიერთი ქუჩის ქვეშ გადის მეორე ქუჩა, რომელზედაც უმთავრესად საბარგო მანქანები და სარეისო ავტობუსები დაჭქრიან. ასეთი ქუჩა მიუყვება მდინარის სანაპიროსაც.

ჩიკაგოშია აგრეთვე ჰაერში დაკიდული, ანუ სვეტებზე შემდგარი რკინიგზა, რომელიც მეორე თუ მესამე სართულის სიმაღლეზე მიუყვება ქუჩას და რა საამო ხმაური იქნება იმ მცხოვრებთა თუ მოსამსახურეთათვის, რომელნიც ამ ქუჩებზე ცხოვრობენ ან მუშაობენ, ადვილი წარმოსადგენია.

ღამით ქუჩები ჩიკაგოშიაც უმთავრესად რეკლამების ხარჯზეა განათებული. იქ, სადაც ეს რეკლამები არ არის, ქუჩებიც საკმაოდ ჩაბნელებულია.

გაზეთის გახსენებაზე უნდა ავწერო ამერიკული გაზეთი. ესაა დაახლოებით ოცდათორმეტგვერდიანი მთელი დასტა, თითქმის თავიდან ბოლომდე სარეკლამო განცხადებებით აჭრელებული. განა ყველასა აქვს სურვილი იკითხოს ერთიდაიგივე მომაბეზრებელი სარეკლამო განცხადებები შედედებულ რძეზე, კბილის ჯაგრისებზე, ახალმოდურ კორსეტებზე, კოკა-კოლაზე, სარეცხ მანქანებზე, კუბოებზე, სამგლოვიარო გვირგვინებზე და ვინ მოსთვლის რაზე ან ვისზე არ არის განცხადება გაზეთში; ან რომელი მოცლილი იქნება ყოველდღე ფურცლოს ეს გაზეთი და თავიდან ბოლომდე იკითხოს განცხადებები. მაშ, როგორ უნდა წააკითხონ იგი ადამიანს. ამისთვის უბრალო ხერხი მოუგონებიათ. ხედავთ გაზეთის წინა გვერდზე რაიმე სენსაციური ცნობის სათაურს და გაფაციცებული ინტერესით იწყებთ კითხვას. სწორეთ ყველაზე საინტერესო ადგილას ამბავი წყდება და იქვე კითხულობთ: გაგრძელება ამ ამბისა ნახეთ მეხუთმეტე ან მეოცე გვერდზეო. გადაშლით ამ გვერდს და სანამ ამ ამბის გაგრძელებას იპოვიდეთ, მთელი გვერდი უნდა შეათვალიე-

როთ. აი, აქ უკვე იძულებული ხართ ძალაუნებურათ, ზოგიერთ განცხადებაზე თქვენი ყურადღება შეაჩეროთ. ასეა ყოველი სტატია, მოთხრობა, სენსაციური ცნობა დანანეგრებული და მიმობნეული სხვადასხვა გვერდებზე. ძალაუნებურად, თქვენც იძულებული ხართ, თავიდან ბოლომდე ფურცლოთ გაზეთი, რომელიც სულ უკანასკნელი, ნახევარ კილოს იწონის.

ასევეა ტელევიზიაც. სასტუმროს ნომერში იდგა მოზრდილეკრანიანი ტელევიზორი და ჩვენ ვცადეთ დაძინების წინ ამით მაინც გაგვერთო თავი. ჩავრთეთ. ვხედავთ რალაც სურათი მიდის. მოულოდნელად მოქმედება შეცვალა სამულტიპლიკაციო სარეკლამო სურათმა, მაგიდასთან მიმჯდარი ახალგაზრდა კაცი იძლეოდა განმარტებებს ახალი სახის კონსერვის ღირსებების შესახებ, ხსნიდა ქილას, გადმოჰქონდა იქედან საინზე რალაც საზიზღრობა და შემდეგ გვიჩვენებდა თუ როგორ სწრაფათ იზრდებიან ბავშვები თუ ამ კონსერვს მიირთმევენო... ამის შემდეგ გაგრძელდა იგივე სურათი, რომელსაც გვიჩვენებდნენ, მაგრამ ვერ მოვასწარით ერთი ეპიზოდი მაინც წესიერად გვენახა, რომ ისევ დაინყეს ახალი სარეკლამო ნაწყვეტის ჩვენება, ახლა რალაც საღებავს, თუ მანქანის გასაპრიალებელ პასტას ანუ გოზს გვიჩვენებდნენ. მე და ნიკოლოზი მანქანების პატრონები გახლავართ და ეს სარეკლამო ნაწყვეტი მართლად ინტერესით ვნახეთ. ვილაც ხანშიშესული მამაკაცი აცხებდა ამ საგოზავს მანქანის კაპოტზე, შემდეგ რბილი ჩვრით გაფერავდა იმ ადგილს და მანქანის ზედაპირი ნამდვილად სარკესავით ლაპლაპებდა.

ინტერესით ვნახეთ-თქო მოგახსენეთ, მაგრამ ეს ერთხელ. ხოლო მეორეთ, მესამეთ, მეოთხეთ და ასე გაუთავებლათ ყოველდღე რომ ვნახოთ ერთი და იგივე, საეჭვოა, რომ ან ჩვენ არ დაგვემართოს რაიმე ფარსავი ან ტელევიზორს. ამიტომ, მიუხედავათ იმისა, რომ ტელევიზიით თითქმის ათამდე სხვადასხვა პროგრამას გადასცემენ, ძალიან საეჭვოა, რომ ვისაც იგი სახლში უდგას, ხშირად სარგებლობდენ ამ გასართობით. მგონი, აღარც ბავშვებს იტაცებს მათი ცქერა.



მეორე დღეს კვლავ ავტობუსით ვიმოგზაურეთ ქალაქში. უნდა ითქვას, რომ ეს ცათამბჯენები იმდენათ ერთფეროვანია, რომ ვისაც ვთქვათ, ნიუ-იორკი გინახავთ, ამის შემდეგ ჩიკაგოს დათვალიერება დიდ ინტერესს არ იწვევს. ცხადია, ჩიკაგოში არის ბევრი ისეთი რამ, რაც სანახავად დიდ ინტე-

რესს წარმოადგენს, მაგრამ ვინაიდან საამისო დრო არა გვაქვს, ამიტომ ასე გაჭენებული ვათვალიერებთ ქალაქს. ვიყავით მიჩიგანის ნაპირას, სადაც უდიდესი აკვარიუმია ათიათასი ჯიშის თევზით. ვნახეთ იქვე კერძო თვითმფრინავების მეპატრონეთათვის არსებული აეროდრომი, რომელზედაც ყოველ წუთში ეშვება და აფრინდება ხოლმე პატარა, ორადგილიანი თვითმფრინავი. ისმის მათი კრაზანებივით გამუდმებული ბზუილი. მიჩიგან ავენიუზე დაგვანახვეს ყველაზე კარგი მაღაზიები, მასონების ტაძარი, მეჩეთი, სასტუმრო, სახელწოდებით „ტიპ-ტოპ-ტაპ“, წყალსანეო გიგანტური კოშკი, ლინკოლნის თვალუწვდენი პარკი, შესანიშნავი შადრევნებით. ბევრია ძეგლები, ბოტანიკოსი ლინნეისა, ბეთჰოვენიისა, ანდერსენისა. პარკში შეიძლება ნაქირავები ცხენებით სეირნობა, საათში ერთნახევარ დოლარათ. ჩვენი გავლისას თვალი მოგვკარით ასეთ მოსეირნებებს. ლინკოლნის ძეგლზე ასულიყვენ ბავშვები, ზოგი მის სავარძელზე აცოცებულიყო, ზოგი სავარძლის ქვეშ შემძვრალიყო, ზოგი მუხლებზე გადამჯდარიყო და ამ სანახაობამ ყველაზე უფრო მოგვხიბლა.

შემდეგ გვაჩვენეს ის უბანი, სადაც გამართულია ღამის კლუბები: „მისტერ კელი“ და სხვა ამის მსგავსი. აქაო, გვითხრეს, ცხოვრება იწყება ღამის ცხრა საათზე და მთავრდება დილის ექვს საათზე, ამიტომაც რომ ამ დილით აქ ყველაფერი ჩასარქულ-ჩაკეტილია.

ჩავუარეთ რკინიგზის სადგურს და ესტაკადით გადავჭერით ლიანდაგის უამრავი მწკრივები. გვითხრეს, რომ ჩიკაგოში დღეში მოდის ათასშვიდასი მატარებელი.

ვინახულეთ ზანგების უბანი. უხეო შიშველი ქუჩები და სამსართულიანი აგურის სახლები. დახუთული ჰაერი. სახლებს ეზოები არა აქვთ და ბავშვები ქუჩაში თამაშობენ.

ჩიკაგოში რვაასი ათასი ზანგია. დაბალი ფასის მქონე ზანგები პირდაპირ საცოდავ მდგომარეობაში არიან. ბინის ქირას ვერ აუდიან და მათ კინისკვრით ერეკებიან გარეთ.

ყველაზე მეტი, რაოდენობის მხრივ, ჩიკაგოში არიან პოლონელები. ალბათ ამიტომაც, რომ აქ მასარიკის ძეგლსაც კი ნავანყდით. საერთოდ, ამერიკაში ექვს მილიონზე მეტი პოლონელი ცხოვრობს თურმე.

საერთოდ, ჩიკაგო ნამდვილი კათოლიკური ქალაქია, თუმცა აქ ისეთი კოლოსალური სინაგოგები ვნახეთ, მგონია, არც ებრაელები ჩამორჩებიან კათოლიკებს.

ქალაქის დათვალიერების შემდეგ გავემგზავრეთ კინოფილმების გამ-  
ქირავებელი საზოგადოების „ბალაბან და კაც“-ის სამმართველოში, სადაც  
გაიმართა საუბარი. საზოგადოების ხელმძღვანელებმა გვიამბეს, რომ ჩვენი  
ფირმა ფლობს ბევრ საკუთარ კინოთეატრს და საერთოდ, მომსახურეობას  
ვუწევთ ოთხმოცზე მეტ ამ სანახაობით დაწესებულებასო.

მაგრამო – გვითხრეს მათ – ჩვენ სპეციალურად ვსწავლობთ და ვეძიებთ  
გზებს, რომ როგორმე კინო-თეატრებში მოვიზიდოთ მაყურებელი, რომელ-  
თა რიცხვი კატასტროფიულად ეცემაო. აქაც გაგვიმეორეს ტელევიზიამ,  
ბეისბოლის და ფეხბურთის სასპორტო სტადიონებმა, ცხენოსნობამ და სხვა  
სახის გასართობებმა სავსებით წაართვეს მაყურებელი კინოს და ამჟამათ  
უდიდესი კრიზისის წინაშე ვართო. მართალია, კინო-თეატრებში კონდიცი-  
რებული ჰაერიცა გვაქვს, რევიუს აღარა ვდგამთ, მაგრამ სამაგიეროთ მო-  
ვანყეთ გარაჟები მაყურებელთა მანქანებისთვის, მაგრამ არაფერი არ შეე-  
ლის და თუ რაიმე გადამჭრელი ზომები არ მივიღეთ, არ ვიცი, როგორ იქნე-  
ბა ჩვენი საქმეო. ისინი საუბრის დროს ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი,  
თითქო ამ სასწაულმოქმედი ნატურისთვალისთვის უკვე მიეგნოთ, მაგრამ  
ასეთი საუბარი ჩვენ უკვე მოსმენილი გვქონდა, ჰოლივუდის ჩამკვდარი პა-  
ვილიონები უფრო კარგად მეტყველებდნენ მათ წარმოუდგენელ კრიზისზე,  
ასე რომ, ერთი გამოთქმისა არ იყოს, ეს კერძო მეპატრონენი: „მხიარულ სა-  
ხეს გვაჩვენებდნენ მაშინ, როდესაც ხელში ბითური კარტი ეჭირათ“.

საუბრის შემდეგ მიგვიწვიეს საპროექციო დარბაზში და გვაჩვენეს ახა-  
ლი ამერიკული კინოკომედია „აპარტმენტ“ (ბინა) დადგმული რეჟისორ  
ბილლი უაილდერისა. მთავარ როლებს ასრულებენ ჯეკ ლემმონი და შერლი  
მაკლეინი.

სურათის შინაარსი ასეთია: ახალგაზრდა კაცს, სადაზღვევო ფირმის თა-  
ნამშრომელს, ხშირად უხდება სამსახურის შემდეგ დიდი ხნით ქალაქის ბალ-  
ში სეირნობა და მერხზე წაძინებაც კი, რადგან თავის ოთახს უთმობს თანა-  
მოსამსახურეებს საყვარლებთან შესახვედრათ. ასეთივე განზრახვით ისარ-  
გებლებს ფირმის დირექტორი, რათა ინტიმურად შეხვდეს თავისი კანტორის  
ლიფტიორ გოგონას, რომელიც უყვარს ფილმის მთავარ გმირს. დირექტორი  
ოთახის გასაღების დათმობის ფასად ახალგაზრდა კაცს თანდათანობით  
დიდათ აწინაურებს და ბოლოს, თავის მოადგილეთაც კი გახდის. ლიფტიო-  
რი გოგონა გადანყვეტს თავის მონამვლას, სწორეთ ამ ახალგაზრდა კაცის  
ოთახში დირექტორთან შეხვედრის შემდეგ და დალევს უამრავი რაოდენო-

ბით დასაძინებელ აბებს. მეზობელი ექიმის დახმარებით ახალგაზრდა კაცი გადაარჩინეს ქალს, ხოლო როდესაც დირექტორი ახალწლის ღამისათვის ისევ თხოვს გასაღებს ახალგაზრდა კაცს, რომ გოგონა კვლავ მიიყვანოს მის ოთახში, ხოლო უარის შემთხვევაში გაგდებით ემუქრება, ახალგაზრდა ამაყად უპასუხებს, გასაღებს არ მოგცემთ და არც სამსახური მინდაო. ხოლო ღამით, როდესაც დირექტორი გოგონას უამბობს ახალგაზრდამ თავისი დიდი თანამდებობა გასწირა იმისთვის, რომ ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედროდითო, გოგონა სტოვებს გაოცებულ დირექტორს და გარბის ახალგაზრდა კაცთან, სადაც ორთავენი გრძნობით ეხვევიან ერთმანეთს.

უნდა ითქვას, რომ ფილმი მშვენივრადაა დადგმული. ამ ფილმში მხილებულია ამერიკული დანესებულებების ბიუროკრატიული აპარატის გახრწნა და ზნეობრივი დაქვეითება. აქ თქვენ ნათლად ხედავთ, თუ როგორი საფასურით წინაურდებიან ამერიკაში სამსახურში ახალგაზრდები და როგორ ადიან ისინი თანამდებობათა კიბეზე.

მთელი ჩვენი მოგზაური ჯგუფი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ სურათის ჩვენება არ იქნებოდა ურიგო ჩვენს ქვეყანაშიაც.

როდესაც სასტუმროში დავბრუნდით, დავინახეთ, რომ რაღაც უცნაურ ფორმაში გამოწყობილი სასულე ორკესტრის დამკვრელები საზეიმო ჰიმნით ეგებებოდნენ ვილაცას, ასეთივე ტანსაცმელში გამოწყობილ „საპატიო“ პირს, მთელი ამალით გარშემორტყმულს.

ამ ფორმის ტანსაცმელმა ცოტა არ იყოს, დაგვაეჭვა. ეს იყო ოდნავ მოყვითალო პიჯაკები. ზურგზე ყოველ მათგანს ამოქარგული ჰქონდა დიდი წრე, ხოლო ამ წრის ცენტრში მეორე მომცრო წრე, რომლის ყვითელ ფონზე ამოქარგული იყო „ლომი“. თავზე მამაკაცებს ეხურათ ისეთივე ქუდეები ორ მხრიდან ამონვეტილ ყაითნით, როგორიც ეხურათ ესპანელ და იტალიელ ფაშისტებს.

ყოველ მათგანს გულზე მიკრული ჰქონდა ქალაღდის ბრჭყვიალა ორდენი წარწერით: „დელეგატი“. იყვნენ ქალებიც. დავინახეთ ბავშვებიც ასეთივე ფორმით.

ვეკითხები მისტერ რუბინს, ვინ არიან-მეთქი ეს თქვენი „ლომები“.

მისტერ რუბინს ერთი მისთვის სასარგებლო ოინი აქვს მოგონილი, როცა არ უნდა წესიერი პასუხი გაგცეს, დააღებს პირს ააა-ს ძახილით, თითქო უჭირს საჭირო სიტყვის რუსულად მოგონება და სანამ ერთ სიტყვას ამოღერღავს, გული გაგინყალდება.

– აა... აა... ესენი... ესენი არიან... ორგანიზაცია....



– რა ორგანიზაცია? – დაჟინებით ვეკითხები, ვითომ ვერ ვხვდები, რომ პირნავარდნილი ფაშისტური ორგანიზაციაა და ისე თავისუფლად მართავენ ყრილობას, თითქო არაფერიო.

– ეს... ეე... როგორ გითხრათ... ესენი... ვთქვათ, საჭიროა კომუნალური გაუმჯობესება... ეს ორგანიზაცია... იბრძვის ასეთი გაუმჯობესებისათვის...

– ამისთვის დაირქვეს „ლომები“? ზურგზე რაღათ გაუკეთებიათ ტირის სასროლი ნიშანი, ესე იგი თუ მტერს ზურგი ვაჩვენოთ დაე, ზუსტად ამოგვიღოს ნიშანშიო, არა? მერე და რაში ჭირდებათ ასეთი მყვირალა ნახევრად-სამხედრო ფორმა?..

მისტერ რუბინს საბოლოოთ დაება ენა და ველარაფრით ვერ მოძებნა საჭირო სიტყვა რუსულად, ჩემთვის რაიმე ეთქვა პასუხად.

აი, ახლა კი მწარედ ვინანე, რომ არ ვიცოდი ინგლისური.

სალამოს მე და ფელიქსი გავედით ქუჩაში სასეირნოთ და ზოგიერთი კადრების გადასაღებათ. იმ კაფეტერიუმის წინ, სადაც ჩვენ ვსადილობდით, იყო ის შენობა, სადაც მიმდინარეობდა „ლომების“ ყრილობა.

მოულოდნელად მომესმა, ვიღაცა მომმართავდა, მოვიხედე და იქვე, კედელთან ჩამჯდარიყო მართლაცაა ლომივით ვაჟკაცი, ყავარჯნები კედელზე მიეყუდებია და ქუდგაშვერილი ხელით მონყალებას ითხოვდა. მე ოცი ცენტის ჩაუყარე ქუდში და მან ისეთი მადლიანი ღიმილით მითხრა მადლობა, მზათ ვიყავი, კიდევ მიმეცა ფული. არ ვიცი, ეს ლამაზი ვაჟკაცი რამ გაახეიბრა, ომმა, მრენველობამ თუ შემთხვევით საავტომობილო კატასტროფამ, მაგრამ ამ სახეჩაჟინჟლილებული და მაძლარი „ლომების“ ფონზე ეს ხელგანვდილი მათხოვარი ბევრის მეტყველი რამ იყო. ფელიქსმა მაშინვე აამუშავა თავისი კინოაპარატი და იგი ფირზე აღვბეჭდეთ.

ჩვენი სასტუმროს ახლოს ვიტრინაში გამოფენილი იყო შავკაბიანი ქალების მანეკენები. ეს გულმოდლეთი ქალები რევოლვერებით ხელში ან ერთმანეთს იღებდნენ ნიშანში, ან ცარცვავენენ, ან თავს იკლავდნენ.

გაოცებულმა ვიკითხე, ეს რა ამბავია, ან რას ნიშნავს-მეთქი. თურმე ნარწერები გამცნობდნენ: „იყიდეთ ბანდიტური ფერის კაბებიო“.

მეორე დღეს პროგრამის მიხედვით დავათვალიერეთ რამდენიმე უნივერსალური მაღაზია. საქონელი ცხადია, ბევრია, მაგრამ არცთუ ისე კარგი, როგორც გვგონია, ან როგორსაც ნახავ პარიზის უნვერსალურ მაღაზიებში, აქ ბევრია კოლონიალური და ნახევრადკოლონიალური ქვეყნებიდან შემოზიდული საქონელი, როგორც მზა ტანსაცმელი და საგალანტერეო ნივთები,

აგრეთვე ქსოვილები. სართულებს შორის არის ესკალატორები. არის ცალკე ლიფტებიც. თითოეული ამ მაღაზიის დავლას მთელი დღე არ ეყოფა. სულ ზედა სართულზე ავეჯეულობის განყოფილებაა და რესტორანი. ავეჯი ძალზე უგემოვნო და ცუდი ფორმისა იყო, თუმცა ძვირფასი ხისა და ალაპლაპებული. ქალაქის განაპირა პატარა მაღაზიებში გაცილებით უკეთესი ავეჯი ვნახე.

ეს უნივერსალური მაღაზია ჩვენი ქალებისათვის ალბათ, უნეტარესი სანახაობა იქნებოდა, მაგრამ მე მალე მომაბეზრა თავი და სხვა ასეთი მაღაზიების სანახავად აღარ წავედი. გაცილებით ვამჯობინებდი რომელიმე მუზეუმის ნახვას, მაგრამ ჩვენი სანახაობათა პროგრამა ჩიკაგოში ამოინურა და ახლა უკვე მეორე დღეს დილით ნიუ-იორკისკენ უნდა გავდგომოდით გზას.

სალამოს უკვე მოწყენილი დავეხეტებოდით ქუჩებში, მე ჩემი შვილიშვილი მომაგონდა და ისე მომინდა იმისი ნახვა და გულში ჩაკვრა, რომ ვინატრე, ნეტა ისეთი თვითმფრინავი იყოს, ახლა ავფრინდე და გზაში გაუჩერებლად პირდაპირ თბილისში ამოვყო-მეთქი თავი.

ალბათ, მალე არც ეს იქნება გასაკვირი მოვლენა.



ისევ ნიუ-იორკში ვართ. ხვალ ჩვენ უნდა დავათვალიეროთ უოლ-სტრიტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა და ბოლოს, უნდა ავიდეთ ემპაირ სტეიტს ბილდინგის კენწეროზე, ას მეორე სართულზე.

დღეს კი ამდენი სანახაობით გაბრუებულნი ქუჩებში ხეტიალსაც კი აღარ ვაპირებთ. წამოვწყით სასტუმროში, ჩავრთეთ ტელევიზორი და მოულოდნელად მართლა სასეირო სანახაობას წავანყდით. გადაცემდნენ ამერიკულ ჭიდაობას. ვისაც ეს ჭიდაობა არ უნახავს, იმას ამერიკა არ უნახავს. მე ვფიქრობ, ამ ჭიდაობაშია მთელი სისავსით აღბეჭდილი ამერიკის ნამდვილი სახე.

რას წარმოადგენს ეს ჭიდაობა.

საბოქსო რინგზე გამოდის ერთსა და იმავე დროს ოთხი მოჭიდავე, ორ-ორი თითოეული მხრიდან. მსაჯის სასტვენის შემდეგ პირველად ერთი წყვილი შეებმება ერთმანეთს, მაგრამ ისე კი არა, რომ პირველმა მეორეს ხელი მოჰკიდოს და შესაფერი ფანდებით ძირს დასცეს, არა, მაშინვე ეცემიან ერთმანეთს, რომ რაიმე ატკინონ, სცადონ მოსტეხონ, ან ხელი ან ფეხი. მაგალითად, პირველ წყვილში ერთმანეთს შეებნენ ერთი ტანდაბალი და მკვრივი მოჭიდავე და ვილაც გოლიათი, მაგრამ იმ ტანმორჩილმა მოულოდნელად სტაცა გოლიათს მაჯაში ორივე ხელი, გადაუგრიხა და აშკარად ლამობს, მო-

ტეხოს. გოლიათი გამწარდა, დაიჭყანა, აყვირდა, მერე როგორც იქნა ცალბეჭზე დანოლით უშველა თავს და მონინაალმდეგეს სახეში ნიხლი უთავაზა, თავი გაინთავისუფლა, წამოვარდა ზეზე და ტანმორჩილი მოჭიდავე ორჯერ მოცელა, დაასკდა ზემოდან, ჩაავლო თმებში ხელი და თავი არახუნებია იატაკზე. მაშინ გადმოიჭრა ასპარეზზე მეორე მოჭიდავე და გოლიათს ნიხლები დააზილა და დააზილა, გოლიათი მოუბრუნდა მეორეს, ახლა იმას სწვდა, მაგრამ მეორემ ჰაერში ნახტომი გააკეთა და ორივე ფეხი შიგ სახეში მიარტყა, გოლიათი მონყვეტით დაეხეთქა ძირს, ძლივს წამოდგა, მაგრამ ვერ მოასწრო გამართვა, რომ ამ მესამე მოჭიდავემ კვლავ გაიმეორა ილეთი და სახეში ორივე ფეხით მიაზილა ნიხლები. გოლიათი კვლავ დაეხეთქა ძირს, მაგრამ ახლა სცენაზე მისი დამხმარე მეოთხე მოჭიდავე გადმოიჭრა, მისწვდა თავისი მეგობრის დამჩაგვრელს, მიახვეტა კუთხეში დამაგრებულ სვეტთან და თითქო მის თავს კვახივით შუაზე უპირებდა გახეთქას, ისე ახათქუნებია ამ სვეტზე ეს მოხოტრილი თავი. ამანაც, გამწარებულმა ნიხლი უთავაზა მუცელში და კინალამ ნანლავეები გადმოაყრევინა. შემდეგ ტკივილებისაგან ოთხად მოკეცილ მონინაალმდეგეს დასტაცა ხელი და მანუჟის თოკებში გახლართა და გაყრონჭა. ახლა ისევ ამობლაცუნდა მანუჟზე პირველი გოლიათი, ეცა თავისი მეგობრის ამ დღეში ჩამგდებ მეოთხე მოჭიდავეს, ფეხით დაითრია, ატრიალა, ატრიალა, მოიქნია და პარტერში დასცა. მივიდა და ახსნა თოკებში გახლართული თანამებრძოლი, მაგრამ ახლა ტანდაბალი მოჭიდავე ამოიჭრა და ეცა გოლიათს. ეცა და თქვენს მტერს, რაც იმას დღე დააყენა. ლეკური ნაბადივით მოთელა, აჭანჭყარა, თავი ფეხებში გაუძვრინა, და ასე დახვეულ-დაგორგალეებული გადააგდო პარტერში. ერთის სიტყვით, მთელი ეს „ჭიდაობა“ წარმოადგენდა ერთმანეთის ცემა-ტყეპის, მსხვრევა-ლენვის, თმების დაგლეჯის, პირში თითების ჩაჩრის და ლოყების ხევის რალაც არაადამიანურ სანახაობას. ჩვენ ორი თუ სამი ოთხეულის ჭიდაობა ვიყურეთ. ერთი მოჭიდავე მახსოვს, გამოდიოდა რალაც ველურად მოზრდილი გრძელი თმებით. ცხადია, მას ეს თმები განგებ მოეზარდა, როგორც აუცილებელი „რეკვიზიტი“ თავისი გარეგნული ღირსებების გაუმჯობესებისათვის, იმიტომ, რომ მართლა სანახავი იყო, როდესაც მონინაალმდეგე ჩააფრინდებოდა ხოლმე მას ამ თმებში, დაითრევდა და ცარიელ ტომარასავით ბერტყავდა, თავისი გარეგნობითაც, ეს შიშველი კაცი რომ გამოვარდებოდა ყვავის ბუდესავით გაჩეჩილი და მხრებზე დაყრილი თმებით, გეგონებოდა სცენაზე რალაც პიტეკატროპის მსგავსი მხეცი გამოვარდაო.

სანამ ეს ჭიდაობა მიმდინარეობდა, პარტერიდან ისმოდა განუწყვეტელი ღრიალ-ხარხარი, ტაშის გრიალი, გამამხნევებელი შეძახილები, სტვენა და ერთი ვაი-უშველებელი.

გადაცემის დამთავრების შემდეგ მე და ნიკოლოზმა ერთმანეთს გადავხედეთ და უნებურათ მოგვაგონდა ჩვენი, უფრო სწორად, ჩემი თანატოლი მოჭიდავე ნიკოლოზ ქვარიანი, რომელიც გაგონილი მქონდა: ამერიკაში ჭიდაობდა ერთ დროს და ახლაც იქ არისო.

– იქნება ბიჭო, ნიუ-იორკში ცხოვრობს, – ვთქვი მე და ტელეფონის ნიგნაკს მივწვდი. გადავშალეთ, დავაყოლეთ თითი და ვხედავთ „ქვარიანი ნიკოლაი“.

ქვარიანს მე მოწაფეობის დროს შორიახლოს ვიცნობდი. იგი ათას ცხრაას ცხრამეტსა და ოც წლებში ქუთაისის ცირკში გამოდიოდა ხოლმე საჭიდაოთ და თვრამეტი წლის ჭაბუკი გოლიათებს ერკინებოდა. ის, ცხადია, მაშინ ჩვენი ნამდვილი გმირი იყო და მისი სახელი ყველას პირზე ეკერა. მახსოვს, ერთხელ ვილაც მოჭიდავის, მგონი, თათარ გენჯა-ალის ბენეფისზე უნდა დაჭიდებოდა ბენეფიციანტს. საცირკო ტრადიციის მიხედვით, ბენეფიციანტს აუცილებლათ უნდა წაექცია მოწინააღმდეგე და ეს იმიტომ, რომ წაქცეულს რევანშზე გამოეწვია წამქცევი და საკუთარ ბენეფისზე ახლა ის დაემარცხებია. ჩვენ, რამოდენიმე ამხანაგს, საოცრად გვინდოდა დავსწრებოდით ამ ჭიდაობას, მაგრამ ჯიბეში გროში კაპიკი არ აღმოგვაჩნდა. ავიღეთ და წერილი მივწერეთ ქვარიანს, აგერ ექვსი მოწაფე ვდგავართ და გვიშველე რამე-თქო.

ვხედავთ თითონ გამობაჯბაჯდა და გვიძახის, მოდით ბიჭებო, მოდით, დღეს შეიძლება შეგარცხვინოთ, მაგრამ გული არ დაგწყდეთო. ექვსივე შეგვიშვა პარტერში და თითონ კულისებისკენ გაემართა.

მართლაც, იმ ღამეს, ჩვენი კოლია, ბენეფიციანტმა ძირს გაშალა და ყველას გული ისე დაგვწყდა, თითქო ნამდვილად პატიოსანი ჭიდაობით წაქცეულიყოს. მან მაშინვე გამოიწვია რევანშზე მოწინააღმდეგე და თავის ბენეფისზე ქუთაისელბთა გულის გასახარათ იგი ხუთ წუთში ბეჭებზე დასცა.

ისიც მახსოვდა, რომ ქვარიანი მოწაფეობის დროს ბოლშევიკური ახალგაზრდობის „სპარტაკის“ ორგანიზაციაში ლეზულობდა მოწინააღმდეგეობას, გასაბჭოების შემდეგ ჭიდაობდა საბჭოთა კავშირის ქალაქებში, როსტოვში მიიღო მსოფლიო ფალანგის სახელწოდება და 1927 წელს გაემგზავრა საზღვარგარეთ. იქ, როგორც ეტყობა, სახელზე უფრო ფულის მოხვეჭამ გაიტაცა და საბოლოოთ, ამერიკაში დარჩა საცხოვრებლად.

– მოდი, დავურეკოთ, – მეუბნება პიპინაშვილი.

– ალბათ, აღარ ვეხსომები, – ვუთხარი მე, უხერხულია.

– დავურეკოთ, გაეხარდება საქართველოდან ჩამოსული ადამიანის ნახვა. იგი ჩვენი მეზობელი იყო ქუთაისში და ჩვენს ოჯახში ხშირად ყოფილა. იქნებ მე გავახსენდე, – თქვა ნიკოლოზმა.

ავიღეთ ტელეფონის მილი და რუსულ-ინგლისური „რაზლოვორნიკის“ დახმარებით ჩავძახეთ ტელეფონის ქალს ნომერი.

– ალლო, – მესმის ტელეფონში, თუმცა მილაკი პიპინაშვილს აქვს ყურზე.

– ქვარიანი ბრძანდებით? – ეკითხება აქედან.

და უცბათ ისმის რაღაც გაურკვეველი ქუხილი მილში. პიპინაშვილი ძლივს ასწრებს პასუხების გაცემას და ასე მგონია, მიკროფონში რაღაც ატომური რეაქცია ხდება და სადაც არის აფეთქდებაო, ისეთი გრიალ-ჭახჭახი მოდის იქედან. მართალია, მილაკი მე არა მაქვს მიდგმული ყურზე, მაგრამ ყოველი სიტყვა გარკვევით მესმის.

– შენ რომლის შვილი ხარ, – ვარჩევ სიტყვებს ამ ქუხილ-გრიალში – ტერენტი რა იყო შენი? ბიძა? მამაშენი მახსოვს როგორ არა, ცამეტი წლის ბაბილინა რო შეირთო ცოლად, ულამაზესი ქალი შენ იმის შვილი ხარ? რამდენჯერ ხელში ამიყვანიხარ.....

ქვარიანი დიდხანს ლაპარაკობს. მერე მე გამესაუბრა და ტელეფონით სცადა ეამბნა ჩემთვის, თუ როგორ დაამტკიცა მან ქართველების ნათესაობა შოტლანდიელებთან.... ჯერ ერთი იმით, რომ რაჭველებს და შოტლანდიელებს ერთნაირი გუდასტვირი აქვთ, მერე ჩვენი და მათი ენის რამდენიმე სიტყვა ერთმანეთს ემსგავსება თურმე...

ერთი სიტყვით, მთელი ლექცია წამიკითხა და მერე ორთავე მეორე დღისათვის მიგვიწვია სადილათ. ჩვენც აღვუთქვით, რომ მოვინახულებდით.

დილით ადრიანად გავემგზავრეთ უოლტ-სტრიტის უბანის დასათვალიერებლად. ეს უბანი კუნძულ მანჰეტენის სამხრეთის ბოლოზეა, ანუ უკეთ თუ ზღვის მხრიდან ვიანგარიშებთ, დასაწყისშია და გასცქერის თავისუფლების ძეგლს. თითონ უოლ-სტრიტი საოცრად ვიწრო ქუჩაა და ამ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს ეს ცამდე აყუდებული სახლები. სიტყვა უოლ-სტრიტიც ქართულად კედლის ქუჩას ნიშნავს. ჩვენ გვაინტერესებდა საბანკო ბიროს დათვალიერება და წაგვიყვანეს სწორეთ იქ, სადაც სააქციო ფასების ციებ-ცხელებაა გამართული. შევედით გაკრიალებულ და კონდიციონერული ჰაერით გაგრილებულ ვესტიბულში, ჩავსხედით ასეთსავე გაკრიალებულ



ლიფტში, გავიარეთ ოთახები, სადაც გამოფენილია სხვადასხვა სამრეწველო ფირმების რეკლამები, სადაც იძლევიან რალაც ბიულეტენებს და ცნობებს, გავედით დიდი და გრანდიოზული დარბაზის კედლების ზედ შუაწელზე შემოვლებულ მოაჯირიან ბაქანზე და გადავხედეთ ფულისა და ქონების ამ გიგანტურ ბაზარს. საგანგებო ეკრანებზე მოძრავი ფირით უჩვენებენ სხვადასხვა ფირმების აქციების ინდექსებს. დარბაზში კი თითქო საკოლმეურნეო ბაზარი, მონყობილია რალაც დახლის მაგვარი ნალისებური ფორმის ფარდულები. საანგარიშო მანქანებით, ტელეფონებით, რალაც საკარტოტეკო კარადებით. მთელ დარბაზში ფუტკარივით ირევიან მაკლერები და ისმის განუწყვეტელი ზუზუნ-გუგუნი. რალაცეებს ინერენ წიგნაკებში, შემდეგ ამოვლევენ ამ ფურცლებს და გადასცემენ დახლში მდგომ თანამშრომლებს. ისინი ამ ქალაქებს პნევმატიურ ფოსტის თუ რალაც ჯანდაბა-დოზანის ყუთებში აწყობენ, რალაცას აჩხაკუნებენ, სადაც რეკავენ და მე ისევ ვუცქერი ზემოდან მათ საქმიანობას, თითქო ჩემს თვალწინ მზით გამთბარ გუბეში თავკომბალები და ჭიჭყინები გარბი-გამორბოდნენ და წარმოდგენა კი არა მაქვს, რას საქმობენ, ან რისთვის დაქრიან ყველანი ნალმა-უკუღმა.

ასეთი ბირჟები არსებობს პარიზში, ლონდონში და საერთოდ, კაპიტალისტური ქვეყნების ყველა დიდ ქალაქებში. ძველ დროს პეტერბურგშიაც იყო და ამჟამად მისი შენობის მშვენიერი ფასადი ლენინგრადის არქიტექტურული ანსამბლების თვალსაჩინო ნიმუშია.

ბირჟის დათვალიერების შემდეგ გავნიეთ სანაპიროს ბალისაკენ, საიდანაც ჩანს თავისუფლების ძეგლი და მდინარე ჰუდზონზე აცურებული გემები. ბალი თითქმის ცარიელი იყო, მერხებზე ორიოდ ახალგაზრდა იჯდა. ერთ მათგანს გაეძრო ფეხსაცმელები და თავისი დაგრეხილ, დამეჭეჭებული თითებიანი ტერფები შიშვლად დაეწყო ფილაქანზე და ისე კითხულობდა წიგნს. გამახსენდა ო. ჰენრის მოთხრობა, ერთი ახალგაზრდა კანტორის მოხელე ათცენტიან წიგნებს რომ ყიდულობდა ბუკინისტებთან. მოვიდოდა შინ, გაიძრობდა ფეხსაცმელს, წამოწებოდა, სიარულით გახურებულ ფეხებს სანოლის ცივ რკინებზე მიაყრდნობდა და უდიდესი ნეტარებით დაინყებდა წიგნების კითხვას, სადაც ალბათ, ეწერა ამბები უეცრათ გამდიდრების შესახებ.

ახლა, სწორეთ ამერიკელი ამ დიდებული მწერლის გმირი აღმოჩნდა ჩემს გვერდით. იგი გატაცებით კითხულობდა რალაც წიგნს და ოდნავ შენითლებულ ფეხის გულებს ცივ ფილაქანზე დაბჯენით იგრილებდა.

მონმენდილი მზიანი დღე იყო, მაგრამ საამოდ გრილოდა.

მცირე ხნით სანაპიროზე შესვენების შემდეგ, ავტობუსით გავემართეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობების დასათვალიერებლად. ეს შენობა მანჰეტენის დასავლეთ მხარეზეა, მისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე. შენობა არცთუ ისე დიდი ხნის აგებულია. იგი თანამედროვე არქიტექტურულ სტილზეა ნაგები. ერთ მხარეზე დგას აყუდებული წიგნის მაგვარი ცათამბჯენი, მეორე მხარეზე კი სხდომათა დარბაზების შენობა. მაღალ რკინის რიკულებიანი მესერის გასწვრივ ფრიალებენ გრძელ შტანდარტებზე დამაგრებული სახელმწიფოთა აღმები.

სხდომების შენობაში საოცრად ვრცელი ვესტიბულია. აქ შეგვეგება ტანწერნეტა ლამაზი გოგონა, საგანგებო ფორმის ტანსაცმელში გამონყობილი, მკერდზე მიმაგრებული ჰქონდა ნაჭერი, რომელზედაც ამოქარგული იყო მისი სახელი და გვარი: მაია კობიაშვილი.

ჩემმა თანამგზავრებმა მაშინვე ჩემსკენ მოიხედეს და მომახარეს:

– ქართველი ქალი, ქართველი ქალი.

განსაკუთრებით როშალია აღტაცებული. იგი სულ გარშემო უტრიალებს გოგონას და გაიძახის:

– ვერ წარმომედგინა თუ ნამდვილ მზეთუნახავ ქართველ ქალს ნიუ-იორკში ვნახავდი.

მაია იღიმება. მან ძალიან ცუდათ იცის რუსული და სამწუხაროთ, ასევე ცუდათ ქართული, მაგრამ მაინც ლაპარაკობს:

– აქა ხარ დაბადებული, შვილო? – ვეკითხები ქართულად.

– არა ბატონო, გერმანიაში. აქ ათი წელია, რაც ვცხოვრობ.

– ქართული ვინ გასწავლა?

– დედამ და მამამ. ისინი ვაშინგტონში ცხოვრობენ. მე აქ.

– გათხოვილი ხარ?

– გათხოვილი რა არის ბატონო?

– ქმარი გყავს?

– ო, ჯერ არა.

– რამდენი წლისა ხარ?

– ოცდასამის, – ღიმილით მითხრა მან.

– ო, რამდენი ქართველი ბიჭი ინატრებდა შენს ქმრობას რომ დაანახვა შენი თავი. დაგშენდებოდა გვერდით, ერთი კარგი ქართველი ვაჟკაცი.

– ძალიან, ჩემო ბატონო, მაგრამ სად არის! – გულდანყვევით მითხრა მან და წინ გაგვიძღვა.

ჩვენ დავიარეთ გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოს და მთელი რიგი კომიტეტების და კომისიების სხდომათა დარბაზები. ყოველი მათგანი სრულიად ახალ სტილზეა ნაგები, ხოლო გენერალური ასამბლეის დიდ დარბაზში კედლებზე მიუხატავთ ლეჟეს აბსტრაქტული ფრესკები. დარბაზებში და ინტერიერებში ჰკიდია ერთგან ძვირფასი ირანული ხალიჩა ორასი წლის წინად მოქსოვილი, ერთგან გიგანტური გობელენი ბელგიიდან. დარბაზები გაფორმებულია ზოგი ნორვეგიელების და ზოგი შვედების მიერ. ყოველი სახელმწიფო სწირავს თავის რაიმე ღირსშესანიშნავი ნივთის ან ასლს, ან თვით ნივთს. აქვე ნახავთ ქანდაკებებს და მხატვრულ ტილოებს.

დავამთავრეთ დარბაზების დათვალიერება. გამოვედით ეზოში და რიგრიგობით ვიღებთ სურათს მაიკო კობიაშვილთან ერთად. ჩავინერე მისი მისამართი და შევპირდი, თუ ამ მოგზაურობაზე რამე დავნერე, აუცილებლად გამოგიგზავნი და თუ საქართველოში ჩამოხვალ, გაგინევ მაჭანკლობას და ერთი კარგი ვაჟკაცი შენთვის მალე მოიძებნება-მეთქი.

– ნახვამდის ბატონო.

– ნახვამდის შვილო, ბედნიერებას გისურვებ.

წავიდა ჩვენი მაიკო. ისეთი გულდანწყევით გავაყოლეთ თვალი, თითქო ჩვენიანი ახლობელი ნათესავი ვინმე წასულიყოს.

ავტობუსმა ახლა მიგვიყვანა იმ გიგანტურ შენობასთან, რომლის ტოლი მსოფლიოში არ არის და რომელსაც ეწოდება „ემპაირ სტიეტს ბილდინგ“.

ეს სახლი ზუსტად ერთი ჰექტარის ფართობზე დგას, ესე იგი მისი საფუძვლის სიგრძე-სიგანე ასი მეტრია, სიმაღლე კი ოთხასი მეტრი.

ჯერ გარს შემოვუარეთ, ქვევიდან ავხედეთ, სურათი გადავუღეთ. შემდეგ შიგნით შევედით, რალაც დერეფნები გავიარეთ, მივუხვიეთ, მოვუხვიეთ, მეორე სართულზე კიბით ავედით, ბილეთების საკონტროლო ზღუდე გავიარეთ და ლიფტს მივადექით. მეოთხმოცე სართულზე ამ ლიფტით ავფრინდით. იქედან კვლავ გავიარეთ დერეფნები და მეორე ლიფტზე გადავსხედით. ცოტა ხნის შემდეგ მეასე თუ ოთხმოცდამეხუთმეტე სართულის ბაქანზე გამოვედით და ნიუ-იორკს გადავხედეთ.

მთელი ეს გიგანტური ქალაქი ხელისგულივით მოჩანს. თუ ჩვენი სასტუმრო „ჰოვერნორ კლინტონი“ ქუჩიდან ცათამბჯენათ მეჩვენებოდა თავისი ოცდაათი სართულით, ზემოდან იგი მინაზე დაკრულათ მეჩვენება, ისეა ჩაკარგული ქვემოთ. მთელი ბროდვეი ჩვენს თვალწინაა და საერთოდ, აქედან ასე გგონია, ნიუ-იორკის ფერად რუქას დასცქერი. ჰუდზონზე საოკეანო გემი მიდიოდა.

ფელიქსმა მაშინვე მოიმარჯვა თავისი კინოაპარატი და ჩვენ ვეხვეწებოდით, ბიჭო, ამ ფანტასტიურ ფონზე როგორმე მოგვახვედრე-თქო. ბაქანზე აუარება ხალხი ტრიალებდა. აქედან ღამით კიდევ უფრო ფანტასტიური სანახავი იქნება ქალაქი, მაგრამ მე უფრო კმაყოფილი ვიყავი, რომ იგი დღისით ვინახული. ღამით მას თვითმფრინავიდან მოვკარი თვალი და დიდათ არ მოვხიბლულვარ. თუმცა, აქედან დანახული ღამის ნიუ-იორკი ცხადია, უფრო ნარმტაცი იქნება.

ამ შენობას, სწორეთ ამ მეოთხმოცე სართულზე მიეხეთქა ერთხელ თვითმფრინავი და დაიმსხვრა ისე, რომ მისი ეს დაჯახება, როგორც ჩვენ გვითხრეს, მარტო რამდენიმე სართულზე გაიგეს, დანარჩენ სართულებს არც კი გაუგიათ თუ რამე მოხდაო. არ ვიცი, ეს რამდენათ მართალია, ისე კი მახსოვს, ამ შემთხვევას რომ აღწერდნენ ჩვენი საბჭოთა გაზეთები, იქ ერთი დამსწრის ჩვენება იყო – ჩანანერი, ასე მეგონა, როდესაც თვითმფრინავი სახლს დაეჯახა, რომ შენობა ერთი მეტრით განზე გადაქანდაო.

„ემპაირ სტიეტს ბილდინგი“ მთლიანად დაწესებულებების კანტორებს უჭირავთ და აქ მუშაობს ოცდახუთათასი კაციო. ამ შენობაშია რამდენიმე კაფე და რესტორანი.

ჩვენ კიდევ ჩავსხედით ლიფტში და ავედით სულ მაღლა, იმ კოშკში, სადაც ფანჯრებში ჩასმულია პლასტმასის შუშები. და იქედან უნდა უცქირო ქალაქს. ამბობენ, რომ ერთხანს აქ მოდათ იყო მეთასე სართულიდან გადავარდნა და თვითმკვლელობა. ამიტომაც ქვედა ბაქანზე, საიდანაც ჩვენ პირველად გადავხედეთ ქალაქს, მოაჯირს გარშემო არტყია კარგა დიდ სიმაღლეზე რკინის ბადე, ისე, რომ თუ ვინმეს გადავარდნა სურს, იმ ბადეზე უნდა ალოდდეს, რაც არც ისე ადვილი საქმეა. სულ ზემოთ კი პლასტმასის შუშები იმისთვის ჩაუსვამთ, რომ მათი გამტვრევა თავით, გადავარდნის სურვილით, შეუძლებელია. ასე, რომ თავდაცვის ზომები, რომ იტყვიან, მიღებულია.

– ჩვენ ხომ არ ვაპირებთ თვითმკვლელობას, გახსნან ფანჯრები, – ბუზღუნებდა უკმაყოფილოდ ფელიქსი, რადგან ამ ოდნავ დაბინდულ პლასტიკურ შუშებში ყველაფერი მღვრიეთ მოჩანს და კინოაპარატით რაიმეს გადაღება შეუძლებელი იყო.

ზევით კიდევ მიდის კიბეები, მაგრამ კარები გადაკეტილია და ასვლაც აკრძალული. იქ სატელევიზიო და რადარების დანადგარებია და მაღალი კოშკი იწყება.

კარგა ხანს ვიდექით ფანჯრებთან და ვათვალიერებდით ქალაქს ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან. ბოლოს ისევ მეოთხმოცე სართულზე ჩამოვედით, სუვენირები შევიძინეთ და დაბლა დავეშვიით.



ნაშუადღევის სამი საათი იყო, რომ მე, ნიკოლოზი და ფელიქსი ვესტუმრეთ ქვარიანს.

იგი სასტუმრო „მოტლანდში“ ცხოვრობს, სულ ზედა, მეოცე თუ მეოცდაორე სართულზე, უჭირავს ორი პატარა ოთახი. ერთ ოთახში კაბინეტი აქვს, მეორეში სანოლი. როდესაც ზარი დავრეკეთ, კარი გაიღო და ვხედავთ ჩვენს შესახვედრათ მობაჯბაჯებს ნამდვილი გოლიათი და ჩვენ მხოლოდ ის გვიკვირს, როგორ არ იჭედება იგი ამ თავისი ბინის ვინრო დერეფნებში. სამთავეს გადაგვებვია, გადაგვკოცნა, მერე ნამდვილი ქუთაისური აქცენტით გასძახა:

– სიდონია!

და ინგლისურათ დასძინა, ჩემი თანამემამულენი მოვიდნენ, მოდი, გაიცანიო.

მას უცხო ეროვნების ქალი ჰყავს ცოლად, მაგრამ სახელი კი ჩვენთვის ნაცნობი და ნამდვილი ქართულია.

დავსხედით, მიმოვიხედეთ, მთელი კედლები მოფენილია მხატვართა ნამუშევრებით, და თაროები გაჭედული წიგნებით. მაგიდაზედაც წიგნები, მათ შორის რამდენიმე ქართული და რაც ყველაზე მეტად გამიკვირდა, ჩემი სულ ახლახან გამოცემული მოთხრობების კრებული.

– ბიჭოს, ეს საიდან? – გამიკვირდა მე.

– ეგ, ილიკო სუხიშვილმა ჩამომიტანა, – მითხრა მასპინძელმა. ამის შემდეგ კი მე მგონია, ჩემი შეკითხვა იყო ის ორიოდე სიტყვა, რომლის თქმაც მოვასწარი. ჩვენმა კოლიამ, რაც ამ ოცდაცამეტი წლის განმავლობაში ქართული სიტყვა არ ეთქვა, სუყველას თქმა ახლა მოინდომა. ხმა არ ამოგვადებია. გვკითხავდა რამეს და მაშინვე თითონ განაგრძობდა ლაპარაკს.

– სხვა, რა ამბებია საქართველოში, ქუთაისი რას შვება, ჩემი ქუთაისი? ბალის კიდეზე თუა ისევე ის რკინები, მე რომ ვლუნავდი?

– ქუთაისს ველარ იცნობ... – ვეუბნები მე.

– გახსოვს, მე რომ ვჭიდაობდი? გამყრელიძის ცირკი თეთრი ხიდის გაღმა, თუა კიდევ? აღარ არის? მე ჩემ ცოლს დავუბარე ანდერძი, რომ



მოკვდები, დამწვას, ფერფლი წაიღოს და ქუთაისში მოაბნოს. აჰ, ამის ბიძა იყო – პიპინაშვილზე მითითებს – რა ვაჟკაცი, რა შესახედავი, ესენი ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ მეზობლათ, ამას ბიძა ჰყავდა, ტერენტი, ის რომ ჩოხას ჩაიცვამდა და გაივლიდა, იმის ნახვას არაფერი ჯობდა. გესმის, მე სულ ვოცნებობდი: ნეტავი ამისთანა ვიქნებოდე ცხოვრებაში და მეტი არაფერი მინდა-თქო, იმას რა მოუვიდა იცი შენ? ცოლს რო ირთავდა, ქორწილში ჩხუბი მოხდა. დიდი ვაჟკაცი იყო, მართალია, ნეფე იყო, მაგრამ რას ქვია შეურაცყოფას მაყენებენო, იძრო ხანჯალი, ამ დროს დედოფალმა ხელი გაიწვინა, უნდოდა, შეეჩერებია და ნეფემ კი შემთხვევით თავის ამ მომავალ მეუღლეს ხელი მოჭრა. დიდი ტრაგედია იყო. მერე ის ხელი სპირტში ჰქონდა ჩადებული, ცოლს კი მოსამსახურე დაუყენა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან ჰყვებოდა თავის ამ გაუბედურებულ მეუღლეს.

– როდესაც ბიძაჩემი გარდაიცვალა, – დასძინა პიპინაშვილმა – ცოლმა თავისი მოჭრილი ხელი თან ჩააყოლა.

– ჰო, ეგ აღარ ვიცოდი, – განაგრძო ქვარიანმა – ეჰ, კარგი ვაჟკაცები იყვნენ ქუთაისში, თუ ძმა ხარ, სანდრო როგორაა მხეიძე, გახსოვს მე რომ გავლახე...

– შენ კი არა, იმან გცემა, – ვეუბნები ღიმილით – ახლა თბილისში ცხოვრობს.

– ის „დვარიანისტი“ იყო, მე კლასიკურში ვსწავლობდი, ჰოდა, დამხვდა, ერთხელ გამარტყა და გაიქცა...

– კარგი ახლა, ნუ ტრაბახობ. შენ ღონიერი ბიჭი იყავი, მაგრამ სანდროს ვერ გალახავდი.

ქვარიანი კი განუწყვეტლად იგონებს ძველ ჩვენი მონაფეოებისდროინდელ ქუთაისს, რიონის საბანაოებს, ალელოვის საცეკვაო სკოლას, კინო „რადიუმს“, ტერკის მაღაზიას ველოსიპედებისას, მწვანე ბაზარზე გამოტანილ საშემოდგომო ცრემლიან ლეღებს და ატმებს, „ზავედენკებს“ და „ეპარხილისტკებს“, პოეტ კოლაუ ნადირაძესთან შეჯიბრებებს ცურვაში, სკოლის ამხანაგებს – ლელიკო ხოტივარს და ნიკოლოზ სანიშვილს, თეთრი ხიდიდან ხტომას რიონში, თავისი ჭიდაობის ისტორიას, და უცბათ, ეს სამოცი წლის მოხუცებული გადაიქცა თვრამეტი წლის ახალგაზრდათ, თითქო გუშინ სალამოს ჩამოვიდა ქუთაისიდან, თითქო არც კი გაეველოს იმ ათეულ წლებს, რომელიც მან უცხოეთში ხეტიალში გაატარა, იმ წლებს, რომელიც უნებურად ასე ადვილათ ითიშება მისი სიცოცხლის და საყოფაცხოვრებო მოღვაწეობის ისტორიიდან და ახლა

იგი კვლავ დაქროდა თავისი ოცნებით ქუთაისში, ახალგაზრდა გოლიათი, ქუჩაში პატარა ბავშვები გუნდ-გუნდათ რომ დასდევდნენ და თვალეში შესცივნიებდნენ, სკოლის ამხანაგებში, ძველ მეგობრებში და ხან მწვანე ყვავილაზე არბოდა, ხან ქვიტირში ან კახიანოურში გაიჭრებოდა; ხან ფერმის ბალებში, ხან საფიჩხიაზე, ხან ისევ ბალისკიდზე უდალოვის და ვავილოვის მაღაზიის წინ აიტუზებოდა, ხან ჯაჭვის ხიდზე სვანებთან ჩხუბობდა, ხან სანაძლეოთ უკანა ღერძში ხელებს ჩასჭიდებდა ეტლს და ჯაგლავ ცხენებს ადგილზე დააბამდა.

– გესმის, შენ, გესმის, ერთხელ თავის მოკვლა გადავწყვიტე, მივედი თეთრ ხიდზე ვდგავარ და ვერ გადამიწყვეტია, გადავვარდე თუ არა. რატომ ახლა, აღარ იტყვი? ცურვა ვიცი და ვფიქრობ, არ დავიხრჩვები. ისევ ჯობია კლდეებზე დავეხეთქო... ახლა, რატომ ვიკლავ თავს?! მაშინ ხომ გახსოვს, ვჭიდაობდი. ერთი მანკო რაიკოვიჩი იყო მოჭიდავე, ჩემპიონატს ხელმძღვანელობდა ქუთაისში. გაჭიდავებო მითხრა, მხოლოდ მოჭიდავე არ წამიქციო, იმიტომ რომ ასეა საჭიროო. მე ვუთხარი, „ნი ზა ჩიო“, თუ ჭიდაობაა უნდა წავაქციო-მეთქი. კიდევ მითხრა, გეუბნები, ასე მოიქეციო. გაიგეს ახლა სკოლის ამხანაგებმა კოლია ჭიდაობსო, მთელი ცირკი გაივსო. გამოვედი, ვეცი ჩემს მოწინააღმდეგეს და აღარ მახსოვს, მგონი ხუთ წუთში დავდევი ორივე ბეჭებზე. ამხანაგებმა დაანგრის ტაშით ცირკი. ამხანაგებმა კი არა, მთელმა ხალხმა. გამოვედი კულისებში, მანკო მეუბნება, შენ მართლა ღონიერი ყოფილხარ, ჭიდაობაც გცოდნია. ხვალ დილით ექვს საათზე მოდი ცირკში, მე გავარჯიშებ. ორ ხერხს გასწავლი, ტურ დეტეტს და ბრა რულეს, მერე ნახავ, როგორი ჭიდაობაც გეცოდინებაო. მთელი ღამე არ მიძინია სიხარულით. დილას, მამლის ყვილზე უკვე ფეხზე ვიყავი, მოვუსვი. წამიყვანა ცირკში. გამიყვანა მანეჟზე, მომკიდა ხელი, ცინდალივით ამიტაცა და რამდენჯერაც მოისურვა, იმდენჯერ დამცა ბეჭებით ძირს. ვცადე გავძლიანებოდი, მოვრეოდი, ვეცი, მომდვა კისერზე ხელი და ისევ ლავაშით გამაკრა ძირს. მერე გაიცინა და მითხრა: – შე წვინტლიანო, თავი მართლა მოჭიდავე გგონია, გუშინ კაცი ავათ იყო, გეუბნები ნუ წააქცევ, მთელი პროგრამა და გეგმა გამიფუჭეო. ეჰ, მაშინ კი ვთქვი, მომეჭრა თავი, ამას რომ ჩემი ამხანაგები გაიგებენ, საცინად ამიგდებენ და თავის მოჭრას სიკვდილი მირჩევენია-მეთქი. გამოვედი ცირკიდან, მივადექი თეთრ ხიდს და ადგილს ვირჩევ, სად გადავვარდე. კიდევ კარგი შემთხვევით ამხანაგებმა გამოიარეს, წამიყვანეს პურის საჭმელათ, ხუმრობით, ლალობით დარდი გამაქარვებიეს და განზრახვა მისდაუნებურად გადამავინწყეს. მერე იმ მანკო

რაიკოვიჩმა მავარჯიშა და დავინყე ჭიდაობა. მაშინ ჭიდაობდნენ: მედელაური, მაჩაბელი... ჟან დე კოლონი თუ გახსოვთ, იმან ლამაზი ჭიდაობა იცოდა და ქუთაისლებს უყვარდათ, მერე ჯოე მორა, კლემენტი ბული, ვახტუროვი, კოსტა მაისურაძე... მართლა, სანდრო კანდელაკი როგორაა?

– გარდაიცვალა, – ვუთხარი მე.

– უჰ, მენყინა, ფანტასტიური ღონის პატრონი იყო. შენ, მაშ, ჭიათურელი ხარ? მეც იქაური ვარ, დედა მყავს შუქრუთიდან – გადავარდა ისევ მოგონებებში ქვარიანი – მამაც იქ ცხოვრობდა...

– მე მახსოვს მამაშენი. პატარა, ტანმორჩილი კაცი იყო და სულ ვამბობდით, ამხელა შვილი როგორ გააჩინა ამ ერთმა ციცქნა კაცმაო.

– სწორია. ჭიათურაში ისევ ის პატარა მატარებელი დადის?

– არა, ის გზა გაასწორეს, ახლა იქ ფართოლიანდაგიანი გზაა და ელ-მავლები დაჰქრიან.

– რკვიის სადგური თუა კიდევ, ნიყვები გამოჰქონდათ ხოლმე ბავშვებს გასაყიდათ, შაური, შაური იძახოდენ, ბოსლევში კიდევ „პირაჟებს“ აკეთებდნენ, გემრიელს. არის კიდევ თუ არა? ჭიათურაში თუ გახსოვს სიმონოვის ქარხანას აუზი ჰქონდა დიდი, მარგანეცის სარეცხი ნყლის მარაგი იყო შიგ დაგროვილი. მაშინ ქარხნები არ მუშაობდენ და იმ აუზში საბანაოთ დავდიოდით.

– ჭიათურას ახლა ველარ იცნობ. ასფალტით დაგებული ქუჩები, ავტომანქანები, დიდი თეატრი, ახლა მთავრდება კულტურის სასახლე, სტადიონი. ყველას აოცებს საჰაერო – საბაგირო სამგზავრო გზები და სახელგანთქმული ჭიათურული პურ-მარილი.

– შუქრუთში მყავდენ ნათესავები. ქუთაისი კი მაინც ყველაზე მეტად მიყვარდა და მიყვარს.

თაროებზე ნიგნებს დავუნყე თვალიერება. მერე მოვუბრუნდი და ვკითხე:

– კოლია ჩემო, პაპაშვილის ნიგნი ხომ არა გაქვს, მინდოდა, მეშოვა. ამ მწერლის შესახებ საქართველოში მთელი ლეგენდები დადის...

– პაპაშვილის? მოიცა – ტელეფონს ხელი დაავლო, ნომერი აკრიფა და ჩასძახა:

– ალლო, გიორგი, გამარჯობა შენი... ჰო, კოლია ვარ... როგორ ხარ კაცო, სად დაიკარგე. აგერ ჩემთან საქართველოდან არიან ჩამოსული, მწერალია ბელიაშვილი და რეჟისორი პიპინაშვილი, მეკითხებიან ერთი დაგვანახვით ეს პაპაშვილიო... რაო, გენვიოთ... არა, ესენი ვერ წამოვლიან, ხვალ დილით მიფრინავენ... მოდიხარ? ახლავე წამოხვალ? აი, შენ თითონ დაელაპარაკე.

ტელეფონის მილი მე მომაჩერა. დავიბენი. რა უნდა ველაპარაკო უცხო კაცს. მაინც ძალაუნებურად ავიღე მილი.

– გამარჯობათ, პატივცემულო გიორგი, გელაპარაკებათ ბელიაშვილი.

– გამარჯობათ, ბატონო ბელიაშვილო. ძალიან გთხოვთ, თქვენი ამხანაგებით მესტუმროთ, კოლიამა იცის, სადაც ვცხოვრობ. სამი საათი არც დაგჭირდებათ მანქანით.

– არ შეგვიძლიან პატივცემულო გიორგი. ჩვენ ხვალ დილით მივფრინავთ. ძალიან მინდოდა თქვენი წიგნი მქონოდა, ჩვენში კიდეცა დაიბეჭდა თქვენი წიგნის თარგმანები ქართულად...

– ვიცი, ჟურნალი „დროშა“ მივიღე, ვნახე იქ არის. ჩემ წიგნს მოგართმევთ. მაშ, მე წამოვალ თუ დამელოდებით, კოლიასთან მოვალ.

– გელოდებით. ნახვამდის.

მილი დავდე და ქვარიანს ვეკითხები:

– განა ის ნიუ-იორკში არ ცხოვრობს?

– არა, პენსილვანიაში ცხოვრობს. აქედან ასი მილია. მოვა, მალე მოვა, სულ ერთია არსად გაგიშვებთ. მაგის წიგნი ძალიან პოპულარულია ამერიკაში. სურათიც დაიდგა მაგის მოთხრობის მიხედვით.

– ერთი ეს მითხარი ქართველები ბევრნი არიან ამერიკაში?

– ცოტა. სულ თითებზე ჩამოსათვლელი თუ იქნება.

– აქ რომ მდივანი იყო, პოლა ნეგრი რომ შეირთო....

– ისინი ორი ძმა იყო დავითი და სერგო. ევროპაში ერთ დროს კაბარეებში ცეკვავდა ვინმე რუდოლფ ვალენტინო, რომელმაც ჩამოიყვანა ამერიკაში დავით მდივანი. ნიუ-იორკში მეთვრამეტე აგენიუზე ვინმე ლოლაძეს ჰქონია მაღაზია, დავით მდივანს ამ მაღაზიაში დაუწყია მუშაობა 12 დოლარათ კვირაში უბრალო მუშათ. შემდეგ, როდესაც რუდოლფ ვალენტინო ჰოლივუდში მოხვდა და სახელი მოიხვეჭა როგორც კინოვარსკვლავმა, მან დავითი იქ გაიწვია და თავისი საყვარელი უკვე მობერებულნი, ერთ დროს სახელოვანი მსახიობი ქალი მეი მურეი გადაულოცა და დასწერა ჯვარი. მთელ ჰოლივუდში გახმაურდა პრენს მდივანის სახელი, რადგან მობერებულნი და გამდიდრებული მსახიობი ქალები ჭკუას კარგავდნენ ტიტულოვანი გვარის მქონე ქმრების გულისთვის. ამიტომ ამის შემდეგ ჩამოვიდა თუ არა ჰოლივუდში დავითის ძმა სერგო, მისთვისაც მაშინვე მოინახა საცოლუე. ეს გახლდათ პოლა ნეგრი. დავითი გაცილდა თავის პირველ ცოლს და შეირთო ნავთის მაგნატის სინკლერის ნაშვილები ქალი და მასთან ჰყავს რამდენიმე

შვილი. დავითის დაი, რუსუდანი, ცოლად ჰყავდა ისპანელ მხატვარს სერტს, მეორე დაი, ნინო, ცოლი იყო ცნობილი ინგლისელი მწერლის კონან დოილის შვილისა. სერგოც გაცილდა პოლა ნეგრის. იგი გარდაიცვალა ცხენბურთის თამაშის დროს, გადმოვარდა ცხენიდან, თავი დაჰკრა მიწაზე და იქვე აღმობდა სული.

– უჰ, შენ გიშველა ღმერთმა, წესიერათ მიამბე ამ ორი საერთაშორისო ალფონსის ამბავი.

– ერთი სასაცილო რამეც უნდა გიამბო, აქ იყო ერთი ცნობილი კარტის მოთამაშე ნესტორ ერისთავი, მას ცოლად ებრაელის ქალი ჰყავდა. ჰოდა, ამ ქალმა მილიონერი კოსმეტიკოსის, რუბინშტეინის ქალიშვილი გაურიგა ვილაც „გურიელს“. იგი ისე იყო გურიელი, როგორც მე ვარ ბაგრატიონი. გვართ ქანტურია იყო მგონია, მაგრამ გურიელი დაირქვა. რა ენაღვლებოდა. მერე ეს ერისთავის ცოლი ეცა იმ „გურიელს“ და უთხრა, ამდენი და ამდენი ფული მაძლიე, თორემ გაგამხელ, რომ შენ არავითარი „პრენსი“ არა ხარო. ჯერ სანამ შეეძლო ეს უბედური თავს იხსნიდა და ცოტ-ცოტას აძლევდა, მერე ველარ შეიძლო და უარი უთხრა. მაშინ ერისთავის ცოლმა მოახსენა რუბინშტეინის ქალს, ვინც იყო სინამდვილეში მისი ქმარი და ახლა რუბინშტეინი აძლევდა ქრთამს, არ გაამხილო, რომ ჩემი ქმარი თავადი არ არის, თორემ თავი მომეჭრებაო. „გურიელი“ გარდაიცვალა, ხოლო რუბინშტეინის ქალი კიდევ იხდის თუ არა „ხარკს“ არ ვიცი.

ოთახში დიასახლისი შემოვიდა. იგი გერმანელი ქალია და ცხადია, არცერთი სიტყვა არ იცის არათუ ქართულად, არამედ რუსულადაც. ჩვენ ძალაუნებურად მისი ქმრის თარჯიმანობა გვჭირდება. დიასახლისმა გვითხრა, რომ მისი ოცნებაა, ნახოს საქართველო, რომლის შესახებ ბევრი კარგი გაუგონია.

– მე თქვენ ქართველი ქალი მეგონეთ, – ვუთხარი მე – იმიტომ, რომ საქართველოში სიდონია ძალიან გავრცელებული სახელი იყო ძველად. იცით, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა ვრცელდებოდა, არსებობს ლეგენდა, თითქოს მცხეთაში ჩამოეტანოთ ქრისტეს სისხლიანი კვართი, რომელიც სასოებით გულში ჩაიკრა ვინმე ებრაელმა ქალმა, სახელად სიდონიამ და იქვე გარდაიცვალა. იგი მცხეთაში დაასაფლავეს, ქრისტეს კვართთან ერთად, შერაცხეს წმინდანათ და იმ ადგილას აგებული იქნა მეთერთმეტე საუკუნეში უმშვენიერესი ტაძარი, რომელსაც ეწოდება სვეტიცხოველი. ამ ტაძარში ახლაც დგას პატარა ძეგლივით ის პირველი სამლოცველო, რომელიც სიდონიას საფლავზე აუგიათ. სხვათა შორის, საქართველოს მეფეების, ბაგრატიონების



საგვარეულო გერბზე გამოსახულია ქრისტეს კვართი და ეს ტაძარიც ითვლებოდა სამეფო კათედრალად. აქ იდგამდნენ გვირგვინს საქართველოს მეფენი.

ჩემმა ნაამბობმა გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა დიასახლისზე.

– შეიძლება ყოველი ამის ნახვა კაცი რომ საქართველოში ჩამოვიდეს? – გულუბრყვილოთ იკითხა მან.

– რამდენიც გენებოთ. მცხეთაში არაერთი ტაძარია საინტერესო სანახავი და განა მარტო მცხეთა, თბილისი სავსეა ისტორიული ძეგლებით. ჩვენს მუზეუმში ნახავთ ქართული ოქრომჭედლობის ფასდაუდებელ ნიმუშებს, სხვათა შორის, ჩვენ გვაქვს ერთი ცნობილი ხატი გელათის ტაძრიდან ჩამოტანილი. იმ ხატის ერთი ნაწილი, ოქროში ნაკეთები ტიხრული მინანქარი ამჟამად ინახება ნიუ-იორკის მუზეუმში. თითონ ხატი ღვთისმშობლის გამოსახულებით და იმ მინანქრის ნახევარი კი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. თქვენ იქ ნახავთ ოქრომჭედლობის ისეთ უძველეს ნიმუშებს, რომლის ბადალი იშვიათად მოიპოვება მსოფლიოში. ჩვენს მუზეუმებში ნახავთ არა მარტო ქრისტიანული ეპოქის, არამედ წარმართული პერიოდის ხელოვნების უძვირფასეს ნამუშევრებს.

დიასახლისი ხარბათ მისმენდა.



დერეფანში ხმაური გაისმა, დიასახლისი გაეგება და ოთახში ცოლ-ქმარი პაპაშვილები შემოვიდნენ. გიორგი პაპაშვილი საშუალო ტანის, ხმელი აგებულობის შავგვრემანი კაცია, ტიპიური მთიული. მისი მეუღლე ელენე კი მალაღლი, თეთრად ჩასუქებული ამერიკელი ქალია, საოცრად ჭკვიანი თვალებით.

გავიცანით ერთმანეთი, დავსხედით.

– სასიამოვნოა თქვენი გაცნობა პატივცემულო გიორგი. ჩვენში, საქართველოში იცინან თქვენი მწერლობის შესახებ...

– რისი მწერლობისა კაცო, – მითხრა მან საოცარი ძველებური ტეტიური კილოთი – მე რისი მწერალი ვარ. ჩემი ცოლი სწერამს. მე ვუამბობ ხოლმე და ეგაა მწერალი, მე კი არა. მწერალი კი არა და კითხვაც კი მიჭირს. ამას წინად ჟურნალი „დროშა“ მომიტანეს, ველარა ვკითხულობ, დავინწყებ ასო-ასო, სანამ სიტყვის ბოლომდე ჩავალ თავში რომელი ასოც ამოვიკითხე უკვე მავინყდება.

– ერთი ეს მითხარით, გიორგი, ამერიკაში როგორ მოხვდი?

– როგორა კაცო და ათას ცხრაას ოცდაერთში ჯარში ვმსახურობდი, ბათუმში რომ ჩავედი, გემზე ქონება ავზიდეთ და მენშევიკურ მთავრობას გაგვაყოლეს. იქ კიდენა სტამბოლში დაგვტოვეს. ოცდასამ წლამდე გაჭირვებით გავატარიეთ ცხოვრება. მერე იქ ერთი საშა ჯაყელი იყო, შავი ქვის მრეწველი. წერილი დამიწერა და მითხრა:

– ნიუ-იორკში ჩახვალ, ამ წერილს ერთ ჩემს ნაცნობს მიუტან და იქ სამუშაოს მოგცემენო. გამიკეთეს ვიზა, წავედი გემით, ჯიბეში შაური არ გამაჩნდა. ჩამოვედი ნიუ-იორკში სწორეთ ამ ორმოცდაორ ქუჩაზე მივედი ამ წერილით, მაღაზია იყო ერთი, იქა. წაიკითხა წერილი ვისთანაც მიველ, მეკითხება:

– ინგლისური იცი?

– არ ვიცი-მეთქი.

– მაშაო წადიო, როცა ინგლისურს ისწავლი, მერე მოდი და სამუშაოს მოგცემთო. გამოვედი ამ უზარმაზარ ქალაქში, ენა არ ვიცი, ჯიბეში გროში არ გამაჩნია, მე ვთქვი, სად წავიდე, თავი რომელ ქვას ვახეთქო-მეთქი. წაველ ბაღში, სკამზე წამოვწექი და იქ დავიძინე. აი, ასე დაიწყო ჩემი ცხოვრება... რამდენი მე გაჭირვება მინახავს... ამას წინად ტელეფონით ველაპარაკე დედაჩემს დუშეთში... ძლივს გავაგონე და გავაგებინე... მინდა ამ საშემოდგომოთ საქართველოში ჩამოსვლა, ჩემ ცოლსაც ძალიან უნდა ნახოს საქართველო... სულ მესმის, რომ დიდათ გამოიცვალა თურმე ჩვენი ქვეყანა, აშენდა და გაშენდა... ეს კომუნისტები მარჯვე ხალხი გამოჩნდა...

საუბარში გამოირკვა, რომ პაპაშვილი მოქანდაკეობას ეწევა, რამდენჯერმე გამოფენებშიაც მიუღია მონაწილეობა, მისი ბევრი ნამუშევარი იყიდება და ზოგიერთი მათგანი მგონი, რომელიღაც მუზეუმს უნდა ჰქონდეს შეძენილი. არ ვიცი, სად ისწავლა მან ეს ხელობა, სამხატვრო სკოლა მას დამთავრებული არ უნდა ჰქონდეს. სამწუხაროდ, თან მას არა ჰქონდა თავისი ნამუშევრების ფოტოსურათები, თუმცა მე ძალზე მაინტერესებდა, მენახა, თუ რა ნიჭის პატრონია ეს გაამერიკელებული ქართველი ფიროსმანი და იეთიმ-გურჯი ერთად აღებული. მართალია, მან თავისი გადაჭარბებული ქართული რაინდობით აღიარა, მწერალი მე კი არა ჩემი ცოლიაო, და შეიძლება თითონ მარტო უამბობს ზეპირად, ხოლო ცოლი სწერს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მხოლოდ მისი მონაწილეობით დანერგილი წიგნები სარგებლობენ ამერიკელ მკითხველებში წარმატებით. ასე რომ, ამ შემთხვევაში იგი სრულყოფილებიანი თანაავტორია თავისი მეუღლისა.



ნიკოლოზ (კოლია) ქვარიანი



ჯორჯ (გიორგი) და ჰელენ პაპაშვილები





ჯორჯ (გიორგი) და ჰელენ პაპაშვილები მკითხველებთან წიგნის წარდგენისას





ჯორჯ (გიორგი) და ჰელენ პაპაშვილები

*ლიპაის უნივერსიტეტის არქივი  
ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილების სპეციალური კოლექცია*

მე მაინტერესებდა, თუ როგორი პოპულარობით სარგებლობს სახელდობრ ის წიგნი, რომელშიაც მისი ბიოგრაფიაა მოთხრობილი. აღმოჩნდა, რომ იგი დაახლოებით ოცდახუთმეტჯერ გამოუციათ ორი მილიონის საერთო ტირაჟით. გარდა ამისა, ცოლ-ქმრის ხელმოწერით გამოსულა კიდევ რამდენიმე წიგნი. ერთი მათგანი ქართული ხალხური ზღაპრებია.

მინდოდა გამეგო აგრეთვე, თუ რა სახით ლეზულობენ ამერიკაში ჰონორარს. აღმოჩნდა, რომ ავტორებს უხდებიან წიგნის ღირებულების ათ პროცენტს, ისიც მისი რეალიზაციის შემდეგ. ასე რომ, გაიყიდება წიგნი – იარსებებ, არ გაიყიდება, შეიძლება სული ამოგხდეს თუ სხვა რამ საქმეს არ მოკიდებ ხელი. უნიჭო მწერლობის თავიდან მოსაცილებლად ეს არცთუ ისე ცუდი საშუალებაა, მაგრამ ვთქვათ, გენიალური წიგნი დაინერა და არ გაიყიდა. მაშინ რაღა ჰქნას ავტორმა?

ურიგო არ იქნება, ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ამერიკელი გენიალური პოეტი უოლტ უიტმანი. მისი პირველი წიგნი არ გაიყიდა არცერთი ცალი. მაშინ მან თავისი წიგნი უფასოთ დაუგზავნა ნაცნობებს და უცნობებს, სახელოვან ან გავლენიან ადამიანებს და... რა მოხდა. ყველამ უკლებლივ უკან დაუბრუნა წიგნი ავტორს, ისე, რომ არც გადაუფურცლავთ იგი.

ახლაც ალბათ, ამისი ბრალია ის, რომ მთელს ამერიკაში სულ ორიოდ პოეტი მოიპოვება. მარტო პროზაიკოსთა წიგნებზეა მოთხოვნილება, მაგრამ არც იმდენი, რომ ყოველმა მწერალმა ლიტერატურული შრომით იცხოვროს. ელენე პაპაშვილმა მითხრა ამერიკელ მწერალთა შორის დიდი-დიდი ოცი პროცენტი ცხოვრობდეს ლიტერატურული ჰონორარით, დანარჩენები სხვა სახის საქმიანობას ეწევიან, ან მსახურობენ ან ბიზნესმენობენო.

– როგორ არის თქვენთან, რა წესები არსებობს მწერლისთვის ჰონორარის გადახდის? – მკითხა მან.

მე ავუხსენი, რომ ჩვენში მწერლის შემოსავალი სრულიად არ არის დამოკიდებული წიგნის გასაღების რაოდენობაზე. მას ეძლევა განსაზღვრული ჰონორარი სამი ათასი მანეთი საშუალოდ ერთ სასტამბო ფორმაში, ხოლო წიგნი შეიძლება საზარალო იყოს და ხანდახან მისი გამოცემა ასიათას მანეთზე მეტ დოტაციას საჭიროებდეს, მაგრამ სახელმწიფო ამ ზარალს ფარავს, წიგნი მაინც გამოდის და მწერალი დანესებულ ჰონორარს მაინც ლეზულობს-მეთქი.

ჩემს ამ განმარტებებს გიორგი პაპაშვილი თარგმნიდა და მე ვხედავდი, როგორი სიამაყის გრძნობით იყო შეპყრობილი იგი, როდესაც ცოლს უხსნი-

და საბჭოთა ქვეყანაში არსებულ ამ მართლა მათთვის დაუჯერებელ წესებს საგამომცემლო საქმეში.

– არის ზოგიერთი წიგნი, მაგალითად, თხზულებათა სრული კრებული ზოგიერთი მწერლისა, რომელსაც ორნახევარი მილიონი მანეთი ჭირდება დოტაცია, მაგრამ იგი მაინც გამოდის, ამისთვის მთავრობა არც წიგნის ფასს უმატებს და ამ ზარალსაც ფარავს, რადგან ჩვენში წიგნის ღირებულება იმით კი არ განისაზღვრება, თუ რა აწერია ფასად, არამედ იმით, თუ როგორაა დაწერილი იგი და როგორი წვლილი შეაქვს ამ წიგნს ეროვნული კულტურის საგანძურში.

ელენე პაპაშვილი დიდხანს ჩააფიქრა ამ ცნობამ. როგორც ეტყობა, არცთუ ისე ხელსაყრელია მწერლისათვის, დამოკიდებული იყოს მოგებით დაინტერესებულ წიგნის გამომცემელზე. მისთვის მხოლოდ ისეთ ნაწარმოებსა აქვს ფასი, რომელიც ფართო ბაზარს მოიპოვებს, ასეთ შემთხვევაში კი უმეტესად შეიძლება ისეთმა წიგნებმა დაიპყროს ბაზარი, რომლებიც სავსებით ლიტერატურის გარეშე დგანან. განა ასე არ არის ამჟამად ამერიკული წიგნის ბაზარზე, სადაც წიგნის თაროები მთლიანად კომიქსებს და დეტექტიურ ლიტერატურას აქვს დაპყრობილი?! სტეინბეკი გვიმტკიცებდა, როდესაც ერთხელ იგი თბილისში გვეწვია, რომ ამერიკაში ყოვლად შეუძლებელია, კაცმა წიგნი დაწეროს და ვერ გამოსცეს, რადგან თუ ერთი გამომცემელი ეტყვის უარს, მეორე გამოუცემსო.

ეს შეიძლება მართალია, მაგრამ განა იმავე ამერიკაში თითქმის მთლად ჩამკვდარი არ არის პოეზია, რადგან მკითხველი თურმე ნაკლებად ეტანება ლექსებს, ხოლო გამომცემლები რა შვილია, გამოსცემენ ისეთ წიგნს, რომელსაც მკითხველი არ იყიდის. ამავე დროს განა ნაკლები ღირებულება აქვს გნებავთ, პოეტურ ნაწარმოებებს უოლტ უიტმანისა ან ლონგფელოსი, რომელთა წიგნები თურმე ნაკლებად იყიდება ამერიკაში, ვიდრე თვით იმავე სტეინბეკისა, რომლის რომანი დღემდე მგონი ექვს მილიონზე მეტი რომ გაყიდულა?

მახსოვს სტეინბეკს ვკითხეთ, რა აზრის იყო ლონგფელოს შემოქმედებაზე. მან გვიპასუხა, მე იგი სკოლაში რაც ვისწავლე, იმის მეტი არც წამიკითხავს და ვერაფერს გეტყვითო. სტეინბეკი მე უეჭველად შესანიშნავ მწერლად მიმაჩნია, მაგრამ ეს მისი გულახდილი აღიარება კარგს არაფერს ლაპარაკობდა არა ლონგფელოზე, არამედ თვით პატივცემულ სტეინბეკზე. ჰო, და, თუკი ამერიკაში თვით სახელმწიფოებრივი მწერლები ასე ეპყრო-

ბიან თავის ეროვნულ საგანძურს, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ იმ საშუალო ამერიკელის ლიტერატურულ გემოვნებაზე და გონებრივ განვითარებაზე, რომელიც ლონგფელოს „ჰაიაგატას“ არც დახედავს და ათცენტრიან რომანს კაცისმკვლელებზე გატაცებით კითხულობს.

აი, ამან ჩააფიქრა ასე მძიმეთ ალბათ, ქალბატონი ელენე, რომელიც იძულებულია, სწეროს არა ის, რაც მის სულსა და გულს გაეხარდება, რაც მისი, მწერლური შემოქმედების სტიქიამ, მისმა მსოფლმხედველობამ უნდა წარმოქმნას, არამედ ის, რაც გაიყიდება და რაც დააკმაყოფილებს დაბალი გემოვნების ადამიანთა მოთხოვნილებას. აქ უკვე შემოქმედების სადავე მწერალს კი არ უჭირავს ხელში, არამედ მკითხველს; მწერალს კი არ აჰყავს მკითხველი დიდ სიმაღლეზე, მკითხველი ითრევს დაბლა მწერალს და მიჯახრიკებს მას თავის ნებაზე.

– როგორ იცემა თქვენში წიგნი, ვინ სწყვეტს მისი გამოცემის საკითხს?  
– მკითხა ქალბატონმა ელენემ.

– ყოველი წიგნი, როგორც წესი, ჯერ რომელიმე ჟურნალში ან გაზეთში გამოქვეყნდება. შემდეგ ავტორი მას წარუდგენს რომელიმე გამომცემლობას, სადაც არის სარედაქციო საბჭო. იქ წიგნს განიხილავენ და თუ ნაწარმოები აკმაყოფილებს მხატვრულობის თვალსაზრისით სათანადო მინიმუმს მაინც, იგი შეაქვთ საგამომცემლო გეგმაში. ავტორი ჟურნალში გამოქვეყნების დროს ცალკე ლეზულობს ჰონორარს, წიგნად გამოცემისას – ცალკე, დაწესებული ტარიფის სრულ ას პროცენტს, ტირაჟის მიუხედავად. მეორე და მესამე გამოცემისას წინად გაცემული ჰონორარის სამოც პროცენტს, მეოთხე-მეხუთე გამოცემაში ორმოცდაათ პროცენტს თითოეულში და ასე შემდეგ. მეათე გამოცემიდან, რამდენჯერაც არ უნდა გამოიცეს, ყოველთვის ორმოც პროცენტს. ჩვენთან არც ისეთი მძიმე საშემოსავლო გადასახადით ბეგრავენ ავტორებს, როგორც თქვენს ქვეყანაში. ჩვენ, რამდენიც არ უნდა მივიღოთ ჰონორარი, გადასახადი არ აღემატება ცამეტ პროცენტს. თქვენში კი ოთხმოც პროცენტზე მეტიცაა.

ეს ხანშიშესული ქალი კვლავ ფიქრებში წავიდა. ეტყობა, მას პირველად ესმოდა მათთვის სრულიად უჩვეულო ასეთი საგამომცემლო წესები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ავტორთა ინტერესი და უფლებანი. ალბათ, ადარებდა თავისი ქვეყნის ნაქებ პირობებს და როგორც ეტყობა, თავისი ქვეყნისათვის და ამ ქვეყანაში არსებული კაპიტალისტური სისტემის სასარგებლო დასკვნებამდე ვერ მიდიოდა.

ქვარიანმა ყველანი ბერძნულ რესტორანში დაგვპატიჟა და შეეცადა ისეთი ღვინოთი გაგვმასპინძლებოდა, რომელიც ყველაზე მეტად ემგვანებოდა ქართულს. მოგვიტანეს რალაც ძიმნარე, რომელიც ღვინო იყო თუ ვაშლის წვენი ვერ გაარჩევდი. მაინც გადავკარით, ქართველურად მამა-პაპურად ვადღეგრძელეთ ჯერ სამშობლო, მერე დიასახლისები.

– აი, ხომ ხედავთ, ჩვენი ცოლები გავაქართველეთ, – გვითხრა ქვარიანმა. მაშინ პაპაშვილის მეუღლემ ღიმილით მოუჭრა:

– თქვენი გაამერიკელება შეუძლებელი აღმოჩნდა და ჩვენც მეტი რა დაგვრჩენოდა, რომ არ გავქართველებულიყავითო.

გვიან ღამით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. პაპაშვილი ჩაჯდა თავის შევროლეს მარკის ლიმუზინში და გაუდგა გზას პენსილვანიის შტატისაკენ. კარგა შეჭოლიკებული ქვარიანი კი ოდნავი ბარბაცით წავიდა თავის სასტუმროში.

– მოკითხვა ჩემს ქუთაისს, ჩემს თბილისს, ჩემს მიწა-წყალს... – გვეუბნებოდა იგი გამოთხოვების წინ და როდესაც გავხედე მიმავალს, ასე მომეჩვენა თითქო მისი გოლიათური ზურგი დარდისაგან მოხრილიყო.



დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა ამერიკაში. იგი არცთუ ისე ხანგრძლივი იყო, მაგრამ სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა მაინც გვექონოდა ამ ქვეყანაზე. ჩვენი გიდეები ცხადია, ცდილობდნენ, ეჩვენებიათ ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ კარგი. მართლაც, გარეგნულად, ეს უზარმაზარი ქვეყანა, თავისი შენობებით, გზებით, ხიდებით, მალაზიებით, ავტომანქანებით, გასაოცარ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით ჩაგვეხედა ამერიკელთა ცხოვრების, მათი ყოფის, ადამიანთა ურთიერთობის საიდუმლოებაში. დაგვენახა მათი ავი და კარგი.

თავისი სიახლის ერთფეროვნებით ამერიკა მეტად მოსაწყენია. ასე გგონია, მთელი ეს გზები, სახლები, ეზოები, თვით ხეებიც კი, ამ ავტომანქანებთან ერთად ქარხანაში გაუმზადებიათ, შეუღლებავთ და მზეზე გამოუწყევიათ გასაშრობათო. ამერიკის ორი ქალაქი, ჩიკაგო და ნიუ-იორკი, ჩემი აზრით, თანამედროვე ქალაქების სახლთმშენებლობის ზღვარს წარმოადგენს და ამაზე ზევით უკვე შეუძლებლად მიმაჩნია ადამიანმა შენობის კედლები აიყვანოს. ნიუ-იორკი ამ მხრივ თანამედროვე ბაბილონია, ცამდე ატყორცნილი თავისი უამრავი გოდლებით.



მე არ მინდა ამერიკისთვის ცუდი წინასწარმეტყველი ვიყო, მაგრამ უნდა გავიხსენოთ ბიბლიაში მოთხრობილი ამბავი, რომ ბაბილონის სამეფოს დაქვეითება მაშინ დაიწყო, როდესაც მათ სწორეთ ცამდე მიღწევის მიზნით დიდი გოდოლის შენება დაიწყო. პირველი მსოფლიო წარღვნის შემდეგ, როდესაც გამძლავრებულმა ნიმროდმა მოისურვა, დაეარსებია მსოფლიო მონარქია და ქამის შთამომავალნი – ღვთის მიერ სხვათა მონებათ შერისხულნი – მოინდომა გაებატონებია, მსოფლიო ძალაუფლების ცენტრის შესაქმნელად შეუდგა ცათამდე აღმართული კოშკის აგებას. დაიწყო კიდეც მისი შენება. მანამდე, როგორც ეტყობა, ბაბილონელებს საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდათ ასეთი გიგანტური შენობების აგებისა, რადგან დღეს, როდესაც არქეოლოგები ცდილობენ დაადგინონ, თუ სად იყო ეს ბაბილონის გოდოლი ბევრ ნაგებობის ნაშთებს ნახულობენ ისეთი სიდიდისა და სიმაღლისა, რომ არ იცინან, რომელი მათგანი იყო ბაბილონის გოდოლი. ასე იყო თუ ისე, მათ ვერც ეს განზრახვა მოიყვანეს სისრულეში, საბოლოოთ თვით ბაბილონიც დაამხო და დააქცია მეფე კიროსმა და იქ, სადაც ერთ დროს სიცოცხლე სდებდა და გადადებდა, ახლა უდაბნოს ქარები დაჰქრინან. ბიბლიის მოყვარულმა ამერიკელებმა ვფიქრობ, სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანონ ამ უძველესი ამბიდან, რადგან, როგორც ეტყობა, ცამდე აზიდულ სახლების შენებით გატაცებულ ადამიანთა განზრახვებს მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად თურმე არცთუ ისე საამო დასასრული მოჰყვება ხოლმე.

ცხადია, ეს შეეხება ამერიკის მმართველ წრეებს, ხოლო მათი ხალხი, უდავოთ მშვიდობისმოყვარეა. ამერიკელები ჩვენებური რვა ნომერი ღვინოსავით მრავალი ეროვნების ერთგვარ კუბაჟს წარმოადგენენ. ელაპარაკებით ამერიკელს და ხშირად ვერც კი არჩევთ თეთრია იგი თუ ზანგი, ინდიელია თუ ესპანელი, სლავური ტომის წარმომადგენელია თუ ებრაელი, ფრანგი თუ გერმანელი. მართალია, ისინი უმეტეს შემთხვევაში სათვისტომობად არიან დაჯგუფდულნი და ეს ბუნებრივიცაა. საბერძნეთიდან მოსული ბერძენი თავისიანებს ძებნიდა ამერიკაში და მათი დახმარებით იდგამდა ფეხს, პოლონელი პოლონელს და ასე შემდეგ, მაგრამ მათ მაინცა აქვთ ერთობლივად გამაერთიანებელი ფაქტორი, ესაა მათთვის ახლადშექმნილი სამშობლო მინა – თვით ამერიკა და საერთო ენა – ინგლისური.

ამერიკელები გულღია და მხიარული ხალხია. ცხადია, მათ შორის ბევრი იქნება ცხოვრებისაგან გაბოროტებულიც და ბრაზიანიც, მაგრამ საერთოდ, მათი ყოფა-ქცევა, ერთმანეთში მასლაათი, იუმორის გრძნობა, უცხო ადა-

მიანებთან უბრალოთ და შინაურულად თავდაჭერა კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. მთელი ჩვენი მოგზაურობის განმავლობაში ჩვენ არ წავტეხივართ ქუჩაში ან რესტორნებში არც მთვრალი ხალხის ღრინანცელს, არც ჩხუბსა და კინკლაობას, არც სხვა რაიმე უსიამო სცენას. ერთადერთი მთვრალი მამაკაცი შეგვეჩვენა ნიუ-იორკის ქუჩაზე და იმანაც გულგია იუმორით გვითხრა: ამ საზიზღარ ქალაქში რამ მოგიყვანათო. რასაკვირველია, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამერიკაში თითქო არც ლოთობდნენ და არც ჩხუბობდნენ. მუშტი-კრივი და იარაღის ბათქა-ბუთქი აქ მარტო კინოეკრანებზე კი არ იციან. მაგრამ სადაც არ ვიყავით, რესტორნებში, კაფეებში, თუ ოჯახებში, ყველგან უმეტესად ზომიერების და თავდაჭერის სურათებს ვაწყდებოდით და როდესაც ვიგონებდი ჩვენს რესტორნებს, თუნდაც ჩვენებურ საოჯახო სუფრას, სადაც ყველაფრის და განსაკუთრებით ღვინის დაძალების ტრადიციას, როდესაც ჩვენი სუფრიდან უმეტესად, რომ იტყვიან, გაბრანგულ-გათრიაქებული ნამოვიშლებით ხოლმე, ვერ ვიტყვი, რომ დიდი თავმომნენობის გრძნობით ვყოფილიყავ შეპყრობილი.

ამიტომ ამ გარეგნულად და ერთის თვალის შევლებით დანახულ ამერიკაში ბევრი რამ დავინახე მოსაწონი, მისაბაძი და *იმ პროგრამაში შესატანი, რაშიაც ჩვენ ვცდილობთ დავენიოთ და გავუსწროთ მათ. ვფიქრობ, რომ ასევე, ამერიკელებიც ბევრს კარგს ნახულობენ ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს და არც მათ აწყენთ თუ ზოგ რამეში შეეცდებიან ჩვენ დაგვენიონ. თუნდაც, საყოველთაო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, რაშიაც საგრძნობლად ჩამოგვრჩებიან და ამას თითონაც აღიარებენ.*

მე არ მიყვარს ისეთი ადამიანი, რომელიც სხვის თვალში ბენვს დაეძებს და თავის თვალში დვირესაც ვერ ხედავს. ასეთები ჩვენცა გვყავს და უფრო ბევრი ამერიკელებს. მათი პრესა თავგამეტებით ცდილობს თვალი აუხვიოს თავის მოსახლეობას და არ დაანახვოს საბჭოთა ხალხის უდიდესი მიღწევები, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული ამერიკელი მოგზაურები ნათლად ხედავენ, თუ არც ისე ყოფილა საქმე, როგორც მათ უხატავდნენ პრესის მოსყიდული აგენტები.

და მე თითონ თუ ჩვენი ზოგიერთი მეტიჩარა კორესპონდენტის წყალობით, თავისი კალმით რომ ცდილობდა, რაც შეიძლება შავი საღებავებით შემურა ეს ქვეყანა, მე პირიქით, რაღაც არაჩვეულებრივი, დიდი წარმოდგენა მქონდა ამერიკაზე (ასეა ხშირად, ტენდენციურობა საწინააღმდეგო გავლენას ახდენს ადამიანზე) საკუთარი თვალით ნახვის შემდეგ *მე უფრო დიდი*

წარმოდგენა შემეძენა ჩვენს ქვეყანაზე. თურმე არც ისე ცუდათ ყოფილა ჩვენი საქმე, როგორც გვგონია. ხოლო როდესაც წარმოვიდგინე, ჩვენში ამ ათითხუთმეტი წლის განმავლობაში რაც უნდა გაკეთდეს, გული სიამით აივსო.

მაგრამ ერთი რამე, რაც თვალში მეცემა, როდესაც შინ დავბრუნდები და რაც დიდებული მომავლის მოლოდინის სიამეს გამიუგემურებს, ესაა ჩვენი ქალაქელი ზოგიერთი განებივრებული ახალგაზრდის უსაქმურობა. ამერიკის ქალაქების ქუჩებში ერთი-ორი არ დამინახავს უსაქმოდ მოხეტიალე ადამიანი. საერთოდ, აქ ვერასოდეს ვერ დაინახავთ კინოების, თეატრების ან სტადიონების მახლობლად შეგროვილ მოყვალე და მოლაყბე უსაქმურებს. ჩვენში კი ასეთები ხშირად ამშვენებენ ტროტუარებს, კინოს შესასვლელებს, რესტორნებსა და სასაუზმეებს. რასაკვირველია, ასეთი ახალგაზრდები ოსტაპ ბენდერივით ოცნებობენ რიო-დე-ჟანიროზე და ნიუ-იორკზე და ასე ჰგონიათ, თუ იქ ეღირსათ მოხვედრა, პირის დალების მეტი არ უნდათ, ისე ჩაუცვივით პირში დოლარები.

არა, აგრე ადვილათ როდი მოინევენ ამერიკელები ჭირნახულს. ყოველი ათასი კაციდან ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი წლებზე ფეხს იდგამს და ისე იძენს თავის ქონებას და ისიც არა ერთსა და ორ წელიწადში, არამედ ათეული წლების განმავლობაში, ბანკის TC ვალებში ჩაფლული. მათ შორის რამდენია ჭაპანწყვეტის შუა გზაზე მთლად რომ ჰკარგავს, რაც მანამდე შეუძენია და თუ გადაურჩა ჭირსა და ვარამს, თავიდან უნდა დაინყოს ლუკმის მოკლება, შაურის შაურზე წეპება, რომ როგორმე ფეხზე დადგეს. მართალია, როდესაც ამერიკის გზებს გახედავ, ზედ მილიონობით მანქანას დაინახავ, მაგრამ ძალიან ცოტაა მათში, რომელიც მთლიანად ეკუთვნოდეს პატრონს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ფაქტიურად ამერიკის ბანკების საკუთრებაა, რადგან მეპატრონეებს ისინი ბანკის ვალით აქვთ შეძენილი და ახლა ყველანი ამ ბანკის მოხარკეთ გამხდარან, ყოველთვიურად უნდა იხადონ განსაზღვრული თანხა. ასე აქვთ შეძენილი ამერიკელებს მაცივრებიც, ტელევიზორებიც, ავეჯიც, სახლ-კარიც და ეზო-გარემოც და თუ ბედმა არ უმტყუნა რომელიმეს, არ დაჰკარგა სამსახური და ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში თავი დააღწია ვალებს ხომ კარგი, თუ არა და თავიდან უნდა დაინყოს თავისი ბედნიერების შენება, რადგან ყველაფერი შეიძლება ერთის ხელის მოსმით წაუვიდეს ხელიდან.

ჩვენში რამდენია შემთხვევა, როდესაც უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა უარს ამბობს სოფელში წასვლაზე, ნებივრად ირჩევს სამსახურის

ადგილს და ხშირად წლობით დაბლაცუნობს უმუშევრად. ამერიკაში ოლონდ სამუშაო იშოვნონ და იმას ვინ კითხულობს, სად იქნება იგი, რომელიმე ქალაქის ცენტრში თუ არიზონას და ტეხასის უდაბნოებში. იქ ცხოვრება აგრე როდი ანებივრებს ახალგაზრდებს, არ იმუშავენ და შიმშილით ამოგძვრება სული. ჯერ მარტო მათი ოფიციალური სტატისტიკით ამერიკაში ხუთი მილიონი უმუშევარია. სინამდვილეში ეს რიცხვი ალბათ, გაცილებით მეტია. ბევრია ისეთებიც, რომელნიც არამედმივ სეზონურ სამუშაოთი უნდა დაკმაყოფილდნენ და ნახევრად იშიმშილონ.

არა, არც ისე დიდებულათაა საქმე ამ კონსერვის კოლოფით გაკრიალებულ ამერიკაში. ბევრი ამ კოლოფთაგანი გარედან მართლა ლამაზად ლაპლაპებს, მაგრამ შიგნით უკვე არცთუ ისე ცოცხალსა და ჯანსაღ პროდუქტს შეიცავს.



და აი, გოლიათი თვითმფრინავი „ბოინგ 707“ ღრუბლებს ზემოთ წარმოუდგენელ დიდ სიმაღლეზე აჭრილი თავისი ოთხი რეაქტიული მოტორის ღრიალ-გუგუნით მიჰქრის პარიზისაკენ. თვითმფრინავში სიმშვიდეა. სტიუარდესა გვიხსნის, როგორ ვიხმაროთ ჟანგბადის ნილაბი, თუ რაიმე მიზეზის გამო სუნთქვა გაგვიძნელდა. ჩვენ უკვე აღარ გვავინტერესებს მისი ახსნა-განმარტებანი, რადგან საეჭვოა რაიმემ გვიხსნას, თვითმფრინავს რომ ავარია მოუვიდეს.

კარგი დრო გადის, სანამ საჭმელს გვაჭმევდნენ. შემდეგ მოაქვთ ჩიტის საკენკასავით თითო ლუკმა ხორცი, პური, ერთი ყლუპი ყავა და ერთი ნაჭერი ტკბილეული, კაცმა რომ თქვას, მეტს ვერც კი შეჭამ. მე და პიპინაშვილი ჭადრაკის თამაშით ვამოკლებთ დროს. საფრანგეთის მიდამოებში რომ მივედით და თვითმფრინავმა ნელა დაიწყო დაშვება, ისეთ სქელ ღრუბლებში მოგვიხდა ფრენა, ღამესავით ჩამობნელდა. დავუახლოვდით აეროდრომს, ვეშვებით სულ დაბლა და მიწა არა და არა ჩანს. ბოლოს გამოჩნდა მიწაც, სულ რაღაც სამასი მეტრის სიმაღლიდან და ჩვენი თვითმფრინავიც ზედ დასაშვები გ ზატკეცილის პირდაპირ აღმოჩნდა. გონს მოსვლა ვერ მოვასწარით, რომ უკვე ბეტონის ბაქანზე მიგორავდა ჩვენი „ბოინგი“. ასე აბსოლუტური სიზუსტით მე ჯერ არ მენახა და ვერც წარმომედგინა, თუ შეიძლება ბოდა თვითმფრინავის მიყვანა აეროდრომზე. ალბათ, რადარების დახმარე-

ბით იკვლევდა გზას შტურმანი ამ კუნაპეტივით ბნელსა და სქელ ნისლში, რომელიც რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე არ მოგვეშორებია.

აეროპორტში ჩემი ძმა ლადო შემეგება. ვინაიდან ქალაქში უკვე აღარ შევიდოდით და პირდაპირ უნდა წავსულიყავით ბურჟეს აეროდრომზე, სადაც ჩვენი საბჭოთა თვითმფრინავი „ტუ-104“ გველოდებოდა, ლადომ გადაწყვიტა გავეცილებიე და ავტობუსში ერთად დავსხედით.

ლადოსთან ერთად აეროპორტში მოსულიყვნენ ახალგაზრდა კაცი გვართ ნულაძე, საფრანგეთში დაბადებული, მაგრამ მშვენივრად მოლაპარაკე ქართულად და ჩემი თაობის უკვე ჭალარაშერთული მანდილოსანი ნასყიდაშვილი. ამ ქალმა ჯერ ერთი ჩემი მოთხრობების კრებული მოიტანა და ზედ ავტოგრაფის წარწერა მთხოვა, შემდეგ მითხრა, თბილისში მოხუცებული დედა მყავს, თუ არ შენუხდებით, ინახულეთ და ჩემი მხურვალე სალამი გადაეცითო.

ორლის აეროპორტი პარიზის სამხრეთითაა, ბურჟესი ჩრდილოეთით. ჩვენი ავტობუსი თითქმის ორი საათის განმავლობაში მიდიოდა და პარიზის გარეუბნებშიაც კი მოგვიხდა გავლა. ეს ორი საათი ვისხედით ძმები და ვსაუბრობდით.

– კარგი, ვთქვათ იმდენათ გაგარეულდი, სახლიდან გაქცეული კატასავით, რომ გეშინია შინ დაბრუნდე, – ვუთხარი მე – შეეჩვიე, შეეგუე აქაურ ყოფა-ცხოვრებას, და ფხუკიანობ, მაგრამ აი, წავალ, დავშორდებით ერთმანეთს და მაშინ იგრძნობ სიმარტოვეს. მე უფრო იმიტომ მტკივა გული, რომ არც ცოლი მყავს, არც შვილი, ადამიანს სახლში ხმის გამცემიც არ უნდა მყავდეს? ჩვენ ორთავემ ჩვენი სიცოცხლის მთავარი გზა უკვე განვვლეთ, განა რამდენი დაგვრჩენია კიდევ, რომ ასე შორი-შორ ვიყოთ, ერთმანეთის ნახვის მონატრული. მე თუმცა რა მიშავს, ჩემს სახლში ვარ, შვილიშვილს ველოლიავები, შინაურს და გარეულს ვეგებები, ჩემი ხალხის ავ-კარგით ვცოცხლობ, შენ მეზრალეები, მარტოდმარტო, უცოლ-შვილო, ორიოდ შენსავით გაბოგანოებულ ქართველს თუ შეხვდები, თორემ ტრიალებ ამ უცხო ხალხში, არც შენს თავს არგიხარ, არც შენს ქვეყანას. არ ვარგა ასე. აი, ჩვენ მალე დავშორდებით ერთმანეთს, მე არ გაჩქარი, დაფიქრდი, მიიხედ-მოიხედე, ცოტა წესრიგშიაც მოდი, ცხონებული მამაშენივით, იმას დაადგანათელი, რასაც იშოვი ამ შენი მძიმე შრომით ერთ დღეში ნუ გააბნევ. სულერთია, ღვინო სევდას არ გაგიქარვებს, ის უფრო მოგტეხავს და დაგაძაბუნებს. თავს მოუარე და როდესაც ეგ ნერვები დაგინწყნარდება, როდესაც



ეგ გული გეტყვის: აბა, ახლა კი დადგა დრო, ავიკრა გუდა-ნაბადი და ჩემს მინა-წყალს მივაშუროო, წამოდი. იქ მოხუცი დედა გელოდება, ყველა გელოდება, ნათესავი და ნაცნობი, შეგხვდებით, მოგივლით, დაგაბინავებთ დაგაცოლშვილებთ (კიდევ არაა გვიან) და ჩვენი სიცოცხლის ეს დარჩენილი წლები ერთად გავატაროთ. რას იტყვი?

დაფიქრდა. მგონია, ჩემი სიტყვები ჭკუაში უჯდება.

– ვნახოთ, – მეუბნება იგი, ვნახოთ. აქ ცოტა საქმეები მაქვს მოსათავებელი. სამუშაო უნდა დავამთავრო.

– წერილი მოიწერე ხოლმე.

ბურჟეს აეროდრომზე სწრაფად გასინჯეს ჩვენი პასპორტები. მე და ჩემი ძმა ვდგავართ და ორთავენი ვცდილობთ მშვიდათ ვიყოთ. უცბათ ლადო მობრუნდა, ზურგი შემაქცია, ვითომ რალაცას ათვალერებს. მოულოდნელად ცრემლები მოანვა თვალზე და უცდის, სანამ გადაუვლის მღელვარება.

გვეძახიან. დროა, დავშორდეთ ერთმანეთს. მოვეხვიე. განგებ არ ვეუბნები გულის ამაჩუყებელ სიტყვებს.

– აბა, კარგად იყავი. მართალია, ბავშვი აღარა ხარ, ხანშიშესული კაცი ხარ, მაგრამ უფროსი ძმის დარიგება არ დაივიწყო.

წავიდა, რომ სახურავის ბაქანზე ავიდეს და იქედან კიდევ მომესალმოს.

გავედი სხვებთან ერთად და ვხედავ, ცოტა მოშორებით გასულა. დამინახა, ადგილი გადმოინაცვლა. ორთავენი ხელს ვუქნევთ ერთმანეთს. ვინ იცის, კიდევ ვნახავთ თუ არა ერთიმეორეს. აქედან ვერ ვხედავ, მაგრამ მგონია, რომ მას ახლა თავისუფლად ჩამოდის ცრემლები, მაგრამ არც კი ცდილობს, მოიწმინდოს. რატომ რცხვენია ჩემთან ცრემლების გამოჩენის, არ ვიცი.

წავედი თვითმფრინავისკენ, მოვიხედე, კიდევ მივესალმეთ ერთმანეთს.

ავიარე ტრაპი, კარებთან კვლავ შევდექი, კიდევ დავუქნიეთ ერთმანეთს ხელი. შევედი შიგნით. მოვძებნე ადგილი და ვიცქირები სარკმლიდან. ლადო ორივე ხელით ჩაფრენია მოაჯირს და შემოცქერის თვითმფრინავს.

დალაგდნენ მგ ზავრები. დაკეტეს კარი. აღრიალდნენ ჩვენი თვითმფრინავის მოტორები... გავედით სასტარტო შარაზე, კიდევ ვიცქირები ფანჯარაში, აეროპორტი ახლა საკმაოდ შორსაა, ბაქანზე მოგროვილი გამცილებლები წერტილებივით ჩანან.

წავიდა ღრიალ-გუგუნით ჩვენი მანქანა, ჩავუქროლეთ აეროპორტის შენობას..... მე სულ მიკრული ვარ ფანჯარას, რადგან ვიცი, რომ იქ, აერო-

პორტის ბაქანზე კვლავ დგას ჩემი ღვიძლი ძმა და თვალს არ აშორებს ზეცაში აჭრილ ამ საბჭოთა გიგანტურ ხომალდს.

იმ ხომალდს, რომელიც მიჰქრის მისი სამშობლოსაკენ...



სამი საათის ფრენის შემდეგ ჩვენ უკვე მოსკოვში ვიყავით. მეორე დღეს მთელი საქმეები მოვითავე და მესამე დღეს უკვე თბილისისაკენ მოვქროდი.

როდესაც ჩვენი კავკასიონის ქედი დავინახე, როდესაც იალბუზსა და ყაზბეგს ზევიდან დავხედე, ისევ ამღერდა ჩემს გულში ჩვენი დიდებული აკაკის სიტყვები:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო.  
წამძლია სულმა და გულმა  
შენს ნახვას დავეჩქარეო,  
წინ მომეგებენ ღიმილით  
შენი მზე, შენი მთვარეო“...

აი, გადავუარე თბილისის ზღვას, სატელევიზიო კოშკს, ქოროღლის ციხეს, კუმისის ტბას, იალღუჯის მთებს, სადღაც სამოცკილომეტრიანი სიშორიდან დავუარეთ აეროდრომის დასაფრენ შარაგზას და დავეშვიტ.

აქაც მიკრული ვარ ფანჯარას და როდესაც აეროპორტის სადგურის წინა ბაქანთან დამხვდურებს შევავლე თვალი, ვხედავ... მარტო მას ვხედავ... ჩემს შვილიშვილს.... ხელში აუყვანიათ და თვითმფრინავისკენ ახედებენ.

ფუსფუსით ჩამოვდივარ ტრაპის საფეხურებზე, მივიჩქარი, ვუახლოვდები, ვხედავ დამინახა, მიცნო და მესმის მისი:


– ბაბუ კაკო!..




აკაკი ბელიაშვილი წიგნის | მალაზიაში  
თბილისი, 20 ნოემბერი, 1955



აკაკი ბელიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, სიმონ ჩიქოვანი და მიხეილ ქვლივიძე  
მწერალთა III საკავშირო ყრილობა, მოსკოვი, 1959




თინათინ გამყრელიძე-ბელაშვილი  
წყნეთი, 1940



აკაკი ბელაშვილი შვილიშვილთან – გიორგი ციბაძესთან ერთად  
1950-იანი წლები





სახსოვრად პაмяტს ანათილას  
ПАМЯТЬ. 1962. КИКЕТА

მინანური ფოტოზე: „მანანა ბელიაშვილი თავის ვაჟთან – გიორგი ციბაძესთან ერთად კიკეთში. მანანას შავები აცვია მშობლების დაღუპვის გამო“. 1962





მანანა ბელიაშვილი მეუღლესთან – ბორის ციბაძესთან და ვაჟთან – გიორგი ციბაძესთან  
ჟინვალჭესის მშენებლობა, არაგვის ხეობა, 1983



აკაკი ბელიაშვილი, 1957

